

ფუნქცია

2 ბეჟან ჯავახია

მარადიული რომი
„სხვა რომი“ რომის შემდეგ

თბილისი
2009

რედაქტორი პროფ. ნინო ჩიქოვანი

რეცენზენტი პროფ. ვაჟა კიკნაძე

ნაშრომი ეხება რომის იდეას შუა საუკუნეებსა და თანამედროვე ისტორიაში. განხილულია “ახალი რომისა” და “სხვა რომის” იდეა, იმპერიის გადატანისა (translatio imperii) და რომის იმპერიის აღდგენის (Renovatio Romae - Imperium Romanorum) კონცეფცია. წარმოდგენილია რომის იმპერიის მონაცვლეობა ბიზანტიაში, შუა საუკუნეების დასავლეთში - ფრანკთა იმპერიაში, გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიაში, აღმოსავლეთ ევროპაში. საგანგებო ყურადღება ეთმობა შუა საუკუნეების საქართველოს მიმართებას რომის იდეისადმი.

ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტებისათვის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და მედიევისტიკის პრობლემებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

საგამომცემლო-ანალიტიკური ცენტრი „ახალი აზრი“
თბილისი, 2009

© ბ. ჯავახია, 2009

ISBN 978-9941-0-1909-8

შინაარსი

შესავალი	4
თავი I. ახალი რომი ბოსფორის სანაპიროზე . კონსტანტინოპოლი - მეორე რომი	10
თავი II. რომის იდეა შუა საუკუნეების დასავლეთში . .	37
კარლოს დიდი და იმპერიის გადატანა დასავლეთში. აახენი - ახალი რომი	39
გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერია	52
“სხვა რომი” რომი შუა საუკუნეების დასავლეთში . . .	72
“სადაც არის პაპი, რომიც იქ არის” (Ubi papa ibi Roma) .	80
თავი III ახალი რომის იდეა საქართველოში გელათი - ახალი რომი	97
თავი IV სხვა რომი ბიზანტიის შემდეგ მოსკოვი - მესამე რომი?	132
თავი V თანამედროვე რომი	195
დასკვნა	207
ლიტერატურა	229
Eternal Rome, another Rome after Rome. Summary	255

შესავალი

რომი არის ერთადერთი ქალაქი, რომელმაც დაიმსახურა მარადიული ქალაქის ტიტული. დრო უძლური აღმოჩნდა ამ ქალაქის სიდიადის წინააღმდეგ, იგი მარადიული იყო და, როგორც ჩანს, არის დღესაც. რომი გახდა სიმბოლო სამყაროს თავისა. იგი მარადიულად არსებობს და, ამდენად, გამოთქმა – “რომი არის სამყაროს თავი” – არასოდეს არის უსაგნო.

“რომი არის სამყაროს თავი”, “ყველა გზა რომისკენ მიდის” - ეს გამოთქმები აშკარას ხდიან რომის მნიშვნელობას კაცობრიობის ისტორიისათვის. თუ გავიხსენებთ სხვა გამოთქმებსაც, განსაკუთრებით - “რომი არის სამყარო, ხოლო სამყარო არის რომი”, მაშინ თავისთავად ხდება ნათელი მნიშვნელობა იმ თემისა, რომლის შესწავლაც ჩვენ დავისახეთ მიზნად.

რომი, რომელიც რამდენიმე საუკუნე ბრწყინავდა მთელი თავისი ძლიერებით, მისი წარსული და ისტორია ადამიანებს ყოველთვის იზიდავდა და იზიდავს. რომის იმპერიის იდეები დღესაც გარკვეული როლს თამაშობს თანამედროვე პოლიტიკურ დოქტრინებში.

ერთი მხრივ, რომი იყო ძველ იმპერატორთა ქალაქი, ხოლო მეორე მხრივ - მოციქულთა ქალაქი, მეფეთა და იმპერატორთა კორონაციის ადგილი. ყველა, განურჩევლად პროფესიისა და ეროვნული მიკუთვნებულობისა, აღიარებდა, რომ რომი იყო მსოფლიო მეტროპოლიის მეთაური, ისინი ცდილობდნენ, სათუთად შეენახათ მისი იდეა და ასევე გადაეცათ ძველი კულტურის ცოდნა მთელი მსოფლიოსათვის. არ არის გასაკვირი, რომ მწერლები და ისტორიკოსები უძველესი დროიდან მთელი შუა საუკუნეების მანძილზე შეუწყვეტლად ადიდებდნენ რომს. ის ეპითეტები, რომლითაც ისინი მას მოიხსენიებდნენ - *aurea Roma, caput mundi* თუ *Domina orbis, regina* და *mater, urbs aeterna*

და sacra, ასევე virtus romana აისახა სხვადასხვა ისტორიულ დოკუმენტებში, ტრაქტატებში, წერილებში, წიგნებში, ქრონიკებში, სხვადასხვა ნარატიულ წყაროებსა და ასევე სხვადასხვა წარწერებში კედლებზე, მონეტებსა და ბეჭდებზე.

მიუხედავად რომის დაკნინებისა და დამარცხებებისა, რომის რესტავრაციის იმედი მაინც რჩებოდა შუა საუკუნეების ადამიანების გონებაში.

რომის პოლიტიკური მნიშვნელობის, მისი წარსულის განდიდება, აგრეთვე წინასწარმეტყველება რომის მომავალი კეთილდღეობისა ანტიკურ საზოგადოებაშივეა ნათლად გამოკვეთილი, რის საუკეთესო ნიმუშია ვირგილიუსის "ენეიდა":

“შენ, რომაელო, გმართებს ხალხთა მართვა უფლებით,
ეს არის შენი ხელოვნება! – მშვიდობის დაცვა,
ამაყთ დათრგუნვა და მორჩილთა მოწყალება!”¹

რომის, როგორც მარადიული ქალაქის შესახებ ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში საუბარი გვექნება არა რომის კულტურისა და აზროვნების გავლენასა და გადატანაზე ევროპასა და ხმელთაშუა ზღვის აუზში², არამედ ჩვენი მიზანია, წარმოვადგი-

¹ვირგილიუსი, ენეიდა, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და სამიხებილი დაურთო რომან მიმინოშვილმა, თბ., 1976, VI (851-853):

Tu regere imperio populos, Romane, memento,
Heac tibi erunt artes: pacisque imponere morem,
Parcere subiectis et debellare superbos.

² ევროპული სივრცის რომანიზაციის საკითხი შუა საუკუნეების ისტორიკოსთა კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, ზედმეტად მიგვაჩნია ამ საკითხზე დაწერილი ნაშრომების აქ მითითება, რადგანაც უდავოა საერთოდ შუა საუკუნეების დასავლურ კულტურაზე რომის გავლენა. შუა საუკუნეების ევროპა, თავისთავად, დამყარებულია რომის იმპერიაზე, იგი თავს რომის იმპერიის მემკვიდრედ თვლის კიდევაც, თუმცა გვხვდება ისეთი ნაშრომები, რომელთა ავტორთა აზრით, ანტიკურობას უმნიშვნელო ადგილი უკავია ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში, უბრალოდ, მან

ნოთ რომის იდეა შუა საუკუნეებსა და თანამედროვე ისტორიაში. როდესაც ვასახელებთ რომის იდეას, ამ შემთხვევაში ჩვენ გვექნება საუბარი, რომზე, როგორც იმპერიის დედაქალაქზე, რომზე, როგორც ერთიანი სივრცის კონცეპციაზე, რომელიც ყოველთვის არ არის რომულუსისა და რემის მიერ დაარსებულ ქალაქში, არამედ ეს ქალაქი არის თვითონ სიმბოლო სამყაროს ცენტრის, უფრო ხშირად პოლიტიკური ცენტრის. პოლიტიკური ცენტრის, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია, ან აცხადებს ასეთად არსებობის პრეტენზიას.

ჩვენ განვიხილავთ “ახალი რომისა” და “სხვა რომის” კონცეპციას, არა მხოლოდ თვითონ ქალაქ რომის მიმართ არამედ სხვა ქალაქების მიმართ, რომის განახლებასა და გადატანას

გვიან მოიძია და მიიღო ანტიკური კულტურა. დღემდე დაწერილ ჩვენთვის ცნობილ ნაშრომებში ნაკლებადაა მონოგრაფიულად შესწავლილი რომის იდეა, როგორც პოლიტიკური აზროვნების ფორმა. ასეთი დასახელების ნაშრომებში, სადაც რომის იდეაა შესწავლილი, უპირველესად, ყურადღება მიმართულია რომის კულტურის გავრცელებაზე ევროპულ სივრცეში. რომის იდეა და რომანიზაცია წარმოდგენილია როგორც, უბრალოდ, პროგრესი ბარბაროსობიდან ცივილიზაციისაკენ. ამ ნაშრომებში წარმოდგენილია რომაული გავლენა და რომაული მოდელები არქიტექტურაში, ენასა და ლიტერატურაში. - Davis Ch.T. Dante and the Idea of Rome, 1957; Thompson D. The Idea of Rome, 1971; Ando C. Imperial Ideology and Provincial Loyalty in the Roman Empire, 2000; From Roman Province to Medieval Kingdoms, Ed. by Noble Thomas F. X., 2006; Smith Julia M.H. Europe after Rome. A New Cultural History 500-1000, Oxford: Oxford University Press, 2005; მსგავს მიზანს ემსახურება რ. ჰინგლის ნაშრომი “რომაული კულტურის გლობალიზაცია” - Hingley R. Globalizing Roman Culture, 2005. ნაშრომი ეხება რომის იდეების გავრცელებას ევროპულ და მედიტერანულ სივრცეში, ბრიტანეთიდან სირიამდე. ნაჩვენებია თუ როგორ ვრცელდება რომაული კულტურა და რომაული მოდელი პროვინციული ელიტის აზროვნებაში, რომელიც უფრო მყარს ხდიდა ურთიერთობებს ამ სივრცეში მცხოვრებთათვის.

იქ, სადაც ისტორიკოსებს წარმოუდგენიათ, რომ გრძელდება რომის მემკვიდრეობა.

ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ინტერპრეტაცია *Renovatio Romae* თუ *Imperium Romanorum* არის განსხვავებული, რაც უმეტესად იცვლება იდეის ავტორთა ინტელექტუალური და სულიერი დამოკიდებულების შესაბამისად და არის ინდივიდუალური.

შუა საუკუნეების საისტორიო მწერლობა, რომელიც მეტად არის დამოკიდებული პოლიტიკურ კონიუნქტურაზე, თუ ზოგადად გაბატონებულ ქრისტიანულ იდეოლოგიაზე, როგორც პოლიტიკური, ასევე რელიგიური მოტივებით ხშირად მიმართავს წარსულს და წარსულის მაგალითების საფუძველზე წარმოადგინს აწყმოსა და მომავალს. საკითხისადმი ასეთი მიდგომის საუკეთესო ნიმუშებია შუა საუკუნეების მემატიანეთა მიერ, მისი თანამედროვე ეპოქის განსაზღვრებად ისეთი ეპითეტების გამოყენება, როგორცაა “ახალი იერუსალიმი”, “ახალი რომი” “ახალი ალექსანდრე”, “ახალი კონსტანტინე” და სხვა.

ეს ეპითეტები უმეტესად გამოხატავენ მსგავს იდეებს ცივილიზაციური ერთობისა და იმ სახელმწიფოთა განსაკუთრებული მნიშვნელობას, რომელთა მიმართაც ის არის გამოყენებული.

ახალი რომი, ან მეორე რომი, ან სხვა რომი მათ წარმოდგენებში არის ცივილიზაციურ ერთეულთა, თუ იმპერიათა ცენტრი, სადაც წყდება იმ დროისათვის კაცობრიობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები, ანუ ის არის სამყაროს თავი *caput mundi*.

როგორც ჟ. ლე გოფი აღნიშნავს “მსოფლიო ისტორიაში გაბატონებულია თემა ხელისუფლების გადაცემის. ყოველ მოცემულ ეპოქაში სამყაროს აქვს ერთი ცენტრი, ცხოვრობს ერთი გუ-

ლის ცემით”¹. ასევე, ევროპულ და ზოგადად ქრისტიანულ სივრცეში “ახალი რომი” და “სხვა რომი” უმეტესად აღნიშნავს რომის იმპერიის მემკვიდრეობის პრეტენზიას.

ავტორთა უმეტესობა რომის იმპერიის დახასიათებისას ხაზს უსვამს მის უნივერსალიზმს. რომს იმპერიას პრეტენზია ქონდა არა, უბრალოდ, სახელმწიფოდ არსებობისა, არამედ ერთადერთობისა და ერთადერთ სახელმწიფოდ ყოფნისა მსოფლიოში – იგი იყო მსოფლიო სახელმწიფო, რომლის საზღვრები ემთხვეოდა ცივილიზაციის საზღვრებს. ამდენად, რომი წარმოადგენდა არა სახელმწიფოს, არამედ საზოგადოებას, მსგავსს ცივილიზაციისა, ორგანიზებულს პოლიტიკურად. “რომის იმპერია იყო დაპყრობების შედეგი, რომელიც იყო უფრო არა ათენისა და ალექსანდრე მაკედონელის იმპერიალიზმის მემკვიდრე, არამედ ძველი იზოლაციონიზმისა, რომელიც ცდილობდა მთელ მსოფლიოში გავრცელებას, რათა გამხდარიყო ერთადერთი და მსოფლიო. ამდენად, რომი თავს არ განიხილავდა როგორც სახელმწიფოს, ანუ, დღევანდელი გაგებით, სახელმწიფოს სახელმწიფოთა შორის”².

რომი გახდა იმპერიისა და ძალაუფლების სიმბოლო. იგი აგრძელებდა არსებობას იმპერატორთან მიმართებაში. უმრავლესობა ავგუსტუსის მემკვიდრეებისა აღიღებდა რომის იდეას და ქალაქს ძალაუფლების სიმბოლოდ ხედავდა.

ამ საკითხის შესწავლის დროს აუცილებლად მოგვაჩინა იმპერიათა მონაცვლეობის შედარებითი შესწავლა, ანუ იმ მოდელების გამოკვლევა, რომლითაც სარგებლობდნენ იმპერიები; ისინი ისტორიაში თანმიმდევრობით არსებობდნენ და ერთმა-

¹ Ле Гофф Ж. Цивилизация средневекового Запада, Екатеринбург, 2005, с. 209.

² Veyne P. L'Empire Romain. In: Maurice Duverger (ed.) La Concept d'Empire. Paris: Presses Univ. des France, 1980, p. 122.

ნეთს გადასცემდნენ იმპერიული მოწყობის პრინციპებს, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლებოდნენ და მოდერნიზდებოდნენ. ამდენად, საინტერესოა განვიხილოთ რამდენიმე “ახალი რომი”. ნაწილი ისტორიკოსებისა, განსაკუთრებით, რუსულ ისტორიოგრაფიაში, ძირითადად, განიხილავს სამ რომს - ძველი რომი, ბიზანტია და რუსეთი - მესამე რომი. სამი რომის არსებობა, მართლმადიდებლური ისტორიოგრაფიის თანახმად, მიანიშნებს სამეზას.

ჩვენ ვფიქრობთ, უფრო ფართოდ განვიხილოთ ეს საკითხი: არსებულ იმპერიათა შორის არ შეიძლება არ წარმოვადგინოთ კარლოს დიდის ფრანკთა იმპერია, გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერია. ასევე ე. წ. თანამედროვე “იმპერიები”. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მოგვიწევს ისეთი პრობლემის განხილვაც, როგორცაა *translatio imperii*, რომელიც ხშირად სხვადასხვა ინტერპრეტაციით არის წარმოდგენილი.

ჩვენი ნაშრომის ერთერთ მნიშვნელოვან ამოცანად მიგვაჩნია, იმპერიათა მონაცვლეობის კონცეპციის განხილვისას სათანადო ყურადღება დავუთმოთ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიას, ქართულ საისტორიო წყაროებს და ისტორიული კომპარატივისტიკის პრინციპების შესაბამისად, წარმოვადგინოთ შუა საუკუნეების საქართველოს მიმართება რომის იდეისადმი.

თავი I

ახალი რომი ბოსფორის სანაპიროზე

კონსტანტინოპოლი - მეორე რომი

გასული საუკუნეებისაგან განსხვავებით, დღეს ისტორია ნაკლებად არის ჩართული პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაში და თანაც მან თითქმის დაკარგა პოლიტიკოსებისათვის პრაგმატული ინტერესი. წარსულისადმი ინტერესი უფრო ანთროპოლოგიური ხასიათის გახდა, იგი მიმართულია სოციუმის შესწავლის, ასევე აზროვნების განვითარების ისტორიისაკენ. თუმცა, მნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტის დროს, ისტორია ისევ მოიპოვებს ხოლმე თავის განსაკუთრებულ ადგილს. პოლიტიკოსები ხშირად იყენებენ მას ან რაიმე პროცესებისა და მოძრაობების შესამზადებლად, ან კიდევ უკვე განხორციელებულ ქმედებათა განსამტკიცებლად.

მსოფლიო ისტორიული პროცესების შესწავლა და განსჯა ისტორიის რაციონალური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. სხვადასხვა საზოგადოებისა და სტრუქტურების შედარებითი შესწავლა უფრო ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორია წარსულის აღქმა სხვადასხვა სივრცეში, ისტორიის განვითარების განსხვავებულ ეტაპებზე.

რომის იმპერია, რომელიც დედამიწის თითქმის ნახევარზე ვრცელდებოდა, არასოდეს წყვეტს არსებობას, ის დროთა განმავლობაში განიცდის ცვლილებას და სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სივრცეში, სხვადასხვა სახით აგრძელებს არსებობას.

ჩვენი ინტერესის საგანს ნაკლებად წარმოადგენს ანტიკური რომის საზოგადოების შესწავლა, ჩვენი ამოცანაა შევისწავ-

ლოთ, თუ როგორ ინარჩუნებდა რომი მარადიულის ტიტულს და როგორ გრძელდებოდა მისი არსებობა შუა საუკუნეებში. ანტიკური რომი დასრულდა ქრისტიანობის გამარჯვებასთან ერთად, მაგრამ რომის იმპერიის იდეა არ დასრულებულა ანტიკურ სამყაროში ის ქრისტიანობასთან ერთად აგრძელებს არსებობას. ქრისტეს სახელის ქვეშ რომმა ისევ დაიბრუნა თავისი ძლიერება და ბოსფორის სანაპიროზე გადაინაცვლა.

უდაოდ მნიშვნელოვანია მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ევრაზიის კონტინენტზე გადაჭიმული ახალი რომის იმპერია, რომელიც უფრო ხშირად ბიზანტიად მოიხსენიება. ბიზანტია გახდა პირველი მემკვიდრე რომის იმპერიისა –“ახალი რომი”.

ბიზანტია შუა საუკუნეების ერთ-ერთი უძლიერესი და სახელოვანი იმპერია იყო, რომელმაც ერთი ათასწლეული იარსება, როგორც ქრისტიანულმა რომმა და უდიდესი კვალი დატოვა კაცობრიობის ისტორიაში.


დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ბიზანტიის დაარსებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ბიზანტიის იმპერია არსებობას იწყებს კონსტანტინოპოლის დაარსებასთან ერთად/ქრისტიანობისთვის სახელმწიფო ფუნქციების მინიჭებისა და დედაქალაქის ბოსფორის სანაპიროზე გადატანასთან ერთად, ის ხდება “სხვა რომი”.

იმპერიის დედაქალაქის კონსტანტინოპოლში გადატანასთან ერთად, დედაქალაქი ხდება ქრისტიანული ეკლესიის ცენტრი და ძველი წარმართული რომი მნიშვნელობას კარგავს. ნაწილი ისტორიკოსებისა ფიქრობს, რომ იმპერიისათვის დედაქალაქის ძებნა სწორედაც წარმართობიდან გაქცევის მოტივით იყო განპირობებული. ასეთ მოსაზრებებს ხშირად ვხვდებით დასავლურ ლიტერატურაში. ისტორიკოსთა ნაწილი 312 წელს, მილვენის ხიდთან კონსტანტინე დიდის მაქსენტიუსზე გამარ-

ჯვებას წარმოადგენს, როგორც მაცხოვრის ხელიდან მიღებული ჯვრით შეიარაღებული კონსტანტინე დიდის გამარჯვებას წარმართული ღმერთების მფარველობის ქვეშ მყოფ მაქსენტიუსზე, ანუ წარმართული რომის დამარცხებას. თუმცა, დედაქალაქის რომიდან კონსტანტინოპოლში გადატანის მთავარ მოტივად არ შეიძლება მივიჩნიოთ წარმართული რომიდან გაქცევა¹. ეს, ძირითადად, გამოწვეული იყო იმ სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებებით, რომლებიც მიმდინარეობდა იმდროინდელ რომის იმპერიაში, აგრეთვე სერიოზული ინტერესითაც, რომელიც რომს ქონდა აღმოსავლეთის მიმართ. თანაც, დასავლეთის ქალაქთა შორის რომი გამორჩეული იყო, როგორც მოციქულთა თავების - პეტრესა და პავლეს ქალაქი.

¹ ისტორიის მეცნიერებაში დღემდე მიმდინარეობს დისკუსია კონსტანტინე დიდის ქმედებათა მოტივაციის შესახებ. მკვლევრების ნაწილი მიიჩნევს, რომ, როდესაც იმპერატორი გადაწყვეტილებას იღებდა ქრისტიანებისა და ქრისტიანული საწმუნოების სასარგებლოდ, ის მოქმედებდა პოლიტიკური მიზნებით და არა მისი რწმენის შესაბამისად. რასაკვირველია, ეს დისკუსია ძალიან საინტერესოა, მაგრამ, ამავე დროს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმპერატორის მოღვაწეობის მრავალმხრიობას, მოსაზრებებიც მრავალმხრივი დარჩება. ვფიქრობთ, მაინც გასაზიარებელია ის თვალსაზრისი, რომ კონსტანტინესათვის ქრისტიანობისადმი დამოკიდებულება და მისი არჩევანი ქრისტიანობის სასარგებლოდ ვერ იქნებოდა მხოლოდ პრაგმატული, რადგანაც ამ ეპოქისათვის ქრისტიანები რომის იმპერიის მხოლოდ 10% წარმოადგენდნენ. - Болотов В.В. Лекции по истории Древней Церкви, СПб., 1913, Т. III, с. 29; თუმცა ასევე არ შეიძლება არ გავიზიაროთ ე. ტრუბეცკის მოსაზრება, რომლის თანახმადაც კონსტანტინე დიდის გენიალურობა მდგომარეობდა იმაში, რომ მან ქრისტიანობაში დაინახა ძალა, რომელიც გახდებოდა რომის მრვალებიანი იმპერიის მთავარი გამაერთიანებელი ელემენტი. - Трубецкой Е. Религиозные и общественные идеалы западного христианства в пятом веке, М., 1892, т. 1, с. 2, Васильев А.А. история Византийской империи, СПб., 2000, с. 94-106.

ასეთი ცვლილებებს ყოველთვის აქვს პოლიტიკური მოტივაცია. როდესაც იმპერატორი ახალ დედაქალაქს ეძებდა, შესარჩევ ქალაქათა შორის ისინი იყო, რომელთაც, თავისთავად, გარკვეული ისტორიული წარსული ჰქონდათ. ასეთთა შორის პირველი გახლდათ ქალაქი ტროა. იგი მთელი იაფეტური შთამომავლობის და ევროპის სახელმწიფოთა და ქალაქთა დედად იყო მიჩნეული, რადგანაც როგორც თვითონ რომის, ასევე პარიზის და სხვა მნიშვნელოვანი ქალაქების წარმოშობას სწორედ ტროას გმირების სახელებს უკავშირებდნენ. კონსტანტინე დიდი დედაქალაქის გადატანას აპირებდა ასევე რომის იმპერიის ყოფილ ცენტრებში ნიკომედიასა და სერდიკში (დღევანდელი სოფია), რომლებიც გარკვეულ პერიოდში წარმოაგენდნენ იმპერატორთა რეზიდენციებს.



კონსტანტინეს თაღი რომში

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რომში რესპუბლიკური წყობის დასრულების შემდეგ, იმპერატორებს არაერთხელ ჰქონიათ სურვილი, აეშენებინათ იმპერიისთვის დედაქალაქი აღმოსავლეთში. სვეტონიუსის ცნობით, ჯერ კიდევ იულიუს ცეზარი ცდილობდა გადაეტანა დედაქალაქი ტროაში ან ალექსანდრია-

ში, ხოლო რაც შეეხება იმპერატორ დიოკლეტიანეს, ის, ძირითადად, ნიკომედიასში, მცირე აზიასში ცხოვრობდა. /

რომის იმპერიის ახალი დედაქალაქი, სადაც კონსტანტინე დიდმა თავისი რეზიდენცია გადაიტანა და რომის წარჩინებულები გადაასახლა, ადრე ბიზანტიონად იწოდებოდა. ბიზანტიონი დაარსდა ძვ. წ. VII საუკუნეში. ამ ქალაქის დაარსების შესახებ მეტად საინტერესო გადმოცემები არსებობს. ვიდრე რომის იმპერიის დედაქალაქი გახდებოდა, ქალაქს ქრისტიანობისათვის ბრძოლის საინტერესო წარსული ქონდა.

კონსტანტინოპოლი, როგორც იმპერიის დედაქალაქი, ოფიციალურად იღებს ახალი რომის წოდებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ძველი რომის მემკვიდრეობაზე აცხადებს პრეტენზიას და სურს იკისროს ანტიკურ რომის ყველა მისია. დედაქალაქისთვის ოფიციალურად რომის სახელის მინიჭება, თავისთავად, ნიშნავს, რომ რომი, როგორც სახელწოდება, გახდა სიმბოლო იმპერიის დედაქალაქისა, ალბათ, უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყვოდით - გარკვეული ცივილიზაციური ერთობის ცენტრისა, რომელსაც თავისი თავი წარმოედგინა ერთიანი სამყაროს თავად, რომლის მოვალეობაში შედიოდა ასევე მის გარეთ არსებული ბარბაროსების აღზრდაც.

ცნობილმა გერმანელმა ისტორიკოსმა რ. ლილიემ ბიზანტიის ისტორიის შესახებ დაწერილ წიგნს უწოდა “ბიზანტია - მეორე რომი”¹. დასავლეთშიც მას ხშირად რომანიად მოიხსენიებდნენ, მუსლიმები კი რუმის სახელმწიფოს უწოდებდნენ. მხოლოდ კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ უწოდეს მას ბიზანტია დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში.

კონსტანტინოპოლს, როგორც ახალს რომს, დასაბამი დაედო 324 წელს. იმპერატორმა თვითონ მონიშნა ქალაქის საზ-

¹ Lilie R.J. Byzanz . Das zweite Rom, 2003.


ღვრები. გადმოცემის თანახმად, კონსტანტინემ ხელში აიღო მახვილი, სათავეში ჩაუდგა სადღესასწაულო პროცესიას, რომელსაც უნდა შემოესაზღვრა ქალაქის ტერიტორია. პროცესიამ წრე შემოარტყა ახალ ქალაქს. ამ დროს ერთ-ერთმა დაახლოებულიმა პირმა შეხედა იმპერატორს, რომ ეს საზღვრები ძალიან დიდი იყო, მაშინ იმპერატორმა უპასუხა, რომ “ივლის იქამდე, სანამ არ შეჩერდება ის, ვინც მას მიუძღვის წინ”. ამით მან გადაწყვიტა, თავისიანებისათვის ეჩვენებინა, რომ მის ქმედებებს ზეციური ძალა ხელმძღვანელობდა.¹

დედაქალაქის საზეიმო გახსნა შედგა 330 წლის 11 მაისს. დღესასწაული აღინიშნა როგორც ქრისტიანული, ასევე წარმართული წეს-ჩვეულებების თანხლებით. იმპერატორს, როგორც დამაარსებელს, პატივს მიაგებდნენ წარმართული ღვთაების ჰელიოსის შესაბამისად. თვითონ ქალაქი მიეძღვნა წარმართული ბედისწერის ღვთაებას ტიხეს. ამავე დღეს გამოიცა იმპერატორის ბრძანება ქალაქისათვის რომის წოდების მინიჭების შესახებ. ედიქტის ტექსტი გამოიკვეთა მარმარილოს სვეტზე. თუმცა ქალაქი არაოფიციალურ წრეებში მაღევე იწოდა კონსტანტინოპოლად, მაგრამ სამეფო კარზე, ასევე საეკლესიო წრეებში ის მაინც რომის სახელწოდებით რჩებოდა. ამავე დროს, ქალაქის მფარველად ღვთისმშობელი იქნა მიჩნეული. კონსტანტინე დიდმა ბრძანება გასცა, ღვთისმშობლის კულტის პატივსაცემად აღემართათ სტელა წითელი მოწისაგან, თეთრი მარმარილოს კვარცხლბეკზე. იმპერატორი ამ ძეგლს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა, როდესაც მის ახლოს ჩაივლიდა, იმპერატორი ჩამოქვეითდებოდა ცხენიდან და ამასვე მოითხოვდა თავისი ამაღლისაგან.

¹ Петросян Ю. А. Древний город на берегах Босфора, М.1986, с. 36.

კონსტანტინე დიდს უნდოდა, ახალი დედაქალაქი მსოფლიოს დედაქალაქად ექცია, იგი მასში ახალი ტიპის ცენტრს ხედავდა. კონსტანტინემ კონსტანტინოპოლში გადმოიტანა რომის მუნიციპალური მოწყობა. აქ დაარსდა სენატი.

იმპერატორმა გადაწყვიტა, "ახალი რომი" გარეგნულადაც მიემსგავსებინა ძველი რომისათვის: დედაქალაქი, რომელიც მოგვიანებით კონსტანტინოპოლად იწოდებოდა, მსგავსად ძველი რომისა, შვიდ ბორცვზე იყო აშენებული.



კონსტანტინოპოლის კედლის ნაშთები დღევანდელ სტამბულში

კონსტანტინე დიდმა არა მხოლოდ სახელმწიფო ინსტიტუტები გადმოიტანა ახალ რომში, არამედ აუცილებლად მიიჩნია რომის წარჩინებულებისა და სახელმწიფო მოხელეების გადმოსახლება ახალ დედაქალაქში. მათი დიდი ნაწილი იმპერატორმა იძულებით გადაასახლა კონსტანტინოპოლში. ისინი, ვინც უარს აცხადებდნენ კონსტანტინოპოლში გადასახლებაზე, კონსტანტინე დიდმა აღმოსავლეთში საბრძოლველად გაიწვია

და ჩამოართვა ბეჭდები საგვარეულო წარწერებით. შემდეგში ეს ბეჭდები გაუგზავნა მათი ოჯახის წევრებს წერილებით, სადაც იყო მათდამი მიმართვა - გადასახლებულიყვნენ კონსტანტინოპოლში. სანამ ისინი ახალ დედაქალაქში ჩავიდოდნენ, იმპერატორმა ყველა ოჯახს დაახვედრა ზუსტი ასლი იმ სახლებისა, რომლებიც მათ რომში ჰქონდათ. როდესაც მეომრები დაბრუნდნენ ბრძოლიდან, მათ თავიანთი ოჯახის წევრები კონსტანტინოპოლში დახვდნენ, ისეთივე სახლებში, როგორებიც ადრე ჰქონდათ. არ ვიცით, რამდენად შეესაბამება ეს ფაქტები სინამდვილეს, ისევე როგორც სხვა გადმოცემები, რომლებიც თანამედროვეებმა შემოგვინახეს. ასეთია, მაგალითად, ცნობა ქალაქის აღმშენებლობის შესახებ: კონსტანტინემ ახალ რომში მიიწვია არქიტექტორები, ხელოსნები, ქვისმთლელები, მოქანდაკეები და გამოსცა ბრძანება ქალაქის ყველა მცხოვრების გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ. მან ასევე გამოსცა ბრძანება, რომ ყველა წარჩინებულს და მდიდრებს აეშენებინათ ერთი სახლი ახალ დედაქალაქში და ისინი გათავისუფლდებოდნენ გადასახადებისაგან.

კონსტანტინე დიდმა გადაწყვიტა, რომი ექცია უფრო მნიშვნელოვან ქალაქად, ვიდრე ძველი რომი იყო. ახალ ქალაქს თავისი მშენებლობებით უნდა ეჯობნა რომისათვის. იმპერატორის ბრძანებით, ახალ რომში ჩამოიტანეს ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები ათენიდან, რომიდან, დელფოდან, ანტიოქიიდან, ეფესოდან. დელფოდან ჩამოიტანეს აპოლონის ტაძრის სვეტები, რომიდან – ათენა-პალადას პატივსაცემად შექმნილი მონუმენტი, რომელიც თავის დროზე რომაელებმა წამოიღეს ათენიდან.

ახალ დედაქალაქში კონსტანტინე დიდმა დაიწყო პირველი ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა. მრავალი წარმართული ტაძარი გადააკეთეს ქრისტიანულ სალოცავად. კონსტანტინე დიდის მმართველობის დროს აქ აშენდა სასახლეები და ოც-


დაათამდე ბრწყინვალე ტაძარი, რომელთა შორის იყო აია სოფი-ის ტაძარი, რომელიც 532 წელს ნიკას აჯანყების დროს დაიწვა, წმინდა ირინეს ტაძარი და თორმეტ მოციქულთა ტაძარი. ამ უკანასკნელში იმპერატორმა ააშენა თორმეტი მოციქულის საფლავი და მათ შორის თავისთვისაც ააშენებინა აკლდამა. ასევე აიგო რამდენიმე თეატრი, ცირკი და იპოდრომი. კონსტანტინე დიდის მცდელობით, კონსტანტინოპოლში თავს იყრიდა სხვადასხვა სიწმინდეები, რომლებიც იმპერატორმა აქ რომის სხვადასხვა პროვინციიდან ჩამოატანინა. მოგვიანებით ქრისტიანობის დედაქალაქის, კონსტანტინოპოლის მნიშვნელობის განსამტკიცებლად გადმოასვენეს მოციქულების ანდრია პირველწოდებულის, ლუკასა და იოანეს წმინდა ნაწილები¹.

დედაქალაქის შექმნის დროს, იმპერატორი თავდაპირველად ცდილობდა, ანგარიში გაეწია ძველი რომის წარმართულ ტრადიციებისათვის, მაგარამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, კონსტანტინე დიდმა ახალ რომში საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის დედაქალაქს; მისი ძირითადი მახასიათებელი ის გახლდათ, რომ ის იყო ქრისტიანული რომი. შუა საუკუნეების პოლიტიკური აზროვნების შესახებ დაწერილ წიგნში ბ. ჰენდერსონი აღნიშნავს, რომ კონსტანტინოპოლი - ახალი რომი - იყო განსაკუთრებული, როგორც იდეოლოგიის ნავსაყუდელი. წმ. ირინეს ტაძარი პასუხი იყო ძველი რომის ავგუსტუსის მშვიდობის თაღზე – *Ara Pacis*. შუა საუკუნეების დამდეგს შექმნილ ნაწარმოები *Laudes Constantinopolitanae* – წარმოადგენს კონსტანტინოპოლის, როგორც ქრისტიანული სახელმწიფოს დედაქალაქის ხოტბას, უწოდებს მას ქალაქების დედოფალს და იერუსალიმს².

¹ ჯავახია ბ. ანტიკურობიდან შუა საუკუნეებამდე (დასავლეთ ევროპა, ბიზანტია, საქართველო), თბილისი, 2005, გვ. 111.

² Henderson Burns J., *The Cambridge History of Medieval Political Thought 350-1450*, Cambridge, 1988, p. 54.

ეპიტეთი “იერუსალიმი” ხშირად გვხვდება შუა საუკუნეების საისტორიო მწერლობასა და სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ასევე ლაპიდარულ ტექსტებში. ამ ეპითეტს განსაკუთრელი დატვირთვა აქვს ამ ეპოქის პოლიტიკურ აზროვნებაში. როგორც ჟაკ ლე გოფი აღნიშნავს, ეს ტერმინი, როგორც ეპითეტი, გვხვდება რომის გვერდით. და თუ ეპიტეთი “რომი” არის პოლიტიკური ცენტრის გამომხატველი, მაშინ “იერუსალიმი” ქრისტიანული ცენტრის აღმნიშვნელად უნდა მივიჩნიოთ. ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა ჩვენი დაკვირვებები შუა საუკუნეების წყაროებზე. შუა საუკუნეების ქვეყნებში სამეფო და სასულიერო ცენტრები ხშირად მოიხსენიება ასეთი ეპითეტით. საკმარისია დავასახელოთ მცხეთა, კონსტანტინოპოლი, მოსკოვი და ა. შ.



Map of Jerusalem.
From the 99-101 book of Joscelin, c. 1100.

იერუსალიმის რუკა, VIII ს.

კონსტანტინე დიდი არის არა მხოლოდ რომის პირველი ქრისტიანი იმპერატორი, არამედ მან პირველმა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება იერუსალიმს და აღადგინა იგი ნანგრევებიდან. იერუსალიმი ქრისტიანთა დევნის ხანაში დაანგრეეს რომაელებმა და მის ადგილზე მხოლოდ უმნიშვნელო დასახლება დატოვეს, რომელიც ელია კაპიტოლინად (Aelia Capitolina) მოიხსენიებოდა. კონსტანტინე დიდის დედის, წმინდა ელენე დედოფლის მოგზაურობით საფუძველი ჩაეყარა პილიგრიმაჟს იერუსალიმში.

ელენე დედოფალმა აღმოაჩინა ჭეშმარიტი ჯვარი, რომელზედაც ევნო მაცხოვარი. ამის შემდეგ მაცხოვრის საფლავზე და ბეთლემში, ქრისტეს შობის ადგილზე კონსტანტინე დიდმა ააშენა ეკლესიები.¹



კონსტანტინე დიდი და ელენე დედოფალი,
გელათის ფრესკა

¹ Hunt E.D. Holy Land Pilgrimage in the Later Roman Empire AD 312-460, 1984.

კონსტანტინე დიდის დროს საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანულ სივრცეში რომისა და იერუსალიმისადმი განსაკუთრებულ მიმართებას. თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ მოგვიანო პერიოდშიც ძლერი ხელისუფლების მქონე მონარქები ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას გამოხატავენ იერუსალიმის მიმართ. უნდა ითქვას, რომ IV საუკუნეში იქმნება ეკლესიის ორი პოლუსი - იერუსალიმი და კონსტანტინოპოლი: ერთი მხრივ, ელენე დედოფლის და კონსტანტინე დიდის მოღვაწეობა იერუსალიმში და, მეორე მხრივ, კონსტანტინეს მიერ წმინდა ქალაქის რომის აშენება¹. როგორც შუა საუკუნეების თეოლოგები წერენ, ეს შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებულ მისიად ხსნის ისტორიაში: ჯვრის ქალაქი და ქალაქი, წარმოქმნილი ჯვრის გამარჯვების შედეგად. კონსტანტინეს მეფობა იყო დამამკვიდრებელი ქრისტეს გამარჯვებისა. სამყარო ორი ცენტრით - იუდეველთა მეფისა და რომაელთა მეფის - დაემორჩილა კონსტანტინე

¹ იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებში არის გადმოცემა “ახალი იერუსალიმის” შესახებ: “და მე იოანემ, ვიხილე წმინდა ქალაქი ახალი იერუსალიმი, ღმრთისაგან ზევით ჩამოშვებული, გამზადებული, როგორც სასძლო, და სასიძოსათვის შემკული და მომესმა მგვრგვინავი ხმა ზევით, რიმელმაც თქვა: აჰა, კარავი ღმრთისა კაცთა თანა, და დაემკვიდრება მათთან, და ისინი იქმნებიან მისი ხალხი, და თვით ღმერთი იქნება მათთან. და ღმერთი შეაშრობს მათ თვალებზე ყოველგვარ ცრემლს, და აღარ იქნება სიკვდილი; და აღარც გლოვა, აღარც ტირილი და აღარც ტანჯვა აღარ იქნება, რადგანაც გადაეგო ყოველივე უწინდელი” (გამოცხადება 21:2-4). გამოცხადების ეს ტექსტი სხვადასხვა სახის ინტერპრეტაციით გვხვდება, მაგრამ ის, რაშიც შეიძლება ყველანი შეთანხმდნენ, მდგომარეობს იმაში, რომ “ახალი იერუსალიმი” წარმოადგენს ღვთის რჩეულთა ქალაქს. ასე რომ, ქრისტიანი მონარქები თავისი წარმატებების და ღვთისადმი ერთგულების, თუ ღვთის განგებით ცხოვრების დასტურად თავის სატახტო ქალაქში ქმნიან მაცხოვრის ქალაქის იერუსალიმის მოდეულს.

დიდს. თანდათანობით კონსტანტინოპოლის ეს მისტიკა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა მისმა პირველმა იმპერატორმა, უფრო და უფრო ღრმავდება.

ახალი რომი, კონსტანტინოპოლი, თავისთავად, თავს მსოფლიოს ცენტრად და, უპირველესად, ქრისტიანთა დედაქალაქად აცხადებდა. ახალი რომის (კონსტანტინოპოლის) ეს პრეტენზია, რასაკვირვლია, უარყოფით რეაქციას იწვევდა რომის ეკლესიაში და არა მხოლოდ რომში, არამედ სხვა დიდ საპატრიარქოებშიც. თავდაპირველად კონსტანტინოპოლი, ვიდრე ის უალტერნატივო ცენტრი იყო, როგორც ყოფილი რომის იმპერიის პოლიტიკური ხელმძღვანელობის რეზიდენცია, თვალს ხუჭავდა რომის პაპისა და მისი წარმომადგენლების გამონათქვამებზე რომის უპირატესობის შესახებ. ეს ბრძოლა და დაპირისპირება დასრულდა ქრისტიანული ეკლესიის გაყოფით და ევროპაში ორი სხვადასხვა სივრცის - ორთოდოქსული და კათოლიკური, ანუ ბერძნული და ლათინური სივრცის ჩამოყალიბებით.

VIII საუკუნემდე, ვიდრე დასავლეთში გაჩნდებოდა ახლი იმპერიის ჩანასახი კარლოს დიდის იმპერიის სახით, დასავლეთის ყველა ბარბაროსული სამეფოს (ფრანკები, ლანგობარდები, ოსტგოთები) მეთაურები აღიარებდნენ რომის იმპერატორის პრიმატს¹.

პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე პირველად იწყება საუბარი საპატრიარქო ხელისუფლების შესახებ, სადაც გამოიკვეთა, ძირითადად, სამი საპატრიარქო - რომის, ალექსანდრიის და ანტიოქიის. ნიკეის კრების მეექვსე კანონის თანახმად, ამ საპატრიარქოებს ეძლეოდათ განსაკუთრებული უფლებები. თვი-

¹ ჯავახია ბ. ანტიკურობიდან შუა საუკუნეებამდე (დასავლეთ ევროპა, ბიზანტია, საქართველო), თბილისი, 2005.

თონ ტერმინი *კატრიარქი* გვხვდება უფრო მოგვიანებით, V საუკუნეში, ქალკედონის კრების შემდეგ.

კონსტანტინოპოლის შესახებ არაფერია ნათქვამი ნიკეის პირველ საეკლესიო კრებაზე, რადგანაც ის ამ დროს (324 წელი) ჯერ კიდევ არ იყო იმპერიის დედაქალაქი. ამ კრებაზე, ა. ლებედევის მითითებით, რომის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის ეკლესიების შემდეგ გარკვეული მაღალი უფლებებით წარმოდგენილია კიდევ სამი ეკლესია. ესენია ეფესოს, კესარია-კაპადოკიის და ჰერაკლიის კათედრები. კონსტანტინოპოლის კათედრა ემორჩილებოდა ჰერაკლიის საეპისკოპოსოს. მაგრამ დროთა განმავლობაში, კონსტანტინოპოლის პოლიტიკური გავლენის ზრდასთან ერთად, იზრდება კონსტანტინოპოლის კათედრის მნიშვნელობა. კონსტანტინოპოლში რომის ქრისტიანი იმპერატორებისადმი გაგზავნილი საჩივრები გადაეცემოდა კონსტანტინოპოლის კათედრას, რის გამოც ამ უკანასკნელმა პრივილეგიები მოიპოვა. გრიგოლ ნაზიანზელი კონსტანტინოპოლის შესახებ წერს: “კონსტანტინოპოლი არის სამყაროს თვალი, უძლიერესი ქალაქი ზღვასა და ხმელეთზე, გამაერთიანებელი დასავლეთისა და აღმოსავლეთისა სახალხო ფორუმით, საიდანაც გამოდის ყველაფერი მნიშვნელოვანი რწმენისათვის”¹.

პირველი ნაბიჯი კონსტანტინოპოლის კათედრის წინ წასაწევად გადაიდგა მეორე საეკლესიო კრებაზე კონსტანტინოპოლში (381 წელი). მსოფლიო კრების მესამე კანონის თანახმად, კონსტანტინოპოლის კათედრას ემლეოდა პატივი, დასახელებულიყო მეორედ რომის ეკლესიის შემდეგ. ამ მუხლში კონსტანტინოპოლის უპირატესობა განმარტებული იყო შემდეგი მოტივით – “რადგანაც კონსტანტინოპოლი არის რომი”. ასეთმა

¹ Лебедев А. П. Духовенство древней вселенской церкви от времен апостольских до X века, СПб, 2003, с. 194.

გადაწყვეტილებამ სხვა კათედრების მეთაურთა გარკვეული უკმაყოფილება გამოიწვია. ეს კანონი, რომელიც კონსტანტინოპოლის კათედრისადმი მხოლოდ და მხოლოდ პატივისცემის გამოხატვა იყო, თანდათანობით გადაიზარდა მის ფაქტობრივ უფლებებში. ისეთი საეპისკოპოსოების მმართველები, როგორებიც იყვნენ ეფესოს, ჰერაკლიის და კესარია-კაპადოკიისა, თანდათან აღმოჩნდნენ კონსტანტინოპოლის გავლენის ქვეშ. ცნობილი ფაქტია, რომ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსები ერეოდნენ სხვა კათედრების მართვაში. იოანე ოქროპირის კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსად ყოფნისას, 400 წელს, ის თვითონ, როგორც კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი, განიხილავდა ეფესოს ეპისკოპოსის მიმართ არსებულ საჩივარს. მისი მეთაურობით გაიმართა კრება ეფესოში და არჩეულ იქნა ახალი ეპისკოპოსი. იმპერატორმა თეოდოსი უმცროსმა გამოსცა ედიქტი, რომლის თანახმადაც თრაკიის, პონტოს და ასიის ქრისტიანული ოლქებში ეპოსკოპოსები უნდა აერჩიათ კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსოსთან შეთანხმებით და არჩევანი უნდა დაემტკიცებინა სინოდს კონსტანტინოპოლში.

საბოლოოდ, კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისა და უფლებების მინიჭება მოხდა IV მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, ქალკედონში. კონსტანტინოპოლის ეკლესიის პრივილეგიები გადმოცემული იყო ამ კრების დადგენილების 28-ე კანონში. ჩვენთვის საინტერესოა ამ კანონის ტექსტი, რადგანაც მასში ნათლად არის წარმოდგენილი კონსტანტინოპოლის, როგორც რომის და იმპერატორის ქალაქის მნიშვნელობა. “თანახმად წმიდა მამათა განმარტებებისა, და ვაღიარებთ რა 150 ღვთისმომშიში ეპისკოპოსის მიერ აქ წაკითხულ კანონს, რომლებიც ესწრებოდნენ კრებას (381), ღვთისმოსავი იმპერატორის თეოდოსის მმართველობისას, რომელიც მეფობდა ქალაქ კონსტანტინოპოლში, ახალ რომში, ჩვენ იგივეს

განვსაზღვრავთ და ვადგენთ კონსტანტინოპოლის, რომის წმი-
და ეკლესიის უპირატესობას”.

რადგანაც ძველი რომის ტახტს, როგორც ეკუთვნოდა, უპირატესობა მისცეს, იმიტომ რომ ის იყო სამეფო ქალაქი, ამავე მოსაზრებით, 150-მა ღვთისმოყვარე ეპისკოპოსმა დაადგინა ასეთივე უპირატესობა რომის წმინდა ეკლესიისა, “სამართლიანად განვსაჯეთ, რომ ქალაქი, რომელსაც აქვს პატივი, იყოს მეფისა და სენატის ქალაქი და აქვს ისეთივე უპირატესობა, როგორც ძველი იმპერატორების რომს, ამის შესაბამისად, უნდა იყოს, მსგავსად ძველი რომისა, განდიდებული საეკლესიო საქმეებშიც და გახდეს მეორე მის (რომის) შემდეგ. და ამის საფუძველზე პონტოს, ასიის და თრაკიის ოლქების მიტროპოლიტები და ასევე სხვა დასახელებული ოლქების ეპისკოპოსები ხელდასხმულ იქნენ კონსტანტინოპოლის წმინდა ეკლესიის წმინდა ტახტის მიერ”.¹

¹ მასვე განვსაზღვრებთ ჩვენცა და განვაჩენთ დიდებულებისათვის წმიდისა ეკლესიისა თვით მის კონსტანტინოპოლისა, ახლისა ჰრომისა. და რამეთუ საყდარსა უმოხუცებულესისა ჰრომისასა სამეუფოსათვის ქალაქისა მის სამართლად განუჩინნეს მამათა უადრესნი პატივნი და ამითვე გულისიტყვთა აღძრულთა ასერგასისთა ღვთისმოყვარეთა ეპისკოპოსთა სწორნი პატივნი განიჩინნეს ახლისა ჰრომისა უფროისად წმინდასა საყდარსა, რამეთუ სამართლიანად საჯეს, რაითა მეფობითა და სინკლიტიკოსობითა პატივემული ქალაქი სწორი იყოს დიდებულებითაცა საყდრისაითა ძველისა მის სამეუფოსა ჰრომისაი და საეკლესიოთა საქმეთა შინა განდიდებოდეს ვითარცა – იგი და მეორე უყოს შემდგომად მისსა” (მსოფლიო საეკლესიო კრებები. ისტორია, ღვთისმეტყველება, კანონები, რუსულიდან თარგმნა ა. ხაჩიძემ, თბ., 2009, გვ.228; Карташев А.В. Вселенские соборы, СПб., 2002, с. 288; Der lateinische Westen und der Byzantinische Osten (431-642). Die Geschichte des Christentums, Herausgegeben von Luce Piettri, Freiburg-Basel-Wien, 2005, S. 116.

როგორც აღვნიშნეთ, კანონში ნათლად არის გამოკვეთილი საეკლესიო საკითხებში პოლტიკური პროცესების მნიშვნელობა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად თეოლოგები და ისტორიკოსები ცდილობენ, საპატრიარქოებისათვის ადგილების მიკუთვნება განსაზღვრონ მოციქულთა ან წმიდა მამათა მოღვაწეობით ამა თუ იმ ეკლესიაში. ზემოთმოყვანილ ტექსტში პირდაპირ არის მინიშნება, რომ რომის და კონსტანტინოპოლის (ახალი რომის) ეკლესიების პრივილეგიების განსაზღვრაში მთავარი ადგილი უჭირავს მათ პოლიტიკურ მდგომარეობას. ისინი პირველები გახდნენ, როგორც იმპერიის ცენტრები, როგორც იმპერატორისა და სენატის ქალაქები. ასევე გარკვეული მნიშვნელობა აქვს ტრადიციებს. ამ კანონში არ ირღვევა რომის იდეა. რომი რჩება როგორც ერთიანი სივრცის, როგორც ცივილიზებული სამყაროს ცენტრი, რომელსაც ამჯერად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც საეკლესიო ცენტრს.

რომის პაპმა თავდაპირველადვე გარკვეული წინააღმდეგობა გაუწია ამ საკითხს. რომის პაპის ლეგატებმა ამ კანონის მიღების მეორე დღესვე მოითხოვეს გაერთიანებული სხდომის ჩატარება, სადაც გააპროტესტეს კონსტანტინოპოლისათვის პრივილეგიების მინიჭება, რადგანაც ასეთი რამ არ იყო მიღებული ნიკეის I კრებაზე, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული რომის ეკლესიის შესახებ, რომ ის იყო პირველი და იდგა ყველა ეკლესიის სათავეში¹.

¹ მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ვხვდებით განმარტებას იმის შესახებ, რომ რომის პაპი არასოდეს აღიარებდა კონსტანტინოპოლის ეკლესიის პრივილეგიებს, ვფიქრობთ, შემდგომი პერიოდის რომის და კონსტანტინოპოლის ეკლესიის ურთიერთობათა მასალები იძლევა ფაქტებს განსხვავებული დასკვნისათვის. 869 წელს, პაპის ნიკოლოზ I-ის დროს, კონსტანტინოპოლში ჩატარებულ კრებაზე, რომელსაც რომის კათოლიკური ეკლესია მიიჩნევს VIII მსოფლიო საეკლესიო კრებად, ამ კრების 21-ე კანონის თანახმად, კონსტანტინოპოლის

ამ საკითხში სხვა ეკელსიებმა ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, რადგან თვითონ მათი ეკლესიის შიგნით არსებობდა დაბრკოლებები. ამ კრებაზე დაემეს ალექსანდრიის ეკლესიის მეთაურის საქციელი. ალექსანდრიის პატრიარქი დიოსკორი იყო მონოფიზიტი, რომლის მეთაურობითაც ჩატარდა 449 წელს საეკლესიო კრება, ისტორიაში ცნობილი “ავაზაკთა” კრების სახელწოდებით. ასევე არ შეეძლო პროტესტის გამოცხადება იერუსალიმის პატრიარქს იუბენალს, რომელიც იყო დიოსკორის მხარდამჭერი და მისი ქმედებებიც დაგმობილ იქნა ქალკედონის კრებაზე, ხოლო ანტიოქიის პატრიარქის ტახტი ეკავა მაქსიმეს, რომელიც ძალიან იყო დავალებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან, რადგანაც მხოლოდ მათი მხარდაჭერით მოიპოვა პატრიარქის ტახტი¹.

კონსტანტინოპოლის აღზევებას ხელს უწყობდა იმპერიის ძველ დედაქალაქში მიმდინარე პროცესები. რომის იმპერიის გაყოფის შემდეგ (395 წელი) რომი წყვეტს არსებობას, როგორც სამყაროს თავი და *rerum domina*, მაგრამ *aurea roma* - ოქროს რომი - რჩება ადამიანთა გონებაში. ბიზანტიის იმპერატორებმა, რომლებიც თავიანთ თავს რომეების ბასილევს უწოდებდნენ, მოითხოვეს ყველა უფლებები და პრივილეგიები, რაც იყო რომში.

პატრიარქი აღიარებულია მეორედ რომის პაპის შემდეგ (Карташев А.В. Вселенские соборы, СПб, 2002, с. 295).

¹ ნ. ბაინესი ბიზანტიური ცივილიზაციის ასპექტების შესახებ დაწერილ სტატიაში განიხილავს ალექსანდრიის პატრიარქის პრეტენზიებს კონსტანტინოპოლის კათედრის წინააღმდეგ და მიუთითებს, რომ ალექსანდრიის პატრიარქის მოთხოვნებში იყო მეტოქეობა კონსტანტინოპოლის, როგორც ქრისტიანული სივრცისა, ახალი ცენტრის მიმართ, რადგანაც მას თვითონ ჰქონდა ამბიგია გამხდარიყო “ახალი რომი” - Baynes N. H. Some Aspects of Byzantine Civillisation. The Journal of Roman Studies, Vol. 20 (1930), p.9 - <http://www.jstor.org/stable/297380>.

მაღლე დასავლეთ რომის დაცემის შემდეგ V საუკუნეში, ბიზანტიის მოქალაქეებმა დაიჯერეს, რომ ის იყო ლეგიტიმური მემკვიდრე რომის იმპერიის და მისი დედაქალაქი იყო სამეფო ქალაქი, *urbs regia*, რომი კი - η Νέα ან, უბრალოდ, *ρομη*. ამავე დროს, აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქი მოიხსენიება, როგორც რომის პატრიარქი. თავდაპირველად ბიზანტიაში ფრთხილობდნენ საზოგადოებისათვის კონსტანტინოპოლის უპირატესობის გამოცხადებას¹. მხოლოდ იმპერატორმა იუსტინიანემ (527-565) მთელი თავისი აქტიური ქმედებებით შესძლო განემტკიცებინა აღმოსავლეთ იმპერიაში რომის უპირატესობა.

კასიოდორუსი² (გარდ. 575) თავის სამნაწილიან “ეკლესიის ისტორიაში” (“*Historia ecclesiastica tripartita*”) გადმოგვცემს, რომ კონსტანტინე დიდმა დააარსა მეორე რომი - *secunda Roma* ოფიციალური დეკრეტით და ეს განცხადება ამოკვეთა მარმარილოს სვეტზე ცხენზე ამხედრებული თავისი ქანდაკების ახლოს³.

პირველი დამოწმება ლიტერატურაში კონსტანტინოპოლის, როგორც რომისა, გვხვდება კორიპუსის “იუსტინეს ხოტბაში” (*In laudem Justiniani*). კორიპუსი - ლათინი პოეტი - დაიბადა აფრიკაში, ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში, როგორც სახელმწიფო მოხელე და გახდა იუსტინეს დინასტიის პანეგირის-

¹ Jones A. Constantine and the conversion of Europe. Medieval Academy of America, 1979.

² კასიოდორუსი - Flavius Magnus Aurelius Cassiodorus (დაახლ. 487-578), ცნობილი რომაელი მწერალი და სახელმწიფო მოღვაწე ოსტგოთების მეფის თეოდორის დიდის კარზე.

³ *Qua e cum primitus Byzantium vocaretur, auxit, et maximo eam muro circumdedit, et diversis ornatam fabricis aequam Imperiali Romae constituit; et denominatam Constantinopolim appellari secundam Romam lege firmavit, sicut lex ipsa in Marmorea platona noscitur esse conscripta, et in Stratrgio juxta equestrem statuam ejus est constituta* – *Opera omnia*, II Venice, 1729, p. 215 Hammer W. The concept of the new or second Rome in the Middle Ages – *Speculum*, Vol. 19, No. 1 (Jan., 1944), p.52.

ტი. თავის სახოტბო ნაწარმოებში, რომელიც მან მიუძღვნა იუსტინიანე დიდის ძმისწულს იუსტინე II, ახალ რომს დიდებით შემოსილს უწოდებს.

სააღდგომო ქრონიკაში, რომელიც 630 წელს დაიწერა, კონსტანტინოპოლი უბრალოდ რომად მოიხსენიება. სააღდგომო ქრონიკა ასევე შეიცავს დამატებას *continuatio Byzantia arabica* (741 წლის), ქრონიკა აღწერს იმპერატორ ჰერაკლეს მოქმედებებს, გადმოგვცემს მის დაბრუნებას აღმოსავლეთის ბრძოლიდან და გამარჯვებით შესვლას ახალ რომში: *Persarum dicione sublata regnoque destructo cum magna gloria novam Romam feciliter repedavit.*

კონსტანტინოპოლმა, როგორც ახალმა რომმა, განსაკუთრებული ფუნქციები და მნიშვნელობა შეიძინა იმპერატორ იუსტინიანეს მმართველობაში. ამ დროისათვის დასავლეთ რომს თითქმის ყველა პოლიტიკური ფუნქცია ჰქონდა დაკარგული, მას შემდეგ რაც 476 წელს დასავლეთ რომში უკანასკნელი იმპერატორი რომულუსი ჩამოაგდეს ტახტიდან, გერმანელმა მხედართმთავარმა ოდოაკრმა იმპერატორის გვირგვინი გააგზავნა კონსტანტინოპოლში - ახალ რომში.


იუსტინიანე დიდმა აღადგინა უკანასკნელად რომის იმპერია თითქმის ძველი რომის ფარგლებში. დასავლეთში ვესტგოთების, ჩრდილოეთ იტალიაში ოსტგოთებისა და აფრიკაში ვანდალების დამარცხებით, მან მთელი ეს ტერიტორიები პირდაპირ დაუმორჩილა ბიზანტიის იმპერატორის გვირგვინს. ✓

რომის განდიდების გამოვლინება იყო იმპერატორ იუსტინიანე I (526-565) დროს შექმნილი დოკუმენტი სამეფო და საეკლესიო ხელისუფლებათა ურთიერთმიმართების შესახებ, რომელიც ცნობილია დიარხიის პრიციპისა და საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის სიმფონიის სახელწოდებით. ეს დოკუმენტი ძალიან მნიშვნელოვანი გახდა ისტორიკოსებისათვის,

ბიზანტიური სახელმწიფო მოწყობისა და მისი აზროვნების შესასწავლად. ბიზანტინიზმის ყველაზე ნათელ გამოვლინებადაც სწორედ ეს დოკუმენტი მიაჩნიათ. თუმცა მისი განმარტებისას ძალიან ხშირია აზრთა სხვადასხვაობა, ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ დოკუმენტის თანახმად ჩამოყალიბებულ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას შეიძლება ეწოდოს ცეზაროპაპიზმი, ხოლო დანარჩენი მას განსხვავებულ განმარტებას აძლევს და, როგორც აღვნიშნეთ, სიმფონიას უწოდებს. იუსტინიანეს დროს გამოცემულ კანონთა კრებულის VI ნოველაში შემდეგნაირად არის განსაზღვრული საერო და სასულიერო ხელისუფალთა უფლებები: ღვთის უდიდესი საჩუქარი, რომელიც მიეცა ადამიანებს უდიდესი სიყვარულით – ეს არის სასულიერო და სამეფო ხელისუფლება (*Maxima quidem in hominibus sunt dona dei a superna collate clementia sacerdotum et imperium*); პირველი ემსახურება ღვთის საქმებს, მეორე ზრუნავს ადამიანურ საქმეებზე. ორივე მომდინარეობს ერთი და იგივე წყაროდან და ადამიანთა ცხოვრებას ამშვენებს, ამიტომ მეფეები, უპირველეს ყოვლისა, ზრუნავენ სასულირო პირების კეთილდღეობაზე, რომლებიც, თავის მხრივ, მუდმივად ლოცულობენ მათთვის. როდესაც სამღვდელოება არის უმწიკვლო, ხოლო მეფე მხოლოდ ლეგიტიმური ხელისუფლებით სარგებლობს, მათ შორის იქნება მშვენიერი თანხმობა, სიმფონია (*consonantia quadam bona [συμᾶσιναι τις □αγαθη]*)¹.

¹ Clauss M. Die *συμᾶσιναι* von Kirche und Staat zur Zeit Justinians-Klassisches Altertum, Spätantike und frühes Christentum hg. K. Dietz. Würzburg, 1993, S.579; Die Kirchen und Theologie Geschichte in Quellen, Mittelalter, Hrsg. von B. Lohse, V. Leppin, Neukirchener Verlag, 2001, S.17; История политических и правовых учений, Средние века и возрождение, Отв. ред. В.С. Персесянц, М. 1986, с. 92.

იუსტინიანე არის რომის იმპერიის უკანასკნელი გამაერთიანებელი, იმპერატორი, რომელმაც შესძლო დაებრუნებინა მისთვის ძველი საზღვრები. იმპერატორმა აღადგინა რომი არა მხოლოდ ძველ საზღვრებში, არამედ აღადგინა იმპერიაში ერთიანი მართლმადიდებელი ეკლესია. ვანდალებისა და ოსტგოთების სამეფოების დამორჩილებით, რომლებიც არიანული ეკლესიის მიმდევრები იყვნენ, იმპერატორმა ამ ტერიტორიებზეც აღადგინა ერთიანი მართლმადიდებლური ეკლესია. იუსტინიანემ აღადგინა რომი მთელ მედიტერანულ სივრცეში. თავისი აღმშენებლობითი მოღვაწეობით, მან განსაკუთრებული როლი შეასრულა რომისათვის ძველი დიდების დაბრუნებაში. ეს მშენებლობანი შეეხო არა მხოლოდ იმპერიის დედაქალაქს, ახალ რომს – კონსტანტინოპოლს, არამედ სხვა მნიშვნელოვან ცენტრებს იტალიასა და მცირე აზიაში. იუსტინიანე დიდის აღმშენებლობით მოღვაწეობას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა პროკოპი კესარიელმა – “მშენებლობათა შესახებ”. იუსტინიანემ არა მხოლოდ ტაძრები ააშენა, არამედ განაახლა და რესტავრაცია გაუკეთა ძველ ტაძრებს. კონსტანტინოპოლში იუსტინიანე დიდის მშენებლობათა გვირგვინი იყო აია სოფიის ტაძარი, რომლის მშენებლობაც დაიწყო 532 წელს და დასრულდა 537 წელს. ეს ტაძარი აკურთხეს 537 წლის 27 დეკემბერს. აია სოფიის ტაძარი გახდა მართლმადიდებლური რომის სიმბოლო და, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტაძარში მართლმადიდებლური წირვალოცვა არ ტარდება, ასეთაც რჩება დღესაც. იმპერატორმა ააშენა ასევე სან ვიტალის ტაძარი რავენაში, იქ, სადაც ადრე არიანელები იყვნენ დაფუძნებული. მცირე აზიაში ააშენა ბაზილიკა იოანე მოციქულის საფლავზე ეფესოში, ბეთლემში, აღადგინა და გააფართოვა მაცხოვრის დაბადების ადგილზე არსებული ტაძარი.



წმიდა სოფიის ტაძარი

კონსტანტინოპოლში დედაქალაქის გადმოტანა იყო რომის იმპერიის გაგრძელება კონსტანტინოპოლის ცენტრით, სადაც რომაულ უნივერსალიზმს დაემატა ქრისტიანობის საყოველთაობა.)თუ თავდაპირველად კონსტანტინოპოლის ცენტრით რომის იმპერიის გაგრძელება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც იმპერიის განახლება IV საუკუნეში, მოგვიანებით ბიზანტიის განვითარების თავისებურებანი უკვე მეტყველებს არა ლათინური რომის გაგრძელებაზე, არამედ იმაზე, რომ კონსტანტინოპოლის ცენტრით ჩამოყალიბებული სახელმწიფო სრულიად განსხვავებული იყო, მას ისეთივე საყოველთაო ამბიციები ქონდა, როგორც ანტიკურ რომს, რომლის პირდაპირ მემკვიდრედაც ის თავს აცხადებდა, ამდენად, ამ პროცესს, როგორც ეს უკვე მიღებულია თანამედროვე ისტორიოგრაფიაში, იმპერიის გადატანის სახელით აღნიშნავენ, რადგანაც უნდა ვაღიაროთ, რომ რომის საყოველთაობისა და უნივერსალიზმის იდეა, ქრისტიანული ერთიანობის იდეასთან შერწყმული, ყველა იმ თავისებურების გათვალისწინებით, რომელიც ბიზანტიას ქონდა, არის "რომი".

კონსტანტინოპოლში და, ზოგადად, ბიზანტიაში რომიდან გადმოტანილ იქნა არა მხოლოდ იმპერატორის კულტი და ერთადერთობის იდეა, არამედ ბიზანტია აგრძელებდა არსებობას რომიდან გადმოტანილი სამართლის საფუძველზე. იუსტინიანე დიდმა აღადგინა რომაული სამართალი და შექმნა სპეციალური კომისია მის გადასამუშავებლად. იუსტინიანეს კანონთა კრებული გამოქვეყნდა ლათინურ ენაზე. ბიზანტიის საჯარო სამართალი დამყარებული იყო რომის სამართალზე. როგორც გ. ოსტროგორსკი აღნიშნავს, რომის სახელმწიფოებრიობა, ბერძნული კულტურა და ქრისტიანული სარწმუნეობა არის ბიზანტიის განვითარების ძირითადი წყარო, თუ ამ სამ ელემენტს გამოვრიცხავთ, მაშინ ბიზანტიის არსებობა წარმოუდგენელია.¹ მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული აღმოსავლეთისათვის გაუგებარი დარჩა პრინციპატის კონცეპცია, რომელიც ჩაისახა რომანიზმში, ბიზანტიის იმპერია განუყოფლად იყო დაკავშირებული გვიან ანტიკურობასთან. მან აიღო წარსულიდან არა მხოლოდ რომაული ელემენტები, არამედ წმინდა ელინური და ასევე აღმოსავლური ტრადიციებიც, რომლებიც მისაღები იყო როგორც რომაული, ასევე ბიზანტიური სამყაროსათვის, თუმცა აღმოსავლური ელემენტები ბიზანტიამ რომის იმპერიიდან გადმოიტანა.²

✓ კონსტანტინოპოლი თავის თავზე იღებდა ძველი რომის მისიას, როდესაც ის გამოცხადდა ახალ რომად. რომის თეორია იყო მსოფლიო იმპერიის პოლიტიკური კონცეპციის ძირითადი ელემენტი, რომლის მიხედვითაც, ბიზანტია იყო ქრისტიანული იმპერია, რომლის დედაქალაქი – კონსტანტინოპოლი – ხდებოდა ქრისტიანობის დედაქალაქი. კონსტანტინოპოლის პატრიარ-

¹ Ostrogorsky G. Geschichte des Byzantinischen Staaten, C.H. Beck, München, 1962, S. 22.

² Hussey J.M. The Byzantine World, Hutchinson University Library, 1961, p. 85.

ქი იწოდებოდა მსოფლიო პატრიარქად და ქრისტიანთა მამად. ჩამოყალიბდა სახელმწიფოსა და იმპერატორის ხელისუფლების ერთიანი ქრისტიანული კონცეპცია, რომელსაც საფუძვლად ედო ავტოკრატიორის (თვითმპყრობელის) კულტი. იმპერატორი იყო ღვთის რჩეული. ღმერთი არის პანტოკრატორი, ყოვლისმპყრობელი, რომელიც ზეციურ და მიწიერ არსებებს აწესრიგებს, ხოლო ომპერატორი არის მიწიერი ხილული სამყაროს მეთაური. კონსტანტინოპოლი – რომი – არის რომის (რომეების, ასე უწოდებდნენ ბიზანტიელები თავიანთ იმპერიას) იმპერიის დედაქალაქი, და არა მხოლოდ რომეების, არამედ ყოველთა ქრისტიანთა.

კონსტანტინეს დროს დასრულდა რომის იმპერიის ის ევოლუცია, რომელიც დაიწყო მისი პირველი შეხებით ელინურ აღმოსავლეთთან. ეს იყო თანდათანობითი გადასვლა რომის პრინციპატისა თეოკრატიულ მონარქიაში, სადაც იმპერატორი ხდება დამაკავშირებელი ჯაჭვი ღმერთსა და სამყაროს შორის, ხოლო სახელმწიფო ზეციური კანონების მიწიერი განსახიერებაა. იმპერატორი იგივეა დედამიწაზე, რაც მზე ზეცაში. მონარქი განსხვავდება უბრალო მოკვდავთაგან, ის არის კურთხეული და, ამდენად, კურთხეულია ყველაფერი, რაც არის მის ირგვლივ¹.

¹ Шмеман А. Исторический путь православия, М., 2003, с. 92. ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის იდეა ჩამოყალიბებულია იუსტინიანეს (527-565) წერილში ტრიბონიანესადმი: ღმერთის ნებით ვმართავთ ჩვენ სახელმწიფოს, ნებით, რომელიც ჩვენ გამოგვცა ზეციური ყოვლისმპყრობელისაგან, ვუძღვებით ბრძოლებს ბედნიერად, ვამყარებთ ბრყინვალე მშვიდობას და სამართლიანად ვმართავთ ქვეყანას, ასე ძლიერ ავამაღლებთ ჩვენ ჩვენს სულს ყოვლისშემძლე უფლის შემწეობით. ჩვენი მიღწევები როგორც იარაღის, ასევე ჩვენი ჯარისკაცებისა და მხედართმთავრების თუ ჩვენი ნიჭის მეშვეობით, მაინც დამყარებულია მხოლოდ ყოვლადწმინდა სამებაზე, რომ-

რომიდან კონსტანტინოპოლში რეზიდენციის გადატანით იმპერატორის ხელისუფლება უკვე აღარ იყო დამოკიდებული ქალაქზე, რომელმაც შექმნა იმპერია. ამის გამო რომის მონარქიის იდეა გახდა უფრო უნივერსალური, რამდენადაც, დაკარგა რატერიტორიული ცენტრი, მან გააგრძელა არსებობა არა მხოლოდ როგორც ისტორიულმა სამართალმემკვიდრემ, არამედ ბუნებრივი სახით, როგორც სამყაროს ნაწილმა, რომელიც შეუძლებელი იყო შეცვლილიყო გარეგნული პირობებით. თვითონ კონსტანტინოპოლი გახდა ახალი ცენტრი სრულიად ახლებური იმპერიისა. ამ დროიდან რომის იმპერიის იდეას თვით რომის დაცემამაც ვერ მიაყენა ზიანი. ეს იდეა - იმპერიის საფუძველი და ცივილიზაციის ფორმა - შეითვისა, შეინახა და განამტკიცა ქრისტიანობამ. ეკლესია ითხოვდა ერთსახოვნებას რწმენაში და ორგანიზებაში, რაც ასევე რომის ხალხის ერთიანობას განამტკიცებდა. ცივილიზაციის - რომის - ქრისტიანობასთან კავშირმა ის უფრო ხელშესახები და წმინდა გახადა ამ ხალხებისათვის. ორი იდეა უფრო მეტ სიმტკიცეს აძლევდა იმპერიას. იულიუს ცეზარის დროიდან, როდესაც იმპერატორი გახდა მთავარი ქურუმი,

ლიც აწესრიგებს ყველაფერს მთელ სამყაროში, დედამიწის ყველა კუთხეში (Runciman S. Byzanz. Vor der Grundung bis zum Fall Konstantinolel, Darmstadt, 1976

S.214; ჯავახია ბ. ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ (დასავლეთ ევროპა, ბიზანტია, საქართველო), თბილისი, 2005, გვ.59. იოანე მალალა თავის ქონოგრაფიაში აღწერს იმპერატორის ლეო I-ის ტახტზე აყვანის ცერემონიალს და აღნიშნავს, რომ იმპერატორის ტახტზე აყვანა "ახალ რომში" ისევე ჩატარდა, როგორც ეს ანტიკურ რომში ტარდებოდა. მონტე კასინოს ბერის პავლე დიაკონის მითითებით, გვიან ანტიკურ ხანაში იმპერატორებს ირჩევდნენ "ახალ რომში", რომლებიც შემდეგ მიემგზავრებოდნენ "ოქროს რომში", რათა სენატს მიეცა მათთვის კურთხევა. ასეთი წესით აკურთხეს არა მხოლოდ იუსტინიანე I, როგორც ერთმმართველი (monocrator), არამედ მისი მემკვიდრეები იუსტინე II, მავრიკიუსი და ჰერაკლე.

მისი სახელი გახდა წმინდა. ეს ორი იდეა - მსოფლიო მონარქი-
სა და მსოფლიო რელიგიის - ანტიკურობამ უანდერძა შუა საუკ-
უნეებს.

ახალი რომი - კონსტანტინოპოლი ასრულებდა განსაკუთ-
რებულ ფუნქციას იმპერიაში. მიუხედავად იმისა, რომ ბიზან-
ტიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნოსის წარ-
მომადგენლები, იმპერიაში არსებობდა ენობრივი და კონფესიუ-
რი ერთობა ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში. ბიზანტია ყო-
ველთვის ინარჩუნებდა მტკიცე სახელმწიფოებრიობას და ცენ-
ტრალურ მმართველობას. ცენტრალიზებულმა სახელმწიფომ
და იმპერატორის ხელისუფლებამ განსაკუთრებული გავლენა
მოახდინა ბიზანტიის კულტურაზე. შუა საუკუნეების დაქსაქ-
სული ევროპისაგან განსხვავებით, ბიზანტიას ჰქონდა ერთიანი
პოლიტიკური დოქტრინა და იმპერატორის კულტი, რაც აისახა
საზოგადოების კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ბიზანტიის ისტორიულ განვითარებაში დომინირებს მისი
დედაქალაქი - ახალი რომი-კონსტანტინოპოლი, რომელიც აერ-
თიანებდა ბიზანტიურ კულტურას და, ამავე დროს, ინარჩუნებ-
და საქალაქო კულტურას, რაც გამოარჩევდა ბიზანტიის კულ-
ტურას ევროპის მედიევალური კულტურისაგან. მთელი თავისი
არსებობის მანძილზე, კონსტანტინოპოლი ასრულებდა გან-
მსაზღვრელ როლს იმპერიის ცხოვრებაში. კონსტანტინოპოლი,
როგორც ახალი რომი, თვითონ განასახიერებდა იმპერიას და
იმპერიის ხანგრძლივობაც განისაზღვრა კონსტანტინოპოლის
არსებობის ხანით 330 წლის 11 მაისიდან, ქალაქის საზეიმო გახ-
სნიდან, 1453 წლის 29 მასამდე - კონსტანტინოპოლის აღებამდე
თურქების მიერ.

თავი II

რომის იდეა შუა საუკუნეების დასავლეთში

Quandiu stat Colisaeus, stat et Roma,
Quando cadet Colisaeus, cadet et Roma,
Quando cadet Roma, cadet et mundus.

ადრექრისტიანულ სამყაროში ერთიანი რომის იდეის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არსებობდა, რის მაგალითსაც წარმოადგენს დანიელის წინაწარმეტყველებაზე წმინდა იერონიმეს მიერ გაკეთებული კომენტარი. დანიელის წინასწარმეტყველებაში იყო შემდეგი გადმოცემა ახალი სამეფოს შესახებ – “აჰა მეოთხე მხეცი, საშინელი, საზარელი და ძალზე ღონიერი; რკინის ვეება კბილები ქონდა. იგი ნთქავდა, მუსრავდა და ნარჩენებს ფეხით თელავდა (დან. 7,7), ან კიდევ: “მეოთხე მხეცის სამეფო იქნება ქვეყნად; გამორჩეული იქნება ყველა სამეფოსაგან და გადაჭამს მთელს ქვეყანას, დათრგუნავს და შემუსრავს მას”. წმ. იერონიმეს აზრით, დანიელის წინასწარმეტყველებაში მეოთხე სამეფო იყო რომის იმპერია და ეს იმპერია იარსებებდა მეორედ მოსვლამდე. წმ. იერონიმეს ამ მოსაზრებას ბევრი იზიარებდა ადრექრისტიანულ ტრადიციაში.

როგორც ფრანგული ანალების სკოლის წარმომადგენელი ჟ. ლე გოფი აღნიშნავს, გზამკვლევი ძაფი შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიაში დაფუძნებული იყო იმპერიის მონაცვლეობის იდეის შესახებ დანიელის წინასწარმეტყველების ოროზიანულ ინტერპრეტაციაზე: ხელისუფლების გადაცემა ბაბილონიდან მიდიელებსა და სპარსელებზე, შემდეგ მაკედონელებზე და ამათგან ბერძნებსა და რომაელებზე. ეს მონაცვლეობა

ხორციელდება ორმაგ დონეზე: ხელისუფლება და ცივილიზაცია. ხელისუფლების გადაცემა (*Translatio imperii*) ნიშნავდა ასევე, უპირველესად, ცოდნისა და კულტურის გადაცემას (*Translatio studii*).

შუა საუკუნეების მანძილზე ახალი რომის კონცეპცია ორი სხვადასხვა ბუნებისა იყო. უპირველესად, იგი იყო პოლიტიკური და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო მოღვაწეებისათვის. პატრიოტი ისტორიკოსების თვალი მიჰყრობილი იყო რომისკენ. რომის იმპერიის პოლიტიკურ მემკვიდრედ თავის წარმოჩენა ემსახურებოდა მმართველი საგვარეულოს ამოცანებს. რომისადმი და მისი იდეებისადმი ერთგულების ასახვა სხვადასხვა სახელმწიფო დოკუმენტებსა და საისტორიო მატრიანებში ხალხისთვის მომავალი ორიენტირების მიმანიშნებელი იყო და მიმართული გახლდათ უკეთესი მომავლის წარმოსახვად. მეორე მხრივ, ინტერესი რომის მიმართ გამოწვეული იყო ანტიკური მემკვიდრეობის შესწავლის სურვილით, რათა წარმოეჩინათ რომის წარსული და მისი კულტურული მემკვიდრეობა. ანტიკური რომის მნიშვნელობა შუა საუკუნეების საზოგადოებისათვის და მისი მრავალმხრივი გავლენა მეტად საინტერესოდ არის წარმოდგენილი დასავლეთის ისტორიოგრაფიაში¹.

როგორც უკვე ვთქვით, ქრისტიანობის შემოსვლის პირველ ეტაპზე, ინტერესი წარმართული რომის მიმართ ნაკლები იყო. გამოთქმა *Roma aeterna* შეთხზული იყო რომულუსისა და რემის ქალაქის მიმართ და, როგორც წარმართული ეპოქის გად-

¹ Schramm P. *Keiser, Rom und Renovatio*, Leipzig-Berlin, 1929; Graf A. *Roma nella memoria e nelle immaginazioni del medio evo* 2 vols Turin 1882, 1883; Gregorovius F. *Geschichte der Stadt Rom im Mittelalter*, 8 vol, Stuttgart-Berlin, 1886-1896; Schneider T. *Rom und Romgedanke im Mittelalter. Die geistigen Grundlagen der Renaissance*, Munich, 192.

მოცემა, მიუღებელი იყო პირველი ქრისტიანებისათვის. ასეთი გადმოცემებისთვის ახალ რელიგიურ აზროვნებაში ადგილი არ იყო, მაგრამ მოგვიანებით ისინი აღდგა ახალი ქრისტიანული ინტერპრეტაციით.

ადრე შუა საუკუნეების საეკლესიო წრეებში თანდათან იცვლება რომისადმი დამოკიდებულებისა. იცვლება თვითონ რომი, რომელიც წარმართული ქალაქიდან ქრისტიანული სარწმუნოების უმნიშვნელოვანესი ცენტრი გახდა. რომში შეიცვალა მართველობის ის სისტემაც, რომელიც მიუღებელი იყო ქრისტიანული საზოგადოებისათვის. ეს მოხდა ახლად ჩამოყალიბებული საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისად, მისი პოლიტიკური მიზნებისა და იდეების დამკვიდრებისათვის.

კარლოს დიდი და იმპერიის გადატანა დასავლეთში

ახენი - ახალი რომი

ჩვენს ისტორიოგრაფიაში კარგად არის ცნობილი კონსტანტინოპოლი, როგორც ახალი რომი და მისი კონცეპცია, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა დასავლეთ ევროპაში რომის მემკვიდრეობისათვის ბრძოლის პროცესი.

შუა საუკუნეების დამდეგს რომი აგრძელებს არსებობას ბიზანტიაში, როგორც ქრისტიანული იმპერია. მაგრამ როგორც ისტორიული პროცესები გვიჩვენებს, რომულუსის მიერ დაარსებულ ქალაქს არ შეუწყვეტია ბრძოლა პირველობისათვის და ეს ბრძოლა თავდაპირველად პაპებისა და ბიზანტიის იმპერა-

ტორების დაპირისპირებაში გამოიხატა. ძველ რომს, რომელმაც V საუკუნის 70-იანი წლებიდან დაკარგა პოლიტიკური ძალაუფლება, არ გააჩნდა უნარი, წინააღმდეგობა გაეწია კონსტანტინოპოლისათვის, რომელიც იყო ახალი რომი.

ბიზანტიას და მის დედაქალაქს დასავლეთში დაუპირისპირდა ახალი ვითარება, რომელიც შეიქმნა ფრანკთა გაერთიანების შედეგად. ეს იყო კარლოს დიდის (768-814) იმპერია.

დასავლეთში “ევროპის მამად” წოდებულმა კარლოს დიდმა ჩამოაყალიბა ახალი იმპერია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ევროპულმა ბარბაროსულმა ტომებმა. ფრანკთა პირველი სამეფო მეროვინგული დინასტიის მეთაურობით თავდაპირველად სცნობდა ბიზანტიას, როგორც ახალ რომს და მისი პირველი სახელოვანი მეფეები იღებდნენ კიდევ ბიზანტიის საიმპერატორო კარის ტიტულებს.

ახალი რომის ჩამოყალიბება ევროპაში გაფორმდა კარლოს დიდის მიერ 800 წლის 25 დეკემბერს რომში იმპერატორის გვირგვინის კურთხევით. ამ ფაქტით, რომაულ სივრცეში გაჩნდა ორი იმპერია: აღმოსავლეთში - ბიზანტია, ხოლო დასავლეთში - ახალი ფრანკთა იმპერია. კარლოს დიდს იმპერიის ცენტრად რომი არ გამოუცხადებია. თუმცა რომი, როგორც იმპერატორთა გვირგვინკურთხევის ქალაქი და თანაც პაპების რეზიდენცია, ჯერ კიდევ უკანასკნელი მეროვინგების მაიორდომის პიპინ მოკლეს დროიდან გახდა დამოკიდებული ფრანკებზე. ამ პერიოდიდან რომის პაპებიც წყვეტენ ურთიერთობას ბიზანტიის იმპერატორებთან და აღიარებენ ფრანკთა მეფეებს, როგორც იმპერატორს. ამ მოვლენამ გარკვეულად შეცვალა როგორც ევროპის პოლიტიკური რუკა, ასევე ხელი შეუწყო მის იდეოლოგიურ დაყოფას. დასავლეთის ისტორიოგრაფიაში კარლოსის მიერ რომში გვირგვინკურთხევის შედეგად ჩამოყალიბებულ პროცესს მიიჩნევენ იმპერიის გადატანად (Translatio imperii). როგორც IV სა-

უკუნეში მოხდა იმპერიის გადატანა აღმოსავლეთში, ბოსფორის სანაპიროზე, რომელიც უკვე VII საუკუნისათვის, ჰერაკლე კეისრის მმართველობის დროიდან ჩამოყალიბდა, როგორც ბერძნულენოვანი იმპერია, ასევე, დასავლეთის ისტორიკოსთა მოსაზრებით, VIII საუკუნეში მოხდა იმპერიის გადატანა დასავლეთში. ანალების სკოლის ცნობილი წარმომადგენელი ჟ. დიუბი იმპერიის გადმოტანას აღმოსავლეთიდან კოსმოლოგიურ ახსნას აძლევს – “ნამდვილად, გონებას იპყრობს შემდეგი იდეა, დაკავშირებული კოსმოლოგიასთან, სადაც მთავარი ღერძი არის იესო ქრისტეს ჯვარი, მასზე, რომ თანდათანობით ხდება გადატანა (translatio) – კულტურული და პოლიტიკური პოლუსის – აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, სახელმწიფო ძლიერება გადავიდა ბერძნებიდან რომაელებზე და შემდეგ ფრანკებზე. ამ იდეას ამაგრებდნენ მოგონება პაპსა და და ფრანკთა ბელადს შორის VIII საუკუნეში არსებულ კავშირზე, რომელსაც მოყვა 800 წელს იმპერიის აღდგენა, ასევე მოგონება უფრო ადრინდელ კავშირზე ხლოდვიგსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის”¹.

ეს მოვლენა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანდათანობით მზადდებოდა. საინტერესოა, თვალი გადავავლოთ კაროლინგური ეპოქის საისტორიო წყაროებს, რომლებიც იძლევიან ნათელ სურათს, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი იდეოლოგი-

¹ Дюби Ж. Средние века от Гуго Капета до Жанны Д' Арк, Перевод с французского Г.А. Абрамова, В.А. Павлова, М., 2000, с. 28. გერმანელი ქრონისტი ოტო ფრაიზინგენელი ხედავდა მსოფლიო ისტორიის დასასრულს გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიაში. უმაღლესი ხელისუფლება გადავიდა “რომაელებიდან ბერძნებთან (ბიზანტიელებთან), ბერძნებიდან ფრანკებთან, ფრანკებიდან ლანგობარდებზე და ლანგობარდებიდან გერმანელებთან. Otto Bischof von Freising: Chronik oder die Geschichte der zwei Staaten. Übersetzt von Adolf Schmidt, herausgegeben von Walther Lammers. Ausgewählte Quellen zur deutschen Geschichte des Mittelalters 16, Darmstadt 1960, S. 102.

ური თვალსაზრისით. არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ იმასაც, რომ ბიზანტიის იზოლაცია დასავლეთის სივრცისაგან ბუნებრივად მოხდა, დასავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესებისა და თვით ბიზანტიის ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებული მდგომარეობის გამო.

ფრანკთა სახლთუხუცესის კარლოს მარტელის მიერ არაბების წინააღმდეგ გამოჩენილმა სიმტკიცემ ხელი შეუწყო ფრანკთა იმპერიის ავტორიტეტის ზრდას ევროპის ბარბაროსულ სახელმწიფოთა შორის. პაპების მოკავშირეობა თვით ფრანკთა სახლთუხუცესებისთვის ძალიან მომგებიანი ჩანდა. იმ ფონზე, როდესაც ქვეყანას ლეგიტიმურ საფუძველზე სათავეში ედგნენ უკანასკნელი მეროვინგი მეფეები, მაგრამ რეალური ძალაუფლება სახლთუხუცესების ხელში იყო, კარლოს მარტელის მემკვიდრე სახლთუხუცესმა პიპინ მოკლემ სწორედ პაპს მიმართა, რათა მას გაერკვია ხელისუფლების ლეგიტიმურობის საკითხი ფრანკებში. პაპმა მეფესა და სახლთუხუცესს შორის დავა სახლთუხუცესის სასარგებლოდ გადაწყვიტა, რის შემდეგაც პაპმა, როგორც პეტრეს საფლავის დამცველმა, დიდი პატივი მოიპოვა ფრანკებში. მ. ბორგოლტე თავის წიგნში “ქრისტიანები, ებრაელები, მუსლიმები” იმეორებს დასავლურ მედიევისტიკაში გამოთქმულ მოსაზრებას: “არ არსებობს სხვა ფაქტი, უფრო მნიშვნელოვანი პაპების ისტორიაში, ვიდრე ის, რაც მათ VIII საუკუნის შუა ხანებში გააკეთეს.”¹

კარლოს დიდის დამოკიდებულება პაპებთან იმ პოლიტიკის გაგრძელება იყო, რომელიც მისმა წინაპრებმა დაიწყეს. კარლოსის თავდაპირველი ამოცანა იყო ფრანკთა ტერიტორიების გაერთიანება. იმ დაპირისპირებათა ფონზე, რომელიც არსებობ-

¹ Borgolte M. Christen, Juden, Muselmanen. Die Erben der Antike und der Aufstieg des Abendlandes 300-1400 n. Chr., Siedler Verlag, München, 2006, s. 340.

და კარლოსის ოჯახში, ძალიან მნიშვნელოვანი იყო პაპის მხარდაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ კარლოსის ისტორიკოსებს სურთ წარმოადგინონ, თითქოს კარლოსს მოულოდნელად დაადგა თავზე იმპერატორის გვირგვინი¹ პაპმა ლეო III, ბიზანტიური და სხვა უცხო წყაროები განსხვავებულ ცნობებს იძლევიან. თუმცა, თვით კაროლინგური ეპოქის წყაროებიდანაც ნათელია, რომ კაროლინგურ საზოგადოებში რომის მემკვიდრეობის საკითხი უფრე ადრე მზადდებოდა, ვიდრე 800 წელს კარლოსს რომში იმპერატორის გვირგვინს დაადგამდნენ.

კარლოსის კარის ანგლოსაქსი მეცნიერი ალკუინი 799 წლის ივნისში, კარლოსის მიმართ გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: აქამდე სამი პიროვნება არის სამყაროს მწვერვალი. უპირველესია პეტრე, მოციქულთა თავი, რომელსაც გადაეცა ძალაუფლება რომში, მეორე - ვინც ატარებდა იმპერატორის ტიტულს და მიიღო საერო ხელისუფლება მეორე რომში. მესამე არის მეფის ღირსება, რომელიც შენ გადმოგცა ღმერთმა, როგორც ქრისტიანი ხალხის მეთაურს. მალე ამ წერილის შემდეგ, კარლოსის კარის ანონიმი პოეტი ხოტბას ასხამს კარლოსს და მას უწოდებს "მსოფლიოს თავს და ევროპის მწვერვალს, ახალი აუგუსტუსს, რომელიც მმართველობს ახალ რომში", რომელიც არის აახენში².

იგივე წყაროების მონაცემებით კარლოსს დიდხანს ჰქონდა მოლაპარაკება რომის პაპთან ლეო III-სთან. პაპი ლეო III, რომელიც დევნილი იყო რომიდან, 799 წლის 25 აპრილს შეხვდა კარ-

¹ Quo tempore imperatoris et augusti nomen accepit. Quod primo in tantum aversatus est, ut adfirmaret se eo die, quamvis praecipua festivitas esset, ecclesiam non intraturum, si pontificis consilium praescire potuisset. – Einhardi, Vita Karoli Magni, Capitulum XXVIII, hrsg. von O. Holder-Egger - MGH SS, 25, Hannover, 1965

² Riche P. The Carolingians, A Family Who Forged Europe, Translated by M. I. Allen, 1993, s. 187.

ლას დიდს ჰადერბორნში. ეს შეხვედრა აღწერილი აქვს უცნობ პოეტს, სადაც იგი კარლოსს რომის განმაახლებელს უწოდებს. ამ ეპოსში არის დისკუსია იმპერიის აღდგენის შესახებ.

774 წელს ფრანკფურტის სინოდზე გაკეთდა კლერიკალების მოწოდება, ალკუინის დაქინებული მოთხოვნით, რომლის თანახმადაც, ბიზანტიაში კონსტანტინე VI-ის ტახტიდან გადაყენების შემდეგ, რომის იმპერატორის გვირგვინზე ფრანკებს უნდა გამოეცხადებინათ პრეტენზია.

ლორშის ანალებში არის გადმოცემა ფრანკი დიდებულების სპეციალური შეკრების შესახებ, რომელმაც დაადგინა, რომ ფრანკთა მეფე კარლოსს იმპერატორის ტიტული უნდა ეტარებინა. ამავე ტექსტში დასახელებულია მოტივები, რატომაც მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება. პირველი იყო ის, რომ ბერძნებთან ვაკანტური იყო იმპერატორის ტახტი, რადგანაც მათ ჰყავდათ ქალი იმპერატორი ირინე. ხოლო მეორე არგუმენტი იყო რომი, რომელიც, როგორც ყოველთვის, მაშინაც უნდა გამხდარიყო იმპერატორის რეზიდენცია. ასევე იყო სხვა რეზიდენციები დასავლეთში: იტალიაში, გალიაში და გერმანიაში (კერძოდ, რავენა, მილანო, ტრირი, არლი, რომელთაც ღვთის ნებით ფლობდა კარლოსი).

800 წელს რომში კარლოსის გვირგვინკურთხევის დროს შესრულებული ცერემონიალი¹ მიმსგავსებული იყო პაპების კურთხევისა და ბიზანტიის იმპერატორების გვირგვინკურთხევის ცერემონიალებთან. ასეთი ცერემონიალი ბიზანტიაში უკვე ჩამოყალიბებული იყო. ბიზანტიაში იმპერატორის არჩევაში, ეკ-

¹ კარლოს დიდმა აქამდე, როგორც ფრანკთა მეფემ ოთხჯერ იცხო ზეთი, როგორც ამას ირონიულად წერს თეოფანე, მისი მეფედ კურთხევა შედგა -754 წელს მამამისთან ერთად სან დენიში; 768 მამის გარდაცვალების შემდეგ, 768 წელს, იკურთხა დამოუკიდებელ მეფედ, 771 წელს თავისი ძმის მიწებზე.

ლესიის გარდა, მონაწილეობას იღებდა ხალხი, რაც გამოიხატებოდა იმპერატორის გამოსვლით ხალხის წინაშე იპოდრომზე. რომის პაპმა ეს წესი რომში გადმოიტანა. კარლოსის იმპერატორად კურთხევის შემდეგ, როდესაც ის წმ. პეტრეს ტაძრიდან გამოვიდა, მას დახვდნენ რომის მოქალაქეები შემახილებით -გაუმარჯოს იმპერატორს!



წმიდა პეტრე აკურთხებს პაპს და კარლოს დიდს, მოზაიკა ლატერანის სასახლიდან

მიუხედავად იმისა, რომ კარლოსმა რომში იკურთხა გვირგვინი და რომის პაპებს თავიანთი დოქტრინისა და “კონსტანტინეს ნაბომვარის” საფუძველზე მიაჩნდათ, რომ პაპის ტახტის იყო საერო ხელისუფლების წყარო, კარლოსს მაინც ბიზანტიიდან, ახალი რომიდან სურდა იმპერატორის ხელისუფლების მიღება. ამ მიზნით, მან მოლაპარაკება დაიწყო დედოფალ ირინესთან. ისტორიკოსების ნაწილი იმასაც წერს, რომ მას სურდა დედოფალზე დაქორწინება, რაც, წარმოუდგენელი იყო: ირინე საკ-

მაოდ უფროსიც იყო მასზე და ბიზანტიის საიმპერატორო კარიც არ დაუშვებდა დედოფლის გათხოვებას¹, თანაც ბარბაროსზე, როგორც მაშინ ბერძნები უწოდებდნენ ფრანკებს.



კარლოსის გვირგვინკურთხევა რომში. მინიატურა

კარლოსს ძალიან გაუჭირდა თანხმობის მიღება იმპერატორის ტიტულის ტარებაზე. ირინეს ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ არჩეულმა იმპერატორმა ნიკიფორე I-მაც კატეგორიული უარი უთხრა. როგორც ამბობენ, მხოლოდ 812 წლისთვის მიიღო მან თანხმობა ბიზანტიიდან. წყაროებიდან ჩანს, რომ კარლოსი, უმეტესად, ფრანკთა და ლანგობარდთა მეფედ მოიხსენიებოდა. რ. შნაიდერი აღნიშნავს, რომ კარლოსმა პირველად 801 წლის მარტოში გამოიყენა იმპერატორის ტიტული – *Carolus serenissimus Augustus a Deo coronatus magnus pacificus imperator Romanorum*

¹ კარლოს დიდისა და ბიზანტიის საიმპერატორო დინასტიებს შორის ქორწინების საკითხი ადრეც იდგა. კარლოსის ქალიშვილი როტრუდი უნდა დაქორწინებულ იყო ირინესა და ლეო IV ვაჟზე კონსტანტინეზე, მაგრამ ეს ქორწინება ჩაიშალა.

gubernans imperium, qui et per misericordium Dei rex Francorum et Langobardorum¹.

კარლოს დიდი რომის პაპისაგან, იმპერატორის გვირგვინის გარდა, იღებს პეტრეს საფლავის გასაღებს, რაც თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ამ სიმბოლოთი მას გარკვეული უფლებები ენიჭებოდა სასულიერო ხელისუფლებაზე. ფრიად საინტერესოა ისიც, რომ კარლოსი ასევე განსაკუთრებულ უფლებებს იღებს იერუსალიმზე. კონსტანტინე დიდის შემდეგ, როგორც იუსტინიანე დიდი, ასევე ჰერაკლე კეისარი და სხვა ბერძენი იმპერატორები, ყოველთვის ხაზს უსვამდნენ, რომის იმპერატორის გვირგვინთან ერთად, იერუსალიმსა და მაცხოვრის საფლავზე მათ განსაკუთრებულ უფლებებს. კარლოს დიდიც აწარმოებს განსაკუთრებულ პოლიტიკას იერუსალიმთან დაკავშირებით ბალდადის ხალიფასთან ჰარუნ-არ რაშიდთან, რათა მოიპოვოს გავლენა იერუსალიმზე. ბალდადის ხალიფამ კარლოსს სპილო გაუგზავნა საჩუქრად.

ლორმის ანალებში ასევე ასახულია რომში კარლოსის შეხვედრა იერუსალიმის პატრიარქის ემისართან, რომელმაც გადასცა მეფეს წმინდა ქალაქის გასაღები². 806 წელს მისი კარის ნოტარიუსი კარლოსს მოიხსენიებს: კარლოსი, იმპერატორი და ცეზარი, ჭეშმარიტად მეფე ფრანკთა, რომის იმპერიის მმართველი, ღვთისმოშიში და კურთხეული, მძლეველი და გამარჯვებული, როგორც მუდმივი აუგუსტუსი³.

¹ Schneider R. Das Frankenreich, München, 1990, S. 34.

² Riche P. The Carolingians, A Family Who Forged Europe, Translated by M. I. Allen, 1993, p. 111-113.

³ Riche P. The Carolingians, A Family Who Forged Europe, Translated by M. I. Allen, 1993, p. 123. Die Geschichte des Christentums, Mittelalter, I, 642-1054, Freiburg, basel, Wien, 2007, S. 708.

კარლოსის მიერ იერუსალიმთან ურთიერთობის დამყარება ძალიან მნიშვნელოვანი იყო მაშინდელი საზოგადოებისათვის, რადგან ეს ქალაქი არაბების ხელში იყო. კარლოსი არის ერთ-ერთი პირველი ევროპელი მმართველი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა დასავლეთიდან პილიგრიმულ მოძრაობას იერუსალიმში; სწორედ მისი მმართველობის დროს შეიქმნა პირველი სახლები ქრისტიანი პილიგრიმებისათვის იერუსალიმში. ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი მითიური გადმოცემაც შეითხზა¹. კარლოსი ასევე, მსგავსად აღმოსავლეთ რომის იმპერატორებისა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თავის რეზი-

¹ X საუკუნის ქრონიკაში არის გადმოცემა კარლოს დიდის მოგზაურობის შესახებ იერუსალიმში. ეს იყო ფოლკლორის ასახვა მატეანეში. აი, რას მოგვითხრობს ეს პოემა. ერთხელ სენდენში კარლოს დიდმა დაიდგა გვირგვინა და მახვილი შემოირტყა წელზე და ჰკითხა დედოფალს, თუ იცის მან, ვის უფრო ეკუთვნოდა გვირგვინი, ან ეკუთვნოდა თუ არა იგი ფრანკთა იმპერატორს. დედოფალმა უპასუხა "დიახ" და იქვე მიხვდა თავისი შეცდომას. კარლოსი მას აიძულა აღიაროს, რომ ის გულისხმობდა ბერძენთა და კონსტანტინოპოლის მეფეს გუგონს. კარლოსი მოსთხოვს დედოფალს, ან დაუსაბუთოს თავისი მოსაზრების სიმართლე, ან ის სიცოცხლეს გამოესალმება. ამის შემდეგ კარლოსი მიემგზავრება კონსტანტინოპოლში. გზად გადაწყვეტს ჩავიდეს იერუსალიმში, საიდანაც ის გაემგზავრება ბერძენებთან. კონსტანტინოპოლში მას დიდი პატივით მიიღებს იმპერატორი გუგონი და თვითონ კარლოსიც მოიხიბლება ქალაქით. ამ ნაწარმოებში არის ასევე შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი საგმირო საქმეთა თხრობა. ნაწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა კონსტანტინოპოლის მეფის გუგონის მიერ კარლოსის ვასალად თავის გამოცხადება. კარლოსი, ფრიად კმაყოფილი ასეთი შედეგით, საზეიმო ცერემონიალის დროს სთავაზობს ბერძენთა მეფეს, ორივემ დაიდგან თავზე გვირგვინი. კარლოსი დადგება ბერძენთა მეფის გვერდით. შემდეგ ეპოსში აღწერილია, რომ კარლოს უფრო მაღალი და უფრო მოხდენილია ბერძენთა იმპერატორთან შედარებით. უკან დაბრუნებული კარლოსი, კმაყოფილი თავისი წარმატებებით, მიუტევებს თავის მეუღლეს.

დენციას. რადგან ფრანკებს არ ჰქონდათ სამეფოს ცენტრის განსაკუთრებული ტრადიცია, კარლოსი იწყებს ასეთი ქალაქის მშენებლობას. ეს იყო ქალქი აახენი, კაროლინგური დინასტიის სამეფო ცენტრი. ისევე, როგორც კონსტანტინოპოლს, ფრანკების ახალ ცენტრს მისი თანამედროვენი ახალ ან სხვა რომად მოიხსენიებენ.

აახენში კარლოს დიდმა მშენებლობები დაიწყო. როგორც აღვნიშნეთ, იგი ცდილობდა, აქ მეორე რომი აეშენებინა. ქალაქის არქიტექტორი იყო ოდო მეტციდან. აახენის ვაპელა კარლოსმა ააშენებინა რომის ლატერანის ბაპტისტერიის მიბაძვით. ერთერთი ნაგებობა, რომლის შესახებაც, სამწუხაროდ, დღეს ძალიან ცოტა ვიცით, ლატერანად იწოდებოდა¹. ასევე ძალიან ბევრი რამ გადაიღო მან კონსტანტინოპოლის არქიტექტურიდან.


კარლოსი არასოდეს ყოფილა კონსტანტინოპოლში, მან მხოლოდ თავისი ელჩებისაგან იცოდა, რომ კონსტანტინოპოლის ტაძარი ხრისოტრიკლინიუმში, იმპერატორის სამლოცველო, აგებული იყო რავენის სან-ვიტალის ტაძრის მიბაძვით. კარლოსმა თავისი არქიტექტორი ოდო გააგზავნა რავენაში ამ ტაძრის შესასწავლად². როგორც ჩანს, კარლოსს სურდა, აეშენებინა აახენი იგივე ამბიციით, როგორც ქონდათ იმპერიის დედაქალაქებს. კარლოსის ისტორიკოსი აინჰარდი წერს, რომ კარლოსმა ჩამოიტანა მარმარილოს და სვეტები რავენადან და რომიდან: *Ad cuius structuram cum columnas et marmora aliunde habere non posset, Roma atque Ravenna devehenda curavit.* 26³. კარლოსის

¹ Barbero A. Charlemagne, 2004, p. 87-88.

² Moore R. The First European Revolution, 970-1215, 2000, p.123

³ Einhard. Vita Karoli Magni, hrsg. von O. Holder-Egger., - MGH SS, 25, Hannover, 1965. Capitulus XXVI, Bryan W.-P., From Classical antiquity to Middle Ages. Urban Public Building in Northern and Central Italy AD 300-850, Oxford Historical Monographs, 1984, p. 173.

სწრაფვა, რომ აახენი გაეხადა ქრისტიანული დასავლეთის ცენტრად, ჩანს ალკუინის გამოთქმაში, როდესაც ის კაპელას ადარებს სოლომონის ტაძარს და აახენს - ახალ იერუსალიმს: "იერუსალიმი ჩვენს მხარეში".¹



აახენის ტაძარი

საინტერესოა კარლოსის კარის პოეტის ნასო მუადვინუსის მიერ VIII საუკუნის ბოლოს და IX საუკუნის დამდეგს აახენისადმი მიძღვილი სახოტბო ლექსები, რომლებიც აშკარად გამოხატავენ ფრანკთა სამეფოს ახალ მისწრაფებებს. აღნიშნავს რა ქალაქის მნიშვნელობას, პოეტი ხოტბას ასხამს ახალი რომის ფრანკ მმართველს. ამ ლექსში გამოკვეთილია ძველი რომის აღდგენის კონცეპცია.

კაროლინგური პოლიტიკა და განათლება, კარლოსის პოლიტიკა ქრისტიანობის გავრცელებისა და გამტკიცებისათვის ბრძოლაში აშკარას ხდის, რომ ეს იდეა უნდა განხორციელებულიყო კაროლინგების დროს. ანგილბერტ ჰომერუსი გამოთ-

¹ *Annales regni Francorum inde ab a. 754 usque ad 829, qui dicuntur Annales Laurissenses maiores et Einhardi*, hrsg, von F. Kurze – MGH SS 6, Hannover, 1950.

ქვამს მსგავს აზრს თავის სიმღერაში კარლოს დიდის შესახებ. როდესაც ვირგილიუსის მსგავსად ამბობს:

.....Roma secunda
Flore novo, ingenti, magna consurgit ad alta
Mole, thoilis muro praecelsis sidera tangens.
Stat pius arce procul Carolus loca singula signans,
Altaque disponens venturae moenia Romae.
Hic iubet esse forum, sanctum quoque iure sentum,
Ius populi et leges ubi saceraque iussa capessant¹.


ეპითეტი Roma nova და Roma secunda გამოიყენებოდა აახ-
ენის მიმართ კარლოსის მემკვიდრეების დროსაც, სანამ არსე-
ზობდა ერთიანი ფრანკთა სამეფო. რამდენიმე საუკუნით გვიან
ოტო I (936-973), რომელიც 962 წლიდან იყო გერმანელი ერის
საღვთო რომის იმპერატორი, კარლოსის ქალაქს უკვე მხოლოდ
სასახლედ მოიხსენიებს – “hoc palatium Aquisgrani precipium cis
Alpes regiam sedem”.²

¹ ციტირებულია Hammer W. The Concept of the New or Second Rome in the Middle Ages- Speculum, Vol.19, No. 1, Jan., 1944, Medieval Academy of America, <http://www.jstor.org/stable/2856854>, p. 59.

² Hammer W. The Concept of the New or Second Rome in the Middle Ages- Speculum, Vol.19, No. 1, Jan., 1944, Medieval Academy of America, <http://www.jstor.org/stable/2856854>, p. 61.

გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერია

დასავლეთ ევროპაში რომის იმპერია კაროლინგების ფრანკთა იმპერიის დაშლის შემდეგ (843) ისევ აღდგა X საუკუნეში. ამჯერად ეს იდეა განახორციელეს გერმანელებმა ოტო I-ის მეთაურობით. ეს იმპერია ატარებდა რომის საღვთო იმპერიის სახელწოდებას (Sacrum Romanum Imperium). გერმანელები მას ასევე უწოდებდნენ Heiliges Römisches Reich, ხოლო კარლ IV მეფობის პერიოდში, 1442 წლიდან, მას დაემატა რამდენიმე სიტყვა და მისი სრული სახელწოდება გახდა *გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერია* - Sacrum Romanum Imperium Nationis Germanicae.



რომის საღვთო იმპერიის სამეფო კვერთხი და გვირგვინი

962 წლის 2 თებერვალს, კვირა დღეს, მირქმის დღესასწაულზე, რომში პეტრეს ტაძარში, გერმანიის მეფემ ოტო I-მა (936-973) საზეიმოდ იკურთხა იმპერატორის გვირგვინი. რომში გვირგვინკურთხევის ცერემონიალი ნიშნავდა რომის იმპერიის

აღდგენას, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა საღვთო რომის იმპერია.



ოტო I

ოტო I-ის გვირგვინკურთხევა რომში და მისი პრეტენზიები, აღედგინა რომის იმპერია გერმანელი ხალხის ხელმძღვანელობით დიდ წინააღმდეგობებს შეხვდა როგორც რომის სასულიერო ხელისუფლების, პაპის იოანე XII-ს, ასევე იტალიის მეფის ადალბერტის მხრიდან. ოტოს სამჯერ მოუწია ლაშქრობა იტალიაში, რათა წესრიგი დაემყარებინა.

განსაკუთრებული იყო რომში გერმანელთა ხელისუფლების დამყარების მიმართ ბიზანტიის იმპერატორთა პოლიტიკა. ბიზანტიის იმპერატორი ნიკიფორე ფოკა (963-969) არ სცნობდა ოტოს ხელისუფლებას რომში. ბიზანტიელთათვის, რომლებიც თვითონ წარმოადგენდნენ რომის იმპერიას, კატეგორიულად მიუღებელი იყო ის ტიტული, რომელიც მიიღო გერმანიის მეფემ რომში. ნიკიფორე ფოკას დამხობის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორსა და ოტო I-ს შორის დამოკიდებულება შეიცვალა. ბიზანტიის ახალმა იმპერატორმა იოანე ციმისხოსმა მიიღო გერმა-

ნელთა წინადადება დინასტიური კავშირის შესახებ. ოტო I ჯერ კიდევ ნიკიფორე ფოკას დროიდან ცდილობდა, ქორწინებით დაეკავშირებინა გერმანიის სამეფო ოჯახი ბიზანტიის საიმპერატორო კართან. თავდაპირველად ბიზანტიის კარზე გაგზავნილმა ელჩობამ, ცნობილი ისტორიკოსის ლიუტფრანდ კრემონელის მეთაურობით, უშედეგოდ ჩაიარა. ნიკიფორე ფოკამ უარით გამოისტუმრა ელჩი. პოლიტიკური ქორწინება ბიზანტიის საიმპერატორო და გერმანიის სამეფო ოჯახებს შორის მაინც შედგა. 962 წლის აპრილში ოტო I-ის ვაჟმა ოტო II-მ იქორწინა იოანე ციმისხოსის ძმისწულზე თეოფანოზე. მალევე ოტო II-მ რომში დაიდგა იმპერატორის გვირგვინი. როგორც გერმანელი ისტორიკოსები აღნიშნავენ, ოტო II-სა და თეოფანოს ქორწინებით, ბიზანტიის იმპერატორებმა სცნეს მეორე რომის იმპერიის არსებობა დასავლეთში.

დედოფალმა თეოფანომ განსაკუთრებული წვლილი შეიტანა გერმანული სახელმწიფოს განვითარებაში. როგორც თავისი მცირეწლოვანი შვილის რეგენტი, ის გარკვეული პერიოდის მანძილზე მართავდა ქვეყანას. მაგრამ განსაკუთრებული როლი მან მაინც გერმანული კულტურის აღორძინებაში და ე. წ. ოტონების რენესანსში შეასრულა. თეოფანოს სახელს უკავშირებენ ასევე ბიზანტიიდან ლეგიტიმურობის მიღებას გერმანელი იმპერატორებისათვის. ბიზანტიის სამეფო ოჯახის წევრის გათხოვებას გერმანიის მეფეზე მიიჩნევენ თანხმობად გერმანელებისათვის იმპერატორის ღირსების გადაცემაზე. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ამ ეპოქაში განხორციელდა ბიზანტიიდან იმპერიის გადმოტანა გერმანიაში. ის, რაც კარლოს დიდმა ვერ მოახერხა - დინასტიური კავშირით მიეღო თანხმობა ბიზანტიელებისაგან, მოხდა ოტონების ხანაში. განხორციელდა *translatio imperii* - გარდა საიმპერატორო ხელისუფლებისა, ასევე კულტურისა და განათლების გადატანა.

ოტონების ოჯახიდან ყველაზე მეტად მაინც ოტო III იყო ის პიროვნება, რომელმაც რეალურად განახორციელა რომის იმპერიის იდეა. მის დროს ხდება იმპერიის აღდგენა (*renovatio imperii*).

ჯერ კიდევ არასრულწლოვანი, სამი წლის ოტო III აახენში აკურთხეს მეფედ. როდესაც სრულწლოვან ასაკს მიაღწია, ოტომ გადაწყვიტა რომში გამგზავრება, რათა იმპერატორის გვირგვინი მიეღო. რომში ამ პერიოდში დაძაბული მდგომარეობა იყო. ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ პრობიზანტიური და პროგერმანული ძალები. როდესაც ოტო III ჩავიდა რომში, პაპის ტახტი დაქვრივებული დახვდა. მისი ძალიხმევით, პაპის ტახტზე დასვეს მისი ბიძაშვილი ბრუნნი, რომელმაც მიიღო გრიგოლ V-ის სახელი. გრიგოლ V-ემ აკურთხა ოტო III რომის იმპერატორად და ავგუსტუსად (*Romanorum imperator augustum*), ეს იყო ბიზანტიის იმპერატორთა ტიტულის ანალოგია. ოტო III-ის ბრძანებით, დაამზადეს ტყვიის მედალიონი, რომლის ერთ მხარეზე გამოსახული იყო კარლოს დიდი, ხოლო მეორეზე ფარი წარწერით – რომის იმპერიის აღდგენა (*Renovatio imperii Romanorum*). მოგვიანებით ასევე დაამზადებინა ბეჭედი, რომელზედაც თვითონ ოტო III იყო გამოსახული, წარწერით: ოქროს რომი (*Aurea Roma*)¹.

¹ Колесницкий Н. Ф. «Священная Римская империя»: притязания и действительность»: Наука; М.; 1977, с. 76.



მაცხოვარი აკურთხებს ოტო III –ს და დედოფალ თეოფე-
ანოს; სპილოს ძვალი.

გერმანელთა პოლიტიკამ ძველი რომის იმპერატორების მემკვიდრეობის საკითხში რომში, პაპის გარემოცვასა და წარჩინებულთა წრეშიც გამოიწვია უკმაყოფილება. ისინი ოტონების იმპერიას ტევტონთა იმპერიას უწოდებდნენ, რადგანაც ნამდვილ რომად ბიზანტია მიაჩნდათ. პაპი, თავის მხრივ, ისევ “კონსტანტინეს ნაბომვარს” მიმართავდა, რომელიც, მისი აზრით, მხოლოდ მას აძლევდა აბსოლუტურ უფლებებს რომზე. 1001 წლის იანვარში, ახალი ათასწლეულის დამდეგს, ასეთი მოსაზრების საწინააღმდეგოდ ოტო III-ემ გამოსცა სპეციალური დიპლომი, სადაც განსაზღვრული იყო, რომ რომში და რომის ოლქში მთელი ხელისუფლება იმპერატორს ეკუთვნოდა.¹

თავისი წინაპრებისაგან განსხვავებით, ოტო III რომის იმპერატორის მხოლოდ ნომინალურ ტიტულს არ დასჯერდა. მან რომი თავის მუდმივ რეზიდენციად აირჩია. მისი ბრძანებით

¹ Die Geschichte des Christentums, Mittelalter, I, Freiburg, Basel, Wien, 2007, S. 830.

რომში, ავეტინის ბორცვზე აშენდა იმპერატორის სასახლე, რომლის ფასადზე იყო წარწერა: წმინდა სასახლე (Sacrum palacium). სასახლე შიგნით მოწყობილი იყო ბიზანტიის იმპერატორთა სასახლის მსგავსად. ასევე გადმოტანილ იქნა ბიზანტიური კარის საიმპერატორო ცერემონიალები და ტიტულები.

დედამისის, თეოფანოს მეოხებით, ოტო III ბიზანტიური კულტურის დიდი პატივისმცემელი იყო. როგორც ჩანს, ის ყოველმხრივ ბაძვდა ბიზანტიის იმპერატორებს, სურვილი ქონდა გამხდარიყო “ახალი კონსტანტინე”. ამ მოტივით ხსნიან ისტორიკოსები იმას, რომ როდესაც მან პაპად აირჩია გერბერტი¹, სიმბოლურად სილვესტრ II უწოდა: კონსტანტინეს დროს რომში ეპისკოპოსად იყო სილვესტრ I, რომლის სახელსაც უკავშირებდნენ “კონსტანტინეს ნაბომვარს”.

ოტო III რომის იმპერატორის რანგში მოითხოვდა მისი ხელისუფლების აღიარებას როგორც დასავლეთ ევროპაში, ასევე აღმოსავლეთში. ამისთვის ის მოხერხებულად იყენებდა პაპს და კათოლიკურ ეკლესიას. ოტო III თვითონ ჩავიდა პოლონეთში და დაესწრო წმინდა ადალბერტის დაკრძალვას. წმ ადალბერტი, რომელიც აღიარებულია პოლონეთის მფარველად, ძალიან მნიშვნელოვანი პიროვნება იყო პოლონეთის ისტორიისათვის. გენუზნოში ყოფნის დროს ოტო III-ემ ხელი შეუწყო გენუზნოს სარქიეპისკოპოსოს დაარსებას. ამ გადაწყვეტილებით ოტო III-ემ

¹ გერბერტ დე აურილაკი Gerbert de Aurillac, ფრანგი სასულიერო პირი, სწავლობდა მუსლიმურ ესპანეთში, თავისი დროის გამოჩენილი სწავლული. ნ. კანტორის აზრით, ის იყო ახალგაზრდა ოტოს III-ის მასწავლებელი და რომის იმპერიის აღდგენის იდეის სულისჩამდგმელი; Cantor N. F. Civilization of the Middle Ages. A Completely Revised and Expanded Edition of Medieval History. the Life and Death of a Civilization, New York, 1993, p. 215

შეძლო თავისი გავლენის გაძლიერება პოლონეთზე, რომლის მეფეს ბოლესლავ მამაცს პატრიციის წოდება უბოძა.

ოტო III, მართალია, ძველი რომის იმპერატორების მემკვიდრეობისათვის იბრძოდა, მაგრამ, ამავე დროს, მისთვის მნიშვნელოვანი იყო ყველა სიმბოლური აღიარების მიღება, რომელიც აუცილებელი იყო შუა საუკუნეების საზოგადოებისათვის. ის იყო რომის იმპერატორების ტახტის მემკვიდრე, ამავე დროს, ბიზანტიის იმპერატორთა შთამომავალი. დედამისი თეოფანო იყო ბიზანტიის საიმპერატორო ოჯახიდან. მიუხედავად ამისა. ოტოს მიაჩნდა, რომ მას, როგორც გერმანიის სამეფო ოჯახის წარმომადგენელს, ჭირდებოდა უფრო ფართო აღიარება მთელი დასავლური სივრცისაგან, რომლის სიმბოლოსაც წარმოადგენდა კარლოს დიდი. პოლონეთის შემდეგ, ოტო III ჩავიდა აახენში, რათა მუხლი მოეყარა კარლოს დიდის საფლავზე, რომელსაც ის მიიჩნევდა თავის წინაპრად. აახენში ყოფნის დროს, მან გაათხრევირა კარლოსის საფლავი და ამოიღო მისი საფლავიდან ოქროს ჯვარი, რომელიც ყელზე ჰქონდა ჩამოკიდებული ცხედარს¹. ეს ოქროს ჯვარი, როგორც მისი თანამედროვე ისტორიკოსები წერდნენ, გახდა სიმბოლო ასევე დიდი მონარქის მემკვიდრეობის დასამოწმებლად.

სიმბოლური იყო ახალგაზრდა იმპერატორის ანდერძიც. თავისი ანდერძის თანახმად, იგი დაკრძალეს ევროპული იმპერიის ფუძემდებლის კარლოს დიდის გვერდით, აახენში.


¹ *Karoli cesaris ossa ubi requiescerent, cum dubitaret, rupto clam pavimento, ubi ea esse putavit, fodere, quousque haec in solio inventa sunt regio, iussit. Crucem auream, quae in collo eius pependit, cum vestimentorum parte adhuc imputribilium sumens caetera cum veneratione magna reposuit. Thitmarus Mersenburgensis episcopi Chronico Herausgegeben von Robert Holtzmann. Berlin 1935, liber IV capitulum 47; Thietmar von Merseburg. Chronik. Ausgewählte Quellen zur Deutschen Geschichte des Mittelalters, Bd. 9. 8. Auflage. Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt, 2002.*

რომში დაიდგა გვიგვინი გერმანიის შემდეგმა მეფემ ჰაინრიხ II-მაც. ის 1014 წელს პაპმა ბენედიქტე VIII აკურთხა იმპერატორად. ამ კურთხევის დროს პაპმა მას გადასცა ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ოქროს ბურთი, რომელიც შემდეგში გახდა გერმანელთა იმპერიის ერთ-ერთი სიმბოლო. ამავე კურთხევის დროს, პირველად რომის ეკლესიაში, ხმამაღლა იგალობეს მრწამსი ფილიოკვეს¹ დამატებით.

იმპერიის გადატანასთან ერთად, დადგა სარწმუნოებრივი საკითხიც. იმპერატორის გვიგვინის გადატანამ აღმოსავლეთ რომის იმპერიიდან – ბიზანტიიდან - დასავლეთში, რომელიც დაიწყო კარლოს დიდის დროიდან, საფუძველი ჩაუყარა ახალ ვითარებას ევროპაში. ამ დროიდან დაიწყო რომის ერთიანი

¹ ფილიოკვე Filioque - ლათინური სიტყვა - ძისგანაც, რომელიც კათოლიკეებმა დაამატეს ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსს, რაც ნიშნავს სულიწმინდის გადმოსვლას როგორც მამისგან, ასევე ძისაგან. ეს დამატება პირველად ტოლედოში მიიღეს VI საუკუნეში, მაგრამ შემდეგში, მხოლოდ IX საუკუნეში გახდა აქტუალური. ჩვენი აზრით, ეს იყო პოლიტიკური მიზნების გამოხატულება, რომელიც გააჩნათ დასავლეთში ახლად ჩამოყალიბებული იმპერიის მესვეურებს. მრწამსში დამატების მიღებით, ისინი ცდილობდნენ, ახალ სივრცეში ქრისტიანობისთვის განსაკუთრებული სახე მიეცათ. სხვათა შორის, ამ დამატებამ მოგვიანებით ქრისტიანული ეკლესია დიდ განხეთქილებამდე მიიყვანა, რომელიც 1054 წელს გაფორმდა. XI საუკუნიდან ჩამოყალიბდა ორი სივრცე ევროპის კონტინენტზე: ორთოდოქსული და კათოლიკური – Pax Orthodoxa და Pax Romana. კათოლიციზმი და რომის პაპის მეთაურობით არსებული სივრცე დასავლეთის ისტორიკოსთა შრომებში იდენტიფიცირდება ევროპასთან. ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც არიან ა. პირენი, რ. ბარტლეტი, ჟ. ლე გოფი ევროპის წარმოქმნას სწორედ დასავლეთის კათოლიკურ სამყაროს უკავშირებენ. Pirenne H. Mohamed and Charlemagne, American Council of Learner Societies, 2001; Bartlett R. The Making of Europe. Conquest, Colonisation and Cultural Change 950- 1350, London, 1993; Le Goff J. The Birth of Europe, 2005.

სივრცის გაყოფა. კარლოს დიდმა იმპერატორის გვირგვინის მიღებასთან ერთად ხელი შეუწყო რომის პაპისა და ბიზანტიის იმპერატორთა დაშორებას. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულ საეკლესიო კრებაზე აახენში 813 წელს, ცვლილება შეიტანეს მართლმადიდებლურ მრწამსში და გამოაცხადეს ფილიოკვეს შესახებ. თუმცა რომში დაბრუნებულმა პაპმა მაშინ ვერ გაბედა მისი ოფიციალური აღიარება.



რომის საღვთო იმპერიის გერბი

პაპსა და გერმანიის მეფეებს შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლამ რომის იმპერიაში განსაკუთრებული სიმძაფრე შეიძინა XI-XII საუკუნეებში, რომელიც ისტორიაში ცნობილია ინვესტიტურისათვის ბრძოლის სახელწოდებით.

ამ დაპირისპირებათა ფონზე ჩამოყალიბდა თეორია რომის იმპერიის შესახებ. როგორც მიიჩნევენ, ამ ახალ თეორიას საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა გერმანელმა მემატრიანემ ოტო ფრაიზინგენელმა. მან პირველად გამოიყენა გერმანული იმპერიის მართლმადიდებლური ცნება "საღვთო იმპერია"¹.

¹ Ottonis episcopi Frisingensis Chronica sive de duabus civitatibus, hrsg. Von A. Hofmeister, MGH, SS, 45, Hannover, 1912; Otto Bischof von Freising:



ოტო ფრაიზინგენელი. მინიატურა

შუა საუკუნეებში მემატიანეთა განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილია სამეფო საგვარეულოებისადმი. ეს, თავისთავად, მეტად საყურადღებო საკითხია და იდენტურია მთელ ქრისტიანულ სამყაროში. მეფეთა საგვარეულოს საკრალიზაცია ძალიან მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების აზროვნებისათვის. სამეფო საგვარეულოები თავიანთ განსაკუთრებულობას, გარდა საგვარეულოთა წარმომავლობის შესახებ შექმნილი გადმოცემებისა, ხსნიდნენ ასევე ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებული წარსულით. შუა საუკუნეების აგიოგრაფიული ტექსტები წმინდა მეფეების შესახებ წარმოადგენენ მეტად მნიშვნელოვან ლიტერატურას შუა საუკუნეების ადამიანების მეფის ინსტიტუტისადმი თავყვანისცემის განმტკიცებისა და მის ირგვლივ გაერთანებისათვის. ისტორიაში წმინდა მეფისა და სამეფო წმინდანის მითი უზრუნველყოფდა მთელი მმართველი დინასტიის ხელშეუხებლობას, ხოლო ღვთივკურთხეული სამეფო

Chronik oder die Geschichte der zwei Staaten. Übersetzt von Adolf Schmidt, herausgegeben von Walther Lammers. Ausgewählte Quellen zur deutschen Geschichte des Mittelalters 16, Darmstadt 1960.

დინასტია კი ამ სამეფოს ხალხთა გაერთიანების მნიშვნელოვანი საფუძველი იყო.

წმინდა მეფეთა ცხოვრება აღმოსავლეთ ევროპულ სამყაროში ცნობილია ჩეხი მეფის ვაცლავის, ან რუსული სამეფო დინასტიის წარმომადგენლის ბორისისა და გლების სახით. ჩეხ და რუს წმინდანებს ბევრი ანალოგი ჰქონდათ დასავლეთში, განსაკუთრებით ბრიტანეთსა და სკანდინავიაში, კანონიზირებული სუვერენების სახით, წმინდა ოსვალდის, ეგელბერტის, კნუტის, მაგნუსის და ყველა მათ მსგავსად, ვინც ძალადობრივი სიკვდილით აღესრულნენ და საკუთარი ხალხის მიერ წმინდანებად იყვნენ აღიარებული. X საუკუნის ბოლოდან დინასტიური მარტვილობა იყო სწრაფი და სათანადო საშუალება მფარველის შემენისა – რომელიც იყო უკვე ნაციონალური ფიგურა და მოკვდა წმინდანის მსგავსად. სუვერენის საკრალურობის შუასაუკუნეობრივმა გაგებამ უზრუნველყო სიკვდილის შემდეგ მისი წმინდანად გადაქცევა. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ლიტერატურის მკვლევართა, ასევე ისტორიკოსთათვის აგიოგრაფიული ტექსტების კომპარატივისტული შესწავლა იძლევა მსგავსი დასკვნის საშუალებას. ქრისტიანი წამებული, რომელმაც თავი უხილავ სახელმწიფოს შესწირა და მოკვდა მისი სულიერი მბრძანებლისათვის *pro fide*, მე-20 საუკუნემდე სამოქალაქო თვით-მსხვერპლშეწირვის განუმეორებელ მოდელად დარჩა.

შემთხვევითი არაა, რომ ყველა ქრისტიანულ სამეფო საგვარეულოს ჰყავს წმინდა მეფე, რომელმაც მორჩილებით დადო თავი სარწმუნეობისათვის. სამეფო საგვარეულოთა საკრალიზაციის საუკეთესო ნიმუშია ბიზანტიის წმინდა იმპერატორების კონსტანტინეს და ნიკიფორე ფოკას შესახებ დაწერილი ჰაგიოგრაფიული ტექსტები. ასეთივედ უნდა მივიჩნიოთ ქართველი წმიდა მეფეების არჩილისა და აშოტის ცხოვრება. საერთოდაც, უნდა აღინიშნოს მეფის ინსტიტუტის მნიშვნელობა ნაციონალ-

ურ სახელმწიფოთა ჩამოყალიბებაში, რადგან მეფის ინსტიტუტი განსაკუთრებული იყო ნაციონალური იდენტობისათვის. საისტორიო მწერლობა და თეოლოგიური ნაწერები მეფეს და მის ადგილს საზოგადოებაში წარმოადგენენ ბიბლიისა და წმინდა წერილების შესაბამისად. მეფე შუა საუკუნეების საზოგადოებაში არის არა მარტო ღვთის რჩეული და ღვთისგან კურთხეული, არამედ ღვთის მსგავსი. როგორც ცნობილი ინგლისელი ბერი თომას ბეკეტი წერს, მეფე არის ღმერთის სახე და ღმერთი დედა-მიწაზე (Rex imige Dei)¹.

გერმანული სამეფო ხელისუფლების განსაკუთრებულობის თემა აქტუალური გახდა პაპებსა და იმპერატორებს შორის დაპირისპირებაში. ამ დროს გაჩნდა გერმანიის იმპერატორის ახალი ეპითეტი “წმინდა”. ასეთი წოდება პირველად გვხვდება გერმანიის იმპერატორის ფრიდრიხ I ბარბაროსას მიერ 1157 წელს თავისი ძმისწულისადმი, ცნობილი მემატრიანისა და ფრაიზინგის ეპისკოპოსის ოტოსადმი გაგზავნილ წერილში. იმპერატორი თავისი ხელისუფლების შესახებ წერს: ჩვენ ღვთის წყალობით ვფლობთ რომსა და მთელ სამყაროს და უნდა ვიზრუნოთ წმინდა იმპერიისა და ღვთაებრივი სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის”: *Quia divina providente clementia Urbis et orbis gubernacula tenemus, iuxta diversos eventus rerum et successiones temporum sacro imperio et divae rei publicae consulere debemus.*²

“საღვთო იმპერიის“ იმპერატორის დოქტრინა მიმართული იყო პაპების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ თავს იმპერატორზე მაღლა აყენებდნენ და მიაჩნდათ, რომ, “კონსტანტინეს ნაბოძვარის” საფუძველზე, იმპერატორის ხელისუფლება მათზე იყო დამოკიდებული. იმპერატორი, თავის მხრივ, ამტკიცებდა,

¹ Ле Гофф Ж. Людвиг IX святой, М., 2001, с. 300.

² Oto Gesta Frederici liber II, capitulum L- Quellen zur deutschen Geschichte des Mittelalters, Bd. XVI. Berlin, 1960, S. 292.

რომ თვით იმპერიაა წმინდა და პაპები მხოლოდ ფორმალურ როლს ასრულებენ გვირგვინურთხევის ცერემონიაზე. იმპერატორი ემორჩილება მხოლოდ ღმერთს და დედამიწაზე არავინ დგას მასზე მაღლა. ოტო ფრაიზინგენელი ფრიდრიხ პირველის ცხოვრების აღწერისას საუბრობს გერმანელთა რომის იმპერიის ხელისუფლების წარმომავლობაზე და მის უპირატესობაზე პაპის სასულიერო ხელისუფლებასთან შედარებით. ამ ნაწარმოებში ფრიდრიხი მიუთითებს რომ მათ იმპერია გადმოიტანეს აღმოსავლეთიდან და მისმა წინაპრებმა კარლოს დიდმა და ოტომ ბრძოლით და ღვთის ნებით მოიპოვეს რომის იმპერატორის ტიტული.¹



ფრიდრიხ I ბარბაროსა

¹ Clarum est, qualiter primo nobilitatis tuae robur ab hac nostra urbe translatum sit ad Orientis urbem regiam, et per quot annorum curricula ubera deliciarum tuarum Greculus esuriens suxerit. Revolvamus modernorum imperatorum gesta, si non divi nostri principes Karolus et Otto nullius beneficio traditam, sed virtute expugnatam Grecis seu Longobardis Urbem cum Italia eripuerint Francorumque apposuerint terminis. - Oto Gesta Frederici liber II, capitulum xxx- Quellen zur deutschen Geschichte des Mittelalters, Bd. XVI. Berlin, 1960, s. 292.

კარლოსისადმი განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად, 1166 წელს ფრიდრიხმა მიაღწია კარლოსის კანონიზაციას და აახენი წმინდა ქალაქად გამოაცხადა.

გერმანელი იმპერატორების მხრიდან რომის იმპერატორის გვირგვინზე პრეტენზიის გამოცხადების პრაქტიკა, მართალია, არა ისეთი მასშტაბით, როგორც ეს ოტონების დროსაა, მაგრამ მათი პრეტენზიის ხაზგასმის სახით, დასავლური წყაროების მიხედვით, ახალ დრომდე გრძელდება¹.

ოტო I-ის მიერ იმპერიის შექმნა მის თანამედროვეებში აღიქმებოდა როგორც ხორცშესხმა იმპერიის იდეისა, რომელიც ჯერ კიდევ აგრძელებდა არსებობას რომის იმპერიის დანგრევის შემდეგ. ამავე დროს, ოტონთა იმპერია კაროლინგების ეპოქის გაგრძელება იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარლოს დიდის გვირგვინკურთხევა რომში, 800 წელს, ისტორიული მასშტაბის მოვლენა იყო, რადგან სწორედ ეს გახლდათ პირველი განაცხადი დასავლეთის ბარბაროსების მხრიდან რომის იმპერიის მემკვიდრეობასა და მის აღდგენაზე. კარლოს დიდი თავს თვლიდა ავგუსტუსის, ასევე კონსტანტინე დიდისა და იუსტინიანეს მემკვიდრედ, თუმცა, თავის მხრივ, ბიზანტიის მმართველები “ბარბაროსების” ამ პრეტენზიას არ ცნობდნენ. ასე გაჩნდა უკვე ნახსენები ორი იმპერიის პრობლემა².

¹ 1033 წელს გერმანიის იმპერატორმა კონრად II რომი გამოაცხადა მსოფლიოს დედაქალაქად, რომელიც მბრძანებლობდა მთელს სამყაროზე (*Roma caput mundi tenet orbis frena rotundo*). Belson R. L., Constable G., Lanham C.D., *Renaissance and Renewal in the Twelfth Century*, Harvard University Press, 1982, p. 371.

² Ohnsorge W. *Das Zweikeiserproblem im fruehen Mittelalter, Die Bedeutung des Byzantinischen Reiches fuer die Entwicklung der Staatsidee in Europa* Hildesheim, 1947, S. 34

ვ. ონზორგე თავის ნაშრომში “ორი იმპერატორის პრობლემა ადრე შუა საუკუნეებში”¹ მეტად საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობს ორი იმპერიის არსებობის შესახებ დასავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით - თუ როგორ ყალიბდებოდა დასავლეთში ახალი მნიშვნელოვანი მოსაზრებები ბიზანტიის, როგორც აღმოსავლეთ რომის უნივერსალური იმპერიის შესახებ, რომის იმპერია გერმანელი ხალხის და მისი იმპერატორების თაოსნობით.

ჯერ ფრანკთა და მოგვიანებით გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერია, როგორც უნივერსალური გაერთიანება, ანტიკური რომის მემკვიდრეობის პრეტენზიით იქმნებოდა, იმ სოციალური ცვლილებების ფონზე, რომელიც წარმოიშვა დასავლეთში ხალხთა დიდი გადასახლების პროცესის დასრულებისა და გერმანელი ხალხების თვითგამორკვევის პროცესში. დასავლეთის ევროპული სივრცის ჩამოყალიბებას და მის დაშორებას აღმოსავლეთ რომიდან ხელი შეუწყო ასევე არაბთა შემოსევებმა ევროპის კონტინენტზე. როგორც ა. პირენი წერს თავის ნაშრომში “მუჰამედი და შარლემანი”², აღმოსავლეთიდან ბარბაროსების შემოსევამ, ხოლო სამხრეთიდან არაბთა ლაშქრობებმა ხელი შეუწყო კონტინენტური ევროპის ჩამოყალიბებას.

ბიზანტიის იზოლაციონისტურმა პოლიტიკამ დასავლეთის ხალხებისათვის, გერმანელებისათვის აქტუალური გახადა გაერთიანების აუცილებლობა. ამას ემატებოდა თვით ბიზანტი-

¹ Ohnsorge W. Das Zweikeiserproblem im fruehen Mittelalter, Die Bedeutung des Byzantinischen Reiches fuer die Entwicklung der Staatsidee in Europa” Hildesheim, 1947

² Pirenne H. Mohamed and Charlemagne, American Council of Learner Societies, 2001; Daniel C. Dennet J. Pirenne and Muhamed - Speculum, Vol.23, No. 2 ,Medieval Academy of America, Apr.,1948 <http://www.jsror.org/stable/2852951>

ის იმპერიის გართულებული საგარეო მდგომარეობა და ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემები – სხვადასხვა მწვალებლობების შეღწევა საიმპერატორო ხელისუფლებაში (მონოთელისტობა, ხატმებრძოლობა). ყოველივე ამან ხელი გაუხსნა რომის პაპებს, გათავისუფლებულიყვნენ ბიზანტიის იმპერატორების დამოკიდებულებისაგან. ასეთივე პროცესი მიმდინარეობდა სხვადასხვა გერმანულ ხალხებში. ოსტგოთები, ვესტგოთები, ლანგობარდები, ფრანკები თანდათან სცილდებოდნენ ბიზანტიურ სივრცეს. სწორედ ეს არის ის ფონი, რომელზეც შეიქმნა ახალი ვითარება დასავლეთში მეორე რომის იმპერიის ჩამოყალიბებისათვის.

რომის საღვთო იმპერია, მნიშვნელოვანწილად, ტრადიციის გაგრძელება იყო. იყო მცდელობა, აღედგინათ ძველი დიდება. მისი, როგორც სახელმწიფოს წარმოდგენა, ამ სიტყვის ზოგადად აღიარებული გაგების შესაბამისად, შეუძლებელია. ეს იყო რაღაც წარმონაქმნი შექმნილი იდეის საფუძველზე. თავისი შინაგანი ბუნებით რომის საღვთო იმპერია წარმოადგენდა სინთეზს რომაელი და გერმანელი ელემენტებისა, რომელთაც ახალი ცივილიზაცია დაბადეს.

გერმანიის იმპერიამ 1806 წლამდე იარსება.

დასავლეთში, როგორც ცნობილია, კარლოს დიდის იმპერიის დაშლის შემდეგ თანდათანობით ვითარდებოდა ნაციონალური იდეები და აღმოცენებას იწყებდნენ ნაციონალური სახელწიფოები. რასაკვირველია, ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის ვერნაკულარულ ენებს და სამეფო საგვარეულოებს, რომლებიც თანდათანობით მკვიდრდებიან და სახელმწიფოებრივი ფუნქციის აღებას ცდილობენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეპოქაში ლათინური ენა ასრულებს გამაერთიანებელ ფუნქციას, იმავე დროს ჩნდება ლიტერატურა ნაციონალურ ენებზეც.

შუა საუკუნეებისათვის ქრისტიანული იდეოლოგიის საფუძველზე, განმსაზღვრელი ადგილი უჭირავს სარწმუნოებრივი ერთიანობის იდეას. ეს ერთიანობა ქმნიდა ერთგვაროვან ცივილიზაციას, რომელსაც ქონდა თავისი ცენტრი და ეს იყო სიმბოლური რომი - "ახალი" თუ "სხვა რომის" სახით.

რასაკვირველია, XII საუკუნიდან, როდესაც განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ცვლილებები ევროპის საზოგადოებში, რაც გამოიხატება ნაციონალური იდეების წინ წამოწევით, რომის ერთიანობის იდეაც ახლებური სახით წარმოგვიდგება.

XII საუკუნის პოლიტიკური აზროვნება ყურადღებას მიაპყრობს პოლიტიკური ინსტიტუტების ლეგიტიმურობას და ხელისუფლების ავტორიტეტს. მიუხედავად იმისა, რომ ლეგიტიმურობას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა შუა საუკუნეების პოლიტიკურ თეორიაში, მაღალ შუა საუკუნეებში ეს საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობის ხდება; ასეთი ინტენსიური ყურადღება 430 წლიდან, ავგუსტინეს გარდაცვალებიდან ამ დრომდე არსად ჩანს.

მეთორმეტე საუკუნე სრულიად ახლებურად სვამს დასახელებულ საკითხს. ამ მიმართულებით სრულიად ახალი აზროვნებაა წარმოდგენილი XI საუკუნის მეორე ნახევრისა და XII საუკუნის მოაზროვნეთა შრომებში. უპირველესად, ახალი პოლიტიკური ფორმები, ასევე ახალი პირობები და ახალი დინასტიები მნიშვნელოვანს ხდიან პრობლემას. ამის ორი დრამატული მაგალითი იყო ნორმანები - უილიამ დამპყრობელი ინგლისში 1066 წელს და როჯერ II (1101-1154) სიცილიასა და სამხრეთ იტალიაში. XII საუკუნის მეორე მეოთხედის განმავლობაში სიცილიისა და პორტუგალიის მმართველებმა პრეტენზია განაცხადეს მეფის ტიტულზე. ჩრდილოეთ იტალიაში რამდენიმე ქალაქი გაძლიერდა და შექმნა ვირტუალური ავტონომია. ლათინთა სამეფო იერუსალიმში და სხვა ჯვაროსნული სამთავრო-

ები ჯერ კიდევ არსებობდნენ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე¹.

მიუხედავად ასეთი ცვლილებებისა პოლიტიკურ რუკაზე, როგორც ჰ. ფურმანი წერს, არც ერთ ევროპულ სახელმწიფოს ამ პერიოდში არ უცდია, კონკურენცია გაეწია გერმანელებისათვის რომის იმპერატორის გვიგინის და მემკვიდრეობის საკითხში. “ინგლისის თუ საფრანგეთის არც ერთი მეფე ამ საუკუნეში არც ერთხელ ყოფილა რომში, არც როგორც პილიგრიმი, როგორც ეს მომხდარა ადრე შუა საუკუნეებში, როდესაც ანგლოსაქსი მეფეები პილიგრიმად იყვნენ რომში... კნუდ დიდი (1018-1035), დანიურ-ინგლისური სახელმწიფოს მეფე, იმყოფებოდა რომში 1027 წელს, წმინდა პეტრეს ტაძარში, როგორც სტუმარი, მიწვეული გერმანიის მეფის კონრად II-ის მიერ გირგვინკურთხევის ცერემონიალზე².

ჰორსტ ფურმანი აქვე საუბრობს გერმანელი იმპერატორების ტიტულის და მათი უფლებების შესახებ. არსად ისეთი მძაფრი არ ყოფილა დაპირისპირება საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის, როგორც ეს გამოვლინდა გერმანიის იმპერატორისა და რომის პაპის დაპირისპირებაში ინვესტიტურისათვის ბრძოლის დროს. ჰ. ფურმანს მიაჩნია, რომ ეს იმპერია ფორმალური იყო, რომლის არსებობის აუცილებლობასაც შუა საუკუნეების აზროვნება განაპირობებდა.

მართალია, დასავლეთის სხვა სახელმწიფოები, რომლებიც XII საუკუნისათვის უკვე ჩამოყალიბებულ ფეოდალურ სამეფოებს წარმოადგენდნენ, არ იბრძოდნენ რომის იმპერატორის

¹ Benson R., *Political Renovatio, Two Models from Roman Antiquity*. - Belson R. L., Constable G., Lanham C.D., *Renaissance and Renewal in the Twelfth Century*, Harvard University Press, 1982, p. 339.

² Fuhrmann H. *Ueberall ist Mittelalter, Von der Gegenwart einer vergangenen Zeit*, Verlag C. H. Beck, München, 2002, s. 72.

გვიგინისათვის¹, მაგრამ ერთიანი ქრისტიანული სივრცის აღქმა და ერთიან კათოლიკურ სივრცეში ჰეგემონობისათვის ბრძოლა არ ყოფილა მათთვის უცხო.

შუა საუკუნეების პროვიდენციალური საისტორიო მწერლობა საინტერესო ცნობებს იძლევა დასავლეთის სამეფოების საყოველთაობის პრეტენზიათა შესახებ. ფრანგული ე. წ. ნაციონალური ქრონოგრაფია, შექმნილი სენ დენის მონასტერში, აშკარად ავლენს პრეტენზიებს, წარმოადგინოს მათი მეფეები მთელი ქრისტიანული სამყაროს სათავეში. ეს ვლინდება მათ ეპითეტებში მეფეების მიმართ, რომელთაც ამ მატრიანეებში მოიხსენებენ “ახალი დავითად” და “ახალ სოლომონად”², ანუ ბიბლიური მეფეების მემკვიდრეობის გამგრძელებლებად.

შეუძლებლად მიგვაჩნია გვერდი ავუაროთ კაპეტინგების პრეტენზიებს მაღალი შუა საუკუნეების ევროპაში, რადგანაც დასავლური ფეოდალური აზროვნება ვერ იქნება გასაგები ისეთი ავტორების გარეშე, როგორებიც იყვნენ აბატი სუჟე და ვინცენტ დე ბოვე.

საფრანგეთის ისტორიიდან მხოლოდ ერთ ფრაგმენტს დავასახელებთ, რაც ადასტურებს ფრანგული შუა საუკუნეების ამბიციებს - წარმოადგინონ მათი ქვეყნის დედაქალაქი პარიზი,

¹ კრეტიენ დე ტრუა სარაინდო ეპოსში “კლიჟეს” (1176) სრულიად ნათლად გამოხატავს თავისი ქვეყნის პრეტენზიას რომის მემკვიდრეობაზე: “ჩვენ ვიცით ძველი წიგნებიდან, რომ ჩვენ ვართ ბერძნები, რომლებმაც განათლება, კულტურა და სამართალი მისცეს რომს, საიდანაც ის გავრცელდა მთელ საფრანგეთში, დანაკარგის გარეშე. და ჩვენ შევინახავთ მას სამუდამოდ” (*de Troyes Chretien. Cliges, Translated by L. J. Gardiner, 2008, p. 14. Ле Гофф Ж. Цивилизация средневекового Запада, Екатеринбург, 2005, с. 210-211.*

² შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში დავით წინასწარმეტყველი არის ერთ-ერთი მთავარი ნიმუში მომდევნო მეფეების სახის გამოსაჩინებლად. თავდაპირველად “ახალი დავითი” უწოდეს იმპერატორ მარკიანეს ქალკედონის კრებაზე (451).

როგორც შუა საუკუნეების ევროპის ცენტრი, როგორც ახალი რომი, ანუ ცენტრი, რომელიც წარმოადგენს ქრისტიანული სამყაროს გულს.

ახალი რომის კონცეპცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასახავს გარკვეულ პოლიტიკურ ცვლილებებს და შეიცავს პოლიტიკურ მოთხოვნებს, მაგრამ, ამავე დროს, ახალ რომში ასევე ხდება კულტურის წინ წამოწევა, ანუ, როგორც ვთქვით, *translatio studii*. კაპეტინგების პარიზი, რომელიც, ერთი მხრივ, უფრო ნაციონალური ცენტრი იყო, ვიდრე საერთო ქრისტიანული ცენტრი, მეორე მხრივ, ყველაზე მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე ქალაქი შუა საუკუნეებში, წარმოადგენდა კულტურულ ცენტრს და უფრო დიდი პრეტენზია ქონდა, ყოფილიყო “ახალი იერუსალიმი”, ანუ ახალი სასულიერო ცენტრი. პარიზის, როგორც ფილოსოფიის მექის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება კაპეტინგებს. პარიზის უნივერსიტეტისადმი და მეცნიერებისადმი განსაკუთრებული ზრუნვით კაპეტინგების ხანიდან პარიზი ევროპის კულტურული ცენტრი ხდება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ინგლისის მეფე იმ მიწებისათვის, რომელთაც ის საფრანგეთში ფლობდა, თავს საფრანგეთის მეფის ვასალად აცხადებდა, უფრო გასაგები ხდება კაპეტინგების განსაკუთრებული მოთხოვნები. პარიზი წმინდა მეფის ლუის თაოსნობით გახდა როგორც თეოლოგიური ცენტრი, ასევე განათლების უმნიშვნელოვანესი კერა. ამიტომ უწოდებს მას პიერ აბელიარი “ახალ ათენს” თავის წიგნში “ჩემი უბედურებათა ისტორია”¹.

1239 წელს ლუი IX-მ ბიზანტიის ლათინი იმპერატორ ბალდუინისგან შეიძინა მაცხოვრის ეკლის გვირგვინი და ძელი

¹ Fumagalli Beonio Brocchieri M. *Der Intellektuelle – Der Mensch des Mittelalters*, Hrsg. J. Le Goff, Magnus Verlag, Essen, 2005, s. 206, 208.

ცხოველის ნაწილი, რაშიც უზარმაზარი თანხა გადაიხადა¹. მაცხოვრის ეკლის გვირგვინის მოსათავსებლად ლუი IX-მ სასახლის ეზოში ააშენებინა სპეციალური კაპელა - ლე შაპელიე. როგორც ჟ. დიუბი წერს, ლე შაპელიე გახდა მონარქიის სიძლიერის უმნიშვნელოვანესი სიმბოლო.

ასე რომ, XIII საუკუნის საფრანგეთის საისტორიო წყაროები საინტერესო ცნობებს იძლევიან საფრანგეთის მონარქიის განსაკუთრებული სწრაფვის შესახებ. საფრანგეთის სამეფო კარი, რომელმაც პარიზი კათოლიკური ევროპის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად აქცია, ამ სწრაფვას *კულტურის გადმოტანას*, ანუ *translatio studii*-ს უწოდებდა.

“სხვა რომი” რომი შუა საუკუნეების დასავლეთში

ტრადიციულად, ახალი რომის იდეა განხორციელებულად შეიძლება ჩაითვალოს კონსტანტინოპოლში, მაგრამ ინტერესმოკლებული არ იქნებოდა სხვა წყაროების შესწავლა, რომლებიც მოგვითხრობენ “სხვა რომზე” ქალაქ რომის გარეთ.


ასეთ ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნებიან მილანი, ტრირი, პავია. რადგანაც ეს ქალაქები გვიან ანტიკურ ხანაში იმპერატორთა რეზიდენციებს წარმოადგენდნენ, ისინი იხსენიებიან, როგორც “სხვა” ან “ახალი რომი”. ასეთი მოხსენიება შეესაბამებოდა ჯერ

¹ Muuler M. Paris, das neue Jerusalem? Die Sta-Cyapelle als Imitation der Golgotha-Kapellen – Zeitschrift fuer Kunstgeschichte, 59 Bd., H. 3, 1996, p. 325.

კიდევ ანტიკურ ხანაში არსებულ გამოთქმას – “სადაც არის კეისარი, იქ არის რომი”.

მესამე საუკუნეში გალენუსმა თავისი რეზიდენცია რომიდან მილანში გადაიტანა, როდესაც მამამისი აღმოსავლეთში სპარსელების წინააღმდეგ საბრძოლველად იყო წასული. მილანი თანაბრად იყო დაშორებული დასავლეთის საზღვრებიდან და რომიდან და გზაჯვარედინზე მდებარეობდა.

რომი იყო მთელი ცივილიზაციის სიმბოლო. სადაც იმპერატორი, იქ რომი – ამ იდეით ახალ რეზიდენციაში, მილანში, ავრელიანემ (270-275) ააშენა კედლები, რომელთა კონსტრუქციის ნარჩენები დღესაც არსებობს. მილანი გახდა პოლიტიკური ცენტრი. ასეთ სახეს ის ინარჩუნებს მაქსიმიანეს მმართველობის დროსაც (305 წელი). იმპერატორმა ვალენტინიანემაც (375-392) გადაიტანა თავისი სასახლის კარი მილანში. წმიდა ამბროსი იყო მილანის ეპისკოპოსი, რომელმაც მილანის ეკლესიას მნიშვნელოვანი ადგილი დაუმკვიდრა.



წმ. ამბროსის ტაძარი მილანში

რომისაგან განსხვავებით, მილანი ქრონიკებში ადგილობრივ პატრიოტიზმს გამოხატავდა. მაღალი შუა საუკუნეების მწერლის ბონვესინ დე ლა რივას (დაახლ. 1240-1315) ნაწარმოებში “ქალაქ მილანის საკვირველებათა შესახებ” (De magnalibus urbis Mediolani) მილანი მოიხსენიება როგორც მეორე რომი. მისი აზრით, ვერც ერთი ქალაქი შეედრება მილანს და არც ერთი სხვა ქალაქი შეიძლება იწოდებოდეს მეორე რომად¹. ასეთი ეპიტეთი მილანმა XVIII საუკუნემდე შეინარჩუნა².

ასეთივე ეპიტეტი – ახალი და მეორე რომი – არის მიმართული ქალაქ ტრირისადმი, რომელიც იყო რაინს გადაღმა რომაელთა პირველი დასახლების ადგილი და ასევე გვიანი რომის იმპერიის დედაქალაქიც. პირველი ასეთი ეპიტეტი ტრირის მიმართ გვხვდება IX საუკუნესა და X საუკუნის დამდეგს ანონიმი ავტორის წმიდა დიეკოლის ცხოვრებაში, რომელშიც აისახა ტრირის რეგიონში ქრისტიანთა ყოფა. წმიდა დიეკოლი – VII საუკუნის შოტლანდიელი ბერი – თან ახლდა კოლუმბანს კონტი-

¹ Dic, homo qui transis, dum porte limina tangis:

Roma seconda, valle, regni decus imperiale;

Urbs veneranda nimis, plenissima rebus opimis,

Te metuunt genetes, tibi flectunt colla potentes


In bello Thebas in sensu vincis Athenas.

(Bonavicinus de Ripa, De magmalibus urbs Mediolani, ed. F. Novati, - *Bulletino dell'Istituto storico italiano*, No 20, 1898. ციტირებულია: Hammer W. The Concept of the New or Second Rome in the Middle Ages. - *Speculum*, Vol.19, No. 1, Jan., 1944, Medieval Academy of America, <http://www.jstor.org/stable/2856854>, p. 60).

² Mozzarelli C. (Università Cattolica di Milano). Milano seconda Roma. Indagini sulla costruzione dell'identità cittadina nell'eta di Filippo II Congreso Internacional "Felipe II (1598-1998), Europa dividida, la monarquía católica de Felipe II (Universidad Autónoma de Madrid, 20-23 abril 1998. Madrid: Parteluz, 1998, p. 531-553 (Tomo 1.2).

ნენტზე მოგზაურობის დროს. მეორე რომს უწოდებდა ტრიის ასევე წმ. აგრიციუსის ცხოვრების ანონიმი ავტორი.

ტრიირი, როგორც ანტიკური წარსულით, ასევე თავისი ქრისტიანული ბიოგრაფიით, მეტად მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. მან ერთ-ერთმა პირველმა დასავლეთ ევროპაში საფუძველი ჩაუყარა სამონაზვნო ცხოვრებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ტრიირში არიანელი იმპერატორისაგან დევნილი ათანასე ალექსანდრიელის მოღვაწეობა. ამდენად მისი, როგორც მეორე რომის ხშირი მოხსენიება არ უნდა იყოს გასაკვირი.¹



ანტიკური ქალაქი ტრიირში

¹ ანონიმი ავტორის მიერ 1101 წელს დაწერილი “ტრიირის ამბავნი” (*Gesta Treverorum*) ძალიან ბევრ ლეგენდასა და თქმულებას შეიცავს, ეპითეტი “მეორე რომი” გამოიყენება ტრიირის წმ. პეტრეს ტაძრის მიმართ. *Gesta Treverorum* კიდევ ერთხელ განმარტავს ტრიირს, როგორც მეორე რომს – *Deinde etiam cum Romani totum orbem armis et prudentia domuissent, amicitias cum Treberibus et foedus Firmissimum iniere, et hanc urbem, propter antuquam nobilitatem et civium sibi quodommodo parem dignitatem, secundum Romam appellavere*- MGH, SS, VIII (Hanover, 1848, 135; ციტირებულია: Hammer W. The Concept of the New or Second Rome in the Middle Ages. - *Speculum*, Vol.19, No. 1, Jan., 1944, Medieval Academy of America, <http://www.jstor.org/stable/2856854>, p. 58).

დასავლურ წყაროებში, ალბათ, შეიძლება მოიძებნოს სხვა ქალაქები, რომლებიც ამ წყაროთა ავტორებს განსაკუთრებულ ცენტრებად წარმოუდგენით, მაგრამ თითოეულ ამ ეპითეტს ყოველი ქალაქის მიმართ თავისი განმარტება აქვს. ვ. ჰამერი ასახელებს შუა საუკუნეების ევროპის კიდევ სამ ქალაქს. ესენია რეიმსი, ტურინი და პავია. მიჩნეულია, რომ ქალაქი რეიმსი (ფრანგულად რემისი) დაარსებულია რომულუსის ძმის რემის მიერ, რომელმაც, ეტოქებოდა რა თავის ძმას, ააშენა საოცარი რომი. არის სხვა ვერსიაც, კერძოდ, რომ რეიმსი დააარსეს რომულუსის ჯარისკაცებმა¹.

ახალი და *სხვა* მეორე რომი, ძირითადად, ეხებოდა სხვა ქალაქებს. ეს გამოთქმა არ არსებობს თვით რომის მიმართ, საერთოდ, ძალიან იშვიათი იყო და ეხებოდა კონსტანტინოპოლს, აახენს, ტირის, მილანს, რეიმსს, ტურინს, პავიას, ტირნოვოს და ა.შ.

როდესაც ტირის შესახებ ვსაუბრობთ, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ლეგენდას ტირირში მაცხოვრის კვართის არსებობის შესახებ. ეს საკითხი ჩვენთვისაც ფრიად საინტერესოა, რადგანაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხისათვის, გარდა მიქელ თამარაშვილისა, არავის მიუქცევია ყურადღება².

¹ ქალაქი სამი ეპითეტით არის შემკობილი: *altera Roma, Roma soror* და *secunda Roma. Nobilis urbs Remis, Remis, velut altera Roma, Quam miles Remi constituit profugus, Vires Romuleas veritus post funera Remi, Si famae volumus credere fama refert. Nobilis urbs, Roma soror, inquam, et Roma secunda, Te geniut, peperit, promeruitque sibi.* - *Cultura medievale e poesia latina in Italia nei secoli XI e XII, rome, 1891, p. 114; Hammer W. The Concept of the New or Second Rome in the Middle Ages. - Speculum, Vol.19, No. 1, Jan., 1944, Medieval Academy of America, <http://www.jstor.org/stable/2856854>, p. 61.*

² თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.

ვფიქრობთ, ეს საკითხი შემდგომში უფრო ვრცელ შესწავლას მოითხოვს, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს აღვნიშნავთ, თუ როგორ შეიქმნა ეს გადმოცემა ტრირში. საერთოდ, თვით დასავლურ ისტორიოგრაფიაში არსებობს დიდი ეჭვი ტრირში მაცხოვრის კვართის არსებობის შესახებ. საკითხი, რომ ტრირის გადმოცემა მაცხოვრის კვართის შესახებ არის ნაყალბევი, შესანიშნავად დაასაბუთა მიქელ თამარაშვილმა¹.


მაცხოვრის კვართის ტრირში არსებობის შესახებ პირველი ცნობა გვხვდება XII საუკუნის მიწურულს, 1196 წელს, *Gesta Trevorum*-ში².

ტრირის გადმოცემის თანახმად, კვართი ტრირში ჩაუტანია კონსტანტინე დიდის დედას ელენეს, რომელიც წარმოშობით ყოფილა ტრირიდან. უპირველესი, რაც საეჭვოა, არის თვითონ ელენე დედოფლის წარმოშობის ადგილად ტრირის დასახელება, რადგანაც ელენე დედოფლის თანამედროვეთა ცნობებში მისი დაბადების ადგილად სხვა ქალაქია დასახელებული. ასეთი ცნობა ელენე დედოფლის ტრირიდან წარმოშობის შესახებ დაიწერა მხოლოდ IX (ბერი ალმანი) საუკუნეში.

¹ თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 128-153, თუმცა ავტორი მაინც მიუთითებს კვართის აღმოსავლეთიდან დასავლეთში გადატანის შესახებ.


² *Anno dominicae incarnationis 368 sanctus aricius Trebirorum praesul efficitur. Hic populum ab antiquo errore idololatriae velunt alter Eucharius eripuit, et domum beatissimae Helenae, exclusis ab ipsa cunctis paganismi spurcitiis, in honore sancti Petri dedicavit, et caput ecclesiae Treberensis ut esset instituit. Eo tempore Treberis jussu beatae Helenae ecclesia maximi ornatus et structurae in honorem sanctae crucis est aedificata in modum etiam crucis. Ipso etiam tempore apud Confluentiam monasterium in honore sancti Florini confessoris constructum est nepte beate Helenae Mathilda nomine. Ossa Mathiae apostoli juxta corpora sanctorum Eucharii sociorum que ejus collocata sunt, tunica.*

ამ გადმოცემის სიყალბეს ისიც ადასტურებს, რომ არც ერთ წყაროში, რომელიც XII საუკუნემდე იყო დაწერილი, არსად არის მითითება ელენე დედოფლის მიერ კვართის ტირიში წაღების შესახებ. საფიქრებელია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტი არ უნდა გამორჩენოდათ მის თანამედროვეებს, რომელთაც ფართოდ აღწერეს ელენე დედოფლის მოღვაწეობა. ასევე საეჭვოა ისიც, რომ XII საუკუნემდე კვართი ყოფილიყო დასვენებული ტირიში და ამის შესახებ არავის დაეწერა, მაშინ როდესაც ადრე შუა საუკუნეებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ წმიდა რელიკვიებს.



მაცხოვრის კვართი ტირიდიან.

XII საუკუნიდან XVI საუკუნის დამდეგამდე თითქმის არავითარი ცნობა კვართის შესახებ არ არსებობს. პირველად მაცხოვრის კვართი XVI საუკუნის დამდეგს გამოიფინა, როდესაც იმპერატორმა მაქსიმილიანმა (1493-1519) მოითხოვა მისი ნახვა. 1512 წლის 4 აპრილს ტირიში ეკლესიაში კვართის გამოტანა აღბეჭდილია ალბრეხტ დიურერის ნამუშევარში. ტირიში მაცხოვრის კვართი დღემდე გამოიფინება და, ამდენად, ტირი პილიგრიმთა ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილია.



ტამარი ტირიში, სადაც ინახება მაცხოვრის კვართი

მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ კვართის შესახებ ლეგენდა ტირის საეპისკოპოსოში ჩამოყალიბდა, მისი სხვა ეკლესიასთან კონკურენციის ფონზე. ასეთ კონკურენტ ეკლესიად ასახელებენ პრიუმს, სადაც ინახებოდა მაცხოვრის ფეხსაცმელები, რომელიც, გადმოცემის თანახმად, რომის პაპს გადაუცია ფრანკთა მეფე პიპინ მოკლესათვის VIII საუკუნეში.

ტირის მაცხოვრის კვართის შესახებ XII საუკუნეში შედენილი ლეგენდა, სავარაუდოა, მართლაც იმ მეტოქეობის ფონზე წარმოიქმნა, რომელიც შუა საუკუნეების გერმანიის საეპისკოპოსოებს შორის არსებობდა. ტირის ეკლესია, რომელსაც ადრე შუა საუკუნეებში მეტად მნიშვნელოვანი პოზიცია ეკავა დასავლეთ ევროპის ეკლესიათა შორის, IX-X საუკუნეებში, მაინცისა და კიოლნის საეპისკოპოსოების გავლენის ზრდასთან ერთად, უკანა პლანზე იწევს. ალბათ, ტირის ეკლესიის ავტორიტეტის განმტკიცებას ემსახურებოდა ლეგენდის შექმნა მაცხოვრის კვართის ტირიში არსებობის შესახებ.

აქვე ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის ისტორიორაფიაში ტირის ლეგენდის შესახებ არსებულ უამრავ ნაშ-

რომთა შორის, არც ერთში არ განხილულა საქართველოში, მცხეთაში მაცხოვრის კვართის არსებობის საკითხი.

“სადაც არის პაპი, რომიც იქ არის” (Ubi papa ibi Roma)

როდესაც განვიხილავდით რომის იდეას შუა საუკუნეებში, ჩვენს ინტერესს წარმოადგენდა რომი, როგორც სამყაროს პოლიტიკური ცენტრი. რომმა სამყაროს პოლიტიკურ ცენტრად წოდების უფლება თავისი ისტორიული ბიოგრაფიით მოიპოვა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა იმას, რომ ის იყო იმპერატორთა რეზიდენცია. სხვა და ახალი რომეზიც, ძირითადად, თავის პრეტენზიებს ასეთ ეპითეტებზე პოლიტიკური მოტივებით აცხადებდნენ, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია რომი, როგორც პაპების რეზიდენცია, მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს ქალაქი. დღემდე სადავოა ის მოტივი, თუ რატომ გახდა რომი პირველი სხვა ქრისტიანულ საპატრიარქოთა შორის პენტარქიის პრინციპების აღიარებასთან ერთად. ამას მრავალი განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვს ისტორიაში. თეოლოგიური ტრადიცია ამ მხრივ უპირატესობას აძლევს ქალაქ რომში მოციქულთა თავთა მოღვაწეობას. ასევე აქტუალურია გადმოცემა, რომლის თანახმადაც ეს ქალაქი, როგორც ქრისტიანობის ცენტრი, დამყარებული იყო მოციქულ პეტრეს ღვაწლზე, როგორც ურყევ კლდეზე ქრისტიანული სარწმუნეობისა.



წმიდა პეტრეს ტაძარი რომში

ძალიან შორს წაგვიყვანდა იმ ისტორიული ტრადიციების დასახელება, რომელიც ჩამოყალიბდა შუა საუკუნეებში რომის, როგორც ქრისტიანული ქალაქის უპირატესობის დასადასტურებლად. რომს, როგორც წმინდა ქალაქს, განსაკუთრებული თავგადასავალი აქვს. დღესაც მრავალი სიწმინდე ინახება რომის ტაძრებში, მაგრამ უფრო ლაკონური რომ ვიყოთ, უნდა ვთქვათ, რომ მთავარი როლი რომის ეკლესიის უპირატესობის მინიჭებაში იმ პერიოდში განვითარებულმა პოლიტიკურ პროცესებმა ითამაშა. პენტარქიის სხვა წევრებთან (ალექსანდრია, ანტიოქია, იერუსალიმი, კონსტანტინოპოლი¹) შედარებით, რომის უპირატესობას წარმოადგენდა ის, რომ ის იყო დედაქალაქი იმპერიისა, სადაც იშვა და ევნო მაცხოვარი.

რომი, როგორც იმპერატორთა რეზიდენცია, ისევე უცვლელია შუა საუკუნეების ადამიანთა გონებაში, როგორც პაპის საყდარი. ის, რომ პაპი ყოველთვის ასოცირდებოდა რომთან, აშკა-

¹ თავდაპირველად უპირატესობა ქონდა სამ ეკლესიას: რომს, ალექსანდრიას და ანტიოქიას. კონსტანტინოპოლის და იერუსალიმის საპატრიარქოები ჩამოყალიბდნენ V საუკუნეში, ქალკედონის საეკლესიო კრების (451) შემდეგ.

რად ჩანს შუა საუკუნეების დოკუმენტებსა და ნარატიულ წყაროებში. პოლიტიკურ პროცესთა განსხვავებულად განვითარების გამო, პაპებს ხშირად უხდებიდათ თავიანთი რეზიდენციის დატოვება. თუმცა ისინი არასოდეს ტოვებდნენ რომის პაპის ტიტულს, არამედ ხდებოდა პირიქითაც. პაპის ახალი რეზიდენცია იწოდებოდა რომად. ასე გაჩნდა გამოთქმა - "სადაც არის პაპი, რომიც იქ არის" ("Ubi papa ibi Roma"). ეს ფაქტი რომის გადატანისა პაპის რეზიდენციის შეცვლასთან ერთად გადმოცემულია სხვადასხვა წყაროებში. ტრადიციულმა იდენტობამ რომისა და პაპის რეზიდენციის განვითარება განიცადა.

ერთ-ერთი ასეთი ცნობა ეკუთვნის როდვას აბატს ანდრეას, რომელიც 1207 წელს ესტუმრა პაპს ვიტერბოში და განაცხადა – "მე მოვედი ვიტერბოში და აქ ვნახე, რომ მე ჩამოვედი რომში".¹

იდენტურია პაპის ინოკენტი IV-ის ბიოგრაფის მიერ მოცემული ცნობა, რომელიც ეხება ქალაქ ლიონს, სადაც იყო პაპის დროებითი რეზიდენცია, რომელსაც იგი "სხვა რომს" – *altera Roma*-ს უწოდებს². მოგვიანებით პაპ ინოკენტი IV-ის დეკრეტში (1246-1251) არის მითითება პაპის ადგილსამყოფელის - ად ლიმინას შესახებ, რომ "ის არის რომი, სადაც არის პაპი" – *Ubi papa est*.

ჰაინრიხ სუზელი (გარდ. 1270) წერს: "სადაც არის პაპი, იქ არის რომი" – *Ubi papa ibi Roma*. იგი ეყრდნობა რომის სამარ-

¹ *Viterbium tandem deveni et ibidem Romam inventi* MGH SS XXIV , p. 737 - Paravicini Bagliani A. *Die romische Kirche von Innozenz III. bis Gregor X- Die Geschichte des Christentums , Mittelalter, 2, Freiburg, Basel, Wien,2007, S. 555-609.*

² Paravicini Bagliani, *Die romische Kirche von Innozenz III bis GregorX - Die Geschichte des Christentums , Mittelalter, 2, Freiburg, Basel, Wien,2007, S. 600.*

თაღს, რომელშიც იყო მითითება _ რომი არის იქ, სადაც არის იმპერატორი.

საეკლესიო გადმოცემათა თანახმად, ყველა ეპისკოპოსი არის მოციქულის მემკვიდრე, ამდენად, თავდაპირველად ის საეპისკოპოსოები იყვნენ გამორჩეულნი, რომლებიც ქრისტეს მოციქულთა მიერ იყო დაარსებული. პაპების დოქტრინაში ამ კონცეპციას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. კათოლიკე ღვთისმეტყველები წმინდა წერილების განმარტებით ცდილობდნენ რომის პაპის ხელისუფლების განსაკუთრებულობის დასაბუთებას. ამ კათოლიკური დოქტრინის თანახმად, რომის პაპის ხელისუფლების ძირითადი საფუძვლი არის ის რომ, პაპი არის პეტრე მოციქულის მემკვიდრე, რის დასაბუთებასაც ცდილობდნენ სახარების საფუძველზე. “მორავიდა იესუ ადგილთა მათ კესარია ფილიპესთა, ჰკითხვიდა მოწაფეთა თვისთა და ჰრქუა: რაი თქვან კაცთა მისა კაცისა ყოფად? ხოლო მათ ჰრქუე მას: თქვენ ვინ გგონიე მე ყოფად? მიუგო სიმონ-პეტრე და ჰრქუა მას: შენ ხარ ქრისტე, მე ღმრთისა ცხოველისაი. მიუგო იესე და ჰრქუა მას: ნეტარ ხარ შენ, სიმონ, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან. და მე გეტყვი შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას ეკლესია ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი, და ბქენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას. და მიცნე შენ კლიტენი სასუფევლისა ცათასანი და რომელი შეჰკრა ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა, და რომელი განჰხსნა ქვეყანასა ზედა, ხსნილ იყოს ცათა შინა” (მათე, 16, 13-19).

რომში მოციქულთა თავთა მოღვაწეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იდეოლოგიური დასაყრდენი იყო შუა საუკუნეების რომისთვის, რომელიც 476 წლიდან აღარ წარმოადგენდა რომის იმპერიის პოლიტიკურ ცენტრს. ამიტომ ცდილობდნენ რომის პაპები რომის ეკლესიისათვის გაეზარდათ საკუთარი უფლებების იურიდიული შეგნება. პაპმა ბონიფაციუს I-მა რომის კა-

თედრას ყველა ეკლესიათა თავი უწოდა. “თუ ვინმე რომის ეკლესიას ჩამოსცილდება, იგი ქრისტიანული ეკლესიიდან ამოირიცხოს”. პაპის ხელისუფლების ზრდაში განსაკუთრებული როლი ლეო I დიდის (440-461) ავტორიტეტმა შეასრულა. ლეო I რომის ეკლესიის მეთაურს განიხილავდა, როგორც პეტრე მოციქულის მოადგილეს (ვიკარს).



პაპი ლეო I

პაპების ხელისუფლება VIII საუკუნემდე დამოკიდებული იყო ბიზანტიის იმპერატორისაგან, მხოლოდ ფრანკების მეფეებთან - ჯერ პიპინ მოკლესთან და მოგვიანებით კარლოს დიდთან დაკავშირების შედეგად მათ მოიპოვეს დამოუკიდებლობა ბიზანტიის საიმპერატორო კარისაგან. ამას ემატებოდა ასევე ბიზანტიაში ამავე პერიოდში გაბატონებული ხატმებრძოლეობის ერესი.

პაპებმა VIII საუკუნეში ისარგებლეს ბიზანტიის იმპერიაში შექმნილი მძიმე პირობებით და ფრანკთა მხარდაჭერით მოიპოვეს საერო ხელისუფლებაც. რომი, რომელიც ფრანკებმა გაათავისუფლეს ლანგობარდებისაგან, გადაეცა პაპის ხელისუფლებას მთლიანად სამართავად. იმისათვის, რომ დაედასტურე-


ბინათ თავიანთი საერო უფლებები ქალაქ რომზე, პაპებმა შექმნეს დოკუმენტი “კონსტანტინეს ნაბოძვარის” (Donatio Constantini) სახელწოდებით. ეს სიგელი იყო დასტური იმისა, რომ პირველმა ქრისტიანმა იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა პაპ სილვესტრ I-ს, IV საუკუნის დამდეგს, გადასცა რომის საერო ხელისუფლება. სიგელის თანახმად, იმპერატორი გადასცემდა რომის პაპს საერო ხელისუფლების ყველა ატრიბუტს – მეწამული შესამოსელს, სკიპტრას და დიადემას. ამავე სიგელში იმპერატორი აცხადებდა, რომ “მიწიერ მეფეს არ შეჰფერის მბრძანებლობა იქ, სადაც ზეციურმა მეუფემ სამღვდელოების პირველობა და ქრისტიანული სარწმუნეობის მეთაურობა დააფუძნა”.¹

ეს დოკუმენტი გავრცელდა IX საუკუნეში და ის შედიოდა ე. წ. “ისიდორეს დეკრეტალებში”. ისიდორე იყო სევილიის ეპისკოპოსი და ცხოვრობდა VII საუკუნეში.

XV საუკუნეში ცნობილმა ჰუმანისტმა ლორენცო ვალამ (1407-1457) შეისწავლა კონსტანტინეს ნაბოძვარის ტექსტი და ამ დოკუმენტის სტილის ანალიზის საფუძველზე დაამტკიცა, რომ ის წარმოადგენს ნაყალბევს და შედგენილია VIII საუკუნეში, პაპ

¹ „კონსტანტინეს ნაბოძვარის“ VI თავში მითითებულია პაპისათვის საერო ხელისუფლების გადაცემის შესახებ: „იმისათვის, რომ პონტიფიკატის სიდიადე არ იყოს დამცირებული და გაბრწყინდეს მეტი დიდებითა და ძლიერებით, ჩვენ ... ნეტარ პონტიფიკატს, მსოფლიო პაპს სილვესტრს გადავცემთ მუდმივად ჩვენს სასახლეს და ქალაქ რომს, ასევე ყველა პროვინციას, იტალიის ქალაქებსა და დასავლეთის მხარეს. ამ ღვთაებრივი გადაწყვეტილებით, ჩვენ დავადგინეთ, რომ ის და მისი მემკვიდრეები განაგებდნენ ამ სამფლობელოებს და რომ ეს სამფლობელოები რომის წმიდა ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდნენ. იხ. კონსტანტინეს ნაბოძვარი - კუტალია გ. ეინჰარდის კარლოს დიდის ცხოვრება, თბ., 2005, გვ. 33.

სტეფანე II-ის ან მისი მემკვიდრის პავლე პირველის კანცელა-
რიაში¹.



კონსტანტინეს მიერ პაპის სილვესტრ I-სადმი ხელისუფ-
ლების გადაცემა

როგორც ჰ. ფონ ეიკენი წერს, კაროლინგების იმპერიის
დაშლის შემდეგ ეკლესია რჩებოდა დასავლეთის ხალხების ერ-
თადერთ გამაერთიანებლად. არა სახელმწიფო, როგორც ეს კარ-

¹ “კონსტანტინეს ნაბოძარის“ მიმართ განსაკუთრებული ინტერესი
მუდღავნდება რენესანსის ეპოქაში. რომის ეკლესიის კედლებზე ჩნდება
ფრესკები კონსტანტინეს მიერ პაპებისთვის ხელისუფლების
გადაცემის გამოსახულებით. პაპები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა
ეს დოკუმენტი ადამიანთა გონებაში დაემკვიდრებინათ. ცნობილი
იტალიურლი ჰუმანისტი დანტე თავის “ღვთაებრივ კომედიაში”
საყვედურობს კონსტანტინეს პაპებისათვის საერო ხელისუფლების
გადაცემის გამო: “ო, კონსტანტინე! რამდენი დაბადა ცოდვა არა შენმა
მონათვლამ, არამედ ძღვენმა, რომელიც პირველ მდიდარ პაპს შენ
უთავაზე” (ჯოჯოხეთი, ქება 19 – დანტე, ღვთაებრივი კომედია, თბ.,
1941).

ლოს დიდის დროს იყო, არამედ ეკლესია ასრულებდა ამჯერად გერმანელი ხალხის გამაერთიანებლის როლს.¹

პაპების დამოკიდებულება საერო ხელისუფლებისადმი ჩანს ერთ-ერთი აბატის წერილში პაპ იოანე XIX-სადმი 1024 წელს: “მაშინ, როდესაც რომის იმპერიის ხელისუფლება, რომელიც ერთადერთი მონარქია იყო მთელ დედამიწაზე, ამჯერად სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სამთავროებად არის დაშლილი, წმიდა პეტრეს ტახტი ფლობს გამაერთიანებელ ძალაუფლებას როგორც ზეცაში, ასევე დედამიწაზე”.²

კონსტანტინეს ნაბომჯარის სახელით არსებული დოკუმენტი მეტად მნიშვნელოვანი გამოდგა პაპებისათვის, რათა ის გამოეყენებინათ თავიანთი გავლენის გასაძლერებლად საერო ხელისუფლებაზე. ეს დოკუმენტი შუა საუკუნეებში განსხვავებულ ინტერპრეტაციას იძენს. რომის სასულიერო ხელისუფლებამ ის აღიქვა, როგორც ხელისუფლების გადმოტანა კონსტანტინოპოლიდან რომში, ანუ *translatio imperii*. ამ დოკუმენტის საფუძველზე რომი გახდა ადგილი, საიდანაც გადადის საერო ხელისუფლება მეფეებზე, პაპის კურთხევის საფუძველზე.

პაპის გრიგოლ VII (1073-1085) –ის მიერ შემუშავებული საეკლესიო ტრაქტატი, რომელიც ცნობილია “პაპის დიქტატის” (*Dictatus papae*) (1075) სახელწოდებით, უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია პაპების ხელისუფლებისა და საეკლესიო და საიმპერატორო ხელისუფლებათა ურთიერთმიმართების განსაზღვრისათვის. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, თუ როგორ აისახა ამ დოკუმენტში რომის ეკლესიის მდგომარეობა და მისი

¹ von Eicken H. Geschichte und System der Mittelalterlichen Weltanschauung, Stuttgart, 1887, s. 213.

² Hugon Cronica c. 17, MGH. VIII, 392, ციტ. von Eicken H. Geschichte und System der Mittelalterlichen Weltanschauung, Stuttgart, 1887, s. 214.

პრეტენზიები, რომელიც მოცემულია დოკუმენტის პირველსავე თავებში:

“რომის ეკლესია შექმნილია მხოლოდ ღმერთის მიერ.

მხოლოდ რომის ეპისკოპოსი იწოდება სჯულის მიხედვით მსოფლიო ეპისკოპოსად. მხოლოდ მას შეუძლია გადააყენოს ეპისკოპოსები და აღადგინოს ისინი....

მხოლოდ მას შეუძლია ატაროს საიმპერატორო ღირსების ნიშნები.

მხოლოდ მას შეუძლია გადააყენოს იმპერატორი. რომის ეკლესია არასოდეს შემცდარა და, საღვთო წერილის მოწმობით, არც არასოდეს შეცდება”¹.

მსგავსია ფლორენციის 1439 წლის კრების დადგენილებაც პაპის ხელისუფლების უპირატესობის შესახებ: “ვაწესებთ, რომ წმიდა სამოციქულო ტახტი და რომის მღვდელმთავარი უპირატესობენ მთელს მსოფლიოში და რომ ეს მღვდელმთავარი არის მოციქულთა თავის ნეტარი პეტრეს მემკვიდრე და ქრისტეს ნამდვილი მოსაყდრე; იგი თავია მთელი ეკლესიისა, მამაა და მოძღვარი, მასწავლებელი ყოველთა ქრისტიანთა და რომ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ გადასცა მას სრული ძალაუფლება მწყემსოს, ჰმობღვროს და წარმართოს მსოფლიო ეკლესია”.²

¹ 1. Quod Romana ecclesia a solo dominost fundata. 2. Quod solus Romanus pontifex iure dicatur universalis. 3. Quod ille solus possit deponere episcopos vel reconcilare. 8. Quod solus possit uti imperialibus insigniis. 10. Quod ilii liceat imperatores deponere. 22. Quod Romana ecclesia nunquam erravit nec in perpetuum, scriptura testante, errabit. - Kirchen und Theologiegeschichte in Quellen, Hg. A.M. Ritter, B. Lohse, V. Leppin, Neukirchener Verlag, 2001, Bd. II, s. 90. შუა საუკუნეების სამართალი, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1962, გვ. 503.

² შუა საუკუნეების სამართალი, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1962, გვ. 503.

XIII საუკუნის გერმანული სამართლის კრებულში “საქსების სარკე”¹ არის მეტად საინტერესო ინფორმაცია ისტორიის განვითარების შუა საუკუნეებრივი ხედვის შესახებ. “საქსების სარკე”-ში მოცემულია ბიბლიური წარმოდგენები ოთხი მონარქიის შესახებ და მკაფიოდაა მითითებული პაპების ხელისუფლების - ძველი რომის მემკვიდრის – შესახებ: “თავდაპირველად მონარქია ბაბილონში წარმოიქმნა და იგი ყველაზე დიდი იყო. იგი დაანგრია კიროსმა და მონარქია სპარსეთზე მიაბრუნა. იქ იარსება მან დარიოს უკანასკნელამდე, ის კი ალექსანდრემ დაამარცხა და მონარქია ბერძნებისაკენ მოაბრუნა, იქ იარსება მან, სანამდე რომმა არ დაიმორჩილა და იულიუსი არ გახდა კეისარი. ამიტომაც რომმა აქამდე შეინარჩუნა საერო მახვილი, წმინდა პეტრეს გულისათვის კი მას სასულიერო მახვილიცა აქვს; ამიტომ ეწოდება მას მთელი მსოფლიოს მეთაური”.²

რომის პაპი, როგორც ქრისტეს მოსაყდრე დედამიწაზე და მოციქულთა თავის პეტრეს მემკვიდრე, აკურთხებდა იმპერატორს. 1198 წლის 30 ოქტომბრით დათარიღებულ პაპ ინოკენტი III (1198-1215) წერილში ფლორენციის კონსულისადმი არის პირდაპირი მითითება სასულიერო ხელისუფლების უპირატესობის შესახებ საერო ხელისუფლებასთან შედარებით: “ისევე როგორც მთვარე თავის სხივს იღებს მზისგან, მსგავსადვე იღებს სამეფო ხელისუფლება პაპის ავტორიტეტისაგან ბრწყინვალეობას და ღირსებას”³.

¹ Des Sacherspiegels, erster Theil oder Des saechsische Landrecht, hergegeben von Dr. G.G. Homayer, Berlin, 1835.

² შუა საუკუნეების სამართალი, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1962, გვ. 431.

³ Innocenz III – Sicut universitatis- Kirchen und Theologiegeschichte in Quellen, Hg. A.M. Ritter, B. Lohse, V. Leppin, Neukirchener Verlag, 2001, Bd. II, S. 133.

კლუნური მოძრაობის გავრცელებისა და საეკლესიო რეფორმის განხორციელების დროიდან ევროპაში პაპის ხელისუფლება უფრო და უფრო მტკიცდებოდა, საეკლესიო მსახურება თანდათანობით უფრო ერთგვაროვანი ხდებოდა, რაც კათოლიკური თვითშეგნების ზრდის შედეგი იყო. წმინდა პეტრეს საყდრისა და პაპის ხელისუფლებისადმი მორჩილება უსიტყვოდ იყო მიღებული მთელს დასავლეთ ევროპაში. მაღალი შუა საუკუნეების ადამიანის თვითგამორკვევა, მისი იდენტობა განუყოფელი იყო რომის ეკლესიის სტრუქტურებისა და კათოლიკური მოძღვრების პოსტულატებისაგან. როგორც რ. ბარტლეთი აღნიშნავს, იმას, ვინც იდგა რომის წმინდა ეკლესიის საჭესთან (Sancta Romana ecclesia), შეეძლო კანონის საფუძველზე მოეთხოვა მორჩილება ქრისტიანი ხალხისაგან (populus christianus), რომელიც, თავის მხრივ, ხშირად ასეთად წარმოიდგენდა თავის თავს.¹

რ. ბარტლეთმა რეფორმატორი პაპის გრიგოლ VII (1073-1085) მიმოწერის საფუძველზე აღადგინა ნათელი სურათი პაპების ხელისუფლების გავრცელებისა ევროპულ სივრცეში. პაპის რეგისტრში² არსებული მიმოწერის საფუძველზე, რ. ბარტლეთი წერს: “პაპის წერილების ერთ-ერთი წამყვანი პროგრამა იყო პოსტულატი, რომ ქრისტიანული სამყაროს ერთეულები არსებობდად წარმოადგენენ წმ. პეტრესა და მისი მიწიერი მოადგილის - პაპის საკუთრებას”.³

ასე რომ, რომში ყალიბდება სრულიად გარკვეული გაგება პაპობისა, როგორც განსაკუთრებული, უფლის მიერ დამკვიდ-

¹ Бартлетт Р. Становление Европы. Экспансия, колонизация, изменения в сфере культуры 950-1350, М., 2007, с. 268.

² Greogory VII, Registrum, ed. Heinrich Hagenmeyer, Heidelberg, 1913.

³ Бартлетт Р. Становление Европы. Экспансия, колонизация, изменения в сфере культуры 950-1350, М., 2007, с. 272.

რებული, რომის ეპისკოპოსისა, მთელს მსოფლიო ეკლესიაში. რომში პაპის უფლებები იზრდება დასავლეთ რომის იმპერიის დაცემასთან ერთად, როდესაც, როგორც ა. შმემანი წერს, რომის ეკლესია დარჩა ერთადერთ ნათელ წერტილად შექმნილ ქაოსში¹. V საუკუნეში რომის პაპმა ლეო დიდმა ჩამოაყალიბა პაპობის თეორია, რომელიც უპირისპირდებოდა აღმოსავლეთში მიღებულ ეკლესიის მოწყობის წესს და ფორმებს. საეკლესიო კრებების ხანაში რომში სრულიად ნათლად განმარტავდნენ თეორიას პაპის ძალაუფლების შესახებ, რომელიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული პროტესტანტი კანონისტი ზომის მიერ: "რომი არის ეკლესიის თავი. მის გარეშე ეკლესია არ არის ეკლესია, და მხოლოდ რომთან გაერთიანების შემდეგ შედიან ცალკეული თემები კათოლიკური ეკლესიის შემადგენლობაში".² რომი მუდმივად გამოკვეთდა თავის უპირატესობას სხვა ეკლესიებთან შედარებით აღმოსავლეთი არასოდეს, IX საუკუნემდე, იღებდა ამ გამონათქვამებს სერიოზულად და არ გამოხატავდა მის მიმართ უკმაყოფილებას.

პაპის წარმომადგენლები მსოფლიო საეკლესიო კრებებზე გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებებს რომის ეკლესიის უპირატესობის შესახებ. პაპი ცელესტინ I-ის (422-432) წარმომადგენლის მიერ გამოთქმული ასეთი მოსაზრების წინააღმდეგ არაფერი უპასუხიათ აღმოსავლეთის ეკლესიის წარმომადგენლებს ეფესოს კრებაზე. პაპის ლეგატის ნათქვამს, რომ პეტრეს მაცხოვარმა გადასცა გასაღები მეფობისა და მისცა უფლება ცოდვათა მიტევებისა უკუნითი უკუნისამდე, დუმილით შეხვდნენ აღმოსავლეთის ეკლესიის მესვეურნი. ქალკედონის კრებაზე მიღებული 28-ე კანონის (ახალი რომისათვის განსაკუთრებული უფლებე-

¹ Шмеман А. Исторический путь Православия, М., 2003, с. 267.

² ციტ.: Шмеман А. Исторический путь Православия, М., 2003, с. 268.

ბის მინიჭების შესახებ) გამო პაპის ლეო დიდის (440-461) გამოთქმულ საყვედურს, პატრიარქმა ანატოლმა (449-458) უპასუხა წერილით, რომელშიც უკან დაიხია და დაუდასტურა პაპს, რომ მისი თანხმობის გარეშე მიღებული ყველა კანონი ძალადაკარგულად ითვლებოდა. ამდენად, ვფიქრობთ, რომ იმავე საუკუნის ბოლოს პაპების მიერ კონსტანტინოპოლის ეკლესიასთან გაწყვეტილი ურთიერთობა ე. წ. ენოკტიკონის (482) გამო, მართალია, მოტივირებული იყო იმით, რომ ისინი წინააღმდეგნი იყვნენ მონოფიზიტებთან მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მიუღებელი ერთიანობისა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ადგილი ამ განხეთქილებაში ქალკედონის კრებაზე კონსტანტინოპოლის ეკლესიისათვის მსოფლიო ეკლესიის წოდების მინიჭებას ეკავა.

არქიმანდიტრი ალექსანდრე შმემანი შეეცადა გაერკვია აღმოსავლეთის ეკლესიის რომის ეკლესიასთან ამ უცნაური დამოკიდებულების მიზეზები. ა.შმემანმა უარყო კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელთა პოზიცია, რომლის თანახმადაც, კონსტანტინოპოლის ეკლესიის გაჩუმების მიზეზი იყო აღმოსავლეთის ეკლესიაში თეოლოგიის არარსებობა. მისი აზრით, ერთ-ერთი მიზეზი იყო აღმოსავლეთში პაპიზმის თავისებური “არ შეგრძნება” და “არ აღქმა”, დაკავშირებული იმპერიასთან, რადგანაც ძალიან დიდხანს ეგონათ, რომ “ერთადერთი და ბუნებრივი ფორმა ქრისტიანობის არსებობისათვის დედამიწაზე იყო იმპერია, რომლის დამფუძნებელი იყო მოციქულთა სწორი კონსტანტინე დიდი. უნდა ითქვას, რომ ეს “რომის იდეა” იყო საერთო მთელი ეკლესიისათვის – როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. დასავლეთში იმპერიის ნგრევა აღმოჩნდა ერთ-ერთი მიზეზი პაპიზმის გაძლიერებისა”¹. შემდგომში, ის დიდი

¹ Шмеман А. Исторический путь Православия, М., 2003, с.270.

დაპირისპირება, რომელიც არსებობდა რომის პაპსა და გერმანიის იმპერატორებს შორის, არსობრივად, იყო გაორება ერთი და იგივე რომის ტრადიციისა, ბრძოლა სამყაროს მოწყობის ორ ერთნაირ თეოლოგიურ კონცეპციას შორის. აღმოსავლეთში იმპერია იყო ეკლესიის მიწიერი საყრდენი. სწავლება ეკლესიის შესახებ შეერწყა სწავლებას ეკლესიისა და იმპერიის კავშირის შესახებ საეკლესიო-სახელმწიფო იდეოლოგიით.

რომის ეკლესიის მიმართ განსაკუთრებული მნიშვნელობის დამადასტურებლად უნდა ჩავთვალოთ ადრე შუა საუკუნეებში წმიდა მამათა წერილებში მიმოხილული გამოთქმები რომის ეკლესიის მიმართ. ჯერ კიდევ II საუკუნეში ირინეოს ლიონელი რომის ეკლესიას უწოდებდა *maxima gloriossima*. III საუკუნეში კიპრიანე კართაგენელი რომის ეკლესიას მოიხსენიებდა როგორც პირველ ეკლესიას – *ecclesia principalis, ecclesiae catholicae radix et matrix*. ტერტულიანე რომის ეკლესიას აყენებდა მთელი დასავლეთის ეკლესიათა სათავეში. ის ამბობდა: თუ შენ ხარ იტალიის მახლობლად, მაშინ შენთვის ავტორიტეტი უნდა იყოს რომი, რომელიც არის ასევე ავტორიტეტი ჩვენთვის”.¹

დასავლეთის საეპისკოპოსოების მხრიდან რომის ეკლესიისადმი განსაკუთრებული უფლებებისა და მისი ავტორიტეტის აღიარების დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ ის წერილები, რომელსაც აგზავნიდნენ რომის პაპთან არლის, ლიონისა და ელვირის ეპისკოპოსები.

რომის პაპის ფუნქციებსა და მნიშვნელობაზე შუა საუკუნეებში მრავალი მნიშვნელოვანი გამოკვლევა არსებობას. ამ ნაშრომებში ხშირად ვხვდებით განსხვავებულ შეხედულებებს რომის პაპის ხელისუფლების შესახებ. ნაწილი მას მიიჩნევს თეოკ-


¹ Лебедев А.П. Духовенство древней вселенской церкви. От времен апостольских до X века, СПб., 2003, с.186-187.

რატიულ სახელმწიფოდ, რომელიც განსაზღვრავდა ამ ეპოქის იდეოლოგიას, ასევე ქმნიდა პოლიტიკურ ამინდსაც. რომის პაპები ლეო I, გრიგოლ დიდი, გრიგოლ VII, ინოკენტი III, ფაქტობრივად, თავიანთ ეპოქაში მსოფლიო მონარქებს განასახი-რებდნენ.

განსაკუთრებული ძლიერება პაპებმა ჯვაროსანთა ხანაში მოიპოვეს. ეკლესია გახდა ახალი მიწების მეპატრონე, რადგანაც კათოლიციზმი იყო მთავარი გამაერთიანებელი ჯვაროსნულ სახელმწიფოებისათვის. რომის პაპმა ინოკენტი III-მ XIII საუკუნის დამდეგს პაპის გვირგვინს დაუმორჩილა როგორც აღმოსავლეთი, ასევე დასავლეთი ქრისტიანული სამყარო. ინოკენტი III-ს ვასალად აღიარებდა თავს როგორც კონსტანტინოპოლის ლათინთა იმპერატორი, ასევე პორტუგალიის, არაგონის, ინგლისის მეფეები, ბულგარეთისა და სერბეთის მმართველები.



ინოკენტი III



ინოკენტი III-ის გერბი

პაპები მუდმივად ცდილობდნენ თავიანთი ხელისუფლების შეერთებას საერო მმართველებთან. ეს თავდაპირველად იყო ბიზანტიის იმპერია, შემდეგში – გერმანიის მეფეები, რომლებიც რომის საღვთო იმპერიის იმპერატორის ტიტულს ატარებდნენ. რომის პაპების მცდელობა, მიეღწიათ გაერთიანებისათვის ბიზანტიის იმპერატორებთან სარწმუნოებრივ საკითხში, ასევე იყო მცდელობა ე. წ. დიარხიის პრინციპის აღდგენისა, სადაც იარსებებდა ჰარმონია საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის, ანუ რომის პაპსა და ახალი რომის იმპერატორს შორის.

რომი იყო და რჩება პაპების მუდმივ რეზიდენციად. მწელია წარმოიდგინო პაპის ხელისუფლება ვატიკანისა და წმიდა პეტრეს ტაძრის გარეშე. თუმცა შუა საუკუნეებში პაპებს მოუწიათ რამდენიმეჯერ დაეტოვებინათ რომი. განსაკუთრებით დიდხანს პაპების რეზიდენცია იმყოფებოდა საფრანგეთის პატარა ქალაქში ავინიონში. ამდენად, XIV საუკუნის ავინიონიც, როგორც პაპების რეზიდენცია, ხშირად იხსენიებოდა რომად,

მართალია, ჩვენ ზემოთაც მივსთითეთ იმის შესახებ, რომ პაპების რეზიდენცია ხშირად მოიხსენიებოდა რომად, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ეპითეტი ამ ქალაქების მიმართ ჩნდება მხოლოდ პაპების განუზომელი ავტორიტეტის საფუძველზე და

მისი შედარება სხვა რომებთან, რომლებიც წარმოადგენდნენ პოლიტიკურ ცენტრს, არ შეიძლება. პაპებს, მართალია, ქონდათ პრეტენზია საერო ხელისუფლების გადაცემაზე, მაგრამ ოფიციალურად არასოდეს იღებდნენ თავიანთ თავზე საერო ხელისუფლებაზე ლეგიტიმურ უფლებებს.

თავი III

ახალი რომის იდეა საქართველოში

გელათი - ახალი რომი

ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი ეპიტეტების „ახალი რომის“ და „მეორე რომის“ მნიშვნელობის შესახებ აღმოსავლურ და დასავლურ ქრისტიანულ სამყაროში. როგორც უკვე ვთქვით, ეს იყო რომის იმპერიის მემკვიდრეობის პრეტენზიები ზემოთ დასახელებული ქალაქებისათვის, ანუ ეს ქალაქები, რომლებიც ახალი რომის ეპიტეტით მოიხსენიებოდნენ, ახალი კულტურული თუ ცივილიზაციური ერთეულის ცენტრს წარმოადგენდნენ. ისინი, შუა საუკუნეების აზროვნების შესაბამისად, როდესაც მთავარი იყო ქრისტიანობის ერთიანობისა და ურღვევობის იდეა, ამ ერთიანობის ცენტრების სახით წარმოგვიდგებიან.

რადგანაც შუა საუკუნეების ადამიანის თავში ავგუსტიანური თეორია სამყაროს ერთადერთობისა, რომელიც იყო ზეციური ქალაქის ანარეკლი, არის ერთადერთი წარმოდგენა ამქვეყნიური მოწყობის შესახებ, დედამიწაზე არსებული სახელმწიფო შუა საუკუნეებში მარადიული რომის სახით წარმოგვიდგება. ასეთი იყო ბიზანტია – შუა საუკუნეების რომის იმპერია, ცენტრით ახალ რომში – კონსტანტინოპოლში, ასეთი იყო კარლოს დიდის ფრანკთა იმპერია ცენტრით აახენში, რომელსაც ასევე *ახალი და სხვა რომი* ეწოდებოდა თანამედროვე წყაროებში. გერმანელმა ხალხმაც თავისი ნაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება დაიწყო ასევე იმპერიული და ერთიანი რომის იდეით, ანუ არა გერმანელი ხალხის სახელმწიფოს სახით, არამედ რომის საღვთო იმპერიად. მსგავსივე იყო სხვა დასავლურ სახელმწიფოთა იდეოლოგიაც. რომი და მხოლოდ მარადიული

რომი არსებობდა ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში, როგორც საერო სახელმწიფო, რომელსაც მუდმივად თან ახლდა „ახალი იერუსალიმის“ იდეა.

ჩვენთვის საინტერესოა, როგორ აისახა მსგავსი იდეები საქართველოში. ქართული ნაციონალური ერთობისა და ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება ხდება ისევე, როგორც დანარჩენ ქრისტიანულ სამყაროში და ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან საერთო ქრისტიანულ სივრცეში იდეოლოგიაც საერთოა. აქვე გვსურს ხაზი გავუსვათ იმას, რომ იდეური იდენტურობა არ ნიშნავს სრულ მსგავსებას, რადგან განსხვავებული პირობები და გეოგრაფიული გარემო, რასაკვირველია, განაპირობებს განვითარების განსხვავებულ პროცესებს.

საქართველოს შუა საუკუნეების შესწავლა ერთიანი ქრისტიანული სივრცის ფონზე მეტად მნიშვნელოვანია, რადგანაც, სამწუხაროდ, ქართული ისტორიოგრაფია გარკვეული პერიოდის მანძილზე ჩამოსცილდა ასეთ კვლევებს. საბჭოთა იდეოლოგია თავისებურ გავლენას ახდენდა ქრისტიანულ კვლევებზე და ასევე ქართველთა სწრაფვაზე - წარმოედგინათ თავიანთი ისტორია ერთიანი ევროპული სივრცის ფონზე.

რომის კონცეპცია შუა საუკუნეების საქართველოში სპეციფიკური შესწავლის ობიექტი არასოდეს ყოფილა, ისევე როგორც . წ. იმპერიის გადატანის კონცეპცია. ჩვენ შევეცადეთ, ასეთი ზროვნების არსებობა საქართველოში წარმოვადგინოთ დასავლური ისტორიოგრაფიის მსგავსად, შედარებითი ისტორიის მეთოდოლოგიის სფუბველზე, რისთვისაც საჭიროა, პირველ რიგში, მოვიძიოთ ის წყაროები, რომლებიც გვაძლევს საშუალებას, ვისაუბროთ ასეთი პროცესის არსებობის შესახებ საქართველოში.

ვიდრე კონკრეტულ წყაროებს დავასახელებდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ შუა საუკუნეების ქართული მატრიანები, რო-

მელთაც ჩვენამდე მოაღწიეს, დაწერილია პროვიდენციალური ზოგადქრისტიანული მსოფლმხედველობის შესაბამისად. შუა საუკუნეების ქართული მწერლობა, როგორც ზოგადქრისტიანული მწერლობა, არასოდეს ჩაკეტილა ვიწრო ნაციონალურ ჩარჩოებში. ის ყოველთვის ზოგადსაკაცობრიო და ქრისტიანული ჰუმანიზმის იდეებს ანიჭებდა უპირველეს მნიშვნელობას. ქართულ მატრიანეებსა და საერო თუ სასულიერო ლიტერატურაში სივრცე არასოდეს შეზღუდულა რაიმე ეთნიკური ნიშნით. ქართული შუა საუკუნეები, ისევე როგორც დასავლეთი ადრეულ რენესანსამდე, თავისი მოღვაწეობის სივრცედ აღიქვამს ერთიან ქრისტიანულ სამყაროს. ამდენად, ქართველთათვის არასოდეს არის უცხო ის სივრცე, სადაც არის ქრისტიანობა, ისევე როგორც შუა საუკუნეების ევროპელისთვის არ იყო უცხო ის სამყარო, სადაც იყო ქრისტიანობა. ევროპელი ჯვაროსნები სრულიადაც არ ფიქრობდნენ, რომ წმიდა მიწა, სადაც ისინი ჩავიდნენ რამდენიმე ათასი კილომეტრის დაშორებიდან, არ იყო მათთვის მშობლიური. მშობლიურის შეგრძნება ერთნაირია ადრე შუა საუკუნეებში მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ასეთივე მშობლიურია ქართველისათვის წმიდა მიწაც და ათონის მთაც. შუა საუკუნეების საზოგადოებაში, სადაც განმსაზღვრელი ადგილი ქრისტიანობას ეკავა, ქრისტიანობა განსაზღვრავდა საზოგადოების ერთობას. ქრისტიანი წმინდანები და წმიდა რელიქვიები აერთიანებდა შუა საუკუნეების ადამიანებს. ერთიანი აღქმა სამყაროსი, რასაკვირველია, არის საფუძველი იდეური ერთიანობისა, ამდენად, სახელმწიფოთა მოწყობის იდეა და საზოგადოებრივი სტრუქტურა შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში მსგავსი იყო, რადგან ის მსგავსი პოლიტიკური თეოლოგიიდან აღმოცენდა.

შუა საუკუნეების ქართული მწერლობა მდიდარია მსოფლმხედველობრივი ნაწარმოებებით, სადაც გამოხატულია

ქართული პოლიტიკური აზროვნება. რასაკვირველია, ეს ნაწარმოებები, ისევე როგორც შუა საუკუნეების ყველა ტექსტი, ძირითადად, მსოფლხედვას ქრისტიანული თეოლოგიის შესაბამისად გადმოსცემს. ამიტომ ვიყენებთ ტერმინს *პოლიტიკური თეოლოგია*.

შუა საუკუნეების საზოგადოებას, სქოლასტური გავლენით, აქვს მსგავსი სიმბოლოები, რომელიც ამარტივებს პოლიტიკური მსოფლხედვის შინაარსის გაგებას.

ქართულ სახელმწიფოს, რომელზეც, მსგავსად ბიზანტიისა, უდიდესი გავლენა ქონდა ელინიზმსა და ანტიკურობას, რომის სივრცე არასოდეს დაუტოვებია. ქრისტიანობის მიღების შემდეგ საქართველოში, ისევე როგორც დასავლურ სამყაროში (განსაკუთრებით, ბიზანტიაში), ერთმანეთს შეერწყა ქრისტიანობა და რომის უნივერსალიზმისა და ერთიანობის იდეა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომის ერთიანობის ქრისტიანული კონცეპცია უცხო არ არის შუა საუკუნეების ქართული საზოგადოებისათვის. ერთიანი ქრისტიანული სივრცის განცდა თან გასდევს შუა საუკუნეების ქართულ მწერლობას. ერთიანი რომის სახელმწიფოს გამომხატველი სიმბოლო - „ახალი რომი“ - გვხვდება XIII საუკუნეში, იოანე შავთელის ნაწარმოებში „აბდულმესიანი“.

“აბდულმესიანში”, რომელიც მიძღვნილია თამარისადმი, ავტორი გელათის შესახებ წერს:


ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო

უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა.

ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა,

სად რომ დაკრძალვენ წმინდათ სხეულსა”.¹

¹ იოანე შავთელი. აბდულ-მესიანი, ქართული მწერლობა, თბ., 1988, ტომი III, გვ. 347.



გელათი

“აბდულმესიანის” ამ სტროფებში ნათლად ჩანს მისი ავტორის მსოფლმხედველობა, სადაც გელათი ნაჩვენებია, როგორც „უფროს ყოველთა“. ეს თავისთავად მიანიშნებს კულტურის ამ ცენტრის მიმართ ავტორის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე. ის, რომ გელათი წარმოადგენდა კულტურის უმნიშვნელოვანეს კერას მთელ აღმოსავლეთ საქრისტიანოში, არაერთხელ აღუნიშნავთ სხვა ავტორებსაც. იგი “ახალ ათინადაც” მოიხსენიებოდა. “ახალი ათენი”, რასაკვირველია, გამოხატავდა მისი, როგორც კულტურულ საგანმანათლებლო კერის განსაკუთრებულ როლს. მაგრამ, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში, როდესაც იოანე შავთელი მას “ახალ რომს” უწოდებს, მის კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციასთან ერთად, პოლიტიკურ როლსაც ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. იოანე შავთელი გელათს პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობით იხსენიებს, როგორც მეფეთა მუდმივ განსასვენებელს, მსგავსად პარიზთან არსებული სენ დენისა, რომელიც წარმოადგენდა კაპეტინგთა

მუდმივ განსასვენებელს და ასევე იყო საფრანგეთის იდეოლოგიური ცენტრი, სადაც შეიქმნა კაპეტიანების ეპოქის საუკეთესო საისტორიო ქრონიკები. თამარის დროინდელი გელათი, რომელიც დავით აღმაშენებელმა დააარსა სამეფო დედაქალაქ ქუთაისის გვერდით, მთელი თავისი არსებობის მანძილზე წარმოადგენდა ქართული კულტურის ცენტრს, სადაც ქართული სახელმწიფო იდეოლოგია იქმნებოდა. დავითის ისტორიკოსი გელათის დაარსების შესახებ წერდა: „რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლო ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლებულებისად, სხვად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოსა შინა წესითა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიო შუენიერებისად. ხოლო სახელი მისი გელათ“.¹

იოანე შავთელის ამ ნაწარმოებში კიდევ ერთი სტროფია მნიშვნელოვანი. ავტორი ერთგან თამარს მოიხსენიებს კეისრად. „აბდულმესიანში“ ნათქვამია:

“ხარკე ისარი! ხარ კეისარი,

სიმდიდრით ლაღი ჯიმშედ მფლობელი“.²

თამარის ეს ეპითეტი, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ, როგორც ბიზანტიის საიმპერატორო კარის რაიმე ტიტული, პირიქით, ეს უნდა ნიშნავდეს იმპერატორის ტიტულს.

კ. კეკელიძე შემდეგ განმარტებას აძლევს იოანე შავთელის ამ სიტყვებს: “პოეტს შეეძლო ეწოდებინა თამარისათვის “კეისარი”, რადანაც 1204 წელს მან დააარსა ტრაპიზონის იმპერია, შეეძლო მას თამარისათვის ეწოდებინა “ჯიმშედ მფლობელი”,

¹ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. “ქართლის ცხოვრება”. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955, გვ. 330-331.

² იოანე შავთელი. აბდულ-მესიანი, ქართული მწერლობა, თბ., 1988, ტომი III, გვ.330.

რადგანაც 1210 წელს ის გახდა სპარსეთის სამეფოს დიდი ნაწილის მფლობელი”¹. კ. კეკელიძის ეს მოსაზრება ფრიად მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ შემთხვევაში პოეტი მხოლოდ თამარის კონკრეტულ წარმატებებს არ უნდა გულისხმობდეს, არამედ ეს არის იმ აზროვნების დადასტურება, რომელიც მაშინდელ საქართველოში ჩამოყალიბდა და ასახვა ჰპოვა ბაგრატიონთა სამეფო ტიტულატურაში. „აბდულმესიანში“ სხვა სტროფებშიც ვხვდებით თამარის ასეთ დახასიათებას, სადაც ის აღმატებულად არის წარმოდენილი, ვიდრე ერთი რომელიმე ქვეყნის მეფე:

“ზნელ-ჰყოფს ყოველთა ქვეყნის მპყრობელთა
ვით მზე დაჰფარავს სხვათა ვარსკვლავთა”.²

“გვირვინოსანსა, პორფიროსანსა
უხდება პყრობა სკიპტრისა ხელსა”.³

ასეთი ეპითეტითა და ტიტულით მოიხსენიებოდნენ მაშინ იმპერატორები. ბიზანტიისა და სხვა რომის იმპერატორთა მსგავს ტიტულატურას თამარი ატარებდა კიდევაც. საქართველოს მეფეთა, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მპყრობელთა ტიტული სხვადასხვა წყაროებში მრავლად მოგვეპოვება. ჩვენ დავასახელებთ რამდენიმეს, რომლებშიც ეს ტიტული გვხვდება როგორც თამარის, ასევე სხვა ბაგრატიონ მეფეთა მიმართ, მათ მიერ გამოცემულ სიგელებსა თუ სხვა საისტორიო ქრონიკებში:

¹კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი II, თბ., 1981, გვ. 246.

²იოანე შავთელი, აბდულ-მესიანი- ქართული მწერლობა, ტომი III, თბ., 1988, გვ. 329

³იოანე შავთელი, აბდულ-მესიანი- ქართული მწერლობა, ტომი III, თბ., 1988, გვ. 331

“გარდაითავისა მონაბერმან ზენათა სუეთამან ავლუსტიან-მან. ვითარცა სამოთხე, დასხმული ხელითა ღმრთისათა და სულწლელებითა მით მადიდებელთა საყნოსელთათა”.¹

“სახელითა ღმრთისათა თამარისაგან ბაგრატიონისა, ნე-ბით ღმერთისათა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, დედოფალთ დედოფლისა და ყოვლისა აღმო-სავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობლისა”.²

“ქ. სახელითა ღმრთისაითა გიორგისაგან ნებითა ღმრთი-საითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლე-თისა ფლობით მპყროელისა”.³

ვარძიის ფრესკაზე გამოსახულნი არიან თამარი და მამამი-სი გიორგი III, წარწერით: „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთა მეფე შვილი გიორგისა თამარ, რომელი მრავალჟამულობასაცა” და “ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთა მეფე გიორგი, ძე დემეტ-რე მეფეთა მეფისა”.⁴

1200 წელს თამარის ფულის არაბულ წარწერაში ასევე არის აღნიშნული: “დედოფალი დედოფალთა შვენება ქვეყნისა და

¹ ისტორიანი და აზმანი შრავანდედთანი. “ქართლის ცხოვრება”. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959, გვ. 29.

² შეწირულების სიგელი თამარ მეფისა შიომღვიმისადმი, 1201 წ. - ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), თბ., 1965, გვ. 30.

³ შეწირულობის სიგელი ლაშა გიორგისა ქვათახევისადმი (1213-1222 წწ.). - ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), თბ., 1965, გვ. 35.

⁴ გურგენიძე ვ. თამარ მეფე, თბ., 1990, გვ. 45.

სარწმუნეობისა თამარ ასული გიორგისა მესიის თაყვანისმცემელისა¹.”

საერთოდ, X საუკუნიდან, როდესაც საქართველო ბაგრატიონთა საგვარეულოს მეთაურობით სახელმწიფოს სათავეებთან დგას, პროცესები სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოთა ანალოგიურად მიმდინარეობს. საქართველოში ჩნდება მეფეთ-მეფეთა ტიტული, რომელიც უკვე უფრო ფართო პრეტენზიის მატარებელია, ვიდრე მხოლოდ მეფის ტიტული. საქართველოში XI საუკუნიდან იწყება ახალი ეპოქა, რომელიც XII-XIII საუკუნეებში რენესანსის სახით წარმოგვიდგება. რომის კონცეპცია, იმპერიის გადატანა ჩნდება რენესანსულ ეპოქაში. ქართულ სახელმწიფოშიც იგივე პრეტენზია ჩანს მაღალ შუა საუკუნეებში, ე. წ. ქართული რენესანსის ხანაში. ეს არის, უპირველესად, ქართველ მწიგნობართა შრომებში ბიზანტიის იმპერიისადმი წაყენებული პრეტენზიები, როდესაც გიორგი მთაწმინდელი ბერძნებს საყვედურობს თავიანთ გულზვიადობას და ამპარტაუნობას. ამ პერიოდში ჩნდება ნაშრომები, რომლებიც ძველ საისტორიო მასალებში ეძებენ ცნობებს საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობ-

¹ გურგენიძე ვ. თამარ მეფე, თბ., 1990, გვ. 3. ვფიქრობთ, იდენტურად უნდა აღვიქვათ ქართულ აგიორაფიულ ტექსტში არსებული შემდეგი სიტყვები, რომელსაც წარმოთქვამს წმიდა გრიგოლი აშოტ კურაპალატის გარდაცვალებასთან დაკავშირებით: ჰოი, მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო, სადაით-მე მოგელოდი, აღმოსავლეთით-მე ანუ დასავლეთით, ჩრდილოით-მე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით ხელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკვირველი ეგე დიდებული, ღმრთისმსახური ხელმწიფეი. აწ ვითარ-მე მიეცი ხელსა შეურაცხთა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი-იგი იუდაის მსგავსად შენ, უფლისა თვისისა მკვლელ იქმნეს მოსაკვდინებლად ჩვენ გლახაკთა მლოცველთა შენთა, უკუნისამდე?” (გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული მწერლობა, თბ., 1987, ტომი I, გვ. 549).

ის შესახებ, ამ ეტაპზე იღებს საქართველოს კათალიკოსი კათალიკოს-პატრიარქის ტიტულს. ამ დროს ჩნდება ქართულ მწერლობაში საქართველოს სამეფო დინასტიის ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ თხრობა. ეს, ზოგადად, არის რენესანსის ხანა საქართველოში. რენესანსი კი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მხოლოდ ანტიკურობის აღდგენად, ან ეპოქად, როდესაც მსოფლმხედველობა გათავისუფლებულია ქრისტიანული დოგმატიზმგან, არამედ ეს არის, როგორც ჟ. ლე გოფი აღნიშნავს, არა რომში დაბრუნება, არამედ დაბრუნება აბრაამის წიაღში, ამქვეყნიურ სამოთხეში, მამა ღმერთის სამყოფელში. რომში დაბრუნება მათთვის ნიშნავდა, უბრალოდ, მის გადატანას, როდესაც გადააქვთ უმაღლესი ხელისუფლება და მეცნიერება.“¹

ქართული სახელმწიფოს განსაკუთრებულობის იდეა, პირველ რიგში, ჩანს ქართული ენისადმი დამოკიდებულებაში. ენა, რომელიც იდენტობის ყველაზე მნიშვნელოვანი მარკერია, ახალი ქართული იდეოლოგიის უპირველესი ყურადღების საგანი ხდება.

XII საუკუნიდან ქართული ენა პრეტენზიას აცხადებს, გვერდში დაუდგეს ბერძნულსა და ლათინურს, ანუ ის ისეთივე ზოგადქრისტიანულია, როგორც ბერძნული და ლათინური. ამას უნდა გამოხატავდეს შემდეგი სტროფები „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-დან:

„და ახალმან ნინო მოაქცია
და ჰელენე დედოფალმან,
ესე არიან ორნი დანი,
ვითარცა მარიამი და მართა
და მეგობრობაი ამისთვის თქუა

¹ Ле Гофф. Цивилизация средневекового Запада, Екатеринбург, 2005, с.51; ჯავახია ბ. ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ (დასავლეთ ევროპა, ბიზანტია, საქართველო), თბილისი, 2005, გვ. 110-111.

რამეთუ ყოველი საიდუმლო
ამასა ენასა შინა დამარხულ არს”.¹

წმიდა ნინოს და წმიდა ელენეს დებად მოხსენიება ავტორის ალეგორიაა ბერძნული და ქართული ენების გატოლები-სათვის. ქართული ენის გატოლება ბერძნულ და ლათინურ ენებთან, ეს უკვე ნიშნავს ქართული ენისათვის განსაკუთრებული, ზოგადქრისტიანული ფუნქციის მინიჭებას. ასევე ამ ნაწარმოების შემდეგი სიტყვები - „დამარხულ არს ენაი ქართული, დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამისა ენით” - აშკარად გამოხატავს ქართულ მესიანურ იდეას, პრეტენზიას საქართველოს განსაკუთრებულ როლზე ქრისტიანულ კულტურაში.

ცნობილი მეცნიერი ბერნადეტე მარტინ-ჰისარდი აღნიშნავს, რომ “XI საუკუნეში ჩნდება მოტივი ღვთისგან საქართველოს განსაკუთრებული მფარველობის შესახებ. XI საუკუნეში ხდება ასევე საქართველო მოციქულ ანდრიას ქვეყანა და XII საუკუნეში - ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა².

საქართველოში, ისევე როგორც დასავლეთში, ფრიად საინტერესოდ ვითარდება სამეფო ხელისუფლების თეორია. ეს არის ღვთისგან ბოძებული ხელისუფლება, როგორც ის ებოძა თავის დროზე კონსტანტინე დიდს. ახალი რომის იმპერატორის ხელისუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა ჯვარი, რომელიც კონსტანტინემ იხილა თავის მოწინააღმდეგესთან ბრძოლის წინ,

¹ ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი - ქართული მწერლობა, თბ., 1987, ტომი I, გვ. 47.

² Später kommt das Motiv von der apeziallen Vorliebe Gottes für Georgien auf. Im 11. Jh. galt es wegen des Apostels Andreas als apostolisches Land, im 12 Jh. als ein Teil der für die Gottesmutter Maria durch Christus aufbewahrten Welt - Martin-Hisard B. Kirche und Christentum in Georgien - Die Geschichte des Christentums, Mittelater, I (642-1054), Herder, Freiburg, Basel, Wien, 2007, S. 584.

რის შემდეგაც ის გახდა ერთადერთი იმპერატორი და მპყრობელი სრულიად რომის იმპერიისა. ქართველ მეფეთა მხრივ კონსტანტინეს მიბაძვა არაერთხელ ვლინდება ქართულ წყაროებში. ამა ქვეყნის ძლიერნი მოიხსენიებიან, ვითარცა “ახალი კონსტანტინე”, რაც უნდა ნიშნავდეს მათ გათავისუფლებას იმ დამოკიდებულებისაგან, რომელიც გააჩნდათ ადრე შუა საუკუნეების ქრისტიან მმართველებს ბიზანტიის იმპერატორებისაგან. “ახალი კონსტანტინე” ქვეყნის ერთპიროვნულ ქრისტიანული წესით გამგებლის სიმბოლოა. ასეთი რამ არის გადმოცემული თამარის ეპოქის მატიანეში, როდესაც მისი გვირგვინკურთხევა აღწერილი:

„მიიღეს გვირგვინი და აღამაღლეს ხმა მაგალობელთა და ძღვევით გვირგვინოსნობისა და მძლედ-მფლობელობისა, და მოახსენეს მთასა ზეთისხილისასთა ჯუარი გამოჩენილი კონსტანტინესათვის“¹.

ასევე წერს თამარ მეფის შესახებ ბასილი ეზოსმოდღარი:

„ხოლო სჯულისათვის სულითა მეორე კონსტანტინე იქმნებოდა და მისებრვე ჰგოროვნებდა დაწყებასა საღმრთოსა საქმეთასა, რამეთუ იწყო აღსლვად ორპირსა მახვილსა მოსასრველად თესლთა ბოროტთა და ინება, რათა შეყრა და გამორჩევა დიდთა მათ და მსოფლიო კრებათა.

პირველად აღმოუწოდა წმიდით ქალაქით იერუსალემით ნიკოლოზს გულაბერისძესა, რომელსა სიმდაბლისა ძალითა ეჯმნა ქართლისა კათალიკოზობისაგან. ესე რა მოიყვანა, შემოკრიბნა ყოველნი სამეფოსა თვისისა მღვდელ-მომღუარნი, კაცნი მეცნიერნი სჯულისა საღმრთოსანი და მოსწრაფე იყო, რათა მართლმადიდებლობასა ზედა შემოთესლილნი თესლნი ბო-

¹ ისტორიანი და აზმანი შრავანდედთანი. “ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959, გვ. 26.

როტნი აღმოფხურნეს სამეფოსაგან თვისისა, რომელი-ესე ადრე განეშარჯვა სასოებისა კეთილისა მქონებელსა“¹.

კონსტანტინე დიდს მიაშვავებს დავით IV აღმაშენებელს მემატთანე, როდესაც აღწერს მის მოღვაწეობას რუის-ურბნისის კრებაზე:

„ ... და ესცა მიმსგავსებულად დიდისა კონსტანტინესა აღასრულა მეფემან დავით უწინარეს ყოველთა კეთილთა საქმეთა თვისთა, რომლისა სანაცვლოდ იხილეთ, თუ რა განაგო ღმერთმან გულ-მეცნიერმან, უძილმან მცველმან ისრაელისამან“². რათამცა ყოველი სოფელი მოსტაცა ეშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა, რომლითა მიიღო მადლი მოციქულობისა, ვითარცა პავლე და ვითარცა დიდმან კონსტანტინე³.

შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში, იოანე საბანისძიდან მოყოლებული, შესამჩნევია ნაციონალური იდეოლოგიის არსებობა, როგორც გერმან გენე წერს, „შუა საუკუნეების მმართველები იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი ისტორიის როლში, რომ კარგად ესმოდათ მისი მნიშვნელობა არგუმენტების პროპაგანდისათვის, რომელსაც იღებდნენ წარსულიდან; ბევრი მათგანი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს საისტორიო ნაწარმოებების შექმნას, რომლებსაც, გადმოსცემდნენ რა წარსულს,

¹ ბასილი ეზოსმოდვარი, ცხოვრება მეფეთაგან თამარისი. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959, გვ. 117.

² ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955, გვ. 328.

³ დავით IV-დმი მიძღვნილ არსენ ბერის ეპიტაფიაში წერია: „სახის დასაბამ უცთომელობისა ქრისტეანობისათვის, ვითარცა კონსტანტინე თვითმპყრობელთა შორის, სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თევდოსი სკიპტრისმპყრობელთა შორის“ (მონაზონი არსენი, მეფესა დავითს. - ქართული მწერლობა, ტომი II, თბ., 1987, გვ. 233).

წინ უნდა წამოეწიათ მათი ხელისუფლება, ან, როდესაც გადმოსცემდნენ უახლოეს ამბებს, უნდა შეექმნათ კეთილი განწყობა მათი მეფობის შესახებ¹. ისტორიული წარსული შექმნიდა შესაბამის პირობებს ახალი იდეების განხორციელებისათვის, ასეთი სახით შექმნილ ისტორიას გ. გენე ოფიციალურ ისტორიას უწოდებს. როგორც ბიზანტიაში, ასევე ქრისტიანულ დასავლეთსა და აღმოსავლეთში ისტორია ხშირად გვხვდება ასეთ როლში. ეს განპირობებული იყო იმითაც, რომ სამეფო კარზე იქმნებოდა საისტორიო ნაწარმოებები, რომელთა შექმნას ხშირად მეფეები თვითონ ხელმძღვანელობდნენ. ისტორიული წარსულის მაგალითების გამოყენება მომავალი იდეების განხორციელების არგუმენტირებისათვის არა მხოლოდ შუა საუკუნეებისთვის არის დამახასიათებელი. ასეთ როლში ისტორია ხშირად და ყველგან გვევლინება. კარლოს დიდი ინტერესდებოდა წარსულის შესწავლით, ძალიან ზრუნავდა იმისთვის, რომ მის მეფობაზე რაც შეიძლება კარგი შთაბეჭდილება შექმნილიყო. ოფიციალური ისტორიის შექმნაზე ზრუნავდნენ სხვა ევროპელი მონარქებიც. აღსანიშნავია ალფრედ დიდის, ლუი IX წმიდას, ფრიდრიხ I-ის მოღვაწეობა ამ მიმართულებით. ქართველი მონარქებიც იდენტურნი იყვნენ ამ პროცესთან მიმართებაში. ქართული საისტორიო მწერლობა მომავალი „ახალი რომის“ კონცეპციის შესაბამისად იქმნებოდა XI-XIII საუკუნეებში.

საუკეთესო ნიმუში ოფიციალური ისტორიის ჩამოყალიბებისა იყო სუმბატ დავითისძის მატთანე, სადაც ავტორმა ბაგრატიონთა საგვარეულოს ღვთაებრივი წარმოშობის თეორია განავითარა. ლეონტი მროველის “მეფეთა ცხოვრების” მიზანს, როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუიტიბთებს, წარმოადგენდა ქართვე-

¹ Гене Б. История и историческая культура средневекового Запада, М. 2002, с. 385.

ლი ერის უძველესი ისტორიის დაწერა, თუმცა ივ ჯავახიშვილი იქვე აღნიშნავს: “თვით თხზულებიდან ჩანს, რომ მას (ლეონტი მროველს - ბ.ჯ.) მარტო მეფეთა, მამათა და ნათესავთა ცხოვრება არა ჰქონია მხედველობაში, არამედ ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხიც... ჩვენი ისტორიკოსის პირველი და უმთავრესი მიზანი იყო, გამოერკვია კავკასიაში მცხოვრებ ერთა საზოგადოდ და განსაკუთრებით კი ქართველთა ჩამომავლობა და ნათესაობა”¹. ლეონტი მროველი პირველი ისტორიკოსია, რომელმაც ეს საკითხი შეისწავლა და, ვფიქრობთ, ერთ-ერთი პირველი უნდა იყოს, ვინც ქართული სახელმწიფოს ევროპული და ელინური წარმოშობის თეორია განავითარა.

ლეონტი მროველის გადმოცემის თანახმად, ქართველთა წარმოშობის იაფეტური თეორია თავისთავად მიაკუთვნებს საქართველოს ევროპას, რომელიც, შუა საუკუნეების ევროპელ ავტორთა თანახმად, იყო იაფეტის შთამომავალთა სამშობლო². ას-

¹ ჯავახიშვილი ივ. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.). ტფილისი, 1920, გვ. 173.

² ისიდორე სევილიელის ეტიმოლოგიაში, რომელიც ენციკლოპედიურ ნაშრომს წარმოადგენს, მითითებულია, რომ დედამიწა იყოფა სამ ნაწილად - აზიად, აფრიკად და ევროპად (*Divisus est orbis trifarie, e quibus una pars Asia, altera Europa, tertia Africa Nuncupatur*). ევროპის შემადგენლობაში შეყვანილია ბიზანტია მთელი თავისი აღმოსავლური ტერიტორიით. დედამიწის სამ ნაწილად წარმოდგენა დამახასიათებელია შუა საუკუნეების ნაშრომებისათვის, რომლებიც ასეთი დაყოფის საფუძვლად იღებენ ბიბლიურ სიუჟეტს ნოეს სამი ვაჟის შესახებ, რომელთაგან უმცროსს, იაფეტს, შუა საუკუნეების ქრისტიანული ლიტერატურის შესაბამისად, ერგო ევროპა.

სანტ გალენის მონასტერში IX საუკუნეში შედგენილ რუკაზე აღნიშნულია ევროპა, აზია და აფრიკა და დართულია განმარტება, რომ ასე გაინაწილეს ნოეს ვაჟებმა დედამიწა (*Ecce sic diversunt terram filii Noe post dilivum*). ასეთივე მოკლე განმარტება დედამიწის დაყოფის შესახებ არის მითითებული ბედა პატივდებულის ანგლოსაქსურ (VIII ს.) და გერმანელი ბერის ოტო ფრაიზინგენელის (XII ს.) ქრონიკებში.

ვეე, ის თეორია, რომლის თანახმადაც ანტიკურ და ადრექრისტიანულ ხანაში ევროპისა და აზიის განსხვავება წარმოდგენილია, როგორც დაპირისპირება ელინისტურ სამყაროსა და ირანს შორის, თავისუფალი დასკვნის საშუალებას იძლევა საქართველოს ევროპული სივრცისადმი მიკუთვნებულობისათვისაც, რადგან საქართველო მუდმივად წარმოადგენდა ბერძენთა მოკავშირეს ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში და დარიალის კარის დამცველს, საიდანაც შემოდის ევროპისათვის უცხო ელემენტი.

ის, რომ ლეონტი მროველი ქართული სახელმწიფოს აღექსანდრე მაკედონელის იმპერიის ნგრევისა და დაშლის შედეგად წარმოშობილად მიიჩნევს, კიდევ ერთი დადასტურებაა ქართული სივრცის ევროპულისადმი მიკუთვნებულობისა, რადგანაც ევროპა არის ის, რაც ელინისტური ტრადიციების საფუძველზე წარმოიშვა.

ლეონტი მროველის თხზულებაში განვითარებული კავკასიის ხალხთა ერთიანობის იდეა ასევე გამოხატავს ქართული სახელმწიფოს კავკასიაში ლიდერობის კონცეპციას. საქართველო ამ შემთხვევაში, ისევე როგორც ძველი რომი და როგორც ახალი რომი ბიზანტიის სახით, გვევლინება კულტურტრეგერად სხვა ხალხებში.

ლეონტი მროველისა და შუა საუკუნეების სხვა ნაწარმოებებში შექმნილი თეორია ბაგრატიონთა გვარის განსაკუთრებულობის შესახებ უნდა იყოს ამ საგვარეულოს შემზადება უფრო

მაღალი შუა საუკუნეების ქრონიკებში ასევე არის მითითება ევროპის საზღვრების შესახებ, რუკაზე ის მეტ-ნაკლებად გამოკვეთილია, ხოლო კომენტარებში მისი საზღვრები აღმოსავლეთში გადის შავი და აზოვის ზღვებს მიღმა, მდინარე დონზე. იხ.: ჯავახია ბ, ევროპის ცნების გაგებისათვის დასავლეთის შუა საუკუნეებში. "ცივილიზაციური ძიებანი", თბ., 2009, N. 6.

მნიშვნელოვანი პროცესებისათვის მომავალში. ის, რომ ბაგრა-ტოვანთა საგვარეულო, ქართული ტრადიციებისამებრ, ემეტოქება ბიზანტიის საიმპერატორო ხელისუფლებას, ნათლად ჩანს ბაგრატოვანთა საგვარეულოს სიმბოლოში. მაღალი შუა საუკუნეების საქართველოში განვითარებული თეორიის თანახმად, თუ ბიზანტიის იმპერატორი ღვთისგან იღებს ჯვარს, როგორც სიმბოლოს მისი ხელისუფლებისა, ქართულ მატრიანეში ჯვრის სიმბოლოსთან ერთად ჩნდება უფლის კვართი. ასეთი მოსაზრების უფლებას გვაძლევს შემდეგი გადმოცემა “მოქცევაი ქართლისაი”-ში:

“მაშინ გამხიარულდა მეფე მირიან, რაჟამს ეუწყა, ვითარ-მედ: “პირველ მოწევნულ იყო კუართი იგი ქრისტესი იერუსალემით მცხეთად”, მაღლობდა ღმერთსა და იტყოდა: “კურთხეულ ხარ შენ, უფალო იესო ქრისტე, მეო ღმერთისა ცხოველისაო, რამეთუ შენ პირველვე, გინდა ცხოვრებაი ჩვენი და ხსნაი ჩუენი ეშმაკისაგან და ადგილისა მისგან ბნელისა, ოდეს იგი სამოსელი შენი ებრაელთა მათ წარმოეც წმინდით ქალაქით იერუსალიმით უცხოთა ამათ ნათესავთა ქალაქად, რამეთუ ჯუარ-ცუმასა შენსა ამას ქალაქსა მეფობდეს მამანი ჩვენი”¹.

ხომ არ შეიძლება ეს ადგილი საისტორიო წყაროდან გავიგოთ ისე, როგორც ეს არის კონსტანტინე დიდის შემთხვევაში - მისთვის ღვთისაგან ხელისუფლების ბოძების მნიშვნელობით? ამჯერად იმის ხაზგასმა ხომ არ სურს ტექსტის ავტორს, რომ ასევე გადმოვიდა ქართველთა სამეფო საგვარეულოზე ქრისტეს მაღლი? როგორც კონსტანტინესათვის ჯვრის გადაცემა, საქართველოში კვართის წილხვდომა ხომ არ ნიშნავდა ქართული სამეფო საგვარეულოს - რომელიც მართავდა ქალაქ მცხეთას, სა-

¹ მოქცევაი ქართლისაი. შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი, 1979, გვ. 323.

დაც ჩამოაბრძანეს მაცხოვრის კვართი - ღვთით რჩეულობას, რასაც, ჩვენი აზრით, ადასტურებს მირიან მეფის შემდეგი სიტყვები: “გინა ცხოვრებაი ჩვენი და ხსნაი ჩვენი ეშმაკისაგან ადგილისა მისი ბნელისა, ოდეს სამოსელი შენი ებრაელთა მათ წარმოეც წმინდით ქალაქით იერუსალემით უცხოთა ამათ ნათესავთა ქალაქად, რამეთუ ჯუარ-ცუმასა შენსა ამას ქალაქსა მეფობდეს მამანი ჩუენნი”¹. მაცხოვრის კვართი მოგვიანებით, როგორც საქართველოს მეფეთა ქრისტიანული ხელისუფლების სიმბოლო, ჩნდება ბაგრატიონთა სამეფო გერბზე.

ქართული საისტორიო ტრადიცია, ქრისტიანული მსოფლმხედველობის შესაბამისად, თვითონაც, დასავლური საისტორიო მწერლობის მსგავსად, საერო ხელისუფლების ღვთისგან გადმოცემის თეორიას აღიარებს. ეს თეორია ნათლად აისახა გიორგი მერჩულეს “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში”, სადაც წმიდა მამა გრიგოლი მიმართავს აშოტ კურაპალატს:

“სადაც არს პატივი მთავრობისაი, მუნ არს მსგავსებაი ღმერთებისაი“. რამეთუ თქვენ, ხელმწიფენი, უფალ გყვნა ღმერთმან ქვეყანასა განგებასა, ვითარცა გულისხმა ვჰყოფთ კეთილისა ყოფასა ღმრთისასა ჩვენდა მომართ მეფობითა შენითა... დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო! მეფობაი და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისათვისაცა ამას მოგახსენებ: არა მოაკლდეს მთავრობაი შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქვეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ

¹ მოქცევაი ქართლისაი. შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი, 1979, გვ. 323.

იგინი მტკიცედ უფროის კლდეთა მყართა და მათათა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე”¹.

როგორც ამ ნაწარმოებიდანაც ჩანს, ქართული იდეოლოგია არ ჩერდება საერო ხელისუფლების ღვთისგან გადმოცემის თეორიაზე. ქართული მწერლობა უფრო შორს მიდის და ბაგრატიონთა საგვარეულოს დავით წინასწარმეტყველის პირდაპირ შთამომავლად მიიჩნევს. ამდენად, ქრისტიანულ ევროპაში არსებული თეორიის ნაცვლად მეფეების ღვთის განგებით არჩევის შესახებ, ქართულში გვაქვს ღვთაებრივი თეორია, ანუ ქართული სამეფო დინასტია დავით წინასწარმეტყველის გვარის პირდაპირი გამგრძელებელია. ეს თეორია ხაზს უსვამს ქართული სახელმწიფოს განსაკუთრებულობას.

ქრისტიანულ სამყაროში, განსაკუთრებით, მაღალი შუა საუკუნეებიდან კათოლიკური თეოლოგია წარმოაჩენს ძველი აღთქმის ტექსტებს, რადგან ძველი აღთქმა უფრო ჰომოცენტრისტულია, ხოლო XII საუკუნიდან დაწყებული რენესანსი ყურადღებას სწორედაც საერო ხელისუფლებასა და საერო ცხოვრებაზე ამახვილებს.

XII საუკუნის დასავლურ წყაროებში ყურადღება განსაკუთრებით არის მიპყრობილი პოლიტიკური ინსტიტუტების ლეგიტიმურობის საკითხისადმი, ასეთივე უნდა იყოს პროცესები საქართველოშიც.

XII საუკუნიდან დიდია დაინტერესება, განსაკუთრებით სამეფო საგვარეულოებთან დაახლოებული სამეცნიერო წრეებისა და თეოლოგებისა, დავით წინასწარმეტყველის პიროვნების მიმართ, რადგანაც დავით წინასწარმეტყველია ის პიროვნება, რომლის მეფობაც აღიარებულია თეოლოგიაში. ადრე შუა საუკ-

¹ გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება-ქართული მწერლობა, ტომი I, გვ. 545.

უნებში რომის იმპერატორისადმი ქრისტიანთა დამოკიდებულება უარყოფითი იყო, როგორც წარმართი მმართველისადმი და ეს პროცესი გარკვეული პერიოდის მანძილზე გრძელდებოდა. მხოლოდ მოგვიანებით ჩამოყალიბდა ბიზანტიურ სამყაროში სამეფო ხელისუფლების თეორია. დავითი, როგორც ბიბლიური მეფე, განსაკუთრებული ინტერესს იწვევს შუა საუკუნეების ავტორებში. ევროპულ ქრონიკებში მეფეთა ეპითეტად ხშირად გვხვდება “ახალი დავითი”. თუმცა ქართული თეორია სამეფო საგვარეულოს წარმოშობის შესახებ, როგორც უკვე ვთქვით, უფრო შორს მიდის. ასეთი სახის განსაკუთრებულობა - სამეფო დინასტიების ღვთაებრივი წარმოშობის იდეა - გამონაკლისია. მსგავსი კონცეპცია არსებობს ეთიოპიაში, სადაც ეთიოპიის სამეფო საგვარეულო არის სოლომონ მეფის შთამომავლად აღიარებული. მსგავსი გადმოცემაა ასერის ანგლოსაქსურ ქრონიკაში, რომელიც ალფრედ მეფის საგვარეულოს ათვლას ნოესა და სემისაგან იწყებს.

ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, რაც ნიშნავს იმას, რომ ის იყოს ერთადერთი, როგორც რომი იყო თავის დროზე, ანუ მსგავს ცივილიზაციურ ერთეულში იყოს წამყვანი, გამოიხატა არა მხოლოდ თეორიაში სამეფო ხელისუფლების განსაკუთრებულობის შესახებ.

საქართველოს ეკლესია, ისევე როგორც თავის დროზე ეს გააკეთა კონსტანტინოპოლის - ახალი რომის ეკლესიამ, იწყებს საბუთების მოძიებას საქართველოს ეკლესიის სრული თავისუფლების მოსაპოვებლად. საქართველოს ეკლესიას V საუკუნიდან ქონდა ავტოკეფალია, მაგრამ ფორმალურად ანტიოქიის საპატრიარქოს დამოკიდებულებაში რჩებოდა. საისტორიო წყაროების თანახმად, საქართველოს ეკლესიამ ანტიოქიისაგან დამოუკიდებლობა ადრე შუა საუკუნეებშივე მიიღო, რისი საბუთებიც არსებობს მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილე-

ბების სახით. მაგრამ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ხარისხის სრულყოფისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პატრიარქის ტიტული, რომელიც მოიპოვა საქართველოს ეკლესიამ XI საუკუნეში, მელქისედეკ კათალიკოსის დროს¹.

საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობასთან ერთად, სიმბოლურად ძალიან დიდი მნიშვნელობა ქონდა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიას. სწორედ ამ ხანაში მოიძიებს საქართველოს ეკლესია დოკუმენტურ მასალებს საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ. ეს ფაქტი, რომ მოციქულთა საქართველოში მოღვაწეობისადმი ინტერესი გაჩნდა XI საუკუნეში, აღნიშნულია ეფრემ მცირეს წერილში „უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნსა შინა მოიხსენების“. ეფრემ მცირე თვითონვე მიუთითებს, რომ თავისი ნაშრომი მან მღვდელ იოანე-კვირიკეს, საქართველოს ეკლესიის ეკლესიარხის სპეციალური დავალებით დაწერა. ის ამ ნაშრომის შესავალში მიმართავს იოანე-კვირიკეს: „ჯერ-იყო ამასცა ზედა ჩემგან სრულ ყოფად ბრძანებაი შენი, რაითა წერით

¹დასავლურ წყაროებშიც არის დამოწმებული საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვების შესახებ ცნობა. XIII საუკუნის შუა ხანებში პაპის მიერ აღმოსავლეთში გაგზავნილი ელჩობის წევრი, დომინიკანელი ბერი სიმონ დე სან კვენტინი წერს: საქართველოს ეკლესია განეკუთვნებოდა ანტიოქიის საპატრიარქოს და შემდეგში, მცირე აზიაში მიმდინარე ბრძოლების გამო, შეუძლებელი იყო კათალიკოსების ჩასვლა ანტიოქიაში, რის გამოც ანტიოქიის და ბიზანტიის თანხმობით ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი ეკლესია. სან კვენტინი იმ საზღაურსაც მიუთითებს, რაც ქართველებმა გადაუხადეს ანტიოქიის ეკლესიას. Simon de Saint Qventin, Histoire des Tartares, publie par Jean Richar, Paris, Libraire Orientaliste Paul Geuther, 12, 1965; ჯავახია ბ. XIII საუკუნის დამდეგის დომინიკანელი ბერი საქართველოს შესახებ. - შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2005, გვ. 62-67.

დაიდვას მას შინა მოსახსენებელი ოდეს მოქცევისა ჩვენისაი და თუ რომელითა წიგნთა შინა ბერძენთასა ხსენებულ არს იგი, უხმდეს თუ ვისმე გამომეძიებელთაგანსა ცნობად”¹. შემდეგში ეფრემ მცირე ასახელებს წყაროს და იმ მოციქულთა სახელებს, რომელთაც საქართველოში იქადაგეს ქრისტეს რჯული. “ერთად კიდეთა ამათგანად ითქუმის ჩუენთვისცა მიმოსლვას შინა წმიდათა მოციქულთასა ანდრია პირველწოდებულისა მიერ ქადაგებაი შორის ავაზგიასა, რომელ არს ავხაზეთი და მიერ წარვლავი ოსეთად და კულად ბართლომეს მიერ მიმოვლავი ჩრდილოეთისაი, რომელ არს ქართლი”².

ეფრემ მცირეს ნაწარმოების შექმნამდე, როგორც საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობაზე საუბარი ჰქონდა გიორგი მთაწმინდელს. სწორედ ამ საუბრის ტექსტიდან ჩანს ის ცვლილება, რომელიც ახალი დროის შესაბამისად ჩამოყალიბდა ქართულ აზროვნებაში. საქართველოს ეკლესია და მისი სახელით, როგორც ჩანს, ქართული საზოგადოება უკვე სრულიად თავისუფალი ხდება და თავისი უპირატესობის მტკიცე პოზიციებზე დგება, ისევე როგორც ეს ხდებოდა კონსტანტინოპოლში, “ახალი რომის” იდეის ჩამოყალიბებისას. გიორგი მცირე გადმოცემს გიორგი მთაწმინდელის და თევდოსის, ანტიოქიის ბერძენი პატრიარქის დიალოგს. ამ დიალოგში გიორგი მთაწმინდელი მიმართავს თევდოსი პატრიარქს: „მეუფეო, შენ იტყვი, ვითარმედ თავისა მის მოციქულთაისა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და

¹ ეფრემ მცირე, უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნსა შინა მოიხსენების. ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-სამიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1959, გვ. 3.

² ეფრემ მცირე, უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნსა შინა მოიხსენების, ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-სამიებლები დაურთო თ. ბრეგაძემ, თბ., 1959 გვ. 4.

ძმისა თავისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი – სიმონს ვიტყვი კანანელსა – ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ. და ვინაითგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარგვიყოფიეს, და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მოდრეკილ არს ნათესავი ჩვენი, და ყოველთა უარისმყოფელთა და მწვალებელთა შვეაჩვენებთ და დავსწყევთ. ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებითა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ. აწ, უკეთუ ჯერ არს, დაგემორჩილნეთ, – და რეცა განცხრომით ჰრქვა პატრეარქსა: წმიდაო მეუფეო, შვენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს. რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თავისსა და ძმასა ანდრეას, რათა თქვენ დაგვემორჩილნეთ. და ესეცა შესძინა, ვითარმედ: წმიდაო მეუფეო, რომელნი ეგე-ჩვენ უმეცრად და სუბუქად გვხედავთ და თავნი თქვენნი ბრძენ და მძიმე გიყოფიან: იყო ჟამი, რომელ საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობაი არა იპოვებოდა და იოანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა”¹.

როგორც წინა თავებში მივუთითეთ, ახალი რომი იყო ხელისუფლების გადატანა, ანუ ახალი ქრისტიანული იმპერიის თეორია. ახალ რომს – ახალ იმპერიას – თან ახლდა ასევე კულტურის აღორძინება, რაც “ახალი იერუსალიმის” ეპითეტით მოიხსენიება. XI-XIII საუკუნეების საქართველოშიც აშკარაა მსგავსი მინიშნებები. გაძლიერებული ახალი მონარქები ზრუნავენ

¹ გიორგი მცირე, ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდია და ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმინდელისაი. – ქართული მწერლობა, ტომი II, თბ., 1987, გვ. 105.

როგორც თავიანთ ქვეყანაში ახალი იერუსალიმის დაარსებაზე, ასევე თვით იერუსალიმის სიწმინდეების მოვლა-პატრონობაზე. ლაშა-გიორგის დროინდელი მატთანე, “ცხოვრება მეფეთ მეფე თამარისი” აღნიშნავს:

„იქმნა ყოველთა მეფეთა შორის უდიდეს, სვიანი და ბედნიერი, ღვთის-მოშიში, ტკბილი, სახიერი, ეკლესიათა და მონაზონთა მოყვარე, გლახაკთა და მოჩივართა განმკითხველი. საბერძნეთის მთაწმინდასა, იერუსალიმსა და შავ-მთისა საყდარნი და ეკლესიანი რომელნიმე დარღვეულნი აღაშენნა, რომელნიმე მათითა საფასოთა დაიხსნა ხარკისაგან უცხო თესლთასა. თვით ხელთაგან მის სჯულისა სამსხვერპლოდ ღმრთისა და სიწმინდისა სამსახურად აკერვინებდა, და ეგრე დასდებდის ეკლესიათა იქი და აქა აღმოსავლეთისათაცა შინა“¹.

დავითისა და თამარის ეპოქაში ქართველთა როლზე იერუსალიმის სიწმინდეების დაცვასა და იერუსალიმისადმი მათ განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე ქართულ ისტორიორაფიაში არაერთხელ დაწერილა. მართლაც, ქართულ ეროვნულ იდეოლოგიაში იერუსალიმს განსაკუთრებული ადგილი აქვს. “ახალ იერუსალიმად” მოიხსენიებიან ქართული სულიერი და პოლიტიკური კულტურის ცენტრები მცხეთა და გელათი. ეს არის ქრისტიანული იდეოლოგიის ნაწილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუღებლად მიგვაჩნია ქართულ ისტორიორაფიაში ზოგიერთი ავტორის მიერ განვითარებული მოსაზრება მცხეთის “ახალ იერუსალიმად” წოდების საფუძველად იქ იუდეველთა ტომის ადრინდელი დასახლების არსებობის გამოცხადება, ან კი-

¹ ლაშა გიორგის დროინდელი მატთანე, ცხოვრება დემეტრე მეფისა, ცხოვრება გიორგი მეფისა, ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი, ცხოვრება გიორგი მეფისა თამარის ძისა. “ქართლის ცხოვრება”. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955, გვ. 368.

დევ ასეთი სახელით მოხსენიების მიზეზად იერუსალიმთან მისი მსგავსების მიჩნევა. პირიქით, უნდა ვიფიქროთ, რომ პოლიტიკური და სულიერი ცენტრების მიმსგავსებას იერუსალიმთან, როგორც წმინდა ქალაქთან, თვითონ ადგილობრივი მმართველები ცდილობდნენ.



თამარ მეფე, ვარძიის ფრესკა

XII საუკუნის პილიგრიმთა და სხვა მოგზაურთა ცნობები მდიდარ მასალას შეიცავს იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ. ესპანელი რაბინი ბენიამინ ფონ ტუდელა, რომელმაც 1173 წელს იმოგზაურა იერუსალიმში, წერს: "იერუსალ-

იმი სავსეა ხალხით. ამ ხალხს მაჰმადიანები უწოდებენ იაკობიტებს, სირიელებს, ბერძნებს და ქართველებს და ფრანგებს”¹.

იერუსალიმისადმი ქართველთა დამოკიდებულების გამოსახატად სავსებით საკმარისი იქნებოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ ქართულ და უცხოურ წყაროებში დაცული ცნობების გადმოცემა. ქართველები, მიუხედავად XII საუკუნეში იერუსალიმში შექმნილი მძიმე დაპირისპირებისა, მაინც ინარჩუნებენ თავიანთ გავლენას წმიდა ქალაქში. იოანე ფოკა, რომელმაც 1177 წელს იმოგზაურა იერუსალიმში, წერს: “იერუსალიმის და წინასწარმეტყველ დავითის კოშკის მარჯვენა მხარეს არის მთლიანად ვენახებით დაფარული მთაგრეხილი, მის შედარებით დაბლობ ნაწილზე არის იბერთა მონასტერი”².

XII საუკუნიდან ქართველთა მოღვაწეობას იერუსალიმში ფართო მასშტაბი ეძლევა. ქართველები არა მხოლოდ აშენებდნენ წმინდა მიწაზე ტაძრებს, ან მოღვაწეობდნენ სხვადასხვა მონასტრებში, არამედ ახალ მიწებსაც იძენდნენ, რასაც ადასტურებს 1169 წლის ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტი, რომელიც ინახება იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს არქივში. ამ დოკუმენტის თანახმად, 1169 წელს ჯვრის მონასტრის წინამძღვარს მახარობელს შეუძენია მიწები იერუსალიმში, ჯვრის მონასტრის გვერდით კატამონში³.

¹ The Itinerary of Benjamin of Tudela. Critical text, translation and commentary by Marcus Wathan Adler, London, 1907, p. 34.

² Вирсаладзе Т.Б. Рукопись иерусалимского Крестного монастыря и портрет Шота Руставели, Тб., 1973, с. 54.

³ Phalitzsch Johannes Greaci und Suriani im Palastina der Kreuzfahrerzeit. Beitrage und Quellen zur Geschichte des Griechisch-Orthodoxen Patriarchats von Jerusalem, Duncker. Humboldt, Berlin. 2001.

ქართველები XIII საუკუნეშიც, მაშინ როდესაც იერუსალიმიდან განდევნეს ფრანკები, არათუ ინარჩუნებდნენ გავლენას წმიდა მიწაზე, არამედ განსაკუთრებული უფლებებითაც სარგებლობდნენ. ქართველთა განსაკუთრებული უფლებების შესახებ იერუსალიმში წერს აკრის ეპისკოპოსი იაკობ დე ვიტრი (გარდ. 1240). “იერუსალიმში შეხვდებით ბევრ ქართველ პილიგრიმს წმიდა საფლავზე. ისინი, ყოველგვარი გადასახადის გარეშე, ზეღმართული დროშებით შედიოდნენ იერუსალიმში, ვინაიდან მუსლიმებს დიდი შიში ჰქონდათ ქართველთა საბრძოლო შესაძლებლობების მიმართ”¹.

მაღალი შუა საუკუნეების უცხოური წყაროების ცნობები შეესაბამება ქართულ წყაროებში დაცულ ცნობებს ქართველ მეფეთა აქტიური როლის შესახებ იმ პერიოდის პოლიტიკურ ასპარეზზე, მათი ურთიერთობის შესახებ როგორც დასვლეთის რაინდებთან, ასევე აღმოსავლეთის მუსლიმ მმართველებთან და განსაკუთრებული როლზე ქრისტიანულ სამყაროში.

ქართული სახელმწიფოს ურთიერთობებზე ქრისტიანულ ქვეყნებთან და მის გავლენაზე საერთაშორისო ასპარეზზე მიუთითებენ ქართული საისტორიო ქრონიკები. “ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის” ავტორი გიორგი III შესახებ წერს: “სძღუნობდეს და ამობდეს მას მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი, და ჰრომთანი, და ჰინდოთანი, და ხონელნი; და ეგრეთვე სულტანნი ხორასანისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგვიპტისა და იკონიისანი ჰმონებდეს, და შემდგომნი ამათნი სკვითნი, ხაზარნი, ალანნი, ხუარასანი და ხუარაზმშა, და ბერეთელნი, აბაშნი, არაბნი, მიდნი, ელამიტელნი და შუამდინარელ-

¹ Jakob de Vitriaco, *Historia Orientalis. Gesta Dei Per Francos*, Hanau, 1611, s. 1125. ჯავახია ბ. ჯვაროსანთა ეპოქის ლათინური წყაროები საქართველოს შესახებ. - გივი ჟორდანიძე 90, თბ., 2001, გვ. 232.

ნი, და ყოველნი ენანი და ნათესავნი მაშრიყით მაღრიზამდე”¹. ასეთივე ხასიათის ინფორმაციას შეიცავს ბასილი ეზოსმოდვარის ნაშრომი “ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისი”, როდესაც იგი წერს თამარ მეფის შესახებ: “არა ოდენ თვისსა სამეფოსა შინა იყო კეთილიანობა, არამედ ყოველთა ქრისტიანეთათვის. და რომელნი მძლავრობდეს ქრისტიანეთა, ყოველი მიუძმცნო, რათა აზადად იყვნენ და ფიცხლად დამორჩილდენ შიშითა და სიყვარულითა მისითა. წარავლენდეს სარწმუნოთა თვისთა და დაავედრის ესრეთ: “იწყეთ ალექსანდრიით ყოვლისა თანა ლუბისა, სინისა მთისა და მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ქრისტიანეთა მოიკითხვიდის. ხოლო იერუსალიმისათვის რადლა სახმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდის ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშხუმებსა და სიწმიდეთა საბურავებსა და მონაზონთა და გლახაკათავს ოქროთა აურაცხელთა”².

ასე რომ, ქართული საერო და სასულიერო მწერლობა ნათლად ასახავს XI-XIII საუკუნეების საქართველოს ახალ მდგომარეობას, მის სრულ დამოუკიდებლობას როგორც დასავლეთიდან, ისე აღმოსავლეთიდან. ამდენად, დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველო ავითარებს ახალი რომის კონცეპციას, რაც ასე პოეტურად გამოთქვა იოანე შავთელმა გელათის მიმართ ეპითეტში, როდესაც მას “ახალი რომი” უწოდა და თამარის მიმართ წარმოთქმულ ეპითეტში, როდესაც იგი კვისრად მოიხსენია.

¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. “ქართლის ცხოვრება”. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959, გვ. 22.

²ბასილი ეზოსმოდვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. “ქართლის ცხოვრება”. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959, გვ. 141.

როდესაც “ახალი რომის” კონცეპციის შესახებ ვსაუბრობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისტორიის შედარებით მეთოდს. რომის მემკვიდრეობის პრეტენზია არ ნიშნავს რომში დამკვიდრებას, არამედ ეს არის რომის იდეის გადატანა. ჩვენ შევეცადეთ, ასეთი პროცესის არსებობა დაგვედასტურებინა საქართველოს სინამდვილეში. ახალ რომი - ეს არის სიმბოლო ხელისუფლების გადატანისა, ანუ ახალი დამოუკიდებელი ერთეულის შექმნისა, რომელშიც არსებობს დომინანტი ენაც, ეკლესიაც, სამეფო საგვარეულოც, თუმცა არ არის რაიმე, მხოლოდ ერთი ეთნიკური კუთვნილების გამომხატველი. მაგრამ თანათანობით, ასე ვთქვათ, ქრისტიანული იმპერია - “ახალი რომი” - გარდაიქმნება ნაციონალურ ქალაქად.

როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ეთნიკური იდენტობა შუა საუკუნეებში გამოიხატება სამეფო ხელისუფლების, ენის, სამართლისა და ჩვეულებების შესაბამისად. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ხალხის ამა თუ იმ ნაციონალურ ერთობასთან მიკუთვნებულობა (gens, natio – სისხლი, ტომი) შუა საუკუნეებში განიხილებოდა არა ბიოლოგიურ, არამედ კულტურულ სიბრტყეში.

საქართველოში რომის კონცეპციის არსებობა კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს ერთიან ქრისტიანულ სივრცეში არსებობას და მისი აზროვნების შესატყვისობას ქრისტიანული დასავლეთისა და აღმოსავლეთის სხვა დიდი სახელმწიფოების აზროვნების ფორმებთან. საქართველო დგას არა იმ სახელმწიფოთა გვერდით, რომელთაც ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ მოიპოვეს თავისუფლება, როგორც ეს ხდება აღმოსავლეთ ევროპის მართლმადიდებელ სახელმწიფოებში, სადაც უფრო მესამე რომის კონცეპცია განვითარდა. საქართველო, როგორც ჩანს, რომის სახედ თვითონ ძველ რომს მიიჩნევს. ალბათ, ასეთი მსოფლმხედველობის შედეგი უნდა იყოს ბაგრატიონთა

პირველ სამეუფო ქალაქ არტანუჯში პეტრესა და პავლეს ტაძრის აგება, მსგავსად ძველი რომისა.

“მატიანე ქართლისაის” ტექსტის ჩანართში ვკითხულობთ: “ხოლო აშოტ კურაპალატმან პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველი გორგასაღს ვახტანგს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი. აოხრებული იყო ბაღდადელისა მის ყრუობითგან, იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეცა ციხედ, და წინაწყერძო მისსა, ქუეშეთ, აღაშენა ქალაქი და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდა მოციქულთა პეტრესი და პავლესი და შექმნა მას შინა საფლავი და დაემკვიდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად. და მერმე კუალად ეუფლა ქვეყანათა ვიდრე კარამდე ბარდავის ქალაქისა. და მრავალგზის მისცა აშოტ კურაპალატსა ძლევა და დიდება ბრძოლათა შინა”.¹

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბაგრატიონთა საგვარეულო, როგორც სამეფო დინასტია, სწორედ აშოტ კურაპალატიდან იწყება. მ. ლორთქიფანიძე ბაგრატიონთა გვარის ღვთაებრივი წარმოშობის თეორიას მის სახელს უკავშირებს: “ტაო-კლარჯეთის სამთავრო დიდ სიძლიერეს აღწევს დინასტიის დამაარსებლის აშოტ ბაგრატიონის დროს. აშოტმა თავისი ხელისუფლების ქვეშ ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს დიდი ნაწილი გააერთიანა, იბრძოდა არაბების წინააღმდეგ, იბრძოდა საქართველოს ცენტრალური ნაწილის, შიდა ქართლის დასაპყრობად. აშოტ ბაგრატიონმა ბიზანტიის იმპერატორისაგან კურაპა-

¹ მატიანე ქართლისა. ჩანართი სუმბათის ქრონიკიდან. “ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955, გვ. 253; მსგავსივე გადმოცემა არის სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში: სუმბატ დავითისძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა. “ქართლის ცხოვრება”. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955, გვ. 377.

ლათის ტიტული მიიღო, პრეტენზიებს აცხადებდა “მეფის” ტიტულზე... IX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში მიმდინარეობს ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის. რამდენიმე მსხვილი პოლიტიკური ერთეული ეცილება ერთმანეთს პირველობას. ამ ბრძოლის სათავეში მდგომი სამთავრობო სახლები პოლიტიკური და დიპლომატიური ბრძოლის სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. ბაგრატიონთა გვარი პოლიტიკური აღზევებისთანავე ცდილობს, თეორიულად დაასაბუთოს თავისი ლეგიტიმური უფლებები¹.

საქართველო რომის სივრცეს მარადიულად აღიქვამდა. ქართველი სასულიერო პირები არასოდეს წყვეტდნენ ურთიერთობას რომთან. გარდა იმისა, რომ ქართულ ენაზე ითარგმნებოდა დასავლეთის წმიდა მამათა წერილები, ასევე იქმნებოდა ტროპარები ქართულ ენაზე რომის პაპების მოსახსენიებლად.

რომისადმი, როგორც წმიდა ქალაქისადმი, ქართველთა თაყვანისცემის მაგალითი უნდა იყოს IX საუკუნეში ილარიონ ქართველის ჩასვლა რომში, მოციქულთა პეტრესა და პავლეს წმიდა საფლავზე მოსალოცად: “მიიწია რა ჰრომაელთა დიდად ქალაქად და მრავლითა სურვილითა შეემთხუვა ლარნაკსაი თავთა მათ მოციქულთა პეტრესა და პავლეს, დაჰყუნა მუნ ორისა წლისა ჟამნი და კულად იქცა მიერ კონსტანტინოპოლედ”.²

¹ ლორთქიფანიძე, მ. ლეგენდა ბაგრატიონთა წარმომავლობის შესახებ. - კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 147.

² თსა ნოემბერსა ით დღესა ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა. “საქართველოს სამოთხე”, სრული აღწერა ლუაწლთა და ვნებათა საქართუელოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოგიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის ობრონ (მიხაილ) პავლეს ძის საბინინის მიერ, პეტერბურდი, 1882, გვ. 384.

ქართველ წმიდა მამათა ურთიერთობანი, როგორც სხვადასხვა წყაროებიდან ჩანს, ეკლესიათა შორის მომხდარი განხეთქილების შემდეგაც გრძელდებოდა.

ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი ბერების ცხოვრებიდან ვიგებთ, რომ ამაღლის მონასტრის წარმომადგენლები ინარჩუნებდნენ საუკეთესო ურთიერთობებს ქართველ ბერებთან. ათონის მთის ქართულ მონასტერში თარგმნა ლათინი ავტორების შრომები - გრიგოლ დიდის საუბრები, იან კასიანის წერილები - ბერძნულიდან ქართულად ათონელმა ბერმა ექვთიმემ¹. გიორგი მცირესთან გვხვდება ასევე საინტერესო ცნობა, რომლის თანახმად, ქართველი ბერები განხეთქილების შემდეგაც გამოხატავდნენ პატივისცემას რომის ეკლესიის მიმართ. კონსტანტინე X დუკასთან დისკუსიის დროს გიორგი მთაწმინდელის გამონათქვამში აშკარად ჩანს მისი დადებითი დამოკიდებულება რომის ეკლესიის მიმართ: “ხოლო ჰრომთა ვინაითგან ერთგუის იცნეს ღმერთი, არღაროდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალები შემოსრულ არს მათ შორის. და ვითარცა იგი მაშინ თავმან მოციქულთამან პეტრე შეწირა უსისხლოი იგი მსხვერპლი და უმეტესადღა ღამეს მას სერობისასა, ეგრეთ აღასრულებენ იგინი, და არარაი არს ამას შინა განყოფილები, ოდენ სარწმუნოებაი მართალ იყოს. ხოლო მთავართა მათ ჰრომთა დიდად განიხარნეს, რამეთუ კვალადცა ყოფილ იყო ამის პირისათვის ძიებაი მათ შორის და უსწავლულებით ვერ სიტყვა ეგო მეფისადა. და ეტყოდა წმიდასა: წარგიყვანოთ წინაშე წმიდისა პაპისა”.²

¹ Martin-Hisard B. Kirche und Christentum in Georgien - Die Geschichte des Christentums, Mittelalter, I (642-1054), Herder, Freiburg, Basel, Wien, 2007, S.581.

² გიორგი მცირე, ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმინდელისაი. - ქართული მწერლობა, 1987, ტომი II, გვ. 127.

XIII საუკუნის ქართული სახელმწიფოს ძლიერებისა და ქართული კულტურის ზოგადსაკაცობრიო იდეებთან თანაზიარების მაგალითად ამ ეპოქის რამდენიმე გამოჩენილი პიროვნების დასახელებაც კი იქნებოდა საკმარისი. მაგრამ მსგავსი მაგალითები შორს წაგვიყვანდა, თუმცა შოთა რუსთაველისა და “ვეფხისტყაოსნის” ხსენების გარეშე, ალბათ, თხრობის გაგრძელება წარმოუდგენელია. თვით “ვეფხისტყაოსანი” არის აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში ერთადერთი საერო ნაწარმოები. როგორც ქართველი მეცნიერები მიუთითებენ, ამ დროისათვის ბიზანტიურ სამყაროში ისეთი სახის საერო მწერლობა, როგორც “ვეფხისტყაოსანია”, არ არსებობს.

ერთიანი ქრისტიანული სამყაროს წარმოდგენაზე მეტყველებს ქართულ სამეფო საგვარეულოთა ტიტულატურაში დავით IV-ს დროიდან არსებული ისეთი კომპონენტი, როგორიცაა “მესიის მახვილი”. მ. ლორთქიფანიძის განმარტებით, “დავითის მიერ მოჭრილ სპილენძის მონეტაზე ამოკვეთილი არაბული წარწერა – “მეფეთა მეფე დავითი, ძე გიორგისი, მესიის მახვილი” – დავითის პოლიტიკის აშკარა გამოხატულებაა. ეს ტიტული ბევრ რამეზე მეტყველებს: უწოდებს რა თავის თავს მესიის მახვილს, მეფე აცხადებს, რომ მის საქმიანობას ღმერთი წარმართავს, და ამდენად, მეფის წინააღმდეგ გამოსვლა თვით ღვთის წინააღმდეგ ამხედრებას უდრის”.¹ უნდა დავეთანხმოთ პატივცემული ისტორიკოსის ამ მოსაზრებას, რასაკვირველია, შუა საუკუნეებში სამეფო ხელისუფლება ღვთის განგებით ხორციელდება და მეფის წინააღმდეგ გამოსვლა ღვთის გმობას უნდა ნიშნავდეს. აქვე ავტორი ამ ტიტულატურის მნიშვნელობაზე საუბრისას განმარტავს, რომ ფორმულა “მესიის მახვილი” მიმართუ-

¹ ლორთქიფანიძე მ. საქართველოს მეფეთა ტიტულატურა და მეფედ კურთხევის წესი. – საქართველოს ისტორია, თბ., 2008, გვ. 435.

ლი იყო საგარეო და საშინაო მტრების წინააღმდეგ. ვფიქრობთ, ასეთი ტიტულატურა უნდა მიუთითებდეს უფრო მეტს, ვიდრე საშინაო და საგარეო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაა. ასეთი ტიტულატურა აღნიშნავს ამ ტიტულის მქონე მეფის სრულიად საქრისტიანოს დამცველად და ქომაგად აღქმას. ანუ ამ პერიოდის საქართველოში არსებობს ერთიანი ქრისტიანული სივრცის განცდა, რომლის თავადაც საქართველოს მეფე არის წარმოდგენილი. ეს ემსგავსება იმ ტიტულატურას, რაც დასავლეთის, კერძოდ, გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიაში არსებობდა, რომელთაც თავიანთი სახელმწიფო სრულიად საქრისტიანოდ წარმოედგინათ. ან კიდევ, შეესაბამება ბიზანტიის იმპერატორთა წარმოდგენებს, რომელთაც ასევე სრულიად საქრისტიანოს დედაქალაქად კონსტანტინოპოლი მიაჩნდათ. “მესიის მახვილი”, ვფიქრობთ, შეიძლება შევადაროთ იმ ტიტულატურას, რომელსაც ატარებდნენ დასავლეთის მეფეები, და მისი შინაარსი გამოხატავდა სრულიად საქრისტიანოს წინამძღოლს. ასეთ ტიტულს ატარებდა ფრანკთა იმპერატორი კარლოს დიდი – Rex Christianissimus, ან კიდევ ესპანეთის მეფე კარლოსი – Rex Catholica.

თხრობა საქართველოში რომის კონცეპციის შესახებ გვსურს დავასრულოთ თამარის იამბიკოთი, რომელიც მან ხახულის მონასტრის ღვთისმშობელს მიუძღვნა. იამბიკო ქრისტიანული სულისკვეთებითაა დაწერილი. თამარი აქებს ქართველთა გამარჯვებას და ძლევას მუსლიმთა სამყაროზე და ნათლად გამოხატავს იმ სიდიადეს, რომლისკენაც ისწრაფვოდა მაშინდელი საქართველო:

“ცასა ცათასა დამწყებ არს ღმერთ-მთავრობა.

მე საუკუნობს პირველი და კვალადი

სულმანმან მან ღმერთმან სრულჰყო მოქმდებანი,

სამეხით სრულმან ერთითა ღმრთეებითა,

მიწით პირველის, პირმშოისა კაცისა.
შენ მიერ მისთვის დრკუსა მის განმგებელი
დრკუი მიდრკა უვნებელი ვნებისადმი,
შენგან შობილმან ჩვენ ღირსგყვნა აღმოშობად
ბნელით ნათელსა, ნათელთა მხედველობად.
შენგან, ქალწულო, რომელთა შენთვის დავით
როკვიდა, მისა ღმერთისა ძედ შენდა ყოფად,
მე თამარ, მიწა შენი და მიერივე,
ცხებულობასა ღირს მყავ და თვისობასა.
ედემს, ლადირთად, სამხრით და ჩრდილოეთით
შუამფლობელი იავარს შენდა ვმრთელობ,
ხალიფას დროშა თანავე მანიაკსა
შევრთე, ცრუ-სჯულთა მოძღვრისა ღაზოდ მძღვანი,
ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან.
მოირთხნა, მოსრნა, სულტნითა, ათაბაგით
ერანს ებრძოლეს ჩემ მიერ მისთა სპათა
ჩუენნი მხედარნი, მოსავნნი შენნი, სძალო
მოწყლნეს, მოსწყვიდეს აგარის ნათესავნი.
მუნით მოხმულთა ნიჭითგან ერთსა ამას
შენდა შევწირავ! მიოხე ძეებრ, ღმერთო!”¹

¹ თამარ მეფე, ცასა ცათასა. - ქართული მწერლობა, ტომი III, თბ., 1988, გვ. 378-379.

თავი IV

სხვა რომი ბიზანტიის შემდეგ

მოსკოვი - მესამე რომი?

როგორც უკვე ვთქვით, შუა საუკუნეების რომი ყველაზე სრულყოფილად განსხეულებული იყო კონსტანტინოპოლში. ბიზანტიის იმპერია მთელი თავისი არსებობის მანძილზე თავს რომეების იმპერიას უწოდებდა, ხოლო მისი იმპერატორები რომის ბასილევსების ტიტულს ასრულებდნენ. ბიზანტია, ისევე როგორც თავის დროზე რომის იმპერია, თავის თავზე იღებდა ბარბაროსი ხალხების აღზრდის ფუნქციას. განსაკუთრებული გავლენა იქონია ბიზანტიამ სლავი ხალხების ისტორიის განვითარებაზე. ბიზანტია, რომელმაც თავდაპირველი ერთადერთობის ფუნქცია დაკარგა მთელ ევროპულ სივრცესთან მიმართებაში, მაინც დარჩა ერთადერთი აღმოსავლეთ ევროპაში. კონსტანტინოპოლის მართლმადიდებლურ ეკლესიასა და ბიზანტიის საიმპერატორო კარზე ჩამოყალიბდა ორთოდოქსული თეოლოგია, რომელიც საუკუნეების მანძილზე ევრაზიის დიდ ნაწილზე ერთადერთი იდეოლოგია იყო და რომელმაც განაპირობა ამ სივრცის გარკვეული თავისებურება.

✠ ბიზანტია, შუა საუკუნეების ერთ-ერთი უძლიერესი ქრისტიანული სახელმწიფო, დღეს მსოფლიო რუკაზე არ არსებობს, მაგრამ ბიზანტინიზმი დარჩა სხვადასხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ დოქტრინაში, ხშირად შეფარულად, ან კიდევ გარკვეული ნაციონალური ელემენტების სახით აზროვნებაში.

ბიზანტინიური მემკვიდრეობა და ბიზანტინიზმი შეიძლება განსხვავებულად იყოს წარმოდგენილი - ბიზანტინიზმი

ხელოვნებაში, ბიზანტინიზმი დიპლომატიაში, ბიზანტინიზმი პოლიტიკაში.

ბიზანტინიზმი უფრო მეტად გაიაზრება, როგორც პოლიტიკური, იმპერიული აზროვნება, თუმცა თვით ეს საკითხი სრულიად საპირისპიროდ არის განსაზღვრული სხადასხვა დროს, სხვადასხვა მეცნიერის მიერ. ბიზანტინიზმის მთავარ მახასიათებლად მიჩნულია ბიზანტიელთა მტკიცე ერთგულება მართლმადიდებლობისა და ეკლესიისადმი.

დასავლეთის სამეცნიერო წრეებში მეტად დიდია ინტერესი ბიზანტიური მემკვიდრეობის შესწავლის მიმართ. ასევე განსაკუთრებულია ამ საკითხით დაინტერესება რუსულ სამეცნიერო ლიტერატურასა და პოლიტიკურ აზროვნებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიური მემკვიდრეობისადმი ინტერესი აშკარად არის გამოკვეთილი რუს კულტურის მოღვაწეთა შემოქმედებაში. არსებობს რამდენიმე ფილმი¹ ბიზანტიის ისტორიისა და ხელოვნების შესახებ, სადაც აშკარად იკვეთება რუსეთის პოლიტიკური ამბიციები ბიზანტიის მემკვიდრეობის მიმართ. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ყოფილიყო რუსეთში ბიზანტიის ისტორიისადმი განსაკუთრებული ყურადღების ერთ-ერთი მთავარი მოტივი, რომელმაც, მიუხედავად ყველაფრისა, მოგვცა ბიზანტინისტთა ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა მსოფლიოში.

ბიზანტიის მემკვიდრეობის საკითხი, უპირველესად, მაინც ბერძნულ სამყაროში დგას, სადაც ბიზანტიის ისტორია, არცთუ ისე იაშვიათად, წარმოდგენილია, როგორც შუა საუკუნეებ-

¹ Византия прикровенная империя. Автор сценария и ведущий Ю. Воробьевский, Видеоприложение к книге Ю. Воробьевского «Наступить на аспида», 2000, Видеофильм, 2005; Гибель Империи, Византийский урок. Автор сценария и ведущий Архимандрит Тихон (Шевкунов), Режиссер-постановщик Димитрий Зинченков, Телеканал Россия, 2008.

ის საბერძნეთის ისტორია¹. რასაკვირველია, ბერძენი ისტორიკოსებისა და მოაზროვნეების ასეთი პრეტენზია სრულიად გასაგებია, რადგან ბიზანტია VII საუკუნიდან ბერძნულენოვანი იმპერია იყო. როგორც შუა საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროები, ასევე სხვა თანამედროვენი მას ხშირად საბერძნეთად მოიხსენიებდნენ. თუმცა ის არასოდეს ყოფილა რაიმე ნაციონალური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელიც რომელიმე ეთნოსის მიერ იქნებოდა ორგანიზებული. პირიქით, მას მუდმივად ჰქონდა მრავალეთნიკურობის პრეტენზია, უფრო სწორად, მისი იდენტობის მარკერი უფრო მართლმადიდებლობა იყო, ვიდრე ეთნიკური მიკუთვნებულობა.)

ბიზანტინიზმის გამოვლინებად, ბიზანტიის იმპერიის გაგრძელებად ხშირად წარმოდგენილია კონსტანტინოპოლის პატრიარქი, ან კიდევ ათონის მთის მონასტერი. ბიზანტია იყო ქვეყანა, რომელიც თავს რომის იმპერიისა და ელინური კულტურის ერთადერთ მემკვიდრედ მიიჩნევდა, მისი მთავარი მახასიათებელი ის იყო, რომ მისი დედაქალაქი ქრისტიანობის დედაქალაქი გახლდათ, კონსტანტინოპოლის პატრიარქი კი – მსოფლიო პატრიარქი.

ბიზანტია, რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე თავს რომეების იმპერიას უწოდებდა და მისი დედაქალაქი მოიხსენიებოდა, როგორც ახალი რომი, თავის პოლიტიკურ დოქტრინაში წარმოდგენილი იყო როგორც ერთადერთი იმპერია, მისი იმპერატორი კი – როგორც ღვთის ნების გამახორციელებელი ერთადერთი მონარქი. ამდენად, ბიზანტიის მემკვიდრეობისათვის ბრძოლა, მისი დაცემის დღიდან, წარმოადგენდა ბრძო-

¹Παπαρρηγοπουλος Κ. Ιστορία του Ελληνικού εθνους από των αρχαιοτατων χρόνων μέχρι των νεωτερων, 1860–1877; Λαμπρου Σπ. Ιστορία της Ελλάδος μετ εικονον απο των αρχαιοτατων χρόνων μέχρι της αλωσεως τη ζ Κωνσταντινοπολεως, 1886–190.

ლას რომის მემკვიდრეობისათვის, ანუ მსოფლიოს უპირველესი იმპერიისათვის, ქვეყნისათვის, სადაც არსებობდა დოქტრინა ერთი ღმერთისა და ერთი იმპერატორის შესახებ. თვით ბიზანტიის ისტორია დაიწყო კონსტანტინე დიდით, რომელსაც, როგორც იმპერატორს, გადაეცა ღვთისაგან ჯვარი, რაც გახდა სიმბოლო მისადმი ღვთის მიერ ხელისუფლების ბოძებისა. ეს საკითხი თანდათან უფრო და უფრო მკიდრდებოდა ბიზანტიის სახელმწიფო დოქტრინაში.

ბიზანტიურ აზროვნებაში რომის იმპერატორის ტიტულის ფლობა მიანიშნებდა ამ სახელმწიფოს ერთადერთობას. რომის მემკვიდრეობაზე პრეტენზიამ, რომელიც, უპირველესად, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს ქონდათ, ევროპაში ნაციონალური სახელმწიფოების წარმოქმნასთან ერთად, აშკარად გამოავლინა დასავლეთის ნეგატიური დამოკიდებულება ბიზანტიისადმი. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა შუა საუკუნეების რომთან ანუ ბიზანტიასთან დასავლეთის გარკვეული უარყოფითი მიმართება, რაც გამოიხატა ან საერთოდ მისი არსებობის იგნორირებით, ან მისი წარმოდგენით, როგორც მხოლოდ მართლმადიდებლური ჩაკეტილი და არაპროგრესირებადი გაერთიანებისა. ჯერ კიდევ რენესანსის ეპოქის ისტორიკოსები, ჰუმანისტები ცდილობდნენ აღმოსავლეთ რომის იმპერიის დაკნინებას. ამ დროიდან მკვიდრდება მისი დასახელება ბიზანტიად და არა რომის იმპერიად, ისე როგორც მას ერქვა შუა საუკუნეებში და ისე, როგორც თვითონ ბიზანტიელები უწოდებდნენ თავიანთ თავს. ამის მიზეზი, უპირველესად, უნდა ყოფილიყო დასავლეთის პრეტენზია, რომ ის თვითონ იყო ანტიკური რომისა და ელენისტური კულტურის ერთადერთი მემკვიდრე. ამას, ალბათ, ემატებოდა მათი დანაშაულის თუ უსუსურობის შეგრძნება, რომელიც გაჩნდა ჰუმანისტებში დასავლეთის მიერ გამოჩენილი

არათანმიმდევრული პოლიტიკის გამო, ბიზანტიის ქრისტიანული სახელმწიფოს მუსლიმთა მიერ დაპყრობის პერიოდში.

როგორც მ. ჰოფმანი წერს, ბიზანტიის ისტორიის შესწავლისას დაშვებულია ორი შეცდომა: პირველი – ნავარაუდევია ინტელექტუალური პაუზა ძველ რომსა და რენესანსის ეპოქას შორის, მეორე – ის ემიჯნება დასავლეთ ევროპას¹.

პროტოპრესვიტერის იოანე მეიენდორფის აზრით, ბიზანტინიზმის და ბიზანტიური მემკვიდრეობის შესასწავლად ძალიან მნიშვნელოვანია, უპირველესად, გავერკვეთ თვითონ ბიზანტიური საზოგადოების ფორმებსა და ბიზანტიური ცივილიზაციის მახასიათებლებში, რადგანაც ხშირად ავტორები სცოდავენ თვით ამ პრობლემის არასწორი გაგების გამო.

“როდესაც რუსეთში ბიზანტინიზმზე ვსაუბრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ ესმით ამ ავტორებს თვითონ ბიზანტინიზმი, ანუ როგორია მათი წარმოდგენები ბიზანტიურ კულტურაზე, ბიზანტიურ იდეოლოგიასა და სახელმწიფო სტრუქტურაზე”².

ი. მეიენდორფს მაგალითად აქვს დასახელებული ვ. ვალდენბერგისა და რ. ჯენკინსის შეფასებები რუსეთში ბიზანტიური მემკვიდრეობის შესახებ. ვ. ვალდენბერგის დასაბუთებით, რუსეთმა ბიზანტიელებისაგან გადმოიტანა იმპერატორის ხელისუფლების შეზღუდვის იდეა და მისი დამორჩილება მაღალი რელიგიური ღირებულებებისადმი, რომელსაც იცავდა ეკლესია. განსხვავებულად ესმოდა ბიზანტია და მისი გავლენა

¹ Hoffman M. The History of Anthropology Revisited – A Byzantine Viewpoint. *American Anthropologist*, 75, 1973, p. 1347A.

² Протоиерей Иоанн Мейендорф, *Византия и Московская Русь. – История церкви и восточно-христианская мистика*, М., 2003, с. 411.

რუსეთზე რ. ჯენკინსს¹. ის თვლიდა, რომ ბიზანტიაში იმპერატორი ფლობდა აბსოლუტურ ძალაუფლებას, რაც გადმოიღეს რუსებმა.

ბიზანტინიზმის, როგორც მმართველობის პოლიტიკური სისტემის დახასიათებისათვის აუცილებელია ბიზანტიის იმპერიის მმართველობის სისტემის, მისი ადმინისტრაციული მოწყობის, საიმპერატორო და საეკლესიო ხელისუფლებათა ფუნქციებისა და უფლებების გადანაწილების პრინციპის წარმოდგენა ბიზანტიურ სამართლის დოკუმენტებსა და საიმპერატორო კარის ტრაქტატების შესაბამისად. ასეთი სახის დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავდნენ იმპერატორის უფლებებს, იქნებოდა ბიზანტიის ისტორიის მნიშვნელოვან ეტაპზე, რომელთა შორის მნიშვნელოვანია იმპერატორ იუსტინიანეს, ისავრიელების და მაკედონელების ზეობის ხანაში შექმნილი კანონები.

ბიზანტინიზმისა და ბიზანტიური მემკვიდრეობის განხილვის დროს მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ის დაპირისპირება და განსხვავებულობა, რომელიც ჩამოყალიბდა შუა საუკუნეების ევროპის კონტინენტზე. ეს იყო ევროპაში ორი განსხვავებული სივრცის - მართლმადიდებლურისა და კათოლიკურის ჩამოყალიბება, ორი ქრისტიანული მიმდინარეობის შესაბამისად. ასეთი სახის განსხვავებულობის გამო, ევროპელი მკვლევრები თითქმის დღემდე ბიზანტიას წარმოადგენდნენ არაევროპულ სახელმწიფოდ. მათი აზრით, ევროპა, როგორც ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცე, თავდაპირველად ყალიბდება XI საუკუნის შემდეგ და მისი ერთ-ერთი ძირითადი გამაერთიანებელი იყო კათოლიციზმი და კათოლიკური ეკლესია რომის პაპის მეთაურობით.

¹ Jenkins R. J. H. *De Administrando omperio*, Dumbarton Oaks Text. I-II, Washington D.C. 1967, p. 45-[http://www.jsror.org/sici?sici=0075; www.the-orb.net/bizantinewesk.html](http://www.jsror.org/sici?sici=0075;www.the-orb.net/bizantinewesk.html).

რომის მემკვიდრედ თავის გამოცხადება დასავლეთის სივრცეში იწყება ბიზანტიისადმი დაპირისპირებით, მაშინ, როდესაც დასავლეთში აღმოცენდა ფრანკთა ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო კარლოს დიდის მეთაურობით. კარლოსის მიერ 800 წელს რომში გვირგვინის კურთხევა უკვე იყო იმპერიის გადატანა დასავლეთში - *translatio imperii*.

კარლოს დიდის გაძლიერებამ, ბიზანტიის შიგნით მიმდინარე დაპირისპირებებმა და იკონოკლასტურმა მოძრაობამ, აღმოსავლეთიდან არაბთა განუწყვეტელმა შეტევებმა შექმნა პირობები დასავლეთში ფრანკთა გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის. ფრანკებმა ასევე ისარგებლეს რომის პაპის და ბიზანტიის იმპერატორების დაპირისპირებით და თვითონ დაუახლოვდნენ რომის პაპებს. ამდენად, ქრისტიანულ სამყაროში ერთიანი იმპერიისა და ერთი იმპერატორის იდეას საშიშროება შეექმნა. დასავლეთში აღმოცენდა ახალი - ფრანკთა იმპერია, რომელსაც თავი რომის იმპერიის მემკვიდრედ წარმოედგინა.

ბიზანტია, ანუ ქრისტიანული რომი არ აღიარებდა ფრანკთა იმპერატორის ტიტულს, მაგრამ ფრანკებმა უგულბებლად იყენებდნენ რომის იმპერატორის მოთხოვნები და უფრო შორსაც წავიდნენ: საფუძველი ჩაუყარეს რელიგიურ დაპირისპირებასაც, რაც საბოლოოდ XI საუკუნის შუა ხანებში გაფორმდა ევროპის გაყოფით კათოლიკურ და მართლმადიდებულ სივრცედ, ანუ აღმოსავლეთად და დასავლეთად. რომის მემკვიდრეობის პრეტენზიით, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, გერმანიის მეფეები რომის იმპერატორების ტიტულს ატარებდნენ და თვითონ გერმანიის სახელმწიფო შუა საუკუნეებში მოიხსენიებოდა როგორც გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერია. ამ დროიდან დაიწყო დასავლეთმა ბრძოლა ბიზანტიის, ანუ რომის მემკვიდრეობისათვის.

არსებობდა ბიზანტიის მემკვიდრეობაზე პრეტენზიის გამოცხადების სხვადასხვა ფორმა. ეს შეიძლება ყოფილიყო როგორც ბიზანტიის სივრციდან გამოსვლა და თავის სახელმწიფოში სამეფო ტიტულის დამკვიდრება, ასევე ბიზანტიური კარის ტიტულების უარყოფა, ან კიდევ ბიზანტიის სამეფო კართან დანათესავება.

ბიზანტიის საიმპერატორო კარი მკაცრად განსაზღვრავდა სხვა სახელმწიფოებთან მიმართების ეტიკეტს, იმას, თუ როგორი სახით უნდა მოეხსენიებულყვნენ ოფიციალურ დოკუმენტებში მეზობელი ქვეყნების მმართველები. ამ დოკუმენტებში არც ერთი ქვეყნის მმართველი არ მოიხსენიება იმპერატორის ტიტულით, ასეთი შემთხვევა წარმოუდგენელი იყო მათთვის. ამ წყაროებში უცხო ქვეყნის მმართველები იშვიათად არიან მოხსენიებული მეფეებად. მათ, ძირითადად, მთავრებად, ანუ არხონტებად მოიხსენიებენ.

ბიზანტიური იდეოლოგია ერიდებოდა საიმპერატორო ოჯახის წევრების უცხო ქვეყანაში გათხოვებას. ეს ეხებოდათ განსაკუთრებით იმპერატორების ქალიშვილებს. ამდენად, ისინი ხშირად მხოლოდ სამონასტრო ცხოვრებისთვის იყვნენ განწირულნი. იმპერატორის ასულის უცხო ქვეყანაში გათხოვების გამონაკლის შემთხვევას მიუთითებს ბიზანტიის მატიანე. ეს იყო ბასილი II-ის დის ანას გათხოვება რუსეთში, X საუკუნის ბოლოს, და მაშინაც, როდესაც მოწითშობილი ქალბატონი უცხოეთში გაათხოვეს, მამამისი უკვე აღარ იყო ტახტზე. დანარჩენი ცნობილი შემთხვევებისას კი, როგორცაა თეოფანოს გათხოვება გერმანიის სამეფოში, ოტო II-ზე, მარიამის და ბაგრატ IV დაქორწინება, ან კიდევ სოფიო პალეოლოგის დაქორწინება ივანე III-ზე, არც ერთი დედოფალი არ იყო იმპერატორის ასული,

ისინი საიმპერატორო ოჯახიდან იყვნენ, მაგრამ არა იმპერატორების ასულები!

√ ბიზანტიის იმპერიის დაცემის დროიდან ფრიად საინტერესოა სხვადასხვა ავტორთა სიმბოლური ჩანაწერები. ჩვენ, რასაკვირველია, არ განვიხილავთ იმპერიის დაცემის მიზეზებს, მით უფრო, მათ შესახებ შუა საუკუნეთა ეპოქის მწერლები ცალსახა პასუხს იძლევიან. ისინი განმარტებულია ქრისტიანული მოძღვრების მოტივით, რომლის თანახმადაც, უბედურება და განსაცდელი ადამიანებს ეწევათ ცოდვებისათვის. მაგრამ ამ ჩანაწერებში საინტერესოა სიმბოლური მითითებანი. შუა საუკუნეების ავტორები, რომლებიც სამყაროს აღსასრულის და მეორედ მოსვლის მოლოდინში იყვნენ, მიუთითებდნენ, რომ კონსტანტინოპოლის დაცემა სამყაროს აღსასრულის მოახლოების დამადასტურებელი იყო. ~

¹ მართალია ბიზანტიური წყაროებში არ არის ცნობა თეოფანოს, როგორც იმპერატორის ასული შესახებ, თუმცა დასავლური წყაროების მონაცემებით, ის იყო ანას, ბასილის და კონსტანტინეს და, ანუ რომანოზ II-ის ქალიშვილი. X საუკუნის ისტორიკოსი, აბატი რეგიონ პრუმენსელი (გარდ. 981წელს) წერს – ოტო I –მა გააგზავნა კონსტანტინოპოლში თავისი ელჩი ბერძენთა იმპერატორთან, თავისი ვაჟის ოტოს დაქორწინების მიზნით იმპერატორ ნიკოფორეს გერზე, იმპერატორ რომანოზის ასულზე – *Dominus imperator nuntium suum eidem Grecorum imperatori pro conjungendain matrimonium suo filio regi Ottoni privigna ipsius Nicefori filia scilicet Romani imperatoris, Constantinopolim digrit – Reginonis Abbatis Prumiensis Chronicon cum Continuatione Treverensi*, ed. F. Kurze, Hannover, 1890 - *Vasiliev A. A. Hugh Capet of France and Byzantium – Dumbarton Oaks Paper, Vol. 6*, 1951, p. 234; დასავლურ წყაროებში ასევე არის აღნიშნული, რომ ის იყო იოანე ციმისხოსის მძისწული. – *Nepotem Johanni Constantino-politano imperatori qui cognominatos est Cimiski – Annales Castnates, Monumenta Germanica SS, III, Vasiliev A. A. Hugh Capet of France and Byzantium – Dumbarton Oaks Paper, Vol. 6, 1951, p. 240*

პატრიარქი გენადი, რომელიც ოსმალების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ჩაუდგა სათავეში მსოფლიო საპატრიარქოს, მიუთითებდა რომ, რადგანაც მისი დაკვირვებების მიხედვით, სამყაროს აღსასრული მოსალოდნელი იყო მისი დაარსებიდან 7000 წლის შემდეგ, ეს უკვე ძალიან ახლოს იყო და 1492 წელს მოხდებოდა, რადგანაც ბერძნული ეკლესია სამყაროს შექმნის თარიღად მიიჩნევდა 5009-08 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. პატრიარქ გენადის ნაწერებშივე ჩნდება პირველი სიმბოლური მითითებები, რომ ბიზანტიის სახელმწიფო დააარსა კონსტანტინე დიდმა, წმინდა ელენეს ვაჟმა, ასევე იგი აღესრულა ისევ კონსტანტინე ელენეს ძის დროს. ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის კონსტანტინე დრაგაშეს დედა იყო სერბეთის მეფის ასული ელენე. საინტერესოა მის მიერ მინიშნებული სხვა დამთხვევებიც. კონსტანტინოპოლი დაარსდა მაისის თვეში (333 წლის 11 მაისი) და ასევე დაეცა მაისის თვეში (1453 წლის 29 მაისი); კონსტანტინოპოლის პირველი პატრიარქი კონსტანტინე დიდის დროს იყო მიტროფანე და, მისი აზრით, უკანასკნელი პატრიარქის სახელიც იყო მიტროფანე, რომელიც გარდაიცვალა 1443 წელს. მართალია, კონსტანტინოპოლის დაცემის დროს კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტი დაქვრივებული იყო, მიტროფანეს შემდეგ კონსტანტინოპოლის პატრიარქი იყო გიორგი III, რომელიც აღესრულა ფლორენციაში, უნიატური კრების მიმდინარეობისას. სწორედ იმიტომ, რომ გიორგი III გაემგზავრა უნიატურ კრებაზე, გენადი, რომელიც უნიის კატეგორიული მოწინააღმდეგე იყო, მას პატრიარქად არ თვლიდა.

მსგავსი მითითებები პირველი და უკანასკნელი იმპერატორების სახელების დამთხვევისა არის თანამედროვეთა სხვა წერილებში, სახელდობრ, კარდინალ ისიდორეს წერილში რომის პაპისადმი, რომელიც კარდინალმა კონსტანტინოპოლის დაცემისთანავე გაგზავნა; ასევე ვენეციელი ქირურგის ნიკოლო

ბარბაროს დღიურში და ჰიოსის ეპისკოპოსის ლეონარდოს მიერ პაპისადმი გაგზავნილ წერილში.

ბიზანტიელი ისტორიკოსი მიხეილ კრეტობულოსი გადმოგვცემს კონსტანტინოპოლის დაცემის წინ ქალაქში მომხდარ სასწაულებს, რომლებიც, თანამედროვეთა აზრით, უბედურების მომასწავებელი იყო. ბრძოლის დაწყებამდე სამი-ოთხი დღით ადრე, როდესაც ქალაქის მთელი მოსახლეობა გარს უვლიდა ქალაქს ღვთისმშობლის ხატით ხელში¹, მოულოდნელად, ყოველგვარი მიზეზისა და ძალდატანების გარეშე, მომლოცველებს ხატი ხელიდან გაუვარდათ. მლოცველები მივარდნენ მიწაზე დაცემულ ხატს, რათა წამოეყენებინათ, მაგრამ ძერაც ვერ უყვეს, იგი ტყვიასავით დამძიმდა, გეგონებოდათ, მიწას შეეზარდაო. ეს დიდხანს გაგრძელდა. მხოლოდ დიდი ძალისხმევით, ხმამაღალი შემახილებითა და ლოცვებით, იქ მყოფმა სასულიერო პი-

¹ეს ხატი, რომელიც ითვლებოდა იოანე ღვთისმეტყველის მიერ შექმნილად, კონსტანტინოპოლის განსაკუთრებული მფარველი იყო. გადმოცემის თანახმად, მედჰმედ II-მ კონსტანტინოპოლში შესვლის შემდეგ გაანადგურებინა ის. თუმცა არსებობს სხვა გადმოცემაც, რომლის თანახმადაც, ხატი თავდაპირველად ინახებოდა პანტოკრატორის ეკლესიაში და როდესაც ეს ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს, მონაზვნებმა ხატი იქ დატოვეს. კედელში გადამალეს. რამდენიმე წლის შემდეგ ხატი აღმოაჩინა მეჩეთში მოღვაწე სასულიერო პირმა და გადასცა თავის ახლობელ ქალს, რომელმაც მიყიდა ხატი ბერძენ ბერს, სახელად გაბრიელს, იერუსალიმის საპატრიარქოს პროტოსინგელს. მონაზონმა გაბრიელმა ხატი, რომლის, როგორც კონსტანტინოპოლის მფარველის სინამდვილე დაუდასტურა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა პასიუსმა, საჩუქრად გადასცა რუსეთის მეფეს ალექსი მიხეილის ძეს, პეტრე დიდის მამას, 1650 წელს. იხ. Б.Л. Фонкич, Привоз в Москву иконы “Богоматерь Влахернская”, Многоценное сокровище. Иконы Богоматери Одигитрии Влахернской в России, М., 2005, с. 12-14, 17-20. Michalopoulos D. Moscow, The third Rome.- Russian Studies, International Journal, No. 3, 2009; - <http://www.radtr.net/dergi/sayi3/moscowrome.htm>

რებმა შესძლეს, წამოეწიათ ხატი და მხრებზე დაესვენებინათ. იმავე დღეს, პროცესიამ ვერ მოასწრო გაევილო სულ ცოტა მანძილი, რომ გაისმა საშინელი ჭექა-ქუხილის ხმა, იელვა და წამოასხა ძლიერმა წვიმამ საშინელი სეტყვით, ისე რომ სასულიერო პირებმა, ხატისმტვირთველებმა და ხალხმა ვერ შეძლეს ნაბიჯის გადადგმა, ნიაღვარმა და სეტყვამ გზა გადაუღობა მათ. რომ არა პროცესიაში მონაწილე მამაკაცების ძალისხმევა, მოვარდნილ ნიაღვარს შეეძლო გაეტაცა მათთან მყოფი ბავშვები. წვიმისა და სეტყვის ეს ერთობლივი მოვარდანა ბერძნებს ცუდად ენიშნათ, ეს მათ მალე განადგურებას უწინასწარმეტყველებდა.

კიდევ ერთი სასწაული, რომელიც მომავალი უბედურების მიმანიშნებელი იყო, გადმოცემულია მიხეილ კრიტობულოსის მონათხრობში. დაცემის წინა დღეს ქალაქი დილიდან საღამომდე ღრუბლებით დაიფარა და ბურუსში იყო გახვეული, ეს, კრიტობულოსის აზრით, მიანიშნებდა იმაზე, რომ ქალაქი ღვთისგან იყო მიტოვებული¹.

კონსტანტინოპოლის დაცემა 1453 წელს ბიზანტიის იმპერიის აღსასრული აღმოჩნდა, მაგრამ როდესაც მის მემკვიდრეობაზე ვსაუბრობთ, არ გვსურს უყურადღებოდ დავტოვოთ იმპერიის უკანასკნელი იმპერატორის დინასტიური მემკვიდრეობის საკითხი. ეს საკმაოდ რთულია, რადგანაც ამ იმპერიის მემკვიდრეობაზე პრეტენზიას აცხადებდნენ როგორც პიროვნებები, რომელთაც დინასტიური ნათესაობით ჰქონდათ უფლება იმპერატორის გვირგვინზე, ასევე ცალკეული ქვეყნები, რომლებიც თავიანთ თავს ამ იმპერიის ნაწილად და მემკვიდრედ მიიჩნევდნენ. ბიზანტიის იმპერატორის გვირგვინზე ასევე პრეტენზიას აცხადებდნენ დასავლეთში დევნილი მმართველები, IV ჯვ-

¹ Kritovoulos, *History of Mehmed the Conqueror*, Princeton, 1954, Runciman S. *The Fall of Constantinople in 1453*, Cambridge, 1969, p. 24.

როსნული ლაშქრობის შემდეგ დაარსებული ლათინთა იმპერი-
ისა (1204-1261) და სხვა ლათინური პოლიტიკური ერთეულების
მმართველთა შთამომავლები და ნათესავები.

რაც შეეხება თვითონ სამეფო ოჯახს, ბიზანტიის უკანას-
კნელი იმპერატორი უშვილოდ აღესრულა კონსტანტინოპოლის
კედლებთან, 1453 წლის 29 მაისს. მიუხედავად იმისა, რომ ის
ორჯერ იყო დაქორწინებული, მას ამ ქორწინებებიდან მემკვიდ-
რე არ ყოლია. მესამე ქორწინება, რომელიც უნდა შემდგარიყო
საქართველოს მეფის გიორგი VIII ასულზე, ჩაიშალა. სადედოფ-
ლო, რომელიც უკვე უნდა გამგზავრებულიყო კონსტანტინო-
პოლში, სრულიად უიღბლო აღმოჩნდა, რადგან იმ დროისთვის,
როდესაც ის უკვე მზად იყო გასამგზავრებლად, არა მხოლოდ
მისი საქმრო არ იყო ცოცხალი, არამედ ის სახელმწიფოც აღარ
არსებობდა, სადაც ის უნდა გათხოვილიყო.

იმპერატორს დარჩა ორი მძა - დიმიტრი და თომა, რომლე-
ბიც კონსტანტინოპოლის აღების დროს მორეას სამთავროს მარ-
თავდნენ. კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ თომა დასავე-
ლეთში, რომის პაპთან გაიქცა, ხოლო დიმიტრის, რომელიც უფ-
რო ლოიალური იყო თურქებისადმი, სულთანმა სხვა ტერიტო-
რიაზე მისცა მიწები, თუმცა მალე იქიდანაც გადაასახლეს. მოგ-
ვიანებით დიმიტრი და მისი მეუღლე მონაზვნებად აღიკვეცნენ.
დიმიტრი გარდაიცვალა ადრიანოპოლში, მონასტერში, 1470
წელს და რამდენიმე თვეში მას მეუღლეს მიჰყვა. მათი ერთა-
დერთი ქალიშვილი ელენე თავიდანვე სულთანმა ჩარიცხა თა-
ვის ჰარემში, თუმცა მას მისცეს უფლება, ეცხოვრა ადრიანოპ-
ოლში საკუთარ სახლში, სადაც ის აღესრულა მისი მშობლების
გარდაცვალებამდე¹.

¹ Runciman S. The Fall of Constantinople in 1453, Cambridge, 1969, p.
149.

დასავლეთში გაქცეულ თომას მალევე საპატიო მიღება მოუწყვეს პაპის კარზე. თომამ რომში ჩაიტანა ანდრია მოციქულის თავი. პაპმა, თავის მხრივ, იგი ოქროს ვარდის ორდენით დააჯილდოვა, მას დაენიშნა დახმარება პაპისა და კარდინალებისაგნ. მისი ცოლი რომში არ ჩასულა, ის გარდაიცვალა კუნძულ კორფუზე, ხოლო მათი შვილები ჩავიდნენ რომში. თომა გარდაიცვალა 1465 წელს, კათოლიკედ. ის რომში კათოლიკედ მოინათლა.

თომას ოთხი შვილი დარჩა: ორი ქალიშვილი და ორი ვაჟი. მისი უფროსი ქალიშვილი ელენე სრულიად პატარა ასაკში გაათხოვეს ლაზარ III ბრანკოვიჩზე, რომელთანაც შეეძინა სამი ქალიშვილი; მათგან ერთ-ერთი, ელენე მისთხოვდა ბოსნიის მეფეს სტეფანეს, მეორე, მილიცა კეფალონიის მმართველზე ლეონარდო III ტოკოზე გათხოვდა, ხოლო მესამე, ირინე, ალბანეთის მმართველის სკანდბერგის ვაჟზე, იოან კასტრიოტზე დაქორწინდა. მათი ბედი ისეთივე ტრაგიკული აღმოჩნდა, როგორც მათი წინაპრებისა.

მეორე და, ზოია გათხოვდა თავდაპირველად იტალიელი არისტოკრატზე კარაჩელოს გვარიდან, მაგრამ მალევე დაქვრივდა. 1472 წელს, რომის პაპის აქტიური მცდელობით¹, ის მიათხო-

¹ რომის პაპის დაინტერესება ამ ქორწინებით გამოწვეული იყო მისი ინტერესით, აღედგინა ფლორენციაში დადგენილი უნია კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის. როგორც ჩანს, ზოია პალეოლოგის რუსეთში გათხოვების იდეის სულისჩამდგმელი იყო კარდინალი ბესარიონი, ნიკეის ყოფილი მიტროპოლიტი, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა ფერარა-ფლორენციის კრების მიმდინარეობის დროს. პირველი წერილი სწორედ მას გაუგზავნია მოსკოვის დაქვრივებული მთავრისათვის. - Соловьев С. М. История России с древнейших времен, Сочинения, т.5, кн. III, М. 1989, с.54. საერთოდაც პაპებს, როდესაც ცდილობდნენ დაკავშირებოდნენ აღმოსავლეთის მმართველებს, ყოველთვის ქონდათ განსაკუთრებული მიზნები. აღმოსავლეთის საიმპერატორო ხელისუფლებასთან დაკავშირებისას, ისინი ცდილობდნენ აღედგინათ ე. წ. რომის

ხოვეს რუსეთის დიდ მთავარ ივანე III-ს, სადაც ის მაშინვე მოექცა მართლმადიდებლობაზე და სახელი შეიცვლა. რუსეთის ისტორიაში ის ცნობილია სოფია Fთეოდორეს ასულის სახელით. სოფიას შეეძინა ორი შვილი, ვაჟი ვასილი, რომელიც რუსეთის დიდი მთავარი გახდა ვასილი III სახელით და ქალიშვილი, რომელიც გათხოვდა პოლონეთის მეფეზე ალექსანდრ იაგელონზე და კათოლიკე გახდა, პოლონური სამეფო საგვარეულოს შესაბამისად. სოფიო თეოდორეს ასულის რუსეთი ტახტის მფლობელზე გათხოვებამ რუსეთში განამტკიცა აზრი ბიზანტიის მემკვიდრეობაზე, თუმცა ეს პრეტენზია მათ ისედაც ქონდათ, რადგანაც ბიზანტიის იმპერატორის ასული ხუთი საუკუნით ადრე გათხოვდა რუს მთავარ ვლადიმირზე. მთავარი მიზეზი, რაც რუსეთს აძლევდა საბაბს, თავი გამოეცხადებინა ბიზანტიის მემკვიდრედ, ის იყო, რომ ბიზანტიას უკვე არ ჰყავდა იმპერატორი, თანაც რუსეთი რჩებოდა აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყარ-

იმპერიის ერთიანობა, რაც გამოიხატებოდა რომის იმპერატორის და რომის პაპის ხელისუფლებათა გაერთიანებაში. ასეთი იყო რომის პაპის მიხანი 1274 წელს, როდესაც მან გააფორმა უნია ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ VIII-თან, მსგავსივე იყო პაპების მიზნები ფერარა ფლორენციის საეკლესიო კრებაზე (1437-39) ბიზანტიის იმპერატორი იოანე VIII-თან მიმართებაში. - ჯავახია ბ. ლიონის II საეკლესიო კრება და პირველი საეკლესიო უნია. თბილისის სასულიერო აკადემიის შრომები, I, თბ., 2009, გვ. 137; სოფია პალეოლოგის ივანე III-ზე დაქორწინებისასაც რომის პაპი კონკრეტულ მიზნებს ისახავდა: ეს იყო ივანე III-ს კათოლიციზმზე მოქცევა, რის შედეგადაც ის შეძლებდა ისეთი ვრცელი სივრცის შემოერთებას, როგორც იყო რუსეთი. პაპების მიზანს ასევე წარმოადგენდა რუსეთის ჩართვა ანტიოსმალურ კოალიციაში. პირველი ასეთი მიმართვა ანტიოსმალურ კოალიციაში რუსეთის ჩართვის თაობაზე ეკუთვნის მიტროპოლიტ ზოსიმეს, რომელმაც 1492 წელს ოფიციალურად აიღო ახალი კონსტანტინოპოლის პატრიარქის ტიტული. მიტროპოლიტმა ზოსიმემ თავის საშობაო მიმართვაში პირველმა მოიხსენია რუსეთის მეფე ახალ კონსტანტინედ.

როში ერთადერთ მართლმადიდებლურ ქვეყნად, რომელშიც არ იყვნენ გაბატონებულნი არც ოსმალები და არც სპარსელები.

მძიმე ხვედრი ერგოთ ასევე თომას ვაჟებს. უფროსი ვაჟი, ანდრეა ცხოვრობდა იტალიაში, მას მისი თანამედროვენი აღიარებდნენ კონსტანტინოპოლის ტახტის მემკვიდრედ და თვითონაც ხელს აწერდა როგორც “ღვთის ნებით კონსტანტინოპოლის იმპერატორი” – *Deo gratia fidelis Imperator Constantinopolitanus*. ანდრეა იღებდა დახმარებას დასვლეთის მმართველი წრეებიდან. რომის პაპმა ის დააფინანსა, რათა დაებრუნებინა მორეის დესპოტატი. მანვე სპეციალური ენციკლიკით მიმართა დასავლეთის მმართველებს ანდრეას დასახმარებლად.

ასეთივე ურთიერთობა ჰქონდა მას საფრანგეთის მეფე შარლ VIII-სთან, რომელთანაც ჩავიდა სტუმრად 1491 წელს. ის მიესალმა შარლის ლაშქრობას იტალიაში 1493 წელს და თვითონაც ჩავიდა ჩრდილოეთ იტალიაში. მან საფრანგეთის მეფეს გადასცა თავისი უფლებები კონსტანტინოპოლის ტახტზე. მიუხედავად იმისა, რომ მას გარკვეულ დახმარებას უწევდნენ როგორც რომის პაპი, ასევე საფრანგეთის მეფე, ის მუდმივად ვალებში იყო. როდესაც 1498 წელს შარლ VIII გარდაიცვალა, მან ახალი მოკავშირის ძებნა დაიწყო. 1509 წელს მან ესპანეთის მონარქებს ფერდინანდსა და იზაბელას გადასცა თავისი მემკვიდრეობითი უფლებები, როგორც ჩანს, სრულიად უსასყიდლოდ. ანდრეა ასევე ეძებდა კავშირს რუსეთთან, სადაც მისი და იყო გათხოვილი. ანდრეა 1491 წელს სტუმრობდა რუსეთს. იგი დაქორწინებული იყო უბრალო წარმოშობის ქალზე, რომლისგანაც ჰყავდა ვაჟი, სახელად კოსტანტინე. მის შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ ერთხანს მსახურობდა პაპის გვარდიაში.

რაც შეეხება თომას მეორე ვაჟს, მანუილს, ის ახალგაზრდობის წლებში ცხოვრობდა იტალიაში, მაგრამ 1477 წელს მოულოდნელად გაემგზავრა კონსტანტინოპოლში, სულთნის კარ-

ზე. სულთანმა მას მიწები და გარკვეული შემოსავალი დაუნიშნა, მანუილი აქვე დაქორწინდა და მალევე გარდაიცვალა. მას დარჩა ორი ვაჟი: უფროსი იოანე, რომელიც ახალგაზრდა გარდაიცვალა და უმცროსი ანდრეა, რომელიც მუსლიმი გახდა და დაასრულა სიცოცხლე, როგორც სასამართლო მოხელემ¹.

როგორც აღვნიშნეთ, კონსტანტინოპოლის დაცემის დროს პალეოლოგების საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებიც მართავდნენ ბიზანტიის სხვა პროვინციებს და იყვნენ პირდაპირი შთამომავლები ანდრონიკე II-ისა, ისინი ასევე აცხადებდნენ პრეტენზიას იმპერატორის ტახტის მემკვიდრეობაზე. ბიზანტიურ მემკვიდრეობაზე პრეტენზიას აცხადებდა იტალიელ არისტოკრატთა მალატესტას საგვარეულოც. ეს საგვარეულო ქორწინებით იყო დაკავშირებული პალეოლოგებთან. უკანასკნელი იმპერატორის უფროსი ძმა, რომელიც ტახტზე მის ასვლამდე გარდაიცვალა, დაქორწინებული იყო კლეოპა მალატესტაზე, რომელიც პაპის მარტინ V-ის ბიძაშვილი იყო. ეს ქორწინება რომს რომის იმპერიის აღდგენად წარმოედგინა, ანუ რომის იმპერატორის, იგივე ბიზანტიის სამეფო ტახტისა და რომის წმიდა ტახტის გაერთიანებად, როგორც ეს იყო კონსტანტინე დიდის დროს და რაც დაირღვა კარლოს დიდის მიერ იმპერიის გადმოტანით.

✠ ბიზანტიის მემკვიდრეს გახლდათ ტრაპიზონის იმპერია, რომლის სათავეში იდგნენ უძველესი ბიზანტიური სამეფო საგვარეულოს - კომნენოსების წარმომადგენლები, რომლებიც ისტორიაში დიდ კომნენოსებად მოიხსენიებოდნენ.

ტრაპიზონის მმართველები, დიდი კომნენოსები, რომელთაც საქართველოს დიდი დახმარებით შექმნეს ეს იმპერია ანატ-

¹ Runciman S. The Fall of Constantinople in 1453, Cambridge, 1969, p. 214.

ოლიის ნახევრკუნძულზე, თავს აცხადებდნენ ბიზანტიის იმპერატორებად, რომის იმპერიის მემკვიდრედ. თავისთავად, ამ იმპერიის შექმნა იყო შედეგი კონსტანტინოპოლიდან დევნილი ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრეების ბრძოლისა ტახტის დასაბრუნებლად, თუმცა მათ მხოლოდ ამ ტერიტორიების აღება შეძლეს და, რადგანაც მათი სატახტო ქალაქი ტრაპიზონი იყო, მათი სახელმწიფო ტრაპიზონის იმპერიად იწოდებოდა. მანუელ კომნენოსი (1238-1263), რომლის დროსაც აშენდა ტრაპიზონში ჰაგია სოფიის ტაძარი, მსგავსად თავისი დიდი წინაპრის ალექსი I კომნენოსისა (1204-1214), მოითხოვდა ქრისტეს მოადგილის წოდებას და უნივერსალურ ავტორიტეტს მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ის მიიჩნევდა, რომ იყო გამგრძელებელი 1204 წელს ლათინთა მიერ დაპყრობილი ბიზანტიისა, ანუ, როგორც ა. ისტმონდი აღნიშნავს, ბიზანტია დევნილობაში.¹



წმიდა სოფიის ტაძარი ტრაპიზონში

¹ Eastmond A. Art and Identity in the Thirteenth-century Byzantium, Hagia Sophia and the Empire of Trebizond, Birmingham Byzantine and Ottoman Monographs, 2004, p. 1.

როდესაც ოსმალებმა კონსტანტინოპოლი აიღეს, ტრაპიზონის სათავეში იყო იოანე IV დიდი კომნენოსების საგვარეულოდან. იოანე 1458 წელს გარდაიცვალა, მას დარჩა ორი ქალიშვილი და ოთხი წლის ვაჟი. მისი გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრის არასრულწლოვანების გამო, ტახტი გადაეცა მის უმცროს ძმას დავითს. დავითის ბედი ძალიან ტრაგიკული აღმოჩნდა. ტრაპიზონის აღების შემდეგ სულთანმა ის კონსტანტინოპოლში გაადაასახლა, სადაც ორი წელი ცხოვრობდა სულთნის მერ დანიშნული პენსიით, თავის ოჯახთან ერთად. 1463 წელს, როგორც წყაროები მიუთითებენ, ცნობილმა ისტორიკოსმა გიორგი ამირეჯისმა ტრაპიზონის ყოფილი იმპერატორი სულთანთან დაასმინა, რომ მას მიმოწერა ჰქონდა ირანის მმართველ უზუნ ჰასანთან, რომელიც დაქორწინებული იყო დავითის ძმისწულზე. ეს მიმოწერა სულთანმა ღალატად ჩათვალა. 1463 წლის მარტის ბოლოს დავითი საპყრობილეში ჩასვეს და 1 ნოემბერს თავის 6 ვაჟთან და ძმისწულ ალექსისტან ერთად კონსტანტინოპოლში სიკვდილით დასაჯეს, მათი გვამების დასაფლავება აკრძალეს. ქვრივმა დედოფალმა ელენემ საკუთარი ხელით გაუთხარა მათ საფლავები და მიწას მიაბარა, რისთვისაც ის სულთანმა დიდი ფულადი გადასახადით დასაჯა. დავითს დარჩა ერთი არასრულწლოვანი ვაჟი, რომელიც მუსლიმად აღიზარდა უზუნ ჰასანის კარზე. ს. რანსიმენი აღნიშნავს, რომ ის შემდგომ გაიქცა საქართველოში, სადაც მისი და იყო გათხოვილი, და დაქორწინდა ქართველ დიდებულზე¹.

ბიზანტიის მემკვიდრეობის საკითხი მეტად უცნაურად განვითარდა. მასზე პრეტენზიას აცხადებდნენ სხვა ბერძნული დესპოტატების მმართველები და მათი შთამომავლები. თუმცა

¹ ავტორს არა აქვს მითითებული წყარო, საიდანაც ის იღებს ამ ინფორმაციას – Runciman S. The Fall of Constantinople in 1453, Cambridge, 1969, გვ. 155.

ყველა მათგანი უფრო ტიტულს იჩემებდა, ვიდრე იბრძოდა ტახტის მოსაპოვებლად ან, მით უფრო, ოსმალთა წინააღმდეგ ბიზანტიის გასათავისუფლებად, თუნდაც რაიმე გაერთიანების შესაქმნელად ოსმალთათვის წინააღმდეგობის გაწევის მიზნით. ერთადერთი ერთეული, რომელიც ბიზანტიის ტერიტორიაზე დარჩა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო იყო, რომელსაც თავდაპირველად გარკვეული უფლებები მიეცა და, ამდენად, ის შეიძლება წარმოვიდგინოთ ბიზანტიის მემკვიდრედ კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ. ამ როლის მიკუთვნება მისთვის სრულიად შესაფერისი იყო, რადგანაც მრავალეთნიკური ბიზანტიის ძირითადი გამაერთიანებელი იმპერატორის ტახტი და მართლმადიდებელი ეკლესია გახლდათ. კონსტანტინოპოლში, თვით სულთნის აქტიური ჩარევით, ტახტზე დასვეს ახალი პატრიარქი, რადგანაც კონსტანტინოპოლის დაცემის დროს ეს ტახტი დაქვრივებული იყო. პატრიარქად შეარჩიეს ბერმონაზონი გენადი, რომელიც წინამძღოლობდა უნიის მოწინააღმდეგეთა ჯგუფს. რასაკვირველია, მართლმადიდებელი ეკლესია ბერძენთა თვითიდნტიფიკაციის ერთადერთი საშუალება იყო, მაგრამ ის ვერ გახდა ბიზანტიის სახელმწიფოს ვერც გამგრძელებელი და ვერც წინააღმდეგობის მოძრაობის სულისჩამდგმელი ძალა. ბიზანტია, როგორც მართლმადიდებლობა, იმ მონასტრებში გაგრძელდა, სადაც ძლიერი იყო პალამისტური სული.

რომის ანუ ბიზანტიის მემკვიდრეობისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში¹. ასეთი სახის პრეტენზიები ქონდათ

¹ ი. ჰერინი ბიზანტიის მემკვიდრეობას ხედავს როგორც დასავლეთში – სიცილიაში, ესპანეთში, კორდოვაში, ასევე აღმოსავლეთში – რუსეთში, ბალკანეთზე და ისლამურ სამყაროშიც – In Rome, Sicily, Moscow, and of course most clearly in Constantinople, all over Turkey, Grece and in the Balkans, you can see Byzantium preserved. But there is

აღორძინების ხანაში დასავლეთის სახელმწიფოებს. ეს არ იყო მხოლოდ იტალია, არამედ აგრეთვე ევროპის სხვა ქვეყნები, რომელთაც შექმნეს ნაციონალური ლიტერატურა და სახელმწიფო¹.

დასავლეთისთვის კონსტანტინოპოლის დაცემა ძალიან მძიმე აღმოჩნდა, ოსმალეთის სულთანი უკვე ევროპის კარიბჭესთან იყო მისული. დასავლეთი ნაკლებად ცდილობდა მომხდარი ფაქტის გაანალიზებას და თავისი უმოქმედების შეფასებას, ამჯერად მათთვის უფრო მნიშვნელოვანი საკუთარი უსაფრთხოების დაცვა იყო. ვენეცია და ფლორენცია თავიდანვე ცდილობდნენ სულთანთან სამშვიდობო პირობების მიღწევას. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა დაეცვათ ხმელთაშუა ზღვის აუზში თავიანთი ინტერესები.

ყველაზე აქტიური მაინც რომის პაპის ქმედება გამოდგა, მან 1453 წლის 30 სექტემბერს მიმართა დასავლეთის ქრისტიანულ სახელმწიფოებს, მონაწილეობა მიეღოთ ჯვაროსნულ ლაშ-

nothing like the amazement of finding Byzantine mosaics in the mihrab of the Mezquita, the Great Mosque of Cordoba, in Spain, which were commissioned by the tenth-century Calif al-Hakam II; or the surprise of arriving late in the afternoon at Trabizond on Black Sea after the long journey through the Pontic Alps, and looking up at the palace above the city.

Byzantium also lives on in the experience of witnessing the descent of the Easter fire at the Holy Sepulchre in Jerusalem, when in darkness the metropolitan emerges from the tomb with a lit candle marking the Resurrection of Christ, from which all the faithful light their own. Ewen in Athens today, the crowds descending Mount Lykabettos with their candles after midnight on Easter Sunday are a forceful reminder of the power of ceremonies which have commemorated the event for nearly two millennia (Herrin J. Byzantium. The Surprising Life of a Medieval Empire, London, 2007, p.xxii).

¹ Hankins J. Renaissance, Humanist Crusade Literature in the Age of Mehmed II- Dumbarton Oaks Paper, Vol. 49, Symposium on Byzantium and Italians, 13th-15th Centuries, 1995, p. 111-207.

ქრობაში ურჯულოთა წინააღმდეგ და დაეხსნათ აღმოსავლელი ქრისტიანი ძმები. ამ პროცესში განსაკუთრებით აქტიურობდნენ კარდინალები ბესარიონი და ისიდორე, რომლებიც თავის დროზე წარმოადგენდნენ მართმადიდებელ ეკლესიას ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე და უნიატური დადგენილების შემდეგ გახდნენ კათოლიკური ეკლესიის კარდინალები. ასევე განსაკუთრებული ენერგიით ჩაერთო ამ მოძრაობაში პაპის ლეგატი გერმანიაში კარდინალი ენეა სილვიო პიკოლომინი, რომელმაც 1454 წელს მთელ დასავლეთის ქვეყნებს შემოუარა ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩართვის მოწოდებით. მიუხედავად ასეთი მოწოდებებისა, დასავლეთის სახელმწიფოებს არ აღმოაჩნდათ რაიმე ქმედითი ძალა თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნულ ლაშქრობაში გასაერთიანებლად. საფრანგეთი ასწლიანი ომის იარეებს იშუშებდა, ასეთსავე მდგომარეობაში იყო ინგლისის მეფე ჰენრი V, რომელიც მალე შეიშალა კიდეც და ქვეყანა ახალ ქაოსში ჩაება ვარდების ომის სახით. გერმანიის იმპერატორმა პაპს მისწერა წერილი, სადაც დიდ მწუხარებას გამოთქვამდა, მაგრამ მას თავის ქვეყანაშივე არ გააჩნდა რეალური ძალაუფლება და, მით უფრო, ვერ შეძლებდა ჯვაროსნულ ომში ჩართვას. ასეთივე აღმოჩნდა არაგონის მეფის ალფონსოს პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ მის ინტერესებსა და ტერიტორიებს იტალიაში საფრთხე ელოდა, იგი მხოლოდ რამდენიმე დაცვითი ღონისძიების გატარებას დასჯერდა. მხოლოდ უნგრეთის მეფემ გამოაცხადა ღიად თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმის სურვილი, თუმცა უნგრეთის მეფე ვლადისლავს დიდი დაპირისპირება ჰქონდა მისივე ჯარების მეთაურთან, იანოშ ხუნიადისთან. ასე რომ, დასავლეთმა ვერც ერთი ქმედითი ნაბიჯი ვერ გადადგა ბიზანტიის გადასარჩენად. მალე პაპი ნიკოლოზ V გარდაიცვალა, ხოლო მისი მემკვიდრე კალიქსტ III ნაკლებად პოპულარული იყო თვით იტალიაშიც კი.

ვერც შემდეგი პაპის, პიუს III აქტიურმა მოქმედებებმა გამოიღო შედეგი. ქრისტიანულმა ევროპამ ვერ შესძლო გაერთიანება და ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზება ოსმალთა წინააღმდეგ. დასავლეთმა მხოლოდ რამდენიმე თეატრალიზებული ღონისძიებით გააპროტესტა კონსტანტინოპოლის დაცემა.

1454 წელს ბურგუნდიის ჰერცოგმა ფილიპმა ლიეჟში გამართა ნადიმი, სადაც კოსტუმირებულმა საზოგადოებამ საზეიმოდ დაიფიცა, რომ მონაწილეობას მიიღებდა წმიდა ომში ქრისტიანთა დასახსნელად. ნადიმზე ერთ-ერთი მონაწილე ფარშევანგის კოსტუმში იყო გამოწყობილი, ამიტომ მოგვიანებით ბურგუნდიელ წარჩინებულთა ფიცს “ფარშევანგის ფიცი” უწოდეს. საფრანგეთში შეიქმნა რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც მიემდვნა კონსტანტინოპოლის დაცემას, მათ შორის მეტად პოპულარული იყო ფრანგი კომპოზიტორის გიომ დიუფეს სამგლოვიარო სიმღერა.

აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში, რასაკვირველია, კონსტანტინოპოლის დაცემისადმი გამოხმაურება უფრო აქტიური იყო. მართლმადიდებელი სამყაროს მწუხარება ამ მოვლენასთან დაკავშირებით შესანიშნავად არის გამოხატული ქართულ საისტორიო ლიტერატურაში. ქართლის ცხოვრების ტექსტი შემდეგნაირად გადმოგვცემს ამ მოვლენას: “ხოლო იყო ჟამსა მას კეისარი, სახელით კონსტანტინე პალეოლოღოს. და იყო პატრიარქი აღსრულებულ. მაშინ აღიხუნეს და დაიპყრეს სრულიად საბერძნეთი ოსმალთა. და ოდეს აღიღეს კონსტანტინოპოლი, მას ჟამს დაბნელდა მზე, რომლისა ამბავი ვრცლად წერილ არის ცხოვრებასა ბერძენთასა”¹.

¹ ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, თბ., 1959, ტ. II, გვ. 476.

მსგავსი ტრაგიზმით არის აღწერილი კონსტანტინოპოლის დაცემა აბრაამ ანკირელისა და არაქელ ბაგეშელის სომხურ ქრონიკებში.

საქართველოსათვის ეს არ იყო მხოლოდ თანაგრძნობა ერთმორწმუნეთადმი, მისთვის ასევე წათელი იყო ოსმალთა შემდგომი აგრესიული გეგმა დანარჩენი ქრისტიანული სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ასეთივე განწყობა იყო რუსეთში, რაც აისახა რუსულ ქრონიკებში. დიდი დრამატიზმით და ტრაგიზმით არის გადმოცემული კონსტანტინოპოლის დაცემა ნესტორ ისკანდერის ნაწარმოებში “ამბავი კონსტანტინოპოლის აღებისა”.

აღმოსავლეთ ქრისტიანულ საზოგადოებაში სულთნის პოლიტიკისადმი ასეთი დამოკიდებულების არსებობის მიუხედავად, თანამედროვე წყაროები გადმოგვცემენ, რომ ამ ქვეყნების მეთაურები იძულებულნი იყვნენ, ეთანამშრომლათ სულთანთან. აქ აშკარად ჩანს, რომ ეს ქვეყნები, ერთი მხრივ, ჩართულები იყვნენ დასავლეთის ქვეყნებთან ერთიანი ანტიოსმალური კოალიციის მომზადებაში, მეორე მხრივ კი თანამშრომლობდნენ ოსმალებთან, მოსალოდნელი აგრესიიდან თავის დაღწევის მიზნით. 1453 წლის ბოლოს ადრიანოპოლში სულთნის კარზე გამოცხადდნენ ელჩობები არა მხოლოდ მეზობელი ქვეყნებიდან, არამედ უკანასკნელი იმპერატორის კონსტანტინე დრაგაშეს ძმების, მორეის დესპოტების დიმიტრისა და თომას, აგრეთვე ტრაპიზონის იმპერატორის იოანე კომნენოსის წარმომადგენლები. აქ მყოფ უცხო ქვეყნების წარმომადგენელთა შორის დასახელებულია ასევე სამეგრელოს მთავარი დადიანი¹.

კუნძული კრეტა, რომელსაც 1715 წლამდე ფლობდნენ ვენეციელები, ბიზანტიიდან დევნილია თავშესაფარი გახდა, სა-

¹ Runciman S. The Fall of Constantinople in 1453, Cambridge, 1969, p. 96.

დაც ხელახლა აღორძინდა ბერძნული კულტურა და ჩამოყალიბდა ბერძნულ-იტალიური კულტურის ფორმა, რომელიც აისახა ამ ეპოქის ლიტერატურაში. კრეტა იქცა დევნილ მეცნიერთა და ჰუმანისტთა ნავსაყუდელად, რომელთაც აქ ჩამოიტანეს და შემდგომში ევროპას გააცნეს ბერძნული მანუსკრიპტები. ბერძენი ჰუმანისტის ხრისოლოროსის აქ გადმოსახლებამ, სხვა ბერძენ ჰუმანისტებთან – კარდინალ ბესარიონთან და პლითონთან ერთად, განსაკუთრებული ბიძგი მისცა იტალიური ჰუმანიზმის განვითარებას. ბიზანტია გახდა შთაგონების წყარო ჰუმანისტებისათვის, როგორებიც იყვნენ გუარინო და ვერონა, ფრანჩესკო ფილელფო, რომელსაც ნათესაური კავშირი ქონდა ხრისოლოროსის ოჯახთან. ცნობილი ჰუმანისტი ენეა სილვიო, მოგვიანებით პაპი პიუს II წერდა, რომ კონსტანტინოპოლის ნახვის გარეშე წარმოუდგენელი იყო ჰუმანისტად გახდომა. თუმცა, მიუხედავად ამისა, იტალიელი ჰუმანისტების ინტერესს წარმოადგენდა ძველი ბერძნული კულტურა და არა თანამედროვე ბიზანტიის ტრაგიზმი. მათ უფრო მეტად პლატონი აინტერესებდათ, და არა ისიხია და გრიგოლ პალამა. თვით ენეა სილვიო მისტიროდა არა ბიზანტიის დაღუპვას, არამედ ჰომეროსისა და პლატონის ხელახალ სიკვდილს, ასე უწოდებდა იგი კონსტანტინოპოლის დაცემას.

კონსტანტინოპოლის დაბრუნებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ხაზგასასმელია კარდინალ ბესარიონის როლი, რომელმაც კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ მთელი თავისი დარჩენილი სიცოცხლე მიუძღვნა თურქების წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის ქადაგებასა და მომზადებას. კარდინალ ბესარიონს, როგორც ჰუმანისტს, ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა იტალიელ ჰუმანისტთა და პოლიტიკოსთა წრეში, იგი პაპობის კანდიდატიც კი იყო. ის პირადად ხვდებოდა დასავლეთის მმართველებს და მოუწოდებდა მათ ჩაბმულიყვნენ თურქების

წინააღმდეგ ბრძოლაში. მქვერმეტყველების საუკეთესო ნიმუშია მის მიერ წარმოთქმული სიტყა 1469 წლის 6 სექტემბერს, მანტუ-ანის კრებაზე¹.

ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით, პაპმა პიუს II-მ, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც გამოაგზავნა ლეგატი ლუდოვიკო და ბოლონა. პაპს სურდა, საქართველოს წარმომადგენლებსაც მიეღოთ მონაწილეობა მანტუას კრებაზე, მაგრამ ლუდოვიკო და ბოლონამ დააგვიანა საქართველოდან ჩასვლა. ის 1458 წელს გამოემგზავრა იტალიიდან და 1460 წლის დამდეგამდე დაბრუნდა უკან. ლუდოვიკოს თან გაჰყვნენ საქართველოს წარმომადგენლები გიორგი VII-ს ვაჟი ნიკოლოზ თბილელი, ყვარყვარე II სამცხის ათაბაგის წარმომადგენელი ფარსადან ქარციხელი, წყაროებში ასევე იხსენიებიან ქართლის სამეფოს წარმომადგენელი ბაგრატ VI, სამეგრელოს მთავარი ლიპარიტ დადიანი ანუ იგივე ბედიანი, გურიის მთავარი მამია გურიელი და აფხაზთა მთავარი შერვაშიძე. 1460 წელს საქართველოს ელჩობა გერმანიის იმპერატორს ფრიდრიხ III-ს მიუღია. შემდეგში ელჩობა ვენეციაში ჩავიდა, სადაც მას შეხვედრა მოუწყო სენატმა. ფარსადან ქარციხელმა ვენეციის დოჟს სიუზერენის წერილი გადასცა: “გთხოვთ შემატყობინოთ, თუ რა ღონეს ხმარობთ კონსტანტინოპოლის დასაბრუნებლად, რათა მე ჩემის მხრივ ვალი მოვიხადო”; შემდეგში ელჩობა ფლორენციაში, ხოლო 1460 წლის დეკემბერში კი რომში ჩავიდა, აქედან საფრანგეთსა და ბურგუნდიაში გაემგზავრა².

¹ Runciman S. The Fall of Constantinople in 1453, Cambridge, 1969, p. 75.

² პაიჭაძე დ. ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV ს. 60-იან წლებში. თბ., 1989; ქართული დიპლომატიის ისტორია, თბ., 2003.

მიუხედავად დასავლეთ ევროპის ასეთი შეშფოთებისა თურქული აგრესიის გამო, ევროპის იმ პერიოდის საზოგადოების აზროვნებაში არსებული დაპირისპირების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ დასავლეთში გავრცელებული ლეგენდა თურქების ტროელებისაგან წარმოშობის შესახებ. ამ გადმოცემის თანახმად, თურქებმა კონსტანტინოპოლის აღებით შური იძიეს ბერძნებზე, რომელთაც დაანგრის ტროა. ასეთ ტექსტებს ვხვდებით არა მხოლოდ დასავლეთში, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ განელებოდათ სიძულვილი “ბერძენი სქიზმატიკოსების” მიმართ, არამედ თვით ბერძენი ავტორების წერილებში. კარდინალი ისიდორეც თავის წერილებში თურქებს ტერკებად და ტროელთა შთამომავლებად წარმოადგენდა. ბერძენი ისტორიკოსი ლაონიკე ხალკოკონდილა დიდ მწუხარებას გამოთქვამდა დასავლეთში გავრცელებული ასეთი ლეგენდის გამო. ზოგიერთი დასავლელი ავტორი მეჭმედ II-ს სახელის იდეალიზებას ახდენდა. მას წარმოადგენდნენ როგორც ანტიკური ისტორიისა და ელინური კულტურის მცოდნესა და პატივისმცემელს. ამ პერიოდის წყაროებში გვხვდება გადმოცემა, რომ 1462 წელს მეჭმედ II სტუმრობდა ტროას, სადაც, ამ ქალაქის ნანგრევებში მყოფი, თავს მათ მემკვიდრედ და ალექსანდრე მაკედონელის საქმის გამგრძელებლად მიიჩნევდა.

ბერძნულ-იტალიურ პუბლიცისტიკაში ჩნდება ისლამურ ქრისტიანული იმპერიის მეტად საინტერესო იდეა, რაც, შეიძლება ვივარაუდოთ, მომდინარეობს რენესანსული მოძღვრებიდან რელიგიათა ერთიანობის, ანუ ზოგდად აბრაამის წიაღში დაბრუნების შესახებ, როდესაც მაშინდელი მსოფლიოს სამივე ძირითადი რელიგია - ქრისტიანობა, ისლამი და იუდაიზმი უნდა წარმოდგენილიყო ერთიანად, დოგმატური დაპირისპირების გარეშე. რასაკვირველია, ამ მოძღვრების ნაწილი იყო მსოფლიო მონარქის, რომის იმპერატორის იდეა. ამჯერად ეს მათ შემდეგი

სახით წარმოედგინათ: თურქეთის სულთან მეჰმედ II-ს ქრისტიანობისა და ისლამის შერიგებით უნდა შეექმნა ისლამურ-ქრისტიანული იმპერია. ჰუმანისტებს ეს, ძირითადად, წარმოედგინათ ქრისტიანობაზე თურქთა მოქცევით, რომელთაც ეს უნდა მიეღოთ რომის იმპერატორის – მსოფლიო იმპერიის მეთაურის – ტიტულისადმი ინტერესის გამო. ასე რომ, ეს იქნებოდა იმპერიის გადატანის ახალი ეტაპი – იმპერიის გადატანა თურქებთან: *Translatio imperiis ad Turcos*, ისევე როგორც ეს განხორციელდა კონსტანტინე დიდის დროს, რომის გადატანით აღმოსავლეთში, ბიზანტიონში და კარლოს დიდის დროს იმპერიის გადატანით დასავლეთში. ეს იდეა ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის დაცემამდე გაჩნდა ნიკოლო კუზანელის ტრაქტატში *De pace fidei*. მოგვიანებით ის წერდა, რომ ასეთი სახის თანხმობის შემთხვევაში მეჰმედ II უნდა დაერწმუნებინათ, რომ მის მიერ წარმოებული დაპყრობითი ომი მიიღებდა ლეგალურ ფორმას და გარანტირებული იქნებოდა მისი მეგობრული ურთიერთობა დასავლეთთან.

მსგავსი იდეა გვხვდება ბერძენ ისტორიკოსთა და სასულიერო პირთა შრომებში. იგი წარმოდგენილია ბერძენი ჰუმანისტის გიორგი ტრაპიზონელის წერილში, რომელიც მან გაუგზავნა სულთან მეჰმედ II-ს 1453 წლის ივნისში: “შენ იცი..., რომ ადამიანები იყოფიან სამ ნაწილად: ებრაელებად, ქრისტიანებად და მუსლიმებად, მათ შორის ებრაელთა რიცხვი უმნიშვნელო და ძალიან დაყოფილია; ქრისტიანები კი არის მრავალმრიცხოვანი, ძლიერი და ფლობს დიდ ძალას, სიბრძნეს და ცოდნას, მუსლიმები, უდიდესი და გასაოცარი არიან. თუკი ვინმეს შეუძლია გააერთიანოს ადამიანთა ეს ორი მოდგმა (მე მხედველობაში მაქვს ქრისტიანები და მუსლიმები) ერთ სარწმუნეობასა და აღმსარებლობაში, მაშინ მე ვფიცავარ ზეციურ და მიწიერ ღმერთს, რომ ის განდიდდება ყველა ადამიანზე დედამიწაზე

და ზეცაში და ჩაირიცხება ანგელოზთა დასში. არავის, შენს გარდა, არ შეუძლია ამის განხორციელება, დიდებულო ემირო”¹.

ასეთივე იყო გიზონის თეორია იმის თაობაზე, რომ ოსმალეთის იმპერია წარმოადგენდა ბიზანტიის აღორძინებას, როგორც მუსლიმური სახელმწიფოსი, რომელიც შეიქმნა მარამარილოს ზღვის რეგიონის გამუსლიმებული ბერძნებისა და მუსლიმთა გაერთიანების საფუძველზე. მისი აზრით, ოსმალთა საზოგადოება და სახელმწიფო ყალიბდებოდნენ, როგორც მუსლიმური ინსტიტუტები².

ამერიკელი ისტორიკოსი ვრიონისი წერს, რომ ბიზანტიის სახელმწიფოს მმართველობას და საზოგადოებრივ წყობას ოსმალები დიდი ხნის მანძილზე, სხვადასხვა გზით ეცნობოდნენ. ეს ხდებოდა ბიზანტიის საიმპერატორო კარზე მყოფი სულთნებისა და ბეების მეშვეობით, რომლებიც ხშირად, თავიანთი ნათესავების სისასტიკეს გაქცეულნი, აქ აფარებდნენ თავს; ნათესაური კავშირებით – ბიზანტიის საიმპერატორო კარის წარმომადგენელთა დაქორწინებით ოსმალთა სულთნის ოჯახის წევრებზე და თვითონ სულთანზეც კი (სულთან ოხრანს ცოლად ჰყავდა იოანე კანტაკუზენის ასული); ბიზანტიელი არისტოკრატის და სახელმწიფო მოხელეების გადასვლით სულთნის სამსახურში³.

ბიზანტიური მემკვიდრეობის შესწავლაში ფასდაუდებელია ცნობილი რუმინელი ისტორიკოსის ნიკოლაე იორგას წვლი-

¹ Медведев И.П. Падение Константинополя в греко- италянкой публицистике XV в. - Византия между Западом и Востоком, под ред. Г.Г. Литаврина, Санкт-Петербург, 2001, с. 330.

² Gibbon E., The History of the Decline and Fall of the Roman Empire, London, 1776-1788; Geanakoplos D.J. Edward Gibbon and Byzantina Ecclesiastical History – Church History, Vol. 35, No. 2 (Jun., 1966), p 177.

³ Dujcev Iv. La conquista torque et le prise de Comstantinople dans la litteratura slave contemporaine – BS, XIV, 1953, p. 64.

ლი. ავტორმა ამ საკითხს რამდენიმე გამოკვლევა მიუძღვნა¹, რომელთა შორის გამორჩეულია მისი მონოგრაფია “ბიზანტია ბიზანტიის შემდეგ”². საერთოდ, იორგა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ისტორიას ბიზანტიური სულისა და ბიზანტიის ინსტიტუტების გაგრძელებად მიიჩნევდა. რუმინელების მიერ ბიზანტიის გაგრძელების იდეა არის ერთ-ერთი მთავარი მოტივი ნ. იორგას ადრინდელ შრომებში. ბიზანტიის გაგრძელებად მიიჩნევდა იგი მოლდოვასა და ვლახეთში ბიზანტიური სამეფო საგვარეულოს – კანტაკუზენების, მავროკორდატების, დუკებისა და პალეოლოგების ყოფნას ამ სამთავროთა, ასევე რუმინული ეკლესიის სათავეში³.

¹ საკითხს ბიზანტიური მემკვიდრეობის შესახებ ნ. იორგას ნაშრომებში ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. 1905 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი გოთაში რუმენელი ხალხის ისტორიის შესახებ - *Geschichte des Ruminischen Volkers in Rahmen seiner Staatsbildung*, Bd. I-IV, Gotha, F.A. Perthes, 1905. ნ. იორგამ გ. მუნტეანუ-მურგორისთან და ვ. პარვანთან ერთად ბუქარესტში დააარსა აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის შესწავლის ინსტიტუტი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბიზანტიის დაცემის შემდეგ ოსმალეთის უღელქვეშ მყოფი რუმინელი ხალხის ისტორიას და, ზოგადად, ბიზანტიურ მემკვიდრეობას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. 1913 წელს ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე ნ. იორგამ წაიკითხა მოხსენება ბიზანტიური კულტურის გავლენის შესახებ რუმინეთში – *Les bases necessaires d'une nouvelle du moyen-age. II. La survivence byzantine dans les pays roumains. Deux communications faites le 7 et 8 avril 1913 au troisieme Congres international l'etudes historiques a London*, Bucarest: Ed. du Ministere de l'instruction publique. Paris, Librairie H. Champion, 1913, 49. ბიზანტიური მემკვიდრეობის შესწავლას და ბიზანტიის იდეას რუმინეთში ეხებოდა 1931 წელს ათენში ბიზანტინისტთა საერთაშორისო კონგრესზე ნ. იორგას მოხსენება – *Les grande familles byzantines et l'idee byzantine en Roumanie- Academie Roumaine. Bulletin de laSection historique, No. 18, 1931.*


² Iorga N. *Byzantium after Byzantium*, Oxford, 2000.

³ Iorga N. *Byzantium after Byzantium*, Oxford, 2000, p. 211.

აქ ხაზგასასმელია ის, რომ ვლახეთში გოსპოდარები, ძირითადად, ბერძენი ფანარიოტებისაგან ინიშნებოდნენ ოსმალეთის სულთანის მიერ (ფანარიოტი იყო კონსტანტინოპოლის კვარტალი, სადაც ოსმალთა მმართველობის დროს მდებარეობდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის რეზიდენცია. აქ მაცხოვრებელი ბერძენი არისტოკრატია სარგებლობდა მნიშვნელოვანი პრივილეგიებით ოსმალთა იმპერიაში. მათ შეეძლოთ მაღალი თანამდებობების დაკავება როგორც სულთნის კარზე, ასევე იმპერიაში შემავალი ქვეყნების მმართველობაში). მიუხედავად იმისა, რომ ნ. იორგა, უმეტესად, საუბრობს ბიზანტიური გავლენის შესახებ სამხრეთ- აღმოსავლეთ ევროპაზე, მის ნაშრომში ყურადღება მაინც მოლდოვსა და ვლახეთზეა გამახვილებული. ბიზანტიური გავლენა ასევე აშკარად გამოიხატებოდა ამ ქვეყნების მმართველების ჩაცმულობაში, ისინი იმოსებოდნენ ბიზანტიის იმპერატორების მსგავსად.



წმიდა სოფიის ტაძარი სოფიაში (ბულგარეთი)



წმიდა სოფის ტაძარი ოპრიდში (მაკედონია)

ჩვენი ინტერესის საგანია ბიზანტინიზმი პოლიტიკაში, ანუ ბიზანტიური პოლიტიკური დოქტრინის განვითარება და შემდგომში მისი რეინტერპრეტაცია. ეს პრობლემა მოიცავს პოლიტიკური ინტერესებს ბიზანტიის მემკვიდრეობის მიმართ, ბიზანტიის სამეფო დინასტიის მემკვიდრეობის საკითხს, ასევე ზოგადად ბიზანტინიზმს საეკლესიო-ისტორიულ ურთიერთობებში.

ასეთივეა ბიზანტინიზმის გაგება რუსეთში, ეს ტერმინი ამგვარი მნიშვნელობით იქნა გამოყენებული რუსეთის მიმართ კონსტანტინე ლეონტიევის მიერ რუსეთის საზოგადოების დახასიათებისას. ეს, ძირითადად, დასავლური გავლენაა, მონარქის ავტორიტეტული ძალაუფლება – ცეზაროპაპიზმი, ერასტიანიზმი, რომელიც შემდეგში დამკვიდრდა რუსეთის ორთოდოქსულ ეკლესიაში¹.

რომის მემკვიდრეობისათვის ბრძოლის საუკეთესო ნიმუშია XV საუკუნეში რუსეთში ჩამოყალიბებული “მესამე რომის” თეორია, რომელსაც, როგორც ჩანს, არასოდეს დაუკარგავს მნიშვნელობა რუსეთის პოლიტიკურ დოქტრინაში. კონსტანტინო-

¹ Леонтьев К.Н. Византизм и славянство, М., 2005.

პოლის დაცემის შემდეგ, რუსეთში მოსკოვი ქრისტიანობის თავად წარმოედგინათ. “მოსკოვი – მესამე რომი”, ასეთია მოსკოვის საეკლესიო და პოლიტიკური ჰეგემონიის იდეა, რომელიც გამოიხატა როგორც თეოლოგიურ, ასევე საისტორიო მწერლობაში: ნესტორ ისკანდერის “მოთხრობა ცარგრადის დაარსებასა და დამხობაზე”, “თქმულება ვლადიმირელ მთავრებზე”, პატრიარქ ნიკონის “ილუსტრირებული მატიაწე”, ივანე პერესვეტოვის თხზულებები – “თქმულება მეფე კონსტანტინეზე”, “თქმულება მოჰამედ სულთანზე”.

“მოსკოვი – მესამე რომის” თეორიის ფორმულირება ჩნდება ფსკოვის ელიზარის მონასტრის ბერის ფილოფეის მიერ მოსკოვის დიდი მთავრის ვასილი ივანეს ძისათვის გაგზავნილ წერილში. ეს თეორია შემდგომში გავრცელდა როგორც ისტორიკოსთა შრომებში, ასევე რუსი ფილოსოფოსებისა და მწერლების ნაწარმოებებში. „Храни и внимай, благочестивый царь, тому, что все христианские царства сошлись в одно твое, что два Рима пали, а третий стоит, четвёртому же не бывать“¹.

ავტორთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ფილოფეი მოსკოვს მესამე რომს უწოდებდა ბულგარული გავლენით, კერძოდ, კონსტანტინე მანასის ქრონიკის ბულგარული თარგმანის შესაბამისად, რომელიც ტირნოვოს უწოდებდა ახალ რომს.²

¹ Послание старца Филофея к великому князю Василию. - Памятники литературы Древней Руси: Конец XV - первая половина XVI века. М., 1984, с. 441.

² Стремоухов Дм. Москва - Третий Рим: источник доктрины. - Из истории русской культуры. Т. II. Кн. 1. Киевская и Московская Русь. М.: Языки славянской культуры, 2002, с. 437.



დიდი ტირნოვო (ბულგარეთი)


მოსკოვს, ფილოფეის „მესამე რომის“ თეორიის განსაკუთრებული ხაზგასმით, ასევე სურდა დაემტკიცებინა და შემდეგში დაემკვიდრებინა აღმოსავლეთ ქრისტიანული იმპერიის იდეოლოგია, როგორც მემკვიდრეობა რომისა და ბიზანტიის იმპერიისა, ანუ იმპერიის გადმოტანა მოსკოვში, რაც ნიშნავდა იმას, რომ ის იყო მესამე რომი¹.

სრულიად ახლებურია რუსეთის მესამე რომის თეორიასთან დაკავშირებით ს. ივანოვის მოსაზრება. მისი აზრით, გასარკვევია თვითონ ფილოფეის მიზანი, რომელმაც მიმართა ახალგაზრდა ივანე მრისხანეს, XVI საუკუნის 20-იან წლებში. რა ჰქონდა მას მხედველობაში - მოსკოვის ჩართვა მსოფლიო, იმდროისათვის საერთო ქრისტიანულ პერსპექტივაში, თუ ეს იყო მოსკოვის იზოლაციის სიმბოლო, როგორც ის გახდა შემდეგში.


¹ ასეთივეა დ. სტერემუხოვის დასკვნა: Теория Москва - Третий Рим была призвана оправдать в глазах русских translatio imperii в Москву и ее renovatio с помощью аргументов из Священного Писания и истории — или, по крайней мере, с помощью аргументов, считавшихся историческими и библейскими. Стремоухов Дм., Москва - Третий Рим: источник доктрины. Из истории русской культуры. Т. II. Кн. I. Киевская и Московская Русь. М., Языки славянской культуры, 2002, с. 441.

ს. ივანოვი სვამს კითხვას: რატომ დასჭირდა ფილოფეის პირველი რომი? შეეძლო ეთქვა, უბრალოდ, რომ მოსკოვი არის მეორე კონსტანტინოპოლი. მისი აზრით, სინამდვილეში ეს კონცეპცია იყო ესქატოლოგიური, მაგრამ უნივერსალური. ფილოფეისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გაგება რომეების იმპერიისა, როგორც ბიზანტიელები უწოდებდნენ თავიანთ სახელმწიფოს. ის ამბობდა, რომ დაილუპა ბერძნული სამეფო, როგორც სლავები უწოდებდნენ ბიზანტიას, მაგრამ რომეების სამეფო არსებობდა, შეუძლებელი იყო მისი გაქრობა, რადგანაც ის განასახიერებდა ქრისტიანულ ჭეშმარიტებას. რომეების სამეფო იყო ახალი მოსკოვი. საერთოდ, იდეა, რომ მოსკოვი არის ახალი რომი, გვიან გაჩნდა. ფილოფეი არ ლაპარაკობს მოსკოვის შესახებ. სიტყვათა გაერთიანებას "მოსკოვი _ მესამე რომი", რომელსაც ფილოფეის მიაწერენ, წარმოთქმულ იქნა 70-80 წლით გვიან, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ. ფილოფეის მიმართვის ხელნაწერში ერთი ასო შეიცვალა და რომეების სამეფო - Ромейское царство - შეიცვალა როსების სამეფოდ - Росейское царство. მაშინ მიიღო ამ იდეოლოგიამ ახალი ხასიათი. ივანე მრისხანე არ იყო ბიზანტიის თავყვანისმცემელი, ის თავს უფრო გერმანელად და იმპერატორ ავგუსტუსის შთამომავლად მიიჩნევდა, თვლიდა, რომ მისი წინაპრები მოდიოდნენ დასავლეთ რომიდან და არა კონსტანტინოპოლიდან. ის არასოდეს ახსენებდა თავის წინაპარ ბიზანტიელ დედოფალს¹.

¹ Второй Рим глазами Третьего: Эволюция образа Византии в российском общественном сознании. Лекция Сергея Иванова <http://sjl.media-networks.ru/> წინაპარ დედოფლებში იგულისხმება ბიზანტიის საიმპერატორო ოჯახის წევრები ანა და სიფიო, რომლებიც დაქორწინებული იყვნენ რუსეთის მთავრებზე ს. ივანოვის თქმით, ზოგადად მოსკოვის მთვრების ყურადღება ნაკლებად იყო მიქცეული ბიზანტიისაკენ, რის დასტურადაც ის ასახელებს შემდეგ ფაქტებს: წმ. სოფიის ტაძარი იყო კიევსა და ნოვგოროდში, და არ აუშენებიათ ეს



წმიდა სოფის ტაძარი კიევში



წმიდა სოფის ტაძარი ნოვგოროდში

რუს ისტორიკოსთა და პოლიტოლოგთა ფართო წრისთვის რუსეთის სამეფო ოჯახთან ბიზანტიის საიმპერატორო ოჯახის წევრთა ქორწინება აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი რუსეთში ბიზანტიური მემკვიდრეობის დასადასტურებლად. ამ მხრივ მეტად საინტერესოა იენის უნივერსიტეტის პროფესორის ჰაინრიხ გელცერის მოსაზრება, რომელიც

ტაძარი მოსკოვში, ტახტის არც ერთი მემკვიდრისთვის არ დაურქმევიათ კონსტანტინე.

მან ჩამოაყალიბა XIX საუკუნის მიწურულს: “რუსეთის მეფე დაქორწინდა მეფის ასულზე პალეოლოგების საგვარეულოდან. კრემლში კონსტანტინე მონომახის გვირგვინი დაადგეს თავზე სრულიად რუსეთის თვითმპყრობელს. რუსეთის სახელმწიფო წარმოადგენდა ბიზანტიის იმპერიის ნამდვილ გაგრძელებას. და თუ ოდესმე აია სოფიაში დაბრუნდება ჭეშმარიტი რწმენა, თუკი ოდესმე მცირე აზიას გამოსტაცებენ ხელიდან იქ თავზედურად გაბატონებულ თურქებს, ეს უნდა გააკეთონ მხოლოდ რუსეთის მეფეებმა... კონსტანტინოპოლის იმპერატორი შეიძლება გახდეს მხოლოდ მართლმადიდებელი სარწმუნოების დამცველი რუსეთის მეფე”¹.

ცნობილი ბიზანტინისტი გ. ოსტროგორსკი ასევე ანიჭებდა რუსეთს განსაკუთრებულ როლს აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ. “ივანე III, დიდი გამათავისუფლებელი და გამაერთიანებელი რუსეთის მიწებისა, დაქორწინდა უკანსაკნელი იმპერატორის ძმის, დესპოტი თომას პალეოლოგის ქალიშვილზე, მან მისაკუთრა ბიზანტიის ორთავიანი არწივი, გადაიტანა ბიზანტიის კარის ცერემონიალი მოსკოვში და რუსეთი მალევე გახადა აღმოსავლეთ ქრისტიანული სამყაროს ლიდერი, როგორც ადრე იყო ბიზანტია. რუსეთი გახდა აშკარა მემკვიდრე ბიზანტიის იმპერიისა და კონსტანტინოპოლის რომაული კონცეპცია თავისი ბიზანტიური ფორმით გადაიტანა: თუ კონსტანტინოპოლი იყო ახალი რომი, მოსკოვი გახდა “მესამე რომი”. ბიზანტიის დიდი ტრადიცია, მისი რწმენა, მისი პოლიტიკური იდეები, მისი სულიერება რჩეობდა საუკუნე-

¹ Gelzer, H., Abriss der byzantinischen Kaisergeschichte, -Krumbacher K. Geschichte der byzantinischen Litteratur von Justinian bis zum Ende des Ostromischen Reiches, Munchen, 1897, s. 1067.

თა მანძილზე რუსეთის იმპერიაში! ბიზანტიის ისტორიის ფრანგი მკვლევარი ადრევე გამოთქვამდა მსგავს მოსაზრებას. შარლ დიდი მოსაზრებითაც, ორთავიანი არწივის მიღება რუსეთში იყო სიმბოლო ბიზანტიის რელიგიურ-პოლიტიკური მემკვიდრეობის გადატანისა². მოსკოვის მთავარმა პირველად ორთავიანი არწივი 1490 წელს გამოასახვინა სახელმწიფო ბეჭედზე. პირველი ბეჭედი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია (1497), ცვილისაგან არის დამზადებული და მიმაგრებულია წვრილი ძაფით. წრის ირგვლივ იკითხება: დიდი მთავარი იოანე ღვთისწყალობით დიდი მთავარი ყოველთა რუსთა და დიდი მთავარი ვლადიმირისა და მოსკოვისა და ნოვგოროდისა და ფსკოვისა და ტვერისა და უგორისა და ვიატკისა და პერმისა და ბოლგარისა³.

გ. ალექსის აზრით, რუსებმა არწივის გერბად აღება გადაწყიტეს, ძირითადად, ჰაბსბურგების მიმართ თავიანთი მეტოქეობის გამო, როდესაც მათთვის ცნობილი გახდა, რომ წმინდა

¹ Ostrogorsky G. History of the Byzantine State, trans. J. Hussey, New Brunswick, New Jersey, 1957, p. 509.

² Diehl C. Byzantium, Greatness and Decline, trans. N. Walford, New Brunswick, New Jersey, 1957, p. 295.

რუსებმა ორთავიანი არწივის გერბი აიღეს ავსტრიისაგან, აღნიშნავს ს. ივანოვი. ბიზანტიური არწივის ნამდვილი მემკვიდრე არის ალბანეთის არწივი. სუნაღბურგი იყო უკანასკნელი, ვინც წინააღმდეგობა გაუწია ოსმალებს. ის, რომ რუსეთის იმპერატორი თავს მეფეთა მეფეს - Царь царей - უწოდებდა, თითქოსდა მიუთითებს იმის შესახებ, რომ რუსეთის მეფეებს ქონდათ პრეტენზია, გადმოეტანათ იმპერატორის ტიტულატურა. თუმცა ასეთ ტიტულს თათართა ხანებიც ატარებდნენ - Второй Рим глазами Третьего: Эволюция образа Византии в российском общественном сознании. Лекция Сергея Иванова <http://sjl.media-networks.ru/>

³ Alef G. The Adoption of the Muscovite Two-Haded Eagle: A Discordant View. – Speculum, A Journal of Medieval Studies, Vol. XLI, January 1966. N 1 p. 1- 21

<http://www.jstory.org/action/showPublisher?publisherCode=medacad>

რომის იმპერია იყენებდა ორთავიან არწივს, როგორც ბეჭედს. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, წარმოვადგინოთ ქრისტიანულ ევროპულ სამყაროში ნაწილი იმ სახელმწიფოთა გერბებისა, რომლებზეც გამოსახული იყო არწივი, რაც, ძირითადად, ბიზანტიის მემკვიდრეობის მიმანიშნებელი იყო



ბიზანტიის იმპერიის გერბი



ნიკეის იმპერატორების პალეოლოგების საგვარეულო გერბი; ლასკარისების გერბი



ორთავიანი არწივის გამოსახულება ივანე III-ის ბეჭედზე



1605 წლის ჰაბსბურგების გერბი



გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის გერბი (1871-1918)



ავსტრიის გერბი



სერბეთის გერბი



პოლონეთის გერბი



ალბანეთის გერბი



რუმინეთის სახელმწიფო ბეჭედი

ცნობილი რუსი მეცნიერი ვ. როზანოვი რუსეთის სახელმწიფოს ბიზანტიური სულის გაგრძელებად მიიჩნევდა, რაც ამკარად ჩანს მის შემდეგ სიტყვებში: “1453 წელს დაიღუპა მხოლოდ ბიზანტიის სოციალური სხეული. მაგრამ მისი მართლმადიდებლური სული არ მომკვდარა. ამ დროს მის ჩრდილოეთში უკვე არსებობდა ახალი სახელმწიფო, მომავალი რუსეთის იმპერია, სადაც მართლმადიდებლობა წარმატებით ჩაყრის ღრმა ფესვებს. იყო თუ არა შენარჩუნებული ეს სულიერი კავშირი ბიზანტიის გარდასულ იმპერიასა და რუსეთს შორის? ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი არ არსებობს. სიკვდილის წინ მთელი თავისი წუხილი გადასცა და უანდერმა, მტკიცედ შეენახა იგი რუსეთში. მომკვდავის სარეცელთან მისი უკანასკნელი ამოსუნთქვით მოხიბლულმა რუსეთმა ნაზად მიიკრა ბავშვურ გულში და მისცა ფიცი მომკვდავს”¹. ანდერძი იყო, ფაქტობრივად, ერ-

¹ Розанов В.В. Религия и культура, Т. 1, М., 1990, с. 330.

თადერთი: გულით ეტარებინა სიძულვილი დასავლეთის ხალხების მიმართ!

მსგავსადვე არის ასახული რუსეთის ბიზანტიასთან დამოკიდებულება ცნობილი რუსი ბიზანტინისტის თ. უსპენსკის ნააზრევში: “განავრცო რა ჩვენს წინაპრებზე წმინდა სარწმუნოება, ბიზანტიამ სხვა მასობრივი კულტურული შენაძენიც გადმოსცა მათ – დამწერლობა, საღმრთო ენა, ღვთისმსახურება, სახელმწიფო წყობა; ბიზანტიიდან შემოვიდა ჩვენში უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების ნიშნები: გერბი, სამხრეულები და მონომახის ქუდი”².

კავშირი რუსულ და ბიზანტიურ ცივილიზაციათა შორის, რასაკვირველია, არსებობს და აშკარაა, რომ ის გავს კავშირს მშობლებსა და შვილებს შორის, როდესაც პირველები გადასცემენ შვილებს სიცოცხლის ესტაფეტას. ყველა ადამიანი პატივს უნდა სცემდეს თავის მშობლებს. მაგრამ, ამავე დროს, შვილებმა მიიღეს მათგან ცოდვებიც და არ ძალუძთ, აირიდონ ისინი მხო-

¹ სოფიო პალეოლოგი აღმოჩნდა ძლიერი ფიგურა მოსკოვის მთავრის კარზე. იმ პერიოდის ბოარები ხშირად გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას დედოფლის მიმართ. სოფიო პალეოლოგის მიერ ბერძნული წეს-ჩვეულებების დამკვიდრების მცდელობა მიუღებელი აღმოჩნდა რუს წარჩინებულებისათვის. მაქსიმე ბერძენი (1480-1556) ერთ-ერთ ბერძენთან საუბარში ამბობს: “აქ როგორც კი მოვიდნენ ბერძნები, ჩვენი ქვეყანა შეიცვალა; აქამდე ჩვენი ქვეყანა, რუსეთი, ცხოვრობდა სიმშვიდეში და მშვიდობიანად. როგორც კი მოვიდა დიდი მთავრის დედა, დიდი მთავრის მეუღლე სოფია, თქვენს ბერძნებთან ერთად, მაშინვე შეიცვალა ჩვენი ქვეყანა და დამყარდა დიდი არეულობები, როგორც თქვენთან ცარგრადში თქვენს მეფეებთან იყო.” მსგავსი მაგალითი რუსების უკმაყოფილებისა მოსკოვში ბიზანტიური წეს-ჩვეულებების გადმოტანის გამო მრავლად გვხვდება იმ ეპოქის რუსულ წყაროებში. - Соловьев С. М. История России с древнейших времен, т.5, Сочинения, кн. III, М., 1989, с. 57.

² Успенский Ф.И. История Византийской империи, М., 2001, с. 56.

ლოდ საკუთარი ძალებით. ამდენად, რუსეთი უნდა ემადლიერებოდეს ბიზანტიას, რომ ის მისგან გახდა ქრისტიანი. მაგრამ, ამავე დროს, ეს არ იყო ზოგადად ქრისტიანობა, არამედ ქრისტიანობის ბიზანტიური ვერსია. რუსეთმა ამ თავისებურებას მისცა თავისებური ხასიათი, თავისი მენტალობის შესაბამისად¹.

XX საუკუნის 40-იან წლებში რუსულ ბიზანტინიზმს რამდენჯერმე შეეხო ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი და სოციოლოგი არნოლდ ტონინი². მისი აზრით, რუსეთი თავის მიმართებაში დასავლეთთან მუდმივად ცდილობდა, შეენარჩუნებინა თვითმყოფადობა და დამოუკიდებლობა ევროპისაგან, ამავე დროს, არ სურდა ჩამორჩენოდა მას. დასავლეთის გამოწვევამ რუსეთში ორი საწინააღმდეგო სოციალური რეაქცია დაბადა. პირველი იყო ნათლად გამოხატული ბიზანტიური ხასიათი – აქ ტონინის მხედველობაში ქონდა ორთოდოქსული კონსერვატიზმი. მისი განსაკუთრებით გამოკვეთილი მიმდევრები იყვნენ ძველი რწმენის აღმსარებლები (სტაროვერები), რომელთაც გაწყვიტეს კავშირი როგორც სახელმწიფოსთან, ისე ოფიციალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან, არ მიიღეს რა ახალი რეფორმა. მეორე რეაქცია იყო პეტრეს დასავლური პოლიტიკა, რომელიც ცდილობდა მართლმადიდებლური რუსეთის დასავლეთის სამყაროში შეყვანას, მისი სამოალაქო და სამხედრო წყობის დაახლოებას ევროპულ სტანდარტებთან. მიუხედავად თითქმის საუკუნოვანი დასავლური პოლიტიკისა, რუსეთმა მაინც შეინარჩუნა ბიზანტინიზმი, ბიზანტიური მსოფლმხედველობა. ეს გამოიხატა რუსულ მართლმადიდებლობასა და რუსულ სახელმწიფოებრიობაში, რომელიც გენეტიკურად იყო დაკავშირებული პირველსაწყის ბიზანტინიზმთან.

¹ Успенский Ф.И. История Византийской империи, М., 2001, с. 63.

² Тойнби А. Дж. Цивилизация перед судом истории, М., 1996.

ა. ტოინბის აზრით, ბიზანტიურმა აზროვნებამ შუა საუკუნეებში შეაჩერა საზოგადოების განვითარება. ინგლისელი ისტორიკოსის აზრით, XX საუკუნის რუსეთს ბიზანტიასთან აკავშირებს ორი მახასიათებელი. პირველი - ის დარწმუნებულია იმაში, რომ ყოველთვის მართალია, ხოლო მეორე - ესაა რუსეთში არსებული ტოტალური სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები¹.

რუსეთში ბიზანტინიზმის ფენომენისადმი ინტერესი აქტიურად ჩანს XIX-XX საუკუნეებში. ბიზანტიზმის იდეა გავრცობილია ფ. ტიუტჩევის, ვ. სოლოვიოვის, ვ. როზანოვის, გ. ფლოროვსკის, გ. ფედოტოვის და სხვათა შრომებში. რუსი სლავოფილები თ. გრანოვსკი, ს. ხომიაკოვი ხოტბას ასხამდნენ ბიზანტიას.

რუსი მედასავლეთეები ფიქრობდნენ, რომ რუსეთს უნდა ეცხოვრა სრულ ერთიანობასა და ჰარმონიაში დასავლეთთან და, რომ მხოლოდ პეტრე I-ის რეფორმების შემდეგ გახდა რუსეთი ცივილიზებული ქვეყანა, რაც, რასაკვირველია, განაპირობებდა მათ უარყოფით დამოკიდებულებას ბიზანტიური გავლენისა და ბიზანტინიზმის იდეის მიმართ რუსეთში. მათი აზრით, ბიზანტიამ ვერ შეძლო განევითარებინა ელინური კულტურა, რომელიც მან რომისაგან უკვე მკვედარი მიიღო².

პეტრე პირველის დროიდან რომის იდეის მიმართ დამოკიდებულება იცვლება. როგორც აღვნიშნეთ, პეტრე პირველი უბრუნდება ანტიკურ რომს და უარს ამბობს მეორე რომის – ბიზანტიის მემკვიდრეობაზე. პეტრეს მიერ ახალი დედაქალაქის აშენებით ახალი რომის სიმბოლო წყვეტს მოსკოვის ტრადიციას.

¹ Clarkson J. Toynbee on Russian History-Russian Review, XV, 2002, p. 168.

² “Древняя Греция изжила свою жизнь, когда римское владычество накрыло ее и спасло как лава и пепел спасли Помпею и Геркуланум. Византийский период поднял гробовую крышу, и мертвый остался мертвым”. – Герцен А.И. Былое и думы. Ч. 6-8, М., 1982, с. 379.

პეტრეს დროს ასევე წყდება ორთოდოქსული მესიანიზმის იდეა. პეტრე უარს ამბობს “აღმოსავლეთის ქრისტიანი იმპერატორის” ტიტულზე, რომელიც მას 1721 წელს სენატმა შესთავაზა. პეტრე აქცენტს უფრო ძველ რომზე აკეთებს და იმპერატორის ტიტულს იღებს. ახალი დედაქალაქი პეტერბურგი უფრო ელიზურ კულტურასა და რომის სამართალზეა ორიენტირებული, მაშინ როდესაც “მოსკოვი მესამე რომი” უფრო რელიგიით იყო მოტივირებული¹.

XVI და XVII საუკუნეებში განვითარებული მესამე რომის თეორიას თან ახლდა ასევე რუსული მესიანიზმის იდეა. აქტუალურია ტერმინები *რუსეთის წმინდა მიწა*, *წმინდა რუსეთი*, ისინი ორიენტირებულია რუს ხალხზე და მისი მეფის სახელზე, რადგანაც მეფეს, მსგავსად ბიზანტიის იმპერატორისა, გარკვეული საკრალური დატვირთვა ეძლევა.

ვფიქრობთ, ინტერესემოკლებული არ იქნება, წარმოვადგინოთ რუსეთის სახელმწიფოში შექმნილი კიდევ ერთი გადმოცემა, რომელიც მოგვითხრობს რომის იდეის შესახებ რუსეთში. ამ გადმოცემის თანახმად, რუსეთის სახელმწიფო არის რომის იმპერიის მემკვიდრე. მისი ავტორი რუსეთს რომთან აკავშირებს, მაგრამ არა ბიზანტიის გავლით, როგორც ეს იყო ფილოფეის მიერ წამოყენებულ მოსკოვის, როგორც მესამე რომის თეორიაში.

როგორც მ. პოკროვსკი წერს², კონსპექტი, რომელიც შეადგინა კიევის მიტროპოლიტმა სპირიდონმა, საოცრად განსხვავებული იყო იმ დროისათვის მიღებული გადმოცემისაგან. XVI საუკუნის დასაწყისში კიევის ყოფილი ხანდაზმული მიტროპოლიტი სპირიდონი უკვე მონასტერში იყო წასული სამოღვაწე-

¹ Duncan P. J. S., *Russian Messianism, Third Rome, Revolution, Communism and After*, 2000, p.14.

² Покровский М. Русская история, 1, М., с. 191.

ოდ, როცა მას მიმართა ნაცნობმა თხოვნით, მოეძიებინა მისთვის მასალები ძველი ხელნაწერებიდან რუსეთის ისტორიისათვის. სპირიდონმა მას გაუგზავნა მსოფლიო ისტორიის თხრობა, რომელიც იწყებოდა ნოეს ვაჟებიდან. ნოეს ვაჟების შთამომავლებზე საუბრისას, ის მის მემკვიდრეებში ასახელებს ეგვიპტის ფარაონ სესოსტრისს, შემდეგ ლოგიკურად გადადის ალექსანდრე მაკედონელზე, რომელიც, შუა საუკუნეებში მიღებული ლეგენდარული გადმოცემის თანახმად, ითვლებოდა არა მაკედონიის მეფის ფილიპეს შვილად, არამედ ეგვიპტელი ქურუმის ნეკტანების ვაჟად. ეგვიპტის ბერძენი დამპყრობლის დაკავშირებამ ადგილობრივ დინასტიასთან სრულიად ბუნებრივი გახადა ქრისტეს შობამდე ბოლო საუკუნეების ბერძენ მმართველებზე პტოლემეიდებზე გადასვლა. კონსპექტის თანახმად, ისინი ძალიან ბევრნი იყვნენ – დაახლოებით ოცი, ავტორმა ყურადღება შეაჩერა მისთვის ყველაზე საინტერესო მონაკვეთზე, უკანასკნელი პტოლემეიდის ქალიშვილზე კლეოპატრაზე. “იმ ხანებში იულიუსმა, რომის კეისარმა გააგზავნა თავისი სიმე ანტონიუსი ეგვიპტეში საბრძოლველად. კლეოპატრამ ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო. ანტონიუსმა ეგვიპტის დედოფალთან ბრძოლას მასთან დაქორწინება არჩია. საქმის ასეთი დასრულება არ მიიჩნია დამაკმაყოფილებლად რომის კეისარმა. მან თავისი ძმა ავგუსტუსი დანიშნა სტრატეგად და გააგზავნა ანტონიუსთან საბრძოლველად. ანტონიუსი მოკლულ იქნა. დედოფალმა კლეოპატრამ თავი მოიწამლა შხამით, როდესაც ის მიყავდათ გემით რომში, ეგვიპტეში ნაძარცვ სიმდიდრესთან ერთად.

მალევე ამ ამბის შემდეგ, როცა ავგუსტუსი ჯერ კიდევ ეგვიპტეში იმყოფებოდა, რომის კეისარს იულიუსს აუჯანყდნენ მისი თანამებრძოლები ბრუტუსი, პომპეუსი და კრასუსი და მოკლეს იგი. ამ ამბის შესახებ შეიტყო მხედართმთავარმა ავგუსტუსმა, მოიწვია რომაელ და ეგვიპტელ დიდებულთა საბჭო და

აუწყა მათ კეისრის სიკვდილი. რომაელებმა გადაწყვიტეს იულ-
იუსის ტახტზე აეყვანათ ავგუსტუსი. შემოსეს ის ეგვიპტის პირ-
ველი მეფის სესოსტრისის სამოსელში, თავზე დაადგეს ინდო-
ეთის მეფის მიტრა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა ინდო-
ეთიდან ჩამოიტანა. ასეა გადმოცემული მიტროპოლიტ სპირი-
დონის კონსპექტი რომის იმპერიის წარმოშობის ამბავი, რომე-
ლიც საფუძვლად დაედო შუა საუკუნეების პოლიტიკურ ლიტე-
რატურას¹.

სპირიდონის კონსპექტიდან სამყაროს შექმნის ისტორიის
შესახებ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ნაწილი, რომე-
ლიც რუსეთის სახელმწიფოს წარმოშობის ისტორიას შეეხება:
“ავგუსტუსმა, როგორც კი რომის იმპერატორი გახდა, შემოიღო
მთელი რიგი ცვლილებები. თავისი ძმები დანიშნა მმართველე-
ბად იმპერიის სხვადასხვა პროვინციაში – პატრიკიუსი ეგვიპ-
ტის მეფედ, ავგუსტულუსი – ალექსანდრიის, ხოლო პრუსი
მდინარე ვისლის ნაპირზე მდებარე ქალაქ მომბოროკში (მარიენ-
ბურგი, შენიშვნა მ. პოკროვსკისა), აქედან მოდის ქვეყნის სახელ-
წოდება პრუსია. ავგუსტუსის ძმების მემკვიდრეები აქ მეფობ-
დნენ მეოთხე თაობამდე. ამ დროს გარდაიცვალა ნოვგოროდის
ვოევოდა გოსტომისლი. სიკვდილიდ წინ მან თავის თანამემ-
ამულეებს დაუბარა – გაეგზავნათ წარმომადგენლები პრუსიის
მიწაზე და მოეწვიათ მთავრები, რომლებიც იყვნენ რომის მეფის
ავგუსტუსის საგვარეულოდან. ნოვგოროდელები ასეც მოიქ-
ცნენ, იპოვეს მათ მთავარი, სახელად რიურიკი, რომელიც იყო
რომის მეფის ავგუსტუსის გვარიდან (суща от рода римска царя
Августа) და ჩამოიყვანეს ის ნოვგოროდში მთავრად. მას შემდეგ,
რაც ნოვგოროდში დასახლდნენ ავგუსტუსის გვარის წარმომად-

¹ Покровский М. Русская история, 1, М. с. 192.

გენლები, განაგრძობს სპირიდონი, ნოვგოროდი იწოდებოდა დიდ ნოვგოროდად”¹.

ვრცლად მოგვითხრობს მიტროპოლიტი სპირიდონი ვლადიმერ მონომახის შესახებ. ვლადიმერ მონომახმა, გადმოგვცემს მიტროპოლიტი, ერთხელ შეკრიბა სათათბიროდ თავისი წარჩინებულები და ბოიარები და მათთან წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა: “აი, ჩვენი წინაპრები მიდიოდნენ და იღებდნენ ხარკს კონსტანტინოპოლიდან, ახალი რომიდან. მე კი ვარ მათი მემკვიდრე. ამდენად, ხომ არ ვცადო მეც ჩემი ბედი? რა რჩევას მომცემდით? და უთხრეს თავადებმა და ბოიარებმა მაშინდელმა იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა მაშინ იბრძოლა სპარსელებთან და ლათინებთან. რომ აეცილებინა რუსებისაგან შემოსევები, გადაწყვიტა, შეეთავაზებინა რუსეთის მთავრისათვის ზავი. მოიხსნა მან თავისი ყელიდან ჯვარი, რომელიც თვით ძელი ცხოველის ნაწილისაგან იყო დამზადებული, მოიხსნა თავისი სამეფო გვირგვინი, ბრძანა მოეტანათ სერდოლიკის ბარძიმი, საიდანაც ნადიმების დროს სვამდა ავგუსტუსი, რომის იმპერატორი, და სამხრეები, რომელსაც იმპერატორები ატარებდნენ. ეს ყველაფერი გაუგზავნა ვლადიმერ ვსევოლოდის ძეს, როგორც მისი ხელისუფლების კანონიერ მემკვიდრეს. იმპერატორის ელჩმა, ეფესოს მიტროპოლიტმა, გვირგვინი უკურთხა მონომახს, როგორც ამჯერად უწოდებენ ვლადიმერ ვსევოლოდის ძეს.

ამგვარად, აღნიშნავს მ. პოკროვსკი, პირდაპირი დასკვნა, რომელიც გამომდინარეობს მსოფლიო ისტორიის იმ კონცეპციიდან, რომელიც აუწყა თავის ნაცნობს მიტროპოლიტმა სპირიდონმა, არის ის, რომ დინასტია, რომელიც მართავდა რუსეთს XVI საუკუნის დასაწყისში, იყო არა ვინმე ვარიაგი კონუნგის მემკვიდრე და შთამომავალი, არამედ თვით სრულიად მთელი

¹ Покровский М. Русская история, 1, с. 194.

სამყაროს მპყრობელი მეფის მემკვიდრე. მოსკოვის ხელმწიფე ვასილი ივანეს ძე არის შორეული მემკვიდრე ვლადიმერ ვსევოლოდის ძის, მონომახისა, რომელიც იყო არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მთელი მსოფლიოს მპყრობელი. ეს იყო ხელშეუვალი და პირდაპირი უფლება მოსკოვის ხელმწიფისა. მოსკოვის დიდი მთავარი იყო რომის იმპერატორის კანონიერი მემკვიდრე, რასაც აღიარებდნენ თვით აღმოსავლეთ რომის იმპერატორები, ვლადიმერ ვსევოლოდოვიჩის დროს, როცა ნებაყოფლობით გააგზავნეს რუსეთში იმპერატორის სახელისუფლო ნიშნები, მათ შორის ცნობილი მონომახის ქუდი, რომელიც გახდა მოსკოვის სამეფო ხელისუფლების სიმბოლო¹.

პოკროვსკი იქვე მიუთითებს სპირიდონის კონსპექტში გადმოცემული ფაქტების შესახებ, რომ ის იყო გამონაგონი და ეწინააღმდეგებოდა თვით მსოფლიო ისტორიის მრავალ დადგენილ ფაქტს. ეს შეეხება ავგუსტუსის იმპერატორობას, მისი ძმების შესახებ მოთხრობას, ასევე გადმოცემას ქალაქ მარიენბურგის შესახებ, რომელიც სპირიდონის კონსპექტში მოხსენიებულია ქრისტიანობამდელი რომის იმპერიის დროს, თუმცა ფაქტობრივად მხოლოდ XIII საუკუნეში დააარსეს გერმანელმა რაინდებმა. ამ გადმოცემის სიყალბე ავტორში ეჭვს არ იწვევს. “არც

¹ Тогдашний византийский император Константин Мономах, воевал в это время с персами и с латинами – был, значит, в очень стесненном положении. Не в состоянии отразить русского нашествия, он решил склонить русского князя на мир. Снял он со своей шеи крест «от самого животворящего древа», снял свой царский венец, велел принести сердоликовую чашу, из которой пил на пирах Август, царь римский, и бармы, которые императоры носили на плечах, - и все это отослал Владимиру Всеволодовичу, как законному наследнику своей власти: Прими от нас. боголюбивый и благоверный князь, сии честные дары от начаток вечного твоего родства...» (Покровский М. Русская история, , с. 193).

ერთი გადმოცემა არ შეესაბამება იმ დროს და იმ პიროვნებებს, რომლებზედაც ის ლაპარაკობს, წერს მ. პოკროვსკი, როდესაც კონსტანტინე მონომახი გარდაიცვალა, მაშინ ვლადიმერ ვსევოლოდის ძე მხოლოდ ორი წლის იყო...¹

სხვა ავტორებისაგან სრულიად განსხვავებულია რუსი ისტორიკოსის ნ. კარამზინის ნაშრომებში გამოთქმული მოსაზრება ბიზანტია-რუსეთის ურთიერთმიმართების შესახებ. მ. კარამზინის აზრით, რუსეთის სახელმწიფოს იდეოლოგიაში უფრო მნიშვნელოვანია აღმოსავლეთი და ის უფრო ხანების მემკვიდრეა, ვიდრე დასავლეთის. ამასთანავე, რუსეთის სახელმწიფო იდეოლოგია უფრო მაკიაველიზმთან არის ახლოს, ვიდრე ბერძნულ პატრისტიკასთან, რომელიც იყო ბიზანტიური სახელმწიფოს იდეოლოგიური საფუძველი.

ასეთივეა ი. პროხანოვის მოსაზრება – “XIX-XX საუკუნის კრიზისი ეკლესიისა, რომელიც გარეგნულ ბრწყინვალეობას აღწევს, მაგრამ შიგნიდან არ ვითარდება. ქადაგებას არა აქვს ადგილი, ის არ არის ცოცხალი, ასევე ბიბლიას არ კითხულობენ, თანაც ის ლიტურგიის დროს იკითხება მხოლოდ ძველსლავურად, რაც გაუგებარია მრევლისთვის”².

ბიზანტიისადმი რუსეთის დამოკიდებულება განსხვავებულად არის წარმოდგენილი ბ.ვ. სოლოვიოვის ნააზრევში. ნაშრომებში “ბიზანტინიზმი და რუსეთი”, “დიდი დავა და ქრისტიანული პოლიტიკა” იგი ბიზანტინიზმს განიხილავდა, როგორც სოციალურ-კულტურულ ფენომენს, დამახასიათებელს მართლმადიდებელი სახელმწიფოებისათვის. ფილოსოფოსი შორს იყო ბიზანტინიზმის გაიდელალებისაგან, რომელიც მიიღეს მემკვიდრეობად რუსებმა, არამედ ხედავდა მასში რიგ უარყოფით

¹ Покровский М. Русская история, 1, с. 194.

² Проханов И.С. В котле России. Автобиография, Чикаго, 1992, с. 20-22.

თვისებებს, რომელმაც თვით ბიზანტიაში შეასრულა უარყოფითი როლი. მისი აზრით, ასევე მძიმე აღმოჩნდა რუსეთისათვის ბიზანტიისაგან მიღებული მემკვიდრეობა. “ბიზანტინიზმის გავლენა ტრაგიკული იყო რუსეთისათვის, რაც გამოიხატა ეკლესიის დამორჩილებით სახელმწიფოს მიერ, უმაღლესი საწყისის უზურპაციით დაბალი საწყისის მიერ. სახელმწიფომ ჩამოართვა ეკლესიას მისი სულიერი ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი, მიიკრა რა ის ნამეტნავად ახლოს და შეერწყა მას, თითქმის ერთიან სხეულად აქცია და დააკარგვინა წინააღმდეგობის უნარი. და მაშინ, როდესაც თვითმპყრობელური სახელმწიფო დაეცა, ეკლესიას არ აღმოაჩნდა უნარი, წინააღმდეგობა გაეწია ბოლშევიზმისათვის, რომელმაც დააჩოქა იგი”.

ბიზანტინიზმის საკითხისადმი მუდმივად არსებობდა დიდი ინტერესი ქართველ მეცნიერთა შორის. ამას ასახავს ნ. ნიკოლაძის, ს. ყაუხჩიშვილის, ზ. კვიციანიძის და სხვათა ნაშრომები ბიზანტინიზმის შესახებ.

ბიზანტინიზმის იდეას რუსეთში ვრცლად შეეხო პროფესორი ზ. კვიციანიძე. მისი აზრით, რუსეთს “არ ჰქონდა ის საფუძველი, რამაც ბიზანტიის ქრისტიანული სახელმწიფოს საფუძველი შექმნა, მას არ ჰქონდა “ელინური წარსული” – მისი ხალხი ნორჩი ხალხი იყო და ის ჯერ ეროვნულად უნდა მომწიფებულიყო, რათა უნივერსალურის ტვირთვა შეძლებოდა”.

ბიზანტინიზმისა და ბიზანტიური მემკვიდრეობის საკითხის შესწავლა, როგორც უკვე ვნახეთ, ისტორიის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებულად არის წარმოდგენილი. დიდია პოლიტიკოსთა ინტერესი ამ პრობლემისადმი. რომი და ბიზანტია და მათი მემკვიდრეობა მართლმადიდებლური ქვეყნების პოლიტიკურ დოქტრინებში ხშირად მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ბიზანტიური მემკვიდრეობისადმი რუსეთის ისტორიის სხვადასხვა ეპოქაში განსხვავე-

ბული დამოკიდებულება, რომელიც იცვლება თვით რუსეთის იმპერიული ამბიციების შესაბამისად. რუსეთის მესიანური იდეისათვის რომი და მისი მემკვიდრეობა მეტად მნიშვნელოვანია. ასეთი სახის დამოკიდებულება ბიზანტიისადმი რჩება რუსულ იმპერიულ აზროვნებაში საბჭოთა პერიოდშიც. ეს არის ე. წ. საბჭოთა მესიანიზმი. რუსეთი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც გაიმარჯვა სოციალიზმმა. გაიდელბუღია რუსეთის ისტორიის ძველი პერიოდი. წარმოჩენილია ტერმინი *წმინდა რუსეთი*, ხაზგასმულია საბჭოთა კავშირის გამარჯვება ნაციზმზე და მისი მისონერული როლი აღმოსავლეთ ევროპაში.

მიუხედავად ამისა, რუსული იმპერიული ამბიციები და რუსეთის პრეტენზია რომის იმპერიის მემკვიდრეობაზე ისტორიოგრაფიაში დღემდე უფრო მეტად წარმოდგენილია XVI საუკუნის რუსეთის და ფილოფეის თეორიის საფუძველზე. უნდა დავეთანხმოთ ბ. უსპენსკის¹, რომელმაც შემოგვთავაზა ფრიად საინტერესო მასალები პეტრე I-ის დროინდელი რუსეთის შესახებ, რომელმაც გეზი დასავლეთისკენ აიღო და მესამე რომის რელიგიურად მოტივირებულ თეორიას ამჯობინა ანტიკური და შუა საუკუნეების დასავლეთში არსებული რომის საღვთო იმპერიის მემკვიდრეობა. ჩვენ აქ მაინც გვსურს განვმარტოთ, რომ ისევე როგორც პეტრეს დროინდელი რუსეთი თავის პოლიტიკურ დოქტრინას ქმნიდა დასავლეთში არსებული იმპერიების საპირისპიროდ და სურდა ევროპულ ცივილიზაციაში ჩართულიყო, როგორც სრულფასოვანი ცივილიზებული ქვეყანა, და არა რომანიზირებული ბარბაროსი, ასეთივე იყო ინტერესი XVI საუკუნის რუსეთისა, როდესაც კონსტანტინოპოლიდან “გადმოიტანა” როგორც ცეზარის (Царь) ტიტული, ასევე პატრიარქის

¹ Успенский Б. Отзвуки концепции «Москва Третий Рим» в идеологии Петра Первого - К проблеме средневековой традиции в культуре барокко. - Семиотика истории. Семиотика культуры, М., 2004.

ინსტიტუტი. მართალია, შუა საუკუნეების აზროვნების შესაბამისად ეს მესამე რომი რელიგიურად იყო მოტივირებული, მაგრამ მისი საერო ინტერესები და დასავლეთის მიმართ პრეტენზიები აისახა იმაშიც, რომ მან არ დაუთმო გერმანიას რომის და კონსტანტინოპოლის მემკვიდრეობა და მის გერბზეც, გერმანელთა საპირისპიროდ, გაჩნდა ბიზანტიური არწივი. ახალ დროშიც პეტრეს მიერ იმპერატორის ტიტულის მიკუთვნება ნიშნავდა მის გატოლებას ავსტრიის იმპერატორთან.

ბ. უსპენსკის აზრით, იდეა “მოსკოვი მესამე რომი” თავისი ბუნებით ორი სახის იყო. ერთი მხრივ, ის გულისხმობდა მოსკოვის სახელმწიფოს კავშირს უმაღლეს სასულიერო-რელიგიურ ღირებულებებთან და ხაზს უსვამდა ბიზანტიაზე ორიენტაციის თეოკრატიულ ასპექტს, რაც გულისხმობდა ასევე მის იზოლაციას ურწმუნო ქვეყნებისაგან”. მეორე მხრივ, კონსტანტინოპოლით, როგორც მეორე რომით, ის უკავშირდება ძველ რომს პოლიტიკური სიმბოლოთი. ბიზანტიაში ხედავდნენ მსოფლიო იმპერიას, რომელიც იყო რომის სახელმწიფო. ასე რომ, ამ მხრივ ის ხდებოდა რომის იმპერატორის მემკვიდრე, რომელშიც ის გულისხმობდა არა კონსტანტინე დიდს, არამედ ავგუსტუსს - კეისარს. კონსტანტინოპოლის ორმაგი სახე - როგორც სასულიერო, ასევე პოლიტიკური სიმბოლოსი - იძლეოდა საშუალებას ასევე ორმაგი ინტერპრეტაციისათვის: როგორც სიწმინდის, ასევე სამეფოს და სახელმწიფოსი. პირველის სასულიერო ინტერპრეტაციის სიმბოლო ხდება იერუსალიმი, ხოლო მეორისა - რომი. იდეა “მოსკოვი - ახალი რომი” ასევე ძალიან მალე გადაიზარდა იდეაში “ახალი იერუსალიმი”.

XVI საუკუნეშივე ჩნდება რუსეთში გადმოცემები, რომ ძველი იერუსალიმი გახდა “მიუღწეველი”, რადგანაც ის შერყვნეს სარაციებმა და, ამდენად, იერუსალიმად იწოდება მოსკოვი. ამ თემაზე სპეციალურად არის საუბარი მაქსიმე ბერმენის

შრომებში. ამავე დროს, რუსეთისთვის წმინდა ტაძარს წარმოადგენდა წმინდა სოფია კონსტანტინოპოლში, მაგრამ 1453 წლიდან ის შეიცვალა იერუსალიმის აღდგომის ტაძრით. პატარჯი ნიკონი აშენებს მოსკოვთან ახალ იერუსალიმს, აღდგომის ტაძრს, რომელიც აგებული იყო იერუსალიმის აღდგომის ტაძრის მიზაძვით. ამდენად, ბიზანტიის სიმბოლო გაიყო ორ სიმბოლოურ სახედ: კონსტანტინოპოლი იყო გაგებული, როგორც ახალი იერუსალიმი – წმინდა, თეოკრატიული ქალაქი, და მასთან ერთად ახალი რომი - იმპერიის ქალაქი, მსოფლიოს თავი. ორივე ეს იდეა თავს იყრის მოსკოვის, როგორც მესამე რომის გააზრებაში¹.



ახალი იერუსალიმი, მოსკოვი, წმ. კონსტანტინეს და წმ. ელენეს ტაძარი, უკანა პლანზე აღდგომის ტაძარი.

¹ Успенский Б. Отзвуки концепции «Москва Третий Рим» в идеологии Петра Первого (К проблеме средневековой традиции в культуре барокко)- Семиотика истории. Семиотика культуры, М., 2004.

კონსტანტინოპოლის აღება ოსმალების მიერ, ამავე დროს, დაემთხვა რუსეთის სრულ გათავისუფლებას მონღოლთა ბატონობისაგან. ეს დამთხვევა გახდა რუსებისთვის საფუძველი ინტერპრეტაციისათვის მსოფლიო სიწმინდეების გადმოტანის შესახებ. მაშინ, როდესაც კონსტანტინოპოლზე გაიმარჯვეს მუსლიმებმა, რუსებმა გაიმარჯვეს ასევე მუსლიმებზე. როგორც ბ. უსპენსკი წერს, კონსტანტინოპოლის დაცემის დროს რუსეთი რჩებოდა ერთადერთ დამოუკიდებელ მართლმადიდებელ სახელმწიფოდ, სადაც არ იყვნენ გაბატონებული მუსლიმები, თუ არ ჩავთვლით საქართველოს, რომელიც, მოსკოვის პოზიციით, წარმოდგენილი იყო მითიურ სამეფოდ. ამდენად, მათ თავი წარმოიდგინეს მსოფლიოს მმართველებად.

პეტრე I-ს, როგორც უფრო დასავლეთზე ორიენტირებულ მონარქს, გარკვეული ცვლილებები შეაქვს რომის იდეის გაგებაში. ის იღებს ორიენტაციას რომზე, ბიზანტიის გავლის გარეშე, რამაც ბუნებრივად შექმნა კათოლიკური რომის მემკვიდრეობის პრობლემა. პეტერბურგის გერბი იმეორებდა ქალაქ რომის გერბს, ასევე პეტერბურგში მკვიდრდება პეტრესა და პავლეს კულტი. მათ სახელზე შენდება ტაძარი პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეში.

პეტერბურგი - რუსეთის ახალი დედაქალაქი იხსენიებოდა, როგორც წმინდა პეტრეს ქალაქი, სადაც რომის წმინდა პეტრეს ტაძრის მიბაძვით აშენდა ისაკის ტაძარი, რაც კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს პეტრე დიდის პრეტენზიას, ყოფილიყო პირდაპირ რომის მემკვიდრე. რომის მემკვიდრეობის პრეტენზია ასევე აისახა იმპერატორის ტიტულის დამკვიდრებაში. პეტრეს დახასიათების დროს, მისი შედარება პეტრე მოციქულთან ასევე აშკარას ხდიდა პრეტენზიას რომის მემკვიდრეობაზე. თვით პეტრე თავის თავს რომის იმპერატორსაც უწოდებდა.

პეტრეს დროს წყდება ორთოდოქსული მესიანიზმის იდეაც. იგი უარს ამბობს “აღმოსავლეთის ქრისტიანი იმპერატორის” ტიტულზე, რომელიც მას 1721 წელს სენატმა შესთავაზა.

პეტრე დიდის გარდაქმნების შემდეგ რუსეთის საზოგადოების სტრუქტურა ძირეულად შეიცვალა – ის უნდა გამოთხოვებოდა “მესამე რომობის” იდეას. პეტრე ეროვნულ ანუ საერო სახელმწიფოს აშენებდა. როცა პეტრემ გააუქმა საპატრიარქო და ეკლესია დაუმორჩილა ე. წ. უწმინდეს სინოდს, რომელიც თავად იმპერატორის ხელისუფლებას იყო დამორჩილებული, ამით მან საბოლოოდ გამოუთხარა ძირი ქრისტიანული სახელმწიფოს აღმშენებლობას რუსეთში. მართლამადიდებელმა იმპერატორმა გადაიგდო საპატრიარქოს სულიერი დიქტატის “უღელი”, პატრიარქის ავტორიტეტი ობერ-პროკურორის, სახელმწიფოს ერთ-ერთი მოხელის, ავტორიტეტმა შეცვალა. სახელმწიფოს მიერ ეკლესიის გამგებლობის ასეთი ხელყოფა წარმოუდგენელი პროფანაცია იყო ბიზანტიური მემკვიდრეობის ქვეყანაში. ბიზანტიაში, მთელი მისი ათასწლოვანი ისტორიის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორს ჰქონდა პატრიარქის შერჩევისა და მსოფლიო კრებების მოწვევისა უფლება, ამგვარი უზურპაციის მცდელობაც კი არ ყოფილა. რუსეთში ამ ხელყოფით დაირღვა იმპერატორ იუსტინიანეს კოდექსის მე-6 ნოველა, რომელიც სამღვდელო და სახელმწიფო ხელისუფლებათა თანხმობას (ბერძნ. სიმფონია) ქრისტეს ორბუნებოვნების დიქტატზე აფუძნებდა: სამღვდელო ხელისუფლება ემსახურებოდა ღვთიურ საგნებს, სამეფო ხელისუფლება კი მთავრობდა ადამიანურზე და ზრუნავდა მათზე. მაგრამ ორივე გამოდიოდა ერთი და იგივე წყაროდან და ორივე ამკობდა ადამიანურ ცხოვრებას”¹.

¹ ზ. კიკნაძე, ბიზანტიური მემკვიდრეობა I. - ეკლესია გუმინ, დღეს და ხვალ, თბ., 2002, გვ. 5.

ზ. კიკნაძე საბჭოთა პერიოდში “ბიზანტინიზმის გადმოყი-
რავებული სახეს” ხედავს. მისი აზრით, “საბჭოთა სახელმწიფო
თითქოს უფრო მეტი იყო, ვიდრე საერო სახელმწიფო. ის თით-
ქოს არც იყო საერო ინსტიტუტი. ის “ეკლესია” იყო თავისი პა-
როდიული თავით – ბელადითურთ, კომუნიზმის მშენებელთა
საკრებულო”, პარტია, როგორც ეკლესია. იქ ქრისტეს ეკლესია,
აქ ბელადის პარტია. იქ ქრისტე და ეკლესია, როგორც ერთი სხე-
ული, აქ ბელადისა და პარტიის ერთიანობა.”¹


ერთი იდეოლოგიის გაბატონების, ან კიდევ მართლმადი-
დებლური იდეოლოგიის შედარება კომუნისტურ იდეოლოგი-
ასთან გვხდება უფრო ადრეც, დასავლელ ავტორებთან. ეს არის
ქრისტიანული დღესასწაულების შედარება ერთპარტიულ სის-
ტემაში დადგენილ პარტიულ ღონისძიებებთან, ასევე ხატებისა
– პოლიტიკურ ლოზუნგებთან. ფრიად საინტერესოა ეკლესიის
ფრესკების შედარება იდეოლოგიურ პლაკატებთან, როგორც
პროპაგანდის საშუალებებისა. ასეთი მაგალითი აქვს დამოწმე-
ბული მიუნხენელ პროფესორ ლეოპოლდ კრეტცენბახერს, რო-
დესაც მან გამოაქვეყნა კიბის აღმწერლის ხატი და ბულგარეთის
კომუნისტური პარტიის პლაკატი. პლაკატი შესრულებულია
ბულგარელი გრაფიკოსის მიერ ვ. მაიაკოვსკის რევოლუციური
ლექსის “აფეთქების მისტერიისათვის” – “Мистерия Бухф”².

¹ ზ. კიკნაძე, ბიზანტიური მემკვიდრეობა I. - ეკლესია გუმინ, დღეს და
ხვალ, თბ., 2002, გვ. 176.

² Kretzenbacher L. Die Himmelsleiter zur Socialismis – Sohne,-Sud-Ost
forschungen, 40, 1981, S. 224-228.



იოანე კიზისაღმწერელი, ხატი, XII ს.
სინას მთა, წმიდა ეკატერინეს მონასტერი.



პლაკატი ბულგარული ფილმისათვის, 1969 წ.

ასეთი მსჯელობები მეტად საინტერესოა, მსგავსების და-
ნახვა კი შეიძლება არა მხოლოდ რუსეთისა და საბჭოთა კავში-
რის მაგალითზე. საერთოდაც, ამ შემთხვევაში როგორც ზ. კიკ-
ნაძე, ასევე სხვა ავტორები უფრო იმპერიის მაგალითზე საუბ-
რობენ და, როგორც ვხედავთ, აქ იმპერიაში გაერთიანებული
თუ დაპყრობილი სხვადასხვა ხალხებისა თუ ეროვნებებისთვის
საერთო შემაკავშირებლის შექმნაზეა საუბარი. შეიძლება, არ და-
ვეთანხმობთ ავტორის ასეთ მსჯელობას, როდესაც იგი ცდი-
ლობს, მართლმადიდებლური ეკლესია, კერძოდ, კონსტანტინო-
პოლის საპატრიარქო წარმოადგინოს ერთადერთ რელიგიურ
ორგანიზაციად, კომუნისტური პარტიის მსგავსად, რომელიც
აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე აცხადებდა პრეტენზიას, შეუწყნა-
რებელი იყო მწვალებლობების თუ სხვა მოძღვრებათა მიმართ.
პრეტენზია აბსოლუტური ჭეშმარიტებისა, ანუ უნივერსალუ-
რობისა და, აქედან გამომდინარე, მწვალებლობასთან და გან-
სხვავებულ აზროვნებასთან ბრძოლა დამახასიათებელია შუა
საუკუნეებში ნებისმიერი დიდი რელიგიისათვის, შესაძლებე-
ლია, უფრო რადიკალური მეთოდებით, ვიდრე ეს ხდებოდა ბი-
ზანტიაში.

დღეისათვის, როდესაც განსხვავებულად ხდება ბიზანტი-
ის ისტორიის წაკითხვა, დასავლელ მეცნიერთა დიდი ნაწილი
თანხმდება იმაზე, რომ ბიზანტია არ იყო შესვენების ხანა ანტი-
კურობასა და აღორძინებას შორის, პირიქით, როგორც გ. ოს-
ტროგორსკი წერს, ბიზანტიაში შეინახა ანტიკური მემკვიდრეობა
და ამით მსოფლიო მისია შეასრულა. მან რომის სამართალი,
ბერძნული პოეზია, ფილოსოფია და მეცნიერება დალუპვისაგან

იხსნა და შემდეგ დიდი მემკვიდრეობა თავისებურად გადამუშავებული გადასცა დასავლეთ ევროპის ხალხებს”¹.

ამდენად, ბიზანტინიზმის გაგება კულტურასა და ხელოვნებაში, როგორც გაქვავებულის, არაგანვითარებადის ან ჩაკეტილის, არ იქნებოდა სწორი, ასეთი ინტერპრეტაცია, ალბათ, ევროპოცენტრიზმის დამსახურებაა. დასავლურ ისტორიოგრაფიაში აქამდე იგნორირებული იყო ბიზანტიის როლი, რაც არ არის შემთხვევითი.

ბიზანტინისტთა თანამედროვე კვლევებზე დაყრდნობით და პოლიტოლოგთა ბოლო პერიოდში დაწერილ შრომებზე დაკვირვებით, შეიძლება ითქვას, რომ ბიზანტინიზმი პოლიტიკაში უფრო იკვეთება, როგორც იმპერიის თეორია, ანუ მმართველობის იმპერიული სტილისა და იმპერიისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიის დამკვიდრება, თუმცა ასეთი მსჯელობა ყოველთვისაც არ იქნებოდა მართებული, თვით ბიზანტიის ისტორიის შესწავლის მაგალითზე.

თავდაპირველად, როცა ბიზანტია არსებობას იწყებდა, როგორც რომი, ანუ “რომის გადმოტანით”, მას თან ახლდა კულტურის განვითარების ტემპის ზრდა, მაგრამ ხანგრძლივ ეტაპზე ასეთი ტემპის შენარჩუნება, ბუნებრივია, ვერ მოხერხდა, ხოლო სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ნებისმიერი მაკიაჟის მცდელობა უფრო და უფრო არა ბუნებრივსა და ვულგარულს ხდიდა მას.

როდესაც ბიზანტია წარმოიშვა, როგორც ახალი რომი, ანუ ახალი იმპერია, ის სიცოცხლისუნარიანი იყო თავისი ახალგაზრდა სხეულით, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც იგი, ძალაგამოცლილი და დაუძლურებული, მაინც ცდილობდა, შეენარჩუ-

¹ Ostrogorsky G. Geschichte der Byzantinischen Staates, München, 1962, S. 455.

ნებინა თავისი ძველი სახე, ერთადერთობის ძველი ამბიცია, როგორც ერთადერთი ღვთის იმპერიისა, ეს იყო მეტად არაბუნებრივი და, ხშირად, კომიკურიც. სწორედ ასეთი სახის რომს შეიძლება ვუწოდოთ ბიზანტინიზმი. ეს მიესადაგება რუსეთსაც, რომელიც XV საუკუნის მეორე ნახევრიდან შეეცადა, თავის ქვეყანაში გადმოეტანა რომი და მოსკოვი მესამე რომად მოეხსენიებინა, შესაძლებელია, ეს რუსული რენესანსის ადრეული ნაბიჯები იყო, მაგრამ შემდეგში რენესანსული მაინც პეტრე დიდის დასავლური რუსეთი გახდა.

საბჭოთა რუსეთის მცდელობა, რაიმე სახით დამსგავსებოდა რომს, ვფიქრობთ, მისი ტრაგიკული ნაბიჯია. საბჭოთა კავშირმა ბიზანტიისაგან გადმოიღო ერთიანი იდეოლოგიური სისტემის არსებობა და ამ იდეოლოგიით ხალხების თავის საპყრობილეში მოთავსება, მაგრამ მას, ბიზანტიისაგან განსხვავებით, არც არაფერი გაუკეთებია თავის გავლენის ქვეშ შეკრებილი ხალხების კულტურული განვითარებისათვის, პირიქით, მის მიერ შემოერთებული ხალხების ნაწილი მასზე კულტურულადაც მაღლა იდგა და სახელმწიფოებრიობის უფრო დიდი გამოცდილება და ტრადიციაც ქონდა. ამდენად, ახალი იმპერია, საბჭოთა კავშირის სახით, არათუ მათ განვითარებაზე ზრუნავდა, არამედ ანელებდა მათ განვითარებას და მათი დიდი ნაწილი (ბალტიისპირეთის ქვეყნები, სამხრეთ-დასავლეთ სლავები, საქართველო) ჩამოაცილა თავის ბუნებრივი განვითარების დასავლურ, ევროპულ გზას.

თავი V

თანამედროვე რომი

თანამედროვე კვლევებში ხშირად ვხვდებით თანამედროვე რომის შესახებ კონცეპციას. დღეს ხშირად საუბრობენ მეოთხე, თუ მეხუთე რომზე. ეს საკითხი უმეტესად პოლიტიკურ ჭრილშია წარმოდგენილი და ძალიან ხშირად გარკვეული იდეოლოგიათა გავლენა ეტყობა. ამ თეორიების შესაბამისად, ახალი რომის ძირითადი მახასიათებელი არის ზესახელმწიფოს იდეა. და ასეთებად ხშირად მოიხსენიება ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის საერთაშორისო გავლენის შესუსტების გამო, უმეტესად მაინც, თანამედროვე რომის იდეაში განხორციელებას ამერიკის შეერთებულ შტატებში ხედავენ. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ავტორთა დიდი ნაწილი ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ იყენებს როგორც *ახალი რომის*, ასევე *ახალი ბიზანტიის* ეპითეტებს. ამდენად, უმრავლეს შრომებში საუბარია ახალ იმპერიაზე და არა საერთო მახასიათებლებით თუ საერთო იდეებით გაერთიანებულ სივრცეზე. თუმცა, ვფიქრობთ, თანამედროვე რომი ასეთი სახით უნდა იყოს წარმოდგენილი.

როდესაც თანამედროვე ისტორიკოსები და პუბლიცისტები წერენ ამერიკის შეერთებულ შტატებზე, როგორც “ახალ რომზე”, ამის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი არის ის, რომ ამერიკა წარმოადგენს ზესახელმწიფოს, რომლის სამხედრო ძალა აჭარბებს მის მომდევნო ძლიერ ოცი სახელმწიფოს სამხედრო ძალას, ერთად აღებული. თანაც ის არის დღეისათვის იმ საწყის მდგომარეობაში, როგორც ყოველი ახალი რომი იყო თა-

ვისი დაფუძნების ეტაპზე, სახელდობრ, როდესაც რომი თავის- თავად გახდა ერთადერთი იმპერია, ასევე ბიზანტია, რომელიც VIII საუკუნემდე ინარჩუნებდა ერთადერთობას. ეს იმპერიები, ანუ ახალი რომები, აღმოცენდნენ დაპირისპირებაში სხვა ადრეულ ძლიერ იმპერიებთან და შემდეგშიც ჰყავდათ მეტოქენი სხვა ახალი იმპერიების სახით: ძველი რომის მოწინააღმდეგეები იყვნენ ეგვიპტე და საბერძნეთი; ბიზანტიისა - ფრანკები და გერმანიის რომის საღვთო იმპერია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ასეთი ძალა ამერიკის შეერთებული შტატების საპირისპიროდ დღეს არ არსებობს!

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს სისტემაში, გარდა იმ მახასიათებლისა, რომ ის არის გლობალური პოლიტიკის გამტარებელი ძლიერი სახელმწიფო, ძნელია მოიძებნოს რაიმე სხვა ისეთი მახასიათებელი, რომელიც მოგვცემდა მისი რომის იმპერიასთან და ბიზანტიასთან შედარების საშუალებას.

თუმცა ისეთი სახის იდეოლოგიაში, როგორც ლიბერალური დემოკრატიაა, სავსებით შესაძლებელად მიაჩნიათ იპოვონ ტოტალიტარიზმის ნიშნები, რაც ახასიათებს “რომის” არსებობის იდეოლოგიას. თავისთავად, ლიბერალური დემოკრატია უპირისპირდება ტოტალიტარიზმს, მაგრამ ტრადიციის და რელიგიური მიკუთვნილობების, თუ ნაციონალურ ღირებულებათა ნიველირების კატეგორიული ფორმით დანერგვას ასევე შეიძლება აღმოაჩნდეს ტოტალიტარიზმის ნიშნები.

როგორც კულენ მარფი წერს, ამრიგის რომაული მოდელი არ იყო ყოველთვის ერთნაირი. თომას ჯეფერსონი, ალექსანდრე ჰამილტონი და ამერიკის სხვა დამფუძნებელი მამები ახალ რეს-

¹Maresch R. Das neue Byzanz, 2002; Murphy C. The New Rome? The Fall of an Empire and the Fate of America, 2006.


პუბლიკას ადარებდნენ რომის რესპიბლიკას, კატონის და ციცერონის პერიოდის რომს. დღევანდელი ამერიკა, მისი აზრით, უფრო ემსგავსება რომის იმპერიას. “დღეისათვის ამერიკა ნაკლებად არის ფოკუსირებული რომის რესპუბლიკის, ვიდრე იმპერიის მიმართ”¹.

კომპარატივისტიკის პრინციპებიდან გამომდინარე, გარეუხულად ამერიკის შეერთებულ შტატების რომისკენ სწრაფვის მაგალითად პოლიტოლოგთა და ისტორიკოსთა ნაწილს მიაჩნია ამერიკის სახელმწიფო დაწესებულებათა არქიტექტურაში რომაული სტილის არსებობა. ასეთი ნიმუშების მოპოვება შესაძლებელია დასავლეთის ქვეყნების სკოლის სახელმძღვანელოებშიც კი.² მაგალითად შეიძლება დასახელდეს პანთეონის შენობა რომში, აგებული ავგუსტუსის მმართველობის დროს, როგორც ღმერთების ტაძარი და ვაშინგტონის ნაციონალური არქივი, სადაც ინახება ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის ხელნაწერის ორიგინალი.



¹ Cullen M., *The New Rome? The Fall of an Empire and the Fate of America*, 2008.

² *Zeiten und Menschen. I*, Verlag Fredinand Schoning, Paderborn, 2001, s. 243.



ნაციონალური არქივი ვაშინგტონში

როდესაც თანამედროვე რომზე ვწერთ, არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ თანამედროვე რუსეთი, რომელიც თავის სახელმწიფო იდეოლოგიაში ისევ ცდილობს დაეყრდნოს ბიზანტიურ იმპერიულ იდეოლოგიას, რისთვისაც ის ყველა საშუალებას იყენებს. თუ ადრე საბჭოთა რუსეთი იმპერიული ამოცანების განსახორციელებლად იყენებდა სოციალიზმის მარქსისტულ თეორიას, ამჯერად ის ენერგომატარებლებით მანიპულირებს. ან კიდევ, რუსული შოვინიზმის და რუსი ხალხის გამათავისუფლებლის თუ ე. წ. ნაკლებად განვითარებული ხალხებზე ზრუნვის ყალბი მოტივით, ის ატარებს, რომის ძველი იმპერიისა თუ “გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის” Drang nach Osten-ის მსგავსად, დამპყრობლურ პოლიტიკას. ასეთია მისი იდეოლოგია ჩრდილოეთ კავკასიის და სხვა ხალხების მიმართ, როგორც თავის ქვეყნის ტერიტორიის შიგნით, ისე მის გარეთ. რუსეთი ცდილობს ამ პროცესში გამოიყენოს ბიზანტიური იარაღი მართლმადიდებლური სარწმუნეობის სახით. ამდენად, ხშირად რუსეთის სახელმწიფო რუსული მართლმადიდებლუ-

რი ეკლესიის სიძლიერით მანიპულირებს. რუსეთი ცდილობს, დასუსტებული კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ფონზე, წინ წამოწიოს რუსეთის ეკლესია და, ამავე დროს, დაუსახოს მას პოლიტიკური ამოცანები. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი იდეა, როდესაც რუსეთმა განსაკუთრებული ფონი შექმნა რუსეთის ახალი პატრიარქის არჩევის დროს, 2009 წლის დამდეგს. ამ პროცესში რუსული პოლიტიკური წრეების ჩართვა რუსეთის მხრიდან მესამე რომის იდეოლოგიის აღდგენის მცდელობას ჰგავს.

მართლმადიდებლურ ქრისტიანობის იდეოლოგიურ და პოლიტიკურ იარაღად გამოყენების აღორძინება უკანასკნელი პერიოდის რუსეთის პოლიტიკურ ელიტასა და კულტურულ წრეებში აშკარაა. ამის მაგალითი იყო 2008 წლის 31 იანვარს, მოსკოვში, პრეზიდენტ-ოტელში ჩატარებული სამცნიერო საღვთისმეტყველო კონფერენცია თემაზე “მოსკოვის - მესამე რომი, ერთანობისა და შერიგების ფორმულა”. უმაღლეს სამღვდელოებასთან ერთად, კონფერენციას ესწრებოდა დუმის ვიცე სპიკერო ლიუბოვ სლისკა. სავსებით საკმარისია, ამ კონფერენციის იდეასთან ერთად, დავასახელოთ “პოლიტიკური ჟურნალის” საერთაშორისო პოლიტიკის, პოლიტოლოგიისა და სოციოლოგიის განყოფილების რედაქტორის, დიმიტრი დანილოვის მოხსენებების სათაური – “ერთა მართლმადებლური თანამეგობრობა, როგორც XXI საუკუნის მეტაპოლიტიკური პროექტი”¹.

¹ Данилов Д. Православное содружество наций как метаполитический проект XXI века. თანამედროვე რუსეთში განვითარებულ ახალ იდეოლოგიას აშკარას ხდის დ. დანილოვის მოხსენების ძირითადი თეზისები: 1) Упразднение статуса субъектов Российской Федерации, имеющих национально-территориальное деление (республики, округа, и прочие «-станы»). Малые народы России должны иметь не административно-юридические привилегии, а национально-культурные. 2) В системе взаимоотношений с малыми народами России следует

მესამე რომის თეორიის არსებობაზე რუსული მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკაში მიუთითებს მ. მაცაბერიძე¹. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პოლიტოლოგიის სახელმძღვანელოებს, რომელთა ავტორები არიან რუსეთის პოლიტიკაში ცნობილი პირები ა. დუგინი და ა. პანარინი.

ა. პანარინი პოლიტოლოგიის სახელმძღვანელოში სპეციალურად განიხილავს მართლმადიდებლური სარწმუნოების მნიშვნელობას თანამედროვე რუსეთის გეოპოლიტიკაში. ის მართლმადიდებლობაში ხედავს პერსპექტივას, შეასრულოს გამართიანებელი იდეის როლი როგორც სლავი, ასევე ზოგადად აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხებისათვის. რასაკვირველია, გამართიანებელ ფუნქციას ა. პანარინი რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს და წერს, რომ რუსეთისთვის “ბიზანტიური მემკვიდრეობის” შეხსენება არის გზა მისი დაბრუნებისა ევროპაში.

თანამედროვე რუსულ მართლმადიდებლურ ლიტერატურაში ძალიან დიდია ინტერესი რომის მემკვიდრეობისადმი. ანტონ ილინი, ღვთისმეტყველების კანდიდატი, წმინდა ნიკოლოზის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი ბრიუსელში, მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენელი ევროპის საერთაშორისო ორ-

подчеркнуть государствообразующий статус русского народа, как лидера содружества народов Третьего Рима. Русский народ должен стать гарантом безопасности *Русского Мира* как всей исторически сложившейся совокупности социальных, административных, политических и духовно-культурных инфраструктур. Малые народы должны хорошо понимать, что без защиты русского народа в эпоху глобализации и борьбе за природные ресурсы их уничтожат или превратят в экономических рабов другие нации и другие цивилизации.
<http://www.pravaya.ru/dailynews/15015?print=1>

¹ მაცაბერიძე მ. საქართველო და “მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკა”-საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის წელიწადეული, თბ., 2003, გვ. 3-22.

განიზაცებში, სტატიაში - "მეოთხე რომი და ისტორიის დასასრული" წერს: "ფსკოვის ელიზარის მონასტრის ბერს ფილოფეის ჩვენს დროში რომ ეცხოვრა, არ იტყოდა, რომ ორი რომი დაეცა, მესამე დგას და მეოთხე არ იქნება". აქვე იგი სვამს კითხვას: რას იტყოდა ის დღეს შემდგომი რომის შესახებ, რომელიც ჩანს ევროპის ისტორიის ჰორიზონტზე? და თვითონვე პასუხობს: "ალბათ, უკვე ვერაფერს იტყოდა, რადგან სამყაროში, სადაც თვით ეკლესიამაც კი აღიმალა ხმა მულტიკულტურიზმისა და ცივილიზაციათა დიალოგის დასაცავად, ქრისტიანული უნივერსალიზმსა და მის შესაბამის ცივილიზაციურ მოდელზე ქადაგება შეუძლებელია, ან ეს, ბედის ირონიით, მოქმედებს მის საწინააღმდეგოდ"¹.

ა. ილინი გამოყოფს ორ მიმართულებას დღევანდელი საზოგადოების განვითარების პერსპექტივაში - ფუკუიამასა და ჯორჯ ბუშის სამყაროს, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ - ს. ჰანტიგტონის "ცივილიზაციათა შეჯახების" თეორიას. ა. ილინი უკანასკნელს ირჩევს, რადგანაც, მისი აზრით, იგი იძლევა იმედს "მართლმადიდებლური იდენტობის" შენარჩუნებისათვის: "ჩვენ ვირჩევთ უკანასკნელს. ვირჩევთ, რადგანაც იძლევა იმედს მართლმადიდებლური იდენტობის შენარჩუნებისათვის, თუ გეტოს ფარგლებში არა, უკიდურეს შემთხვევაში, რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში რეალიზებულ საზოგადოებაში".

მეოთხე რომი უეჭველად მოგვევლინებოდა აშკარა მეტაფიზიკურ "ისტორიის დასასრულად", რომელიც ფუკუიამასა და ფილოფეისთვის დაახლოებით ერთ და იგივეს ნიშნავს. თუ ფილოფეისთვის მეოთხე რომი არის აპოკალიპსური, რამდენადაც მას მესიანური მნიშვნელობა აქვს, როგორც ქრისტიანული უნ-

¹ Ильин А. Четвертый Рим и конец истории, 2005

http://www.religare.ru/2_22266.html

ივერსალიზმის რეალიზაციას მართლმადიდებლური სამეფოს სულიერ-პოლიტიკური მოწყობაში, ფუკუიამასთვის ახალი რომი არის კაცობრიობის მოლოდინის აღსრულება, რომელიც ელინდება ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვებასა და თავისუფალ ბაზარში¹. იზიარებს რა ს. ჰანტიტონის თეორიას, ა. ილინი ამბობს: “მეოთხე რომი ვერასოდეს იარსებებს, რამდენადაც “ისტორიის დასასრული” წარმართება პარადოქსულად, სახელდობრ, როგორც პოსტმოდერნისტული პარადიგმის გამარჯვება, რომელიც წარმოუდგენელია ცივილიზაციური პლურალიზმის გარეშე კულტურაში და მრავალპოლარულობის გარეშე გეოპოლიტიკაში. ტრადიციული და ლიბერალური შეხედულებები მოცემულ კონტექსტში მოწოდებულია “მშვიდობიანი თანაარსებობისაკენ”, რომელიც გამორიცხავს მონოპოლიას”².

ფ. ფუკუიამას ”ისტორიის დასასრულის” და ს. ჰანტიტონის “ცივილიზაციათა შეჯახების” თეორიის ფონზე განიხილავენ ხშირად მკვლევრები თანამედროვე რომის თეორიას. თანამედროვე რომი, რომელიც, ავტორთა დიდი ნაწილის თანახმად, არის ამერიკის შეერთებული შტატები, ცდილობს შეიქმნას ერთფეროვანი იმპერია საერთო ღირებულებებით, რომლის მთავარი მახასიათებელია ლიბერალურ დემოკრატიული ღირებულებანი.

ანჯეი ნოვაკი ასე გამოხატავს ამ მოსაზრებას: რომის იდეა არის ერთიანი ცივილიზებული სივრცის იდეა. ეს იდეა მიიღო დასავლეთმა და აშშ-მ 1945 წლის შემდეგ. ცივ ომში თავიანთი გამარჯვების შემდეგ მათ გამოაცხადეს თავიანთი იდეის, როგორც გლობალურის, ტრიუმფი, რომელსაც არა აქვს არავითარი

¹ Ильин А. Четвертый Рим и конец истории, 2005
http://www.religare.ru/2_22266.html

² Ильин А. Четвертый Рим и конец истории, 2005
http://www.religare.ru/2_22266.html

ალტერნატივა ცივილიზაციის ფორმაში - გამოცხადდა ისტორიის დასასრული!. დასავლური დომინანტი დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში აშკარაა. დასავლეთი დომინირებს საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში. ამის დასტურია ს. ჰანტიგტონის სიტყვები, რომელსაც ის წერს თავის ცნობილ ნაშრომში “ცივილიზაციათა შეჯახება?": “გამოთქმა “საეთაშორისო თანამეგობრობა” იქცა ევფემიზმად, რომელმაც შეცვალა გამოთქმა “თავისუფალი სამყარო”. იგი მოწოდებულია საერთაშორისო ლეგიტიმურობა მიანიჭოს მოქმედებებს, რომლებიც აშშ-ს და სხვა დასავლური ქვეყნების ინტერესებს ასახავს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მეშვეობით დასავლეთი ახორციელებს თავის ეკონომიკურ ინტერესებს და სხვა ქვეყნებს საკუთარი შეხედულებისამებრ თავს ახვევს ეკონომიკურ პოლიტიკას”².

ფ. ფუკუიამას ნააზრევის მიხედვით, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებათა გავრცელებას მთელ მსოფლიოში ალტერნატივა არ გააჩნია. მისი მოსაზრებით, პოლიტიკას დაიყვანენ ერთ წმინდა ფორმამდე ისე, რომ გამორიცხავს ყველა სხვა სახელისუფლო ძალასა და ინსტიტუციას, გარდა არჩევნებისა და დემოკრატიული წარმომადგენლობისა. ფ. ფუკუიამა დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირში კომუნიზმის დამარცხების და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ტოტალიტარული ხელისუფლებების დამხობის შემდეგ არ იარსებებს დაპირისპირებული პოლიტიკური სისტემები, რასაც “ისტორიის დასასრულამდე” მივყავართ.

¹ Новак А. «Бедная империя, или второй Рим» - соблазны имперского дискурса в современной русской мысли. – Европа, Журнал политического института международных дел, т. 3, №2 (7), 2003, с. 111-146 <http://www.pism.pl/pdf/Europa%207%20Nowak.pdf>

² ჰანტიგტონი ს. ცივილიზაციათა შეჯახება?, თბ., 1997, გვ. 24

ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც მეხუთე იმპერიის, განხილვა საკმაოდ აქტუალური თემა გახდა თანამედროვე პოლიტიკურ და ფილოსოფიურ მეცნიერებებში. განსაკუთრებით აქტუალურია ეს საკითხი რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში. თავისთავად საინტერესოა საკითხის ასეთი სახით შესწავლა, მაგრამ თანამედროვე რომის კონცეპციას ძირითადად პოლიტიკური დოქტრინის სახე აქვს და ის წარმოდგენილია ურთიერთბრალდებისა და დაპირისპირების თეორიის სახით, როგორც რუსულ, ასევე დასავლურ პოლიტოლოგიაში. ამერიკა, როგორც ახალი რომი, რუსი პოლიტოლოგების ნაშრომებში, უმეტესად, წარმოდგენილია ამერიკული იმპერიალიზმის სახელწოდებით.

ვფიქრობთ, თანამედროვე ეპოქაში არსებულ ცივილიზაციათა, რომელთაც აქვთ საერთო მახასიათებელი და, რასაკვირველია, აქვთ ასევე თავიანთი ახალი რომი, ვრცელი განხილვა ძალიან შორს წაგვიყვანდა და, ალბათ, პოლიტიკურ დებატებს ვერ ავცდებოდით, რაც ჩვენი ნაშრომის მიზნებიდან ძალიან შორს დგას. ახალი რომის კონცეპცია, როგორც ვხედავთ, დღეისათვის წარმოდგენილია ორ - დასავლურ და აღმოსავლურ ვარიანტად: დასავლეთი - ე.წ. ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებათა გავრცელების სივრცე, რომლის სათავეში ამერიკის შეერთებული შტატები იგულისხმება; აღმოსავლეთის სივრცე, რომელიც რამდენიმე წლის წინ თითქმის არ არსებობდა, დღეს ისევ იწყებს აღორძინებას ახალი რუსული პოლიტიკური დოქტრინის საშუალებით. მაგრამ დღეს დომინანტი მაინც ამერიკის შეერთებული შტატებია.

ბოლო პერიოდში რუსი პოლიტოლოგების ნაშრომებში აშკარად გამოიკვეთა "მესამე რომის" რუსული ამბიციები. ცნობილი რუსი მოღვაწის ა. პანარინის მოსაზრებები შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: სამყარო მთლიანობაში არის მეტისმეტად მრავალფეროვანი იმისათვის, რომ მოხდეს მისი ორგანიზე-

ბა ერთი შაბლონის მიხედვით, ერთი ცენტრის ირგვლივ. ისევე, როგორც ძველი რომი თავისი განვითარების გარკვეულ პერიოდში, IV საუკუნეში, იძულებული აღმოჩნდა, გამოეყო თავისი გავლენის სფეროდან აღმოსავლეთ რომი – კონსტანტინოპოლი, ასევე შეერთებულმა შტატებმა ახლა უნდა აღიაროს გაყოფა თავისი პასუხისმგებლობისა მსოფლიო წესრიგის მიმართ სხვა ცენტრთან. ევრაზიის ტერიტორიაზე ეს შეიძლება იყოს მოსკოვი, ხოლო ატლანტიკის აუზისთვის უნდა დარჩეს ვაშინგტონი. მოსკოვი ყველაზე მეტად გამოდგება ამერიკის ცივილიზაციურ პარტნიორად ახალი წესრიგის შექმნისათვის, ცივი ომის დამთავრების შემდეგ. რუსეთი უნდა გახდეს მეორე რომი, წინააღმდეგ შემთხვევაში აღმოჩნდება რომანტიკულ ირაციონალიზმსა და ფატალისტურ პესიმიზმში, რომელმაც შეიძლება მიიყვანოს იქამდე, რომ მარტო დარჩეს. ამასთან დაკავშირებით, დასავლეთმა უარი უნდა თქვას რუსეთის იმპერიის სივრცის დაყოფის პროექტზე და ამ ტერიტორიაზე არსებული ქვეყნების სახელმწიფო ნაციონალური კონცეპციის პროპაგანდაზე¹.

ეს მოსაზრება უფრო რუსული პოლიტიკური წრეების სურვილს წარმოადგენს, ვიდრე პოლიტიკური ანალიზის შედეგად მიღებულ დასკვნას. ვფიქრობთ, მოსაზრება, რომ მოსკოვი ისევ შეიძლება გახდეს მეორე რომი, ამერიკის შეერთებული შტატების გვერდით, არ უნდა იყოს პერსპექტიული იდეა. ამერიკის მიერ აღიარებული ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებანი, როგორც ამას ცნობილი მეცნიერები აღიარებენ, ამ ეტაპზე უალტერნატივოა. ასევე, მოსკოვს არ გააჩნია იდეა, რო-

¹ Новак А. «Бедная империя, или второй Рим» - Соблазны имперского дискурса в современной русской мысли – Европа, Журнал политического института международных дел, т. 3, №2 (7), 2003, с. 111-146. <http://www.pism.pl/pdf/Europa%207%20Nowak.pdf>

მელიც შეძლებდა ახალი სივრცის ორგანიზებას მის ირგვლივ. ასეთი მათორგანიზებელი იდეები რუსეთისათვის იყო მართლმადიდებლობა ბიზანტიის დაცემის შემდეგ და სოციალიზმის იდეა საბჭოთა პერიოდში, რომლითაც რუსეთის იმპერიული პოლიტიკა თითქმის ერთი საუკუნე იწინებებოდა. ამჯერად, როდესაც შეუქცევადი გახდა თავისუფალი ბაზრის იდეის გამარჯვება საზოგადოებრივი საკუთრების სოციალისტურ იდეაზე, რუსეთმა თვითონ განაცხადა უარი ამ იდეოლოგიაზე. უპერსპექტივოა რუსეთის პოლიტიკურ წრეებში არსებული მართლმადიდებლობის იდეასთან დაბრუნების მცდელობაც და მისი გამოყენება ახალი სივრცის ორგანიზებასთან, რადგან ეს იდეა თვით რუსეთის ფედერაციაში შექმნის პრობლემას და არათუ რუსული გავლენის სფეროს გაფართოებას შეუწყობს ხელს, არამედ დააჩქარებს მის დაშლას. რუსეთს დღეისათვის, გარდა ძალადობისა და ენერგომატარებლებზე მონოპოლიისა, არ გააჩნია სხვა ინსტრუმენტი და იდეა, რომელიც შეძლებდა მისი გავლენის სფეროს გაფართოებას და მისი იმპერიული ამოცანების უზრუნველყოფას.

დასკვნა

რომი, მისი დაარსების დღიდან, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და ახალ დროში რჩება სამყაროს თავის სიმბოლოდ. ჯერ კიდევ VII საუკუნის მწერალი ფსევდო ბედა წერდა: “ვიდრე დგას კოლიზეუმი, იდგება რომი, როდესაც დაეცემა კოლიზეუმი, დაეცემა რომი, როდესაც დაეცემა რომი, დაეცემა მთელი სამყარო.”¹

რომისადმი ასეთი დამოკიდებულება მაჩვენებელია ქრისტიანული სივრცის ერთიანობისა; მან თავდაპირველად ქრისტიანობის ცენტრად აირჩია ქალაქი – დედაქალაქი და ცენტრი იმ ქვეყნისა, რომელშიც იშვა და ევნო მაცხოვარი. რომი ასევე იყო მოციქულთა თავად წოდებულების - პეტრეს და პავლეს ქალაქი. რომს ქონდა წარსული დიდება და ზოგადად მოიაზრებოდა ერთადერთ იმპერიად. ასეთად რჩებოდა ის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ქრისტიანული სახელმწიფოს თავი ხდება ღვთის ნებით რომის იმპერატორი კონსტანტინე დიდი, რისი სიმბოლოც იყო გამოცხადება, როდესაც მას მაცხოვარმა გადასცა ჯვარი.

¹ ფსევდო ბედა, დაახლ. VII ან VIII საუკუნე: “Quandiu stat Colisaeus, stat et Roma, Quando cadet Colisaeus, cadet et Roma, Quando cadet Roma, cadet et mundus” Pseudo Beda, Excerptiones partum, collectanae, flores ex diversis, guaeationes et parabolae Patrologia Latina, J.P. Migne, XCIV, Paris, 1862, col. 543 ობ. Hammer W. The concept of the New Rome in the Middle Ages- Speculum, Vol. 19, No. 1 (Jan., 1944), p.62; [http:// www.jstor.org/stable/2856854](http://www.jstor.org/stable/2856854)

თავდაპირველად, VIII საუკუნემდე, ბიზანტიის იმპერატორები, როგორც რომის იმპერიის მემკვიდრენი, განასახიერებდნენ კიდევაც ერთიან ქრისტიანულ სამყაროს. ბიზანტიის იმპერატორის ავტორიტეტსა და პრიმატს აღიარებდნენ ქრისტიანი მმართველები IV საუკუნიდან VIII საუკუნემდე, მდ. ევფრატისა და ატლანტის ოკეანემდე. გოთების, ლანგობარდების, ფრანკთა, სომხეთის, ქართლის, ლაზიკის მმართველები დიდი პატივით ღებულობდნენ ბიზანტიის საიმპერატორო კარის ტიტულებს.

დასავლეთის ხალხების სწრაფვა რომისაკენ არც შემდეგში შეჩერებულა, რაც გამოიხატა რომის იმპერატორის ტიტულის არსებობით დასავლეთის ბარბაროსთა მემკვიდრეებში, პირველ რიგში, ფრანკთა იმპერიისა და მისი იმპერატორის კარლოსის სახით და შემდეგში გერმანელთა იმპერიის სახით, როდესაც გერმანიის მეფე ატარებდა გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიის იმპერატორის ტიტულს.

რომი - მარადიული ქალაქი - შუა საუკუნეებში არის სიმბოლო სამყაროს ცენტრისა, რაც კარგად აისახებოდა თანამედროვეთა მიერ რომის შესახებ დაწერილ წერილებში. მაგრამ მას შემდეგ, რაც ძველი რომი კარგავს თავის ძველ მნიშვნელობას, სახელი რომი რჩება, როგორც სამყაროს ცენტრისა და მეთაურის სიმბოლო. ამდენად, ყველა ის სახელმწიფო, რომელიც თავისი უპირატესობის ან თვითმყოფადობის შესახებ აკეთებს განცხადებას, იყენებს თავისი ქვეყნის თუ სამთავროს მიმართ ეპითეტებს “ახალი რომი”, “სხვა რომი”, “მეორე რომი”, “მესამე რომი”.

“ახალი” თუ “სხვა” რომის ეპითეტის გამოყენება მაჩვენებელია ევროპის სივრცის ერთიანობისა, ან კიდევ, რომი შეიძლება ითქვას, იყო სიმბოლო ქრისტიანული სივრცის ერთიანობისა, ერთნაირად როგორც კათოლიკურ, ასევე მართლმადიდებლურ სამყაროში. ეს გამოიხატება რომის მემკვიდრეობაზე პრეტენზი-

ის გამოცხადებით როგორც აღმოსავლეთ ევროპაში (საქართველო, ბულგარეთი, რუსეთი, რუმინეთი...), ასევე დასავლეთში (გერმანია, საფრანგეთი...), რომის ან მისი მემკვიდრე ბიზანტიის სამეფო სიმბოლოების გამოყენებით: მონომახის ქუდი და ორთავიანი არწივი რუსეთში, იმპერატორების გვირგვინი გერმანიაში, რომელშიც მოთავსებული იყო სამჭვალის მაცხოვრის ჯვარცმიდან, არწივის გამოსახულება მათ გერბზე.

რომი თავდაპირველად ასევე წარმოადგენდა პილიგრიმაჟის მთავარ ცენტრს მთელი ევროპისათვის, საითაც მიემართებოდნენ მორწმუნე ქრისტიანები ევროპის ყველა მხრიდან. პილიგრიმაჟის ადგილს მნიშვნელოვანი როლი ქონდა შუა საუკუნეების საზოგადოების შეკავშირებაში. შუა საუკუნეებში სხვადასხვა ხალხებს აერთიანებდა წმინდანთა საერთო კულტი და საერთო წმინდა რელიკვიები, ამდენად რომი, როგორც წმინდა ქალაქი - Sacra Roma - აერთიანებდა ევროპას. რომი ადრე შუა საუკუნეებში ქართველთათვისაც იყო მნიშვნელოვანი ადგილი პილიგრიმაჟისათვის, რასაც ადასტურებს ილარიონ ქართველის პილიგრიმაჟი რომში.

რომი, როგორც მოციქულთა თავის პეტრესა და პავლეს ქალაქი და პაპის რეზიდენცია, აერთიანებდა თავდაპირველად სრულიად საქრისტიანოს, მაგრამ მას შემდეგ, რაც რომი გახდა კათოლიკური ეკლესიის თავი, მან შეზღუდა კიდევაც ევროპის სივრცე. ეს არის მიზეზი იმისა, რომ ცნობილი მეცნიერები რ. ბარტლეთი, ჟ. ლე გოფი და სხვები ევროპად მიიჩნევენ მხოლოდ დასავლეთის კათოლიკურ სივრცეს, რომელსაც პაპი მეთაურობდა და სადაც ლათინური ენა იყო ყველასთვის საერთო როგორც ლიტურგიკის, ასევე მეცნიერების ენა.

რომი გახდა სიმბოლო იმპერიისა და ძალაუფლებისა. იგი აგრძელებდა არსებობას იმპერატორის ტიტულთან მიმართებაში. უმრავლესობა ავგუსტუსის მემკვიდრეებისა აღიღებდა რო-

მის იდეას და ქალაქს ძალაუფლების სიმბოლოდ აღიქვამდა. ამ-
ავე დროს, რომი ისევ რჩება ერთიან ეპითეტად აღმოსავლეთ
ქრისტიანებისათვისაც, თუმცა მოგვიანო პერიოდში მათ წარ-
მოდგენაში ქრისტიანული ახალი რომი კონსტანტინოპოლი გახ-
და, რომლის პრეტენზიაც ასევე ფართო იყო და მოიცავდა მთელ
საქრისტიანოს. ეს მეტოქეობა და დაპირისპირება, რომელიც არ-
სებობდა ამ ორ რომს შორის, დიდხანს გაგრძელდა და საბედის-
წეროც აღმოჩნდა. ორი რომის დაცემამ და მისი მფარველობის
ქვეშ არსებული ტერიტორიების დაშლამ წარმოშვა რამდენიმე
ახალი, ან მეორე რომი, რომლებიც მოგვიანებით გახდნენ ნაცი-
ონალური სახელმწიფოების ცენტრები.

უნდა ვთქვათ ისიც, რომ “ახალ რომებში” ყოველთვის იყო
უფრო მეტი პრეტენზია, ვიდრე ერთი რაიმე პოლიტიკური ერ-
თეულის გაერთიანებისა, რადგან ახალი რომის მმართველები
ატარებდნენ იმპერატორის, ან მეფეთ-მეფის, ან შაჰინ-შაჰის ტი-
ტულებს.

საინტერესოა შუა საუკუნეების ნარატივი კონსტანტინო-
პოლის დაარსების შესახებ, სადაც დედაქალაქის არჩევის მთავა-
რი მოტივი არის უარის თქმა წარმართულ რომზე და ახალი
ცენტრის ძებნა ახალი რელიგიისათვის. რადგანაც შუა საუკუნე-
ების აზროვნებას და, საერთოდ, შუა საუკუნეების ადამიანთა
ქმედებებს განაპირობებს ერთადერთი რელიგია, აქაც საკითხი
განიხილება ქრისტიანობის საფუძველზე. ამ გადმოცემაში,
ვფიქრობთ, ადრეული პერიოდის ის ნეგატიური დამოკიდებუ-
ლებაა გამომჟღავნებული, რომელიც შუა საუკუნეების დამდე-
გისათვის არსებობდა ქრისტიანებში რომის იმპერიასთან დამო-
კიდებულებაში. თუმცა იგივე ტექსტი არ ტოვებს რომს წარმარ-
თულად და იქვე აღნიშნავს კონსტანტინე დიდის მოღვაწეობას
რომში, პეტრეს მოციქულის საფლავზე ქრისტიანული ტაძრის
მშენებლობაში მის მონაწილეობას. ამ მონათხრობში შეიძლება

დავინახოთ გელასიანური თეორია ორი მახვილის შესახებ¹, რომლის თანახმადაც, არსებობს ორი ხელისუფლება - სასულიერო და საერო. საქსების სარკვეში “ოთხი მონარქიის შესახებ” პირდაპირ არის მითითება, რომ რომს ჰქონდა ერთი მახვილი საერო ხელისუფლებისა და შემდეგ, მოციქულთა მოღვაწეობით, შეიძინა მეორე მახვილიც. “ამიტომაც რომმა აქამდე შეინარჩუნა საერო მახვილი, წმიდა პეტრეს გულისათვის კი სასულიერო მახვილიცა აქვს. ამიტომაც ეწოდება მას მსოფლიოს მეთაური.”² ასე რომ რომი, როგორც იმპერატორების ქალაქი, განასახიერებდა საერო ხელისუფლებას, ხოლო კონსტანტინე დიდის მიერ რომში პეტრე მოციქულის ღვაწლის წარმოჩინებით მან სასულიერო ცენტრის ფუნქციაც შეიძინა³. შუა საუკუნეებში სასულიერო და საერო ხელისუფლება განუყოფელი ცნებაა. არც ერთ ადამიანს არ წარმოედგინა თავი ეკლესიის გარეშე და ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ მღვდლები და ეპისკოპოსები მხოლოდ იმით გამოირჩეოდნენ საერო ფენისაგან, რომ ისინი მოძღვრის ფუნქციებსა

¹ პაპმა გელასი I-მა (492-494) თავის წერილში, რომელიც მან 494 წელს გაუგზავნა იმპერატორ ანასტასიუსს პირველს, განავითარა ორი მახვილის თეორია - საერო (regalis potestas) და სასულიერო (sacrata auctoritates pontificum) ხელისუფლების გაყოფის და მათი თანაარსებობის შესახებ. Goetz W. Zwei-Schwerter-Lehre, - Lexikon des Mittelalters 9; Levison W. Die mittelalterliche Lehre von den beiden Schwertern- Deutsches Archiv für Erforschung des Mittelalters 9, 1952, S. 14ff.

² Des Sacherspiegels, erster Theil oder Des saechsische Landrecht, herausgegeben von Dr. G.G. Homayer, Berlin, 1835. შუა საუკუნეების სამართალი, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1962, გვ. 421.

³ პაპების დოქტრინაში სასულიერო და საერო ხელისუფლება ერთიანად არის წარმოდენილი. პაპები, როგორც ეს ადრეც აღვნიშნეთ, მათთვის საერო ხელისუფლების გადაცემის საფუძველად „კონსტანტინეს ნაბობჰარის“ დოკუმენტს მიიჩნევდნენ.

და ლიტურგიას ადასრულებდნენ. შუა საუკუნეების საზოგადოებაში, ალბათ, წარმოდგენილია, რომ რომელიმე საერო ხელისუფლის, მით უფრო, მონარქის ქმედება არ შეესაბამებოდა ქრისტიანული სარწმუნეობის მიერ დადგენილ წესებსა და ნორმებს.

კონსტანტინოპოლის დაარსების შესახებ გადმოცემაში საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი: როდესაც კონსტანტინე დიდი ემბდა ადგილს ახალი დედაქალაქისათვის, არჩევანი თავდაპირველად იყო რომსა და ტროას შორის. შუა საუკუნეების ევროპაში მეტად პოპულარულია ტროას მითი. ევროპის დიდ ქალაქთა უმრავლესობა სწორედ ტროადან გამოქცეული გმირების სახელს ატარებს. შუა საუკუნეების საისტორიო ქრონიკებში, გადმოცემებსა და ლეგენდებში ძალიან დიდი ადგილი აქვს დათმობილი ტროას და მის მემკვიდრეობას. ეს თემა თანამედროვე მედიევისტიკაში მეტად საინტერესოდ არის წარმოდგენილი. შედარებითი ისტორიის კვლევებში ფართოდ არის შესწავლილი, თუ როგორ არის წარმოდგენილი ტროას მითი სხვადასხვა ქვეყნის საისტორიო მწერლობაში. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით ქართული შუა საუკუნეების მწერლობაც მეტად საინტერესო მასალას მოგვცემდა. ეს არ არის მხოლოდ ანტიკური კულტურისა და ელინურ მემკვიდრეობის დადასტურება შუა საუკუნეების ქრისტიანულ მწერლობაში. როგორც ჩანს, ეს დაკავშირებულია ახალი ერების ჩამოყალიბებისა და მათი მეტოქეობის გამოვლინებასთან. გარდა ამისა, ეს მასალა ფრიად საინტერესო დასკვნების საშუალებას იძლევა გვიან შუა საუკუნეებში აზროვნების რესკრალიზაციის, საერო ტექსტებისა და ანტიკური პოლიტიკისადმი ინტერესის გაღვივების შესახებ. ეს აისახება შუა საუკუნეების არქიტექტურაშიც, როდესაც ყურადღების გადატანა ხდება საერო მშენებლობებზე, სამეფო და სამთავრო რეზიდენციების აშენება-მოწყობაზე. გვიანი შუა საუკუნეები აშკარად

გამოხატავს ახალი დროის მიწიერ მისწრაფებებს. ტროას მითი პოპულარობას დასავლეთის სივრცეში მაღალ შუა საუკუნეებში პოპულობს. იგი რომის იდეის გარკვეული ალტერნატივა იყო. ტროას მითის თანახმად, რომი სხვა ქალაქების, თუნდაც პარიზის თანასწორია. ეს აზროვნების ის ეტაპია, როდესაც ზოგად ქრისტიანულ იდეაში ნაციონალური იდენტობის გამოკვეთა ხდება.

რომის იმპერიის კონცეპციის განსაზღვრა მეტად რთულია. თავისი არსით, ის არის ანტიკურობის გაგრძელება, მისი მემკვიდრე. რომაელებისაგან შუა საუკუნეებმა აიღო სამყაროს მოწყობის იდეა, რაც ნიშნავს სხვადასხვა ხალხებს, გაერთიანებულს ერთიან კულტურულ და სულიერ სივრცეში. იმპერიის ეს იდეა დამკვიდრებული იყო შუა საუკუნეების ადამიანების გონებაში. ანტიკური რომიდან მიღებული იმპერიის მოდელი შუა საუკუნეებში ისეთივე იყო, როგორც რომში ბარბაროსთა შემოსევებამდე, როცა ყოველგვარი რელიგიური და ეთნიკური სხვაობები უკანა პლანზე იდგა საერთო მონარქიის იდეასთან შედარებით.

რომის იმპერიის იდეას ცივილიზაციური პრეტენზიები ქონდა. იმპერიის ტერიტორიების გავრცელება ნიშნავდა არა მხოლოდ რომაელთა ბატონობის სფეროს გაფართოებას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, რომის კულტურის გავრცელებას. რომაული სამართალი, მშვიდობის, უსაფრთხოებისა და თავისუფლების რომაული გაგება რომის გარეთ მყოფი კულტურული ადამიანების გონებაში ასოცირდებოდა წესრიგთან, რომელიც მოჰქონდა რომის ბატონობას. ამ კულტურაზე დამკვიდრებული იმპერიის იდეას შეერწყა ქრისტიანული იდეა. ხალხთა გაერთიანების იდეისაგან რომის იმპერიაში დაიბადა ქრისტიანულ იმპერიაში კაცობრიობის გაერთიანების იდეა. თუკი რომის იმპერიის მთავარი ამოცანა იყო რომის ხელისუფლებისა და კულტურის მოქმედების სფეროს გაფართოება და მისი დაცვა ბარბა-

როსებისაგან, რომლებიც არ იყვნენ ამ კულტურის მონაწილეები, ქრისტიანული იმპერიის იდეა გულისხმობდა, ამასთან ერთად, ქრისტიანობის გავრცელების არეალის მაქსიმალურად გაფართოებას და მის დაცვას წარმართებისა და სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებისაგან, რომელთაც ბარბაროსები შეცვალეს.

იმპერიის უნივერსალიზმის იდეას საფუძვლები აქვს ელინისტურ სამყაროში. ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღმოსავლეთის დაპყრობებში ხედავდნენ ძველი ბერძნული ცივილიზაციის მისიის განხორციელებას, რომელიც, მათ აზრით, იყო ზოგადად საკაცობრიო ცივილიზაციის განსახიერება, მას ეკავა ცივილიზებული სამყაროს ტერიტორია, რომლის გარეთაც იყვნენ ბარბაროსები. მოგვიანებით, ძვ. წ. II საუკუნიდან, ბერძნები რომის იმპერიაში ხედავდნენ ცივილიზებულ სამყაროს, მიაჩნდათ, რომ რომაელთა დაპყრობები უზრუნველყოფდა ცივილიზებულ ხალხთა ერთიანობას. რომის იმპერიის მიზნად, მისი არსებობის გამართლებად მიაჩნდათ წესრიგის, სამართლიანობის და მშვიდობის დამყარება. ამ იდეების გავლენით, *იმპერიისა და მთელი სამყაროს* გაგება იდენტური გახდა.

იმპერიის ერთიანობა რომ შუა საუკუნეების აზროვნების საფუძველია, ჩანს ალექსანდრე მაკედონელის კულტში, რომელიც არსებობდა შუა საუკუნეების ქრისტიანულ საზოგადოებაში. შუა საუკუნეების საგმირო ეპოსის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გმირი ალექსანდრე მაკედონელია. ეპითეტს “ახალი ალექსანდრე” ხშირად იყენებენ შუა საუკუნეების მწერლები უმნიშვნელოვანესი მონარქების მიმართ, როგორც ბიზანტიაში, ისე დასავლეთში და საქართველოშიც. მსგავს აზროვნებას უნდა ეხმაურებოდეს საქართველოში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ტექსტში არსებული შედარება დავითისა ალექსანდრე მაკედონელთან: “და მსგავსად ალექსანდრესა ქმნა ამანცა სულთ-ითქუნა, რამეთუ ითქუმისცა მისთვის, ვითარმედ

ფილოსოფოსმა ვინმე რქუა მას: “არიანო მრავალნი და ურიცხუნი სამეფონი, რომელთა არცა თუ სახელი გასმიეს შენ”¹.

“და მუნ სულთ-ითქუნა და თქუა: „უკეთუ დამიშთეს ესენი, რა იყოს მპყრობელობა ჩემი“. ამისთვისცა ამან მეორემან ალექსანდრე განიზრახა სივრცითა გონებისათა, რამეთუ სხუაებრ არა იყო ღონე, და უწყოდა კეთილად ყივჩაღთა ნათესავისა სიმრავლე...”².

“თუ არა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხვათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმნარნი მისნი, უაღრესნი სხვათა ქებულთანი”³.

¹ ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. “ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955, გვ. 354.

² ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. “ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955, გვ. 335.

³ ცხოვრება ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. “ქართლის ცხოვრება”, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955, გვ. 359. ალექსანდრეს იდეის დასავლეთში გავრცელების საუკეთესო ნიმუშია იაკობ დე ვორაგინეს “ოქროს ლეგენდა”. Jakobus de Voragine დაიბადა 1230 წელს ვარაგეში, გენუის მახლობლად, გარდ. 1298 წელს, დომინიკანელი ბერი. 1292 წლიდან გენუის არქიეპისკოპოსი, იტალიურ ენაზე ბიბლიის პირველი მთარგმნელი (თარგმანი არ გამოცემულა). “ოქროს ლეგენდის” – *Legenda aurea sive historia Lombardica* - ქრონიკა გამოიცა 1250 წელს და ფართოდ გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში. ამ წყაროს საუკეთესო გამოცემა 1846 და 1850 წლებში განხორციელდა ლაიპციგში. თარგმნილია თითქმის ყველა ევროპულ ენაზე. - *История литературы Италии*, Т.1, М., 2000.

შუა საუკუნეებში ახალი სახელმწიფოთა აღმოცენება იწყება ზოგადი რომის კონცეფციით, რადგანაც ქრისტიანობის იდეა განუყოფელია სამყაროს ერთიანობის იდეისაგან. ქრისტიანული თეოლოგიის შესაბამისად, უპირველესია ქრისტიანული ერთიანობის პრინციპი. ახალი სახელმწიფო იდეოლოგია თავდაპირველად, ამ ერთიანობის ურღვევობის პრინციპიდან გამომდინარე, რომის იმპერიის გაგრძელებად აცხადებს თავს და საერო ხელისუფლების სიმბოლოებს იღებს ძველი იმპერიიდან. ამდენად, ამ ახალი ერთობის დედაქალაქი და ცენტრი ხდება “ახალი რომი”, რადგანაც უარყოფილია წარმართული რომი.

შესაბამისად, “ახალი რომი” სიმბოლოებს იღებს ქრისტიანული რომიდან. იდეათა განვითარების ეს პროცესი გარკვეული თავისებურებით მიმდინარეობს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპაში. შუა საუკუნეების ადრეული ეტაპის საზოგადოებისთვის თვითგამორკვევის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი მარკერი სარწმუნოების საკითხია. ქრისტიანული თეოლოგია არეგულირებს ხელისუფლების საკითხს. ხოლო ღვთის განგებით ხელისუფლების სათავეში მყოფი მეფე კი განსაზღვრავს იმ ერთობას, რომელიც არის სახელმწიფოს სახით წარმოდგენილი ერთეული. უფრო ზუსტად, შუა საუკუნეების საზოგადოებაში მთავარი, განმსაზღვრელი როლი ე. წ. ეროვნული ერთობის დადგენაში უჭირავს მეფეს. მეფისადმი ერთგულების ფიცი ყველაზე მაღლა დგას და, ამდენად, ამ საზოგადოებაში. ე. წ. მოქალაქეობის საკითხი ამ ფიცის საფუძველზე განისაზღვრება. შუა საუკუნეებში უკანა პლანზეა ბიოლოგიური გაგება ერისა, მთავარია ქრისტიანული იერარქიის პრინციპი, რომელიც სენიორსა და ვასალს შორის დადებული ფიცით განისაზღვრება.

ამდენად, მთავარი ფუნქცია შუა საუკუნეებში სახელმწიფოს წარმოშობასა და მის განვითარებაში სამეფო ხელისუფლებას აქვს. მეფის ინსტიტუტი ხდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

საფუძველი სახელმწიფოს, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის წარმოქმნისა. ასეა დასავლეთშიც, სადაც ჩნდება მეფის ინსტიტუტი, იქვე არსებობს რომი. რომი არის დამოუკიდებელი სახელმწიფოს სიმბოლო.

როგორც ვთქვით, მთავარი იდეა შუა საუკუნეების სახელმწიფოსი არის სარწმუნოებრივი ერთიანობა. ასეთი იყო კარლოსის ფრანკთა სახელმწიფოში, ოტონების გერმანიაში, კაპეტინგების საფრანეთში და ა. შ.

ახალი რომის გვერდით ასევე უნდა აღვნიშნოთ ახალი იერუსალიმის და ახალი დავითის, ახალი ალექსანდრეს, ან ახალი კონსტანტინეს ეპითეტები, რომლებიც მსგავსი მიზნებით გამოიყენებოდა. ახალი იერუსალიმი - ეს იყო ხელისუფალთა პრეტენზია, თავიანთი რეზიდენცია წარმოედგინათ ისეთივე წმინდა ქალაქად და ქრისტიანობის ცენტრად, როგორც იყო ქრისტიანობის აკვანი და ნავსაყუდარი იერუსალიმი. სამეფოთა დეადაქალაქების, ასევე სამეფოთა რელიგიური ცენტრების მოწყობა უმეტესად შეესაბამებოდა იერუსალიმს - მაგალითად, რომი, კონსტანტინოპოლი, აახენი, მცხეთა, მოსკოვი, რომელთაც ქონდათ პრეტენზია, რომ "გადმოიტანეს" თავინთ ქალაქებში იერუსალიმი და მოიხსენიებოდნენ შუა საუკუნეების წყაროებში, როგორც ახალი იერუსალიმი. მოსკოვი, რომელიც XVI საუკუნეში გახდა *მესამე რომი*, როგორც კონსტანტინოპოლის მემკვიდრე, მალევე ხდება *ახალი იერუსალიმი*. მოსკოვის პატრიარქის კურთხევით, მოსკოვში დაიწყო ახალი იერუსალიმის ტაძრის მშენებლობა. ახალი იერუსალიმი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობდა ასევე მცხეთაში.

შუა საუკუნეების აზროვნებაში სიმბოლოების კვლევის დროს შუა საუკუნეების ლიტერატურა იძლევა ძალიან საინტერესო დასკვნების საშუალებას. იმპერიის გადატანა - *translatio impeii* - და, ასე ვთქვათ, "ახალი რომის" დაარსება ნიშნავს ძვე-

ლი რომის პრიმატზე უარის თქმას და ახლი დამოუკიდებელი ცენტრის შექმნას. ხოლო დამოუკიდებელი ახალი რომი ყოველთვის, ისევე როგორც ბიზანტიური სიმფონია, მარადიულ ჰარმონიაშია იერუსალიმთან, ანუ ხდება სასულიერო და საერო ხელისუფლების სიმფონია. სასულიერო ხელისუფლების სიმბოლო არის ახალი იერუსალიმი, საერო ხელისუფლების სიმბოლო კი რომი. კონსტანტინოპოლი თავის თავში ორივე ხელისუფლებას განასახიერებდა. მასში, ისევე როგორც ამ იმპერიის იდეოლოგიაში, შერწყმული იყო სასულიერო და საერო ხელისუფლება და ის, როგორც “მეორე რომი”, მოგვიანებით თვითონ ხდება სიმბოლო აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის “ახალი კონსტანტინოპოლის” თუ “სამეუფეო ქალაქის” სახით. იგივე ითქმის კათოლიკური ევროპის სივრცეში “ახალი რომის” გაგების შესახებ. კათოლიკურ სივრცეში რომი არის როგორც ძველი იმპერატორების საერო ხელისუფლების, ასევე პაპების სასულიერო ხელისუფლების სიმბოლო.

• განსაკუთრებულ სახე, რომელიც “ახალმა რომმა” ბიზანტიაში მიღო, აღმოსავლური სლავური სამყაროსათვის გახდა იმპერიის ის მოდელი, რომლის მემკვიდრეებადაც ისინი აცხადებდნენ თავს. ამდენად, სლავურ მართლმადიდებლურ სივრცეში ჩნდება *მესამე რომის* კონცეპცია.

▲ ბიზანტია იწყებს არსებობას რომის იმპერიაში, ის, თავისთავად, რომის იმპერიის გაგრძელებაა, მაგრამ იმ ახალი გარემოებებისა და მეოთხე საუკუნის რომის იმპერიაში მომხდარი რადიკალური ცვალებადობის გამო, ყალიბდება სრულიად ახალი ტიპის სახელწიფო, რომელსაც ბიზანტიას ვუწოდებთ. რომის იმპერიის ახალი ცენტრის შექმნას კონსტანტინოპოლში თან ახლავს კულტურის განვითარების ტემპის ზრდა, მაგრამ ხანგრძლივ ეტაპზე ასეთი ტემპის შენარჩუნება, ბუნებრივია, ვერ ხერხდება. ძალაგამოცლილი და დაუძღურებული ბიზანტია

გვიან საუკუნეებშიც ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი ძველი სახე, ერთადერთობის ძველი ამბიციაც, როგორც ერთადერთ ღვთის იმპერიას, ეს მეტად არაბუნებრივი და ხშირად კომიკურიც იყო. სწორედ ასეთი სახის რომის თავისებურებს შეიძლება ვუწოდოთ ბიზანტინიზმი. ასეთი რომის გადმოეტანას შეეცადა რუსეთი XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან თავის ქვეყანაში. ეს შესაძლებელია რუსული რენესანსის ადრეული ნაბიჯები იყო, მაგრამ შემდეგში რენესანსული მაინც პეტრე დიდის დასავლური რუსეთი გახდა, რომელიც უფრო პეტრესა და პავლეს დასავლური რომის ღირებულებებზე იყო ორიენტირებული, ვიდრე ბიზანტიურ რომზე.

translatio imperii ჟაკ ლე გოფს მიაჩნია რენესანსულ გაგებად¹, რადგანაც, მისი აზრით, რომის გადატანა ახალ სივრცეში ხდება ამ სივრცისათვის რენესანსულ ეპოქაში. როგორც ჟ. ლე გოფი წერს, შუა საუკუნეების ადამიანებს VIII საუკუნიდან XVI საუკუნემდე ჰქონდათ მცდელობა, დაბრუნებულიყვნენ რომში,

¹ ჯერჯერობით ნაკლებად არის შესწავლილი “ახალი რომის” იდეის კავშირი რენესანსთან. თუმცა, რადგანაც ახალი რომი ნიშნავს ახალი იმპერიის დაწყებას, ანუ იმპერიის გადატანას, დროს, როდესაც იწყებენ იმპერიები ახლად აღმოცენებას თან ახლავს კულტურის აღორძინებაც. ასეთი თანხვედრა რენესანსისა და იმპერიის გადატანისა სრულიად ზედაპირული დაკვირვებებითაც ჩანს. დავასახელოთ, მაგალითად, ხელისუფლების გადატანა კონსტანტინოპოლში და კონსტანტინეს დროინდელი აღორძინება, რომელიც ისეთივე სრულყოფილი ხდება იუსტინიანეს დროს, როგორც თვითონ რომის იდეა ბიზანტიაში, *translatio imperii* კარლოს დიდის დროს, აახენი - ახალი რომი და კაროლინგური რენესანსი, რომის იდეა ოტონების ხანაში, რომის საღვთო იმპერია და ოტონების რენესანსი, გელათი - ახალი რომი და ქართული რენესანსი. საერთოდ, უკანასკნელ პერიოდში რენესანსის გაგებისადმი განსხვავებული დამოკიდებულებაა, ვიდრე აქამდე იყო. დღეს არავისთვის არის უცხო რენესანსის დამდეგად XII საუკუნის დასახელება, ან თუნდაც ქრისტიანული რენესანსი თუ ქრისტიანული ჰუმანიზმი.

რომელიც, როგორც თვითონ აღიარებდნენ, მიტოვებული იყო მათ მიერ. მაგრამ შუა საუკუნეების ყოველი რენესანსის დროს სწავლული ადამიანები ძლიერად გამოხატავდნენ თავიანთ გაუცხოებას ანტიკურობისაგან. ისინი არასოდეს ფიქრობდნენ სერიოზულად რომში დაბრუნებაზე. როდესაც ისინი “დაბრუნებაზე” ოცნებობდნენ, ეს იყო ოცნება აბრაამის წიაღში დაბრუნებაზე, მამა ღმერთის მიწიერ სამოთხეში. რომში დაბრუნება მათთვის ნიშნავდა, უბრალოდ, უმაღლესი ხელისუფლების ან მეცნიერების გადატანას (*translatio imperii, translatio studii*), როგორც თავის დროზე ისინი გადმოტანილ იქნენ ბაბილონიდან ათენში, შემდეგ რომში. აღორძინება ნიშნავდა წინ წაწევას და არა დაბრუნებას. და ასეთი პირველი წინსვლა მოდის კაროლინგურ ხანაზე, VIII საუკუნის ბოლოს¹.

ფრანგული ანალების სკოლის წარმომადგენლების მოსაზრება ახალი რომის და *translatio imperii*-ს შესახებ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად. ჟაკ ლე გოფის ნაშრომებში რენესანსი არ არის წარმოდგენილი რაიმე ქრონოლოგიურ ჩარჩოებში, როგორც ეს ადრე იყო მიღებული, ვთქვათ, მედიევალური ეპოქის დასრულებისა და რენესანსული ხანის დაწყების შესახებ არსებული მოსაზრებით. ლე გოფი იზიარებს მოსაზრებას შუა საუკუნეებში რენესანსის რამდენიმე ეტაპის არსებობის შესახებ, მაგალითად, კაროლინგური რენესანსი, X საუკუნის რენესანსი, ან XII საუკუნის რენესანსი.

როგორც ვთქვით, ჟაკ ლე გოფის განმარტებით, რენესანსი არის აბრაამის წიაღში დაბრუნება და რომის გადატანა. რომის გადატანაში ის გულისხმობს რომის მემკვიდრეობაზე პრეტენზიას, ანუ საკუთარი ქვეყნის წარმოდგენას ერთადერთ უძლი-

¹ Ле Гофп Ж. Цивилизация средневекового Запада, Екатеринбург, 2005, с. 51.

ერეს იმპერიად. ჟაკ ლე გოფი აღნიშნავს, რომ რენესანსისთვის დამახასიათებელია როგორც რომის, ასევე იერუსალიმის მეკვიდრობაზე პრეტენზია. ეს არის პოლიტიკური გაძლიერებისა და კულტურის აყვავების პერიოდი რომელიმე ქვეყნისათვის. ასევე ხაზგასასმელია, რომ რენესანსისათვის, ნაციონალური ინტერესების და განსაკუთრებული მისიის იდეის გვერდით, დამახასიათებელია ტოლერანტული დამოკიდებულება სხვა ხალხებისა და რელიგიებისადმი. ვფიქრობთ, რომ ეს არის მოდელი საერო ინტერესების წინ წამოწევისა. რენესანსულ ხანაში არის მეტი ჰომოცენტრული იდეები, სადაც ამქვეყნიური ყოფისადმი არის მიქცეული განსაკუთრებული ყურადღება, თუმცა ამ კეთილდღეობის მთავარი შემოქმედი არის არა ადამიანი, არამედ ღმერთი.

რენესანსი არ იყო ანტიკურობის დაბრუნება, არამედ ანტიკურობის შესაბამისი დრო, მაგრამ არავითარი ახალი პირობები თვითონ ანტიკურობისათვის. მასში ქრისტიანობას უნდა მოეპოვებინა პირველობა. იმისათვის, რომ რენესანსის ეს განსაზღვრება უფრო გასაები გახდეს, ჟ. ლე გოფი იშველიებს მაგალითს იოანეს სახარებიდან, როდესაც ნიკომედი ეკითხება მაცხოვარს: “როგორ შეიძლება დაიბადოს მოხუცი კაცი? ხომ არ შეიძლება შევიდეს დედის საშოში და კვლავ დაიბადოს? მიუგო იესომ: ჭეშმარიტად ვინც არ დაიბადება წყლისა და სულისაგან, ვერ შევა ღმერთის სასუფეველში” (იოანე 3, 4-5). ჟ. ლე გოფის აზრით, ჭეშმარიტი არსი რენესანსისა ასეთივეა - ადამიანის დაბადება სულიერად, რასაც ელოდა კიდევაც შუა საუკუნეების ადამიანი¹.

¹ Le Goff J. Auf der Suche nach dem Mittelalter. Ein Gespräch, Verlag C. H. Beck, München, 2004, S. 43.

შუა საუკუნეების ხელისუფალი დარწმუნებული იყო ისტორიის განსაკუთრებულ მნიშვნელობაში. კარგად ესმოდათ ისტორიიდან მიღებული ფაქტების მნიშვნელობა პროპაგანდისტული საშუალებებისათვის. მათი უმეტესობა ყურადღებით ადევნებდა თვალს ისტორიული ნაწარმოებების შექმნას, რომელთაც წარსული წარსული დროის ამბების გადმოცემისას უნდა წარმოეჩინათ მათი ხელისუფლება და გაემართლებინათ მათი ქმედებანი, ან კიდევ, თუ დაიწერებოდა უახლოსი წარსულის შესახებ, უნდა შეექმნათ ისეთი განწყობილება, რომელიც დახატავდა მათი მმართველობის ყველაზე კეთილშობილ სახეს.¹

შუა საუკუნეების სამყაროში, რომელიც არ ღებულობდა სიახლეს, წარსული ყოველთვის მოყავდათ თანამედროვეობის გასამართლებლად. ისტორიის არსენალში სხვადასხვა ხასიათის იარაღი იყო. ერთნი ისტორიაში ეძებდნენ მაგალითებს, სხვები პრეცედენტებს. ინვესტიტიურისათვის ბრძოლის დროს პაპები და პაპის მოწინააღმდეგეები თანაბრად მიმართავდნენ თავიანთი არგუმენტებისათვის ისტორიას. პაპის მომხრეები უფრო ადრეულ წარსულში - ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებში ეძებდნენ არგუმენტებს. მართალია, იქ არსებულ მაგალითებს არ ჰქონდა პირდაპირი კავშირი მაშინდელ პრობლემებთან, თუმცა შეეძლო არაპირდაპირ გაემართლებინა მათი მისწრაფებები. ასევე ცდილობდა მრავალი ხელისუფალი მიემართა წარსულისათვის, მეტ-ნაკლებად თვითნებურად აეღო წარსულიდან მაგალითები, რომლებსაც ბაძავდნენ, ამ საპატიო ფიგურების ზურგს უკან აპირებდნენ გამაგრებას, რომელთა მოღვაწეობის აღორძინებასაც ისინი ცდილობდნენ. კარლოს დიდს უნდოდა, ყოფილიყო ახალი დავითი. აკადემიის თეატრალურ დადგმებში ის

¹ Гене Б. История и историческая культура средневекового Запада.,
Перевод с французского Е. В. Баевской и Э.М. Бегеревой, М. 2002, с. 382.

უმეტესად დავით წინასწარმეტყველს განასახიერებდა. ასე რომ, როდესაც უნდოდათ ხალხის დარწმუნება, ოფიციალური ისტორია გამოდიოდა პოლიტიკური პროპაგანდის როლში, რომელსაც შეეძლო წარმოეჩინა მომავალი აღორძინება და განახლება წარსულის მაგალითებზე დაყრდნობით. იმდენად წონიანი იყო ტრადიცია, იმდენად ძლიერი იყო მემკვიდრეობითი არგუმენტი, რომ სულ მცირე მაგალითი საკმარისი ხდებოდა უკეთესი მომავლის წარმოსაჩენად. ამიტომაც არსებობენ "ახალი კონსტანტინეს", "ახალი დავითის" თუ "ახალი ალექსანდრეს" ეპითეტებით ისეთი მეფეები ჩვენს წარსულში, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს კაცობრიობის ისტორიაში: ხლოდვიგი - ფრანკთა მეფე, კარლოსი ფრანკთა იმპერატორი, ოტო III - გერმანიის იმპერატორი, ლუი IX წმიდა - საფრანგეთის მეფე, საქართველოს მეფეები დავით აღმაშენებელი და თამარი - ეს არის არასრული სია იმ მონარქებისა, რომელთაც დაიმსახურეს ასეთი ეპითეტები.

ასეთივეა გ. გენეს მოსაზრება ისტორიის მისიის შესახებ, რომლის თანახმადაც, ისტორიის მთავარი მისია მდგომარეობდა იმაში, რომ პრეცედენტების დახმარებით დაემტკიცებინათ მემკვიდრეობითობა, უპირველეს ყოვლისა - პოლიტიკური საზოგადოების მემკვიდრეობითობა იმ სახით, როგორც ის მაშინ არსებობდა. სრულყოფილი საზოგადოების შესაქმნელად საჭირო იყო დაერწმუნებინათ "ხალხის" წევრები, რომ ისინი ჩამოაყალიბებენ ერთიან "ერს", რომელთაც აქვთ საერთო წარმომავლობა, რომ მათი წინაპრები ყოველთვის ღირსეულნი იყვნენ. ზუსტად რომ ვთქვათ, საჭირო იყო დაერწმუნებინათ მოქალაქეები, ანუ მათი ქვეშევრდომები იმაში, რომ პოლიტიკური სტრუქტურა, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ, დასაბამიდანვე არსებობდა და იყო მტკიცე ინსტრუმენტი ხანგრძლივი წარმატებებისათვის.

ფრანგები ამაცობდნენ თავიანთი წარმოშობით ტროელეზ-ისაგან. დიდი ფრანგული ქრონიკა ადიდებდა და აფართოებდა ამ თემას. ამ ნაწარმოებში თხრობა საინტერესოდ გრძელდებოდა ტროელეზიდან მეროვინგებისაკენ, მეროვინგებიდან კაროლინგებისაკენ და კაროლინგებიდან კაპეტინგებისაკენ. ეს იყო მემკვიდრეობითობა საფრანგეთის ისტორიაში.

რომის მემკვიდრეობის პრინციპი ძალიან მნიშვნელოვანი გახდა შუა საუკუნეებისა და ახალი პერიოდის პოლიტიკურ აზროვნებაში. რომის იდეა და იმპერიათა მონაცვლეობის საკითხი (*translatio imperii*) შუა საუკუნეების სხვადასხვა ავტორებთან განსხვავებულად არის წარმოდენილი. შუა საუკუნეების ესქატოლოგიური აზროვნება სამყაროს აღსასრულის შესახებ უცვლელი იყო შუა საუკუნეთა თეოლოგიაში, თუმცა განსხვავებული იყო მათი აზრი იმპერიათა გადატანის თუ იმპერიათა მონაცვლეობის შესახებ. გერმანელი ისტორიკოსი და თეოლოგი, ფრაიზინგის ეპისკოპოსი ოტო იმპერიათა გადატანის შემდეგ გზას ასახელებს: რომი-ბიზანტია-ლანგობარდები და გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერია. ისევე, როგორც თავის დროზე წმიდა იერონიმე, ისიც აუცილებლად ხედავდა სამყაროს აღსასრულს. თუკი იერონიმე მას რომის იმპერიაში ხედავდა, ოტო ასეთად მიიჩნევდა გერმანელი ერის რომის საღვთო იმპერიას¹. ფრანგი პოეტი კრეტიენ დე ტრუა “კლიჟესში”, რომელიც არტურისადმი მიძღვნილ რომანთა რიცხვს ეკუთვნის, იმპერიათა მონაცვლეობას რომიდან საფრანგეთში ხედავდა². XIV საუკუნის ინგლისელი ეპისკოპოსი რიჩარდ დე ბური (Richard Aungerville)

¹ Otto Bischof von Freising, *Chronik oder die Geschichte der zwei Staaten*. Übersetzt von Adolf Schmidt, herausgegeben von Walther Lammers. *Ausgewählte Quellen zur deutschen Geschichte des Mittelalters* 16, Darmstadt 1960.

² de Troyes Chretien, *Cliges*, Translated by L. J. Gardiner, 2008.

დურემის ეპისკოპოსი (1333-1345), ედუარდ II-ის ლორდკანცლერი თავის წიგნში "Philobiblon", რომელიც შექმნა 1344 წელს, იმპერიათა გადატანის შემდეგ მონახაზს იძლევა: ათენი – რომი – პარიზი – ინგლისი¹. მსგავსი მაგალითების დასახელება მრავლად შეიძლება. როდესაც ამ მაგალითებს ვეცნობით, ერთი რამ არის ნიშანდობლივი. ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ავტორები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, დგანან თავიანთი ქვეყნების ნაციონალური ისტორიოგრაფიის სათავეებთან, იმპერიის სრულყოფას და აღსასრულს თავიანთ ქვეყნებში ასახელებენ. მართალია, შედარებითი ისტორია ძალიან დიდი სიფრთხილეს მოითხოვს, მაგრამ მაინც სასურველად მოვიჩნევთ აღვნიშნოთ, რომ მსგავსი უნდა იყოს შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში განვითარებული თეორია, რომელსაც ვხვდებით "ქებაი და დიდებაი ქართული ენისაი"-ს ტექსტში – "დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიის საწამებლად, რათა ყოვლისა ენისა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა"².

იმპერიის გატანის თეორია (*translatio imperii*) ახალ დროშიც საკმაოდ წარმატებით მუშაობდა. ათენსა და რომში დაწყებული იმპერიები, ამ თეორიით თანახმად, ახლად წარმოქმნილ დიდ სახელმწიფოებში განსხეულდებოდნენ ხოლმე. მაგალითად, XVI საუკუნეში ესპანეთში, შემდეგ საუკუნეში ინგლისში, თუმცა ახალი იდეოლოგიის ავტორები აპოკალიფსის შესახებ არ საუბრობენ.

რომის იმპერიის გადატანის შესახებ ფრიად მნიშვნელოვანია ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ერნსტ კანტოროვიჩის მო-

¹ Richard Aungerville - Fryde, E. B., Greenway, D. E., Porter, S., Roy, J. Handbook of British Chronology. Cambridge: Cambridge University Press, 1996.

² ქებაი და დიდებაი ქართული ენისაი. – ქართული მწერლობა, ტომი I, თბ., 1987, გვ. 47.

საზრებები. ე. კანტოროვიჩი წერს, რომ რომის გაბრწყინებული სხეული ტოვებს მის მატერიალურ სხეულს და განიცდის ტრანსფორმაციას ბუნებრივი სხეულიდან სხვა სხეულში. რომი მოძრაობს ინკარნაციიდან ინკარნაციამდე, მოგზაურობს თავდაპირველად კონსტანტინოპოლში, შემდეგ კი მოსკოვში, მაგრამ ამავე დროს - აახენში, სადაც კარლოს დიდმა ააშენა “ლატერანი” და ასევე დაიგეგმა მომავალი რომის მშენებლობა – Roma Futura¹.

ე. კანტოროვიჩის აზრით, რომის იმპერიის იდეის ტრანსფორმაცია იწყება და მიემართება სხვა სამეფოებისაკენ - საფრანგეთისაკენ, სიცილიისკენ, ინგლისისკენ და ესპანეთისკენ. როგორც ვხედავთ, უნდა გავიზიაროთ ჩვენს მიერ წინა თავებში მიღებული დასკვნები, რომ ყველას აქვს თავისი სამშობლო, მაგრამ ყველა სუბიექტი ცნობს რომს, როგორც საერთო სამშობლოს. რასაკვირველია, ეს აზრი შეესაბამება საქართველოსაც.

სრულიად გასაზიარებელია ე. კანტოროვიჩის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რომი, როგორც საერთო ქალაქი, გარდაიქმნება ნაციონალურ საერთო ქალაქად. ასე რომ, მაგალითად, დედაქალაქი პარიზი შეიძლება შეესაბამებოდეს *communis patria*, როგორც პარიზი – საფრანგეთის რომი და ასევე ავინიონი, როგორც ეკლესიის რომი (*Tamen ibi [Rome] non possunt conveniri legati.... et hoc est notandum pro clericis, quia vadunt Avenionem, an possit ibi conveniri, quia non habent alium iudicem quam Papam*) .

რომის უზენაესობის იდეა გადაეცემა ნაციონალურ სახელმწიფოებს, რომის უპირატესობის იდეით და მისი როგორც უნივერსალური იმპერიის აღიარებით.

ეკლესიის შემთხვევაში, რომი, როგორც საერთო სამშობლო, იცვლება და შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც რომი - მო-

¹ Kantorowicz E. H. *The King's Two Bodies . A Study in Medieval Political Theology*, Princeton University Press, New Jersey, 1997, p. 83.

ციქულთა ქალაქი, საერთო ქალაქი, მაგრამ არა იმპერატორის, არამედ ეკლესიის მეთაურობით (Odie tamen non fit, quia non sunt omnes sub imperatore, sed ecclesia)¹.

კიდევ ერთხელ დავიმოწმებთ ჟაკ ლე გოფს, რომ მსოფლიო ისტორიაში გაბატონებულია ხელისუფლების გადაცემის თემა. ყოველ ეპოქაში სამყაროს აქვს ერთი ცენტრი, ცხოვრობს ერთი გულისცემით². ვფიქრობთ, რომ ასეთი გულის როლს, რომლის რიტმითაც ცხოვრობს გარკვეული ცივილიზაციური ერთეული, ანუ სამყარო, რომელსაც საერთო მახასიათებელი გააჩნია, არის იქ, სადაც ძლიერი ხელისუფლება არსებობს. იქნებ უფრო სწორი იყოს შუა საუკუნეების შემდგარი თუ ვერ შემდგარი „ახალი რომი“ წარმოვიდგინოთ ქრისტიანული იმპერიების ცენტრებად.

ალბათ, თუ თანამედროვე ეტაპზე დავუშვებთ რომის კონცეპციის განხორციელების შესაძლებლობას, ამ საერთო სივრცის მახასიათებელი იქნებოდა ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებანი, ხოლო თანამედროვე რომად რამდენიმე ავტორის მიერ დასახელებულია ვაშინგტონი.რუს პოლიტოლოგთა ნაშრომებში ბოლო პერიოდში გამოიკვეთა სურვილი -დღესაც იარსებონ ოპოზიციურმა წყვილებმა ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის სახით, ისევე როგორც შუა საუკუნეებში თანაარსებობდა ორი რომი: აღმოსავლეთის ბიზანტიისა და დასავლეთის რომის საღვთო იმპერიის სახით. შეიძლება დავუშვათ, რომ ასეთი წყვილების სახით, ისინი უკვე წარმოზრდილნი იყვნენ XX საუკუნეში. ამ ორივე ოპოზიციურ რომს გააჩნდა თავი-

¹ Kantorowicz E. H. *The King's Two Bodies . A Study in Medieval Political Theology*, Princeton University Press, New Jersey, 1997, p. 24.

² Ле Гоффе Ж. *Цивилизация средневекового Запада*, Екатеринбург, 2005, с. 209.

სი მახასიათებელიც და იდეოლოგიური განმასხვავებელიც. მაგრამ დღეისათვის დასავლური იდეა თავისუფალი ბაზრისა და ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებათა შესახებ, როგორც უკვე ვთქვით, უალტერნატივოა. თუკი შუა საუკუნეებს ორ რომს ჰქონდა თავისი განსხვავებული მახასიათებელი, რაც მათ ცალ-ცალკე ცივილიზაციად წარმოადგენდა (*Pax orthodoxa* და *Pax Romana*), ასეთი მახასიათებელი ამჯერად რუსეთს არ გააჩნია, რომ გახდეს დასავლური ცივილიზაციის ალტერნატივა. სრულიად წარმოუდენელია იმ სივრცეში (ევრაზია), რომელშიც რუსეთი ცდილობს გაავრცელოს თავისი გავლენა, მან შესძლოს ერთიანობის ორგანიზება. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფ. ფუკუიამას „ისტორიის დასასრულის“ თეორია ძალიან გავს შუა საუკუნეების თეოლოგიაში განვითარებულ თეორიას სამყაროს აღსასრულის შესახებ. ალბათ, ისტორიის განვითარების ევოლუციური პროცესი უფრო სხვა დასკვნისაკენ გვიბიძგებს. რომის იმპერიის იდეის სრულყოფილად „განხორციელება“ და მისი უალტერნატივობა, მისი დასასრულის დასაწყისს უნდა ნიშნავდეს, რის შედეგად რომი გააგრძელებს სვლას სხვა მიმართულებით. თუმცა, შესაძლოა, ისევე როგორც მსოფლიო ისტორიის განვითარების მთელ ეტაპზე, პროცესი დაიწყოს რამდენიმე „ახალი რომით“ და ახალი ნაციონალური იდეებით.

ლიტერატურა

1. ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი. - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959
2. ბასილი ეზოსმოდვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959
3. გიორგი მცირე, ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდია და ნეტარისა მამისა ჩვენისა გიორგი მთაწმინდელისაი. - ქართული მწერლობა, ტომი II, 1987
4. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. - ქართული მწერლობა, თბ., 1987
5. გურგენიძე ვ. თამარ მეფე, თბ., 1990
6. დანტე, ღვთაებრივი კომედია, თბ., 1941
7. ეფრემ მცირე, უწყებაი მიზეუსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნსა შინა მოიხსენების, ტექსტი გამოსცა, შესავალი და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო თ. ბრეგამემ, თბ., 1959
8. ვირგილიუსი, ენეიდა, ლათინურიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო რომან მიმინოშვილმა, თბ., 1976
9. თამარ მეფე, ცასა ცათასა. - ქართული მწერლობა, ტომი III, თბ., 1988

10. თაყაიშვილი ე. ხელმწიფის კარის გარიგება, თბ., 1920

11. თსა ნოემბერსა ით დღესა ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონ ქართველისა. - საქართველოს სამოთხე, სრული აღწერა ღუაწლთა და ვნებათა საქართუელოს წმიდათა, შეკრებილი ხრონოლოიურად და გამოცემული პეტერბურდის სასულიერო აკადემიის კანდიდატის ივერიელის გობრონ (მიხაილ) პავლეს ძის საბინინის მიერ, პეტერბურდი, 1882

12. იოანე შავთელი, აბდულ-მესიანი. - ქართული მწერლობა, ტომი III თბ., 1988,

13. კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი II თბ., 1981

14. კეკელიძე კ., ბარამიძე ა. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969

15. კიკნაძე ზ. ბიზანტიური მემკვიდრეობა. - ეკლესია გუშინ, დღეს და ხვალ, თბ., 2002

16. კუტალია გ. ეინჰარდის კარლოს დიდის ცხოვრება, თბ., 2005

17. ლაშა გიორგის დროინდელი მატთანე, ცხოვრება დემეტრე მეფისა, ცხოვრება გიორგი მეფისა, ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი, ცხოვრება გიორგი მეფისა თამარის ძისა. - ქართლის ცხოვრება ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955

18. ლორთქიფანიძე, მ. ლეგენდა ბაგრატიონთა წარმომავლობის შესახებ. - კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966

19. ლორთქვიფანიძე მ. საქართველოს მეფეთა ტიტულატურა და მეფედ კურთხევის წესი. – საქართველოს ისტორია, I, თბ., 2008

20. მათიანე ქართლისა, ჩანართი სუმბათის ქრონიკიდან. - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955

21. მაცაბერიძე მ საქართველო და “მართლმადიდებლობის გეოპოლიტიკა”. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის წელიწდეული, თბ., 2003

22. მონაზონი არსენი, მეფესა დავითს. - ქართული მწერლობა, ტომი II, თბ., 1987,

23. მოქცევაი ქართლისაი. - შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა. თბილისი, 1979

24. მსოფლიო საეკლესიო კრებები. ისტორია, ღვთისმეტყველება, კანონები, რუსულიდან თარგმნა ა. ხაჩიძემ, თბ., 2009

25. პაიჭაძე დ. ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო XV ს. 60-იან წლებში, თბ., 1989

26. საქართველოს ისტორია, ტომი I, თბ., 2008

27. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი II, თბ., 1979

28. სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა. - ქართლის ცხოვრება ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955

29. ფერაძე გრ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერების და ქართული მონასტრის შესახებ, თბ. 1995
30. ქართული დიპლომატიის ისტორია, თბ., 2003
31. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), თბ., 1965
32. ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი. - ქართული მწერლობა I, თბ., 1987
33. ყაუხჩიშვილი ს. ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, თბ., 1949
34. შუა საუკუნეების სამართალი, შეადგინა და კომენტარები დაურთო ი. დოლიძემ, ტ. II, თბ., 1962
35. ჩიქოვანი ნ. საქართველოს კულტურული რაობა და ცივილიზაციური კუთვნილება ცივილიზაციათა თეორიის კონტექსტში, თბ, 2005
36. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბ., 1955
37. ჯავახია ბ ისტორია და თეოლოგია შუა საუკუნეების დამდევს. – Bulletin of the AGIBAS, ბიბლიური და არქეოლოგიური კვლევის ამერიკულ-ქართული ინსტიტუტის ბიულეტენი, თბ., 2009
38. ჯავახია ბ, ევროპის ცნების გაგებისათვის დასავლეთის შუა საუკუნეებში. - ცივილიზაციური ძიებანი, თბ., 2009 VI
39. ჯავახია ბ. ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ (დასავლეთ ევროპა, ბიზანტია, საქართველო), თბილისი, 2005
40. ჯავახია ბ. ბიზანტიური კულტურა. - კულტუროლოგია, თბ., 2002

41. ჯავახია ბ. ლიონის II საეკლესიო კრება და პირველი საეკლესიო უნია. – თბილისის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო შრომები, I, თბ., 2009
42. ჯავახია ბ. თამარ მეფე უცხოელთა თვალთ. - წმიდა თამარ მეფე, თბ., 2005
43. ჯავახია ბ. XIII საუკუნის დამდეგის დომინიკანელი ბერი საქართველოს შესახებ - შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, VII, თბ., 2005
44. ჯავახია ბ. ჯვაროსანთა ეპოქის ლათინური წყაროები საქართველოს შესახებ. - გივი ჟორდანიას 90, თბ., 2001
45. ჯავახიშვილი ივ. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.). ტფილისი, 1920,
46. ჯოხაძე ა. სიკვდილი ბიზანტიურად. - საზოგადოება და პოლიტიკა, 4, თბ., 2002
47. ჰანთინგტონი ს. ცივილიზაციათა შეჯახება? თბ., 1997
48. Agursky M. The Third Rome: National Bolshevism in the USSR. –The Journal of Modern History, The University of Chicago Press, Vol. 62, No. 1, Mar. 1990
49. Alef G. The Adoption of the Moscovite Two-Headed Eagle: A Discordant View. – Speculum, Vol.41, No. 1 , Jan., 1966 - <http://www.jstor.org/stable/2851842>
50. Ando C. Imperial Ideology and Provincial Loyalty in the Roman Empire, 2000
51. Angenendt A. das Frühmittelalter. Die abendlandische Christenheit von 400-900, Darmstadt, 1990
52. Angenendt A. Geschichte der Religiosität im Mittelalter. München, 1997

53. Angenendt A. Heilige und Reliquien. Die Geschichte ihres Kultes vom frühen Christentum bis zur Gegenwart, Nikol Verlag, Hamburg, 2007

54. Ardenna G. Eredita di Roma e originalita nelle istituzioni comunali.- Roma antica nel Medioevo Mito, Rappresentazioni, sopravvivenze nella "Respublica Christiana" dei secoli IX-XIII, 2001

55. Ball W. Rome in the East, 2001

56. Barbero A. Charlemagne, 2004

57. Bartlett R. The Making of Europe. Conquest, Colonisation and Cultural Change 950- 1350, London, 1993

58. Baynes N. H. Some Aspects of Byzantine Civilisation – The Journal of Roman Studies, Vol.20 (1930) pp.1-13
<http://www.jstor.org/stable/297380>

59. Beck H-G. Das byzantinische Jahrtausend. Verlag C-H. Beck. München, 1978

60. Belson R. L., Constable G., Lanham C.D. Renaissance and Renewal in the Twelfth Century, Harvard University Press, 1982

61. Bishop M., The middle Ages, 2001

62. Bonavicus de Ripa, De magmalibus urbs Mediolani, ed. F. Novati. - Bulletino dell'Istituto storico Italiano, No 20, 1898

63. Borgolte M. Christen, Juden, Muselmanen. Die Erben der Antike und der Aufstieg des Abendlandes 300-1400 n. Chr., Siedler Verlag, München, 2006

64. Borgolte M. Die Mittelalterliche Kirche, Oldenbourg Verlag, München, 2004

65. Borgolte M. Das europäische Mittelalter im Spannungsbogen des Vergleichs, Berlin, 2001

66. Borst A. Lebensformen im Mittelalter, Berlin, 2004

67. Borst A. Die Welt des Mittelalters, Barbaren, Kerzer und Artisten, Hamburg, 2007
68. Brogiolo G.P, Bryan W-P. The Idea and Ideal of The Town between Late Antiquity and the Early Middle Ages, 1999
69. Brooke Ch. Europa in the Central Middle Ages 962-1154, London, 2000
70. Bryan W.-P., From Classical antiquity to Middle Ages. Urban Publik Building in Northern and Central Italy AD 300-850, Oxford Historical Monographs, 1984
71. Bryce J. The Holy Roman Empire, 1880
72. Bull M. Thinking Medieval. An Imtroduction to the Study of the Middle Ages, London, 2005
73. Cameron A., Hall S.G. Life of Constantine, 1999
<http://books.google.com> [/books?id=Kcho8KEY3cC&hl=ru&source=gbs_navlinks_s](http://books.google.com/books?id=Kcho8KEY3cC&hl=ru&source=gbs_navlinks_s)
74. Cantor N. F. Civilization of the Middle Ages. A Completely Revised and Explanded Edition of Medieval History. the Life and Death of a Civilization, New York, 1993
75. Chenu M.-D., Teylor J., Little L. K. Nature, men and society in the twelfth century, Medieval Academy of America, 1998
76. Chiesa P. Roma antica medievalo, Mito, rappresentazioni, sopravvivenze nella 'Respublica Christiana' dei secoli IX-XIII, Milano, 1998
77. Clarkson J. Toynbee on Russian History. - Russian Review, XV, 2002
78. Clauss M. Die $\sigma\mu\alpha\omega\nu\iota\alpha$ von Kirche und Staat zur Zeit Justinians. - Klassisches Altertum, Spaetantike und fruehes Christentum hg. K. dietz. Wurzburg, 1993

79. Colin M. The Papal Monarchy, The Western Church, from 1050 to 1250, Clarendon, Paperbacks, 1989

80. Collet O. "Translatio imperii": la route des Flandres-Roma antica nel Medioevalo, Mito, rappresentazioni, sopravvivenze nella "Respublica Christiana" dei secoli IX-XIII,2001

81. Daniel C. Dennet J. Pirenne and Muhamed - Speculum, Vol.23, No. 2 ,Medieval Academy of America, Apr., 1948 <http://www.jsror.org/stable/2852951>

82. Davis Ch.T. Dante and the Idea of Rome, 1957

83. Debating the Middle Ages, Issues and Readings, Edited Lester K. Little, Barbara H. Rosenwein, Blackwell, 1998 <http://www.jstor.org/stable/3163118>

84. Der lateinische Westen und der Byzantinische Osten (431-642)- Die Geschichte des Christentums, Altertum 3, Herausgegeben von Luce Piettri, Freiburg-Basel-Wien, 2005

85. Der Mensch des Mittelalters, Hrsg. J. Le Goff, Magnus Verlag, Essen, 2005

86. Des Sachenspiegels, erster Theil oder Des saechsische Landrecht, heraugegeben von Dr. G.G. Homayer, Berlin,1835

87. Die Kirchen und Theologie Geschichte in Quellen, Mittelater, Hrsg. von B. Lohse, V. Leppin,Neukirchener Verlag, 2001

88. Die Geschichte des Christentums, Mittelalter 1, Bischöfe, Mönche und Keiser (642-1054) Herausgegeben von G. Dragon, P. Riche, Andre Vauchez. Deutsche Ausgabe bearbeite und herausgegeben von Egon Boshof, Herder, Freiburg, Basel, Wien, 2007

89. Die Geschichte des Christentums, Mittelalter 2,Machtfülle des Papstums (1054-1274), Herausgegeben von

Andre Vauchez, Deutsche Ausgabe bearbeite und herausgegeben von Odilio Engels unter Mitarbeit von Georgius Makris und Ludwig Vones, Herder, Freiburg, Basel, Wien, 2007

90. Die Geschichte des Christentums, Mittelalter, 3, Die Zeit der Zerrißproben (1274-1449), herausgegeben von Michel Mollat du Jourdin und Andre Vauchez, Deutsche Ausgabe bearbeite und herausgegeben von Bernard Schimmelpfenning, Herder, Freiburg, Basel, Wien, 2007

91. Dölger F. Byzanz und die europäische Staatenwelt, München, 1953

92. Dujcev Iv. La conquista torquie et le prise de Constantinople dans la litteratura slave contemporaine. - BS, XIV, 1953 P. 14-54; XVI, 1955. P. 318-329; XVII, 1956.

93. Duncan P. J. S., Russian Messianism, Third Rome, Revolution, Communism and After, 2000

94. Eastmond A. Art and Identity in the Thirteenth-century Byzantium, Hagia Sophia and the Empire of Trebizond, Birmingham Byzantine and Ottoman Monographs, 2004 http://books.google.ru/books?id=ftUsNvH7c_AC&dq=Jankins+R.I.+H.+D

95. Eiden P, Translatio Imperii Ad Americam. Working through the Poetics and Politics of Empire in Hermann Broch's. The Death of Virgil. - Literary Imagination.8, 2006

96. Einhardi, Vita Karoli Magni, hrsg. von O. Holder-Egger. MGH SS, 25, Hannover, 1965

97. Eisenstadt S. The Political Systems of Empires. London, 1963

98. Ensslin W. Gottkaiser und Kaiser von Gottes Gnaden. Das Byzantinische Herrscherbild, Herausgegeben von Herbert Hunger, Darmstadt, 1975

99. Erwin Fenster. Laudes Constantinopolitanae Miscellanea Byzantina Monacensia, Institut für Byzantinistik und Neugriechische Philologie München, 1968
100. From Roman Provinces to Medieval Kingdoms, Edited by Thomas F.X. Noble, *Rewriting Histories*, Routledge, 2006
101. Fuhrmann H. *Einladung ins Mittelalter*. Verlag C.H. Beck, München, 2000
102. Fuhrmann H. *Überall ist Mittelalter, Von der Gegenwart einer vergangenen Zeit*, Verlag C. H. Beck, München, 2002,
103. Fumagalli Beonio Brocchieri M. *Der Intellektuelle. - Der Mensch des Mittelalters*, Hrsg J. Le Goff, Magnus Verlag, Essen, 2005.
104. Geanakoplos D. *Church and State in the Byzantine Empire: A Reconsideration of Problem of Caesaropapism. - Church History*, Vol. 34, No.4, Cambridge University Press, 1987
105. Geanakoplos D. *Michael VIII Palaeologos and the Union of Lions (1274). - The Harvard Theological Review*, Vol. 46, No. 2 (Apr., 1953)
106. Geanakoplos D.J. *Edwaed Gibbon and Byzantina Ecclesiastical History. - Church History*, Vol. 35, No. 2 (Jun., 1966)
107. Geary P. *The Myth of Nations, The Medieval Origins of Europe, Medieval Europeans; Studies in Ethnic Identity and National Perspectives in Medieval Europe*, 2003
108. Ghisalberti A. *Roma antica nel pensiero politico da Tommaso d'Aquino a Dante. - Roma antica nel Medioevalo, Mito, rappresentazioni, sopravvivenze nella "Respublica Christiana" dei secoli IX-XIII*, Roma , 2001

109. Goetz W., *Translatio imperii*, Ein Beitrag zur Geschichte des Geschichtsdenkens und der politischen Theorien im Mittelalter und in der frühen Neuzeit, Tübingen, 1958

110. Graf A. *Roma nella memoria e nelle immaginazioni del medio evo* 2 vols Turin 1882, 1883;

111. Grandazzi A., *The Foundation of Rome, Mith and History*, Translated by J.M. Todd, 1997

112. Grant M. *From Rome to Byzantium*, 2003

113. Gregoire R. *Roma nell'esegesi biblica medievale-Roma antica nel Medioevo*, Mito, rappresentazioni, sopravvivenze nella "Respublica Christiana" dei secoli IX-XIII, 2001

114. Gregorovius F. *Geschichte der Stadt Rom im Mittelalter*, Hrsg. von W. Kampf, Verlag C.H. Beck, 1978- <http://books.google.ru/books?id=1UKcVygvcfc&dq>

115. Gregory T. E. *A History of Byzantium*, Blackwell Publishing, 2007

116. Gregory VII, *Registrum*, ed. Heinrich Hagenmeyer, Heidelberg, 1913

117. *Grenzräume und Grenzüberschreitungen in Vergleich. Der Osten und der Westen des Mittelalterlichen Lateineuropes*, Hg. K. Herbers, N. Jaspert, Berlin, 2007

118. Gustave A. *The Adoption of the Muscovite Two-Headed Eagle: Discordant View*. - *Speculum*, Vol. 41, No. 1 (Jan. 1966)

119. Hagermann D. *Karl der Grosse. Herscher des Abendlandes*, Berlin 2003

120. Haldon J. *Byzantium. A History*. Tempus Publishing Ltd The Mill, Brimscombe Port Stroud, Gloucestershire. 2000

121. Hammer W. The Concept of the New or Second Rome in the Middle Ages. - *Speculum*, Vol.19, No. 1, Jan., 1944, Medieval Academy of America, <http://www.jstor.org/stable/2856854>
122. Haney J.V. Moscow-second Constantinople, Thurd Rome or Second Kiev. The Tale of the Princes of Vladimir, 1968
123. Hankins J. Renaissance Crusade modern - Humanist Crusade Literature in the Age of Mehmed I. I- *Dumbarton Oaks Paper*, Vol. 49, Symposium on Byzantium and Italians, 13th-15th Centuries, 1995
124. Hardt M. Negri A. *Empire*, Harvard University Press, 2001
125. Haussig H-W. *Kulturgeschichte von Byzanz*, Stuttgart, 1959
126. Henderson B. J. *The Cambridge Histoty of Medieval Political Thought 350-1450*, Cambridge, 1988
127. Herrin J. *Byzantium. The Surprising life of a Medieval Empire*, London, 2007
128. Hess G. *Heilige machen im spaetmittelalter Ostseeraum*, Berlin, 2008
129. Hingley R. *Globalizing Roman Culture*, 2005
130. Hoffman M.A. *The History of Antropology Revisited – A Byzantine Viewpoint. - American Antropologist, New Series, Vol. 75, No. 5 (Oct. , 1973)*
131. Hunt E.D. *Holy Land Piligrimage in the Later Roman Empira AD 312-460*, 1984
132. Hujzinga J. *Herbst des Mittelalters*. 1975
133. Huskinson J. *Experiencing Rome Culture, Identity and Power in the Roman Empire*, 2000

134. Hussey J.M. *The Byzantine World*, Hutchinson University Library, 1961
135. Innes M. *Early Medieval Western Europe, 300-900, The sword, the plough and book*, New York, 2007
136. Innocenz III – *Sicut universitatis- Kirchen und Theologiegeschichte in Quellen*, Hg. A.M. Ritter, B. Lohse, V. Leppin, , Bd. II, Neukirchener Verlag, 2001
137. Iorga N. *Byzantium after Byzantium*, Oxford, 2004
138. Jakob de Vitriaco, *Historia Orientalis. Gesta Dei Per Francos*, Hanau, 1611
139. Jenkins R. J. H. *De Administrando omperio* *Dumbarton Oaks Text. I-II*, Washington D.C. 1967, www.jsror.org/sici?sici=0075; www.the-orb.net/bizantinewesk.html.
140. Jones A. H. *Constantine and the Conversation of Europe*, *Medieval Academy of America*, 1979
141. Jones P. V. Sidwell K. C. *The World of Rome. An Introduction to Roman Culture*, 1997
142. Kantorowicz E. H. *The King's Two Bodies. A Study in Medieval Political Theology*, Princeton University Press, New Jersey, 1997
143. Kasten B., *Laikale Mittelgewalten: Beobachtungen zur Herrschaftspraxis der Karolinger – Karl der Grosse und das Erbe*, Ed. F.R. Erkens, *Mediavistenverband, Proceedings of eighth Symposium des Mediavistenverbandes e. V. in Leipzig March 15-18, 1999*, Leipzig, 2001
144. *Kirche und Theologische literatur in Byzantinischen Reiche*, von Hans-Georg Back, München, 1959
145. *Kirchen und Theologiegeschichte in Quellen*, Hg. A.M. Ritter, B. Lohse, V. Leppin, Neukirchener Verlag, 2001, Bd. II, 1962

146. Kitzinger E. Byzantium and the West in the Second Half of the Twelfth Century: Problems of Stilistic Relationships. – Gesta, Vol.9, No. 2, Papers on the Renaissance of the Twelfth Century Read at the Symposium Held in the Museum of Art, Rhode Island School of Desugn, May 14 and 15, 1969, <http://www.jstor.org/stable/766654>
147. Kretzenbacher L. Die Himmelsleiter zur Socialismis – Sohne. – Süd-Ost Forschungen, 40, 1981
148. Le Goff J. The Birth of Europe, 2005
149. Le Goff, Auf der Suche nach Mittelalter, Ein Gespräch, C. H. Beck, München, 2004
150. Lilie R. Byzanz. Das zweite Rom, Berlin, 2003
151. Malcolm B. The Two Cities: Medieval Europe 1050-1320, 2004
152. Mango C. Byzantinism and Romantic Hellenism. – Journal of the Warburg and Countauld Institutes, Vol.28 (1965), The Warburg Insyitute. <http://www/jstor.org/stable/750662>
153. Maresch R. Das neue Byzanz, 2002
154. Marx B. Venezia, altera Roma? Ipotesi sull'umanesimo Veneziano. 1978
155. Medley D.J. The Church and The Empire, Glasgow, 2003
156. Meyendorff, J., Byzantium and the Rise of Russia: A Study of Byzantino-Russia Relations in the Fourteenth Century, Cambridge, Cambridge UP, 1981
157. Michalopulos D. Moscow, The third Rome – Russian Studies, International Journal, No. 3, 2009; <http://www.radtr.net/dergi/sayi3/moscowrome.htm>

158. Mircuk I., The Historical and Ideological Background of the Theory of the Third Rome, [en ukrainien], cerkovno-arkheolograficna komisija, 1954

159. Moore R. The First European Revolution, c. 970-1215, 2000

160. Mozzarelli C. (Università Cattolica di Milano), Milano seconda Roma. Indagini sulla costruzione dell'identità cittadina nell'età di Filippo II Congresso Internacional "Felipe II (1598-1998), Europa dividida, la monarquía católica de Felipe II (Universidad Autónoma de Madrid, 20-23 abril 1998. Madrid: Parteluz, 1998

161. Murphy C., The New Rome? The Fall of an Empire and the Fate of America, New York, 2008

162. Muuler M. Paris, das neue Jerusalem? Die Sta-Cyapelle als Imitation der Golgotha-Kapellen. – Zeitschrift fuer Kunstgeschichte, 59 Bd., H. 3 (1996

163. Nardella C. L'antiquaria romana dal "Liber Pontificalis" ai "Mirabilia urbis Romae". - Roma antica nel Medioevo, Mito, rappresentazioni, sopravvivenze nella "Respublica Christiana" dei secoli IX-XIII, 2001

164. Negro S. Seconda Roma, 1850-1870, Neri Pozza Vicenza, 1966

165. New or Second Rome in the Middle Ages- Speculum, Vol.19, No. 1, Jan., 1944, Medieval Academy of America, <http://www.jstor.org/stable/2856854>

166. Nilgen U. Roma e la antichità romane nelle raffigurazioni medievali. - Roma antica nel Medioevo, Mito, rappresentazioni, sopravvivenze nella "Respublica Christiana" dei secoli IX-XIII, 2001

167. Norwich J. Byzanz. Aufstieg und Fall eines Weltreichs, Papylaen, Berlin, 2002
168. Obolensky D. Byzantium, Kiev and Moscow. A Study in Ecclesiastical Relations, Dumbarton Oaks Papers, XI, 1957
169. Obolensky D. Russia's Byzantine Heritage. - Readings in Russian History, Ed. S. Harcave, I, New York, 1962
170. Odahl Ch. M. Constantine and the Christian Empire, 2004 http://books.google.com/books?id=PN8TMJPugsIC&hl=ru&source=gs_navlinks-s
171. Ohnsorge W. Das Zweikeiserproblem im früheren Mittelalter. Die Bedeutung des Byzantinischen Reiches für die Entwicklung der Staaten in Europa, Hildesheim, 1947
172. Ohnsorge W. Konstantinopel und der Okzident, Darmstadt, 1968
173. Oldoni M. Roma in enciclopedisti e non fra XII secolo -Roma antica nel Medioevalo, Mito, rappresentazioni, sopravvivenze nella "Respublica Christiana" dei secoli IX-XIII, 2001
174. Ostrogorsky G. Geschichte des Byzantinischen Staaten, C.H. Beck, Muenchen, 1962
175. Oto Gesta Frederici liber II, capitulum L- Quellen zur deutschen Geschichte des Mittelalters, Bd. XVI. Berlin, 1960
176. Otto Bischof von Freising: Chronik, oder die Geschichte der zwei Staaten. Übersetzt von Adolf Schmidt, herausgegeben von Walther Lammers. Ausgewählte Quellen zur deutschen Geschichte des Mittelalters 16, Darmstadt 1960
177. Ottonis episcopi Frisingensis Chronica sive de duabus civitatibus, hrsg. Von A. Hofmeister, MGH, SS, 45, Hannover, 1912;

178. Paravicini Bagliani A. Die romische Kirche von Innozenz III. bis Gregor X- Die Geschichte des Cristentums , Mittelalter, 2, Freiburg, Basel, Wien, 2007

179. Peters T. A History of Images: Christianity and Historiography in the Later Decline and Fall of the Roman Empire - Studies in English Literature, 1500-1900, Vol. 30, No. 3, Restoration and Eighteenth Century (Summer, 1990), pp. 503-515
Published by: Rice University Stable URL:
<http://www.jstor.org/stable/450709>

180. Phalitzsch J. Greaci und Suriani im Palastina der Kreuzfahrerzeit. Beitrage und Quellen zur Geschichte des Grichisch-Orthodoxen Partiarchats von Jerusalem, Duncker. Humboldt, Berlin. 2001

181. Pirenne H. Mohamed and Charlemagne, American Council of Learner Societies, 2001

182. Pohlsander H. The Emperor Constantine, 2004-
<http://books.google.com/books?id=DCEKDWc&hl=ru>

183. Popovitch H. N. Byzantium in Perspective. - The Byzantine Achievement, A. D. 330-1453 by Robert Byron - The Burlington Magazine for Connoisseurs, Vol. 56, No. 322 (Jan., 1930)

184. Potesta G.-L. Roma nella profezia (secoli XI-XIII)- Roma antica nel Medievalo, Mito, rappresentazioni, sopravvivenze nella "Respublica Christiana" dei secoli IX-XIII, 2001

185. Reginonis Abbatis Prumiensis Chronicon cum Continuatione Treverensi, ed. F. Kurze, Hannover, 1890

186. Reuter Th. Nelson J. Medieval politics and modern mentalities, Cambridge Univerity Press,2006

187. Riche P. *The Carolingians, A Family Who Forged Europe*, Translated by M. I. Allen, 1993
188. Roma antica nel Medioevo, Mito, rappresentazioni, sopravvivenze nella "Respublica Christiana" dei secoli IX-XIII, 2001
189. Runciman S. *Byzanz. Vor der Grundung bis zum Fall Konstantinople*, Darmstadt, 1976
190. Runciman S. *The Fall of Constantinople in 1453*, Cambridge, 1969
191. Sartre M. *The Middle East under Rome*, 2005
192. Schaefer H. H. *Moskau das Dritte Rom*. Hamburg, 1929
193. Schneider R. *Das Frankenreich*, Muenchen, 1990
194. Schneider T. *Rom und Romgedanke im Mittelalter. Die geistigen Grundlagen der Renaissance*, Munich, 1998
195. Schoettler P. *Mark Bloch, Historiker und Widerstands- Kaempfer*, Campus Verlag, Frankfurt/New York, 1999
196. Schramm P. E. *Keiser, Rom und Renovatio. Studien zur Geschichte des roemischen Erneuerungsgedankens vom Ende des karolingischen reiches bis zum Investiturstreit*, 2 Bde., Leipzig, Teubner, 1929
197. Schramm P. *Keiser, Konige, Papste, Gesammelte Aufsätze zur Geschichte des Mittelalters*. Bde I,II, Stuttgart, 1968
198. Schreiner P. *Byzanz, Oldenburg Grundniss der Geschichte*, Bd. 22, München, 1994
199. Schulman J.K. *The rise of the medieval world, 500-1300*, 2002
200. Schutz H. *The Carolingians in Central Europe, their history, arts and architecture*, 2004

http://books.google.com/books?id=8ZJONlzdyPsC&dq=Riche+P.+The+Carolingians,&hl=ru&source=gbs_navlinks_s

201. Shevcenko I. The Decline of Byzantium Seen Through the Eyes of Its Intellectuals. – *Dumbarton Oaks Papers*, Vol. 15, 1961

202. Simon de Saint:Qventin, *Histoire des Tartares*, publiée par Jean Richar, Paris, Librairie Orientaliste Paul Geuther, 12, 1965;

203. Smith Julia M.H. *Europe after Rome. Anew Cultural History 500-1000*, Oxford: Oxford University Press, 2005;

204. Southern R.W. *Scholastic Humanism and the Unification of Europe*, 1997

